

სსიპ-სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი

სადოქტორო პროგრამა

თანამედროვე ქართული ლიტერატურა და ლიტერატურის თეორია

კ ლ ა რ ა გ ე ლ ა შ ვ ი ლ ი

ომის პარადიგმა თანამედროვე ქართულ მწერლობაში

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ნინო მინდიაშვილი

ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი,

სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი

თბილისი, 2021

შესავალი ----- 3

I თ ა ვ ი

მე-20 საუკუნის 90-იანი წლების ანარეკლი ქართულ მწერლობაში

(სამოქალაქო ომის რეფლექსია) ----- 20

II თ ა ვ ი

ომი ქართველ მწერალთა შემოქმედებაში

2.1. ეპოქალური დისკურსი ----- 55

2.2 აფხაზეთის ომი ქართულ ლიტერატურაში ----- 84

2.3 ქართულ-ოსური კონფლიქტი ქართულ მწერლობაში ----- 141

2.4 ომის ქრონიკები პუბლიცისტურ ნარატივში (ლოკალური და რესპუბლიკური პრესა) ----- 172

III თ ა ვ ი

ომის რეფლექსიები ოსურ ბელეტრისტულ-პუბლიცისტურ ნარატივში ----- 193

დასკვნა ----- 230

ბიბლიოგრაფია ----- 236

შესავალი

საქართველოს სოციალურ-პოლიტიკურ ვითარებაზე დიდი გავლენა მოახდინა გასული საუკუნის მიწურულში განვითარებულმა მოვლენებმა. მე-20-21-ე საუკუნეთა მიჯნაზე მომხდარმა ძვრებმა გლობალიზაციის ფერხულში ჩააბა საქართველოც. დგებოდა ხანა ღირებულებათა გადაფასებისა. თავისუფლების მაძიებელი ერი ომებისა და შიდა დაპირისპირებების წინაშე აღმოჩნდა. ყოველივე ამან ფიზიკური განადგურებისა და ტერიტორიული მთლიანობის რღვევის საფრთხე განაპირობა. თავისუფლებამ, რომელიც ათეული წლების განმავლობაში ოცნების საგანი იყო, ქართველობა რთული სოციალური, პოლიტიკური და სულიერი კრიზისის წინაშე დააყენა. ძვრები იგრძნობოდა ლიტერატურაშიც. მაშინ, როცა საბჭოთა რეჟიმის ინტერესი ეროვნული ცნობიერების წნეხში მოქცევა იყო, ახლა დგებოდა დრო, რომელიც მწერლობას პოლიტიზირების მარწუხებისგან ათავისუფლებდა და ბუნებრივი გზით განვითარების საშუალებას აძლევდა.

ამგვარად, XX საუკუნის მიწურულის ტრაგიკული მოვლენები, როგორც ეპოქის მტკივნეული სული, მხატვრულ ნარატივში მთელი სისავსით აირეკლა.

საბჭოთა რეჟიმის უღლის ქვეშ მგმინავი ქვეყნის მწერლობა, სულიერი და კულტურული ღირებულებების გაუფასურების საფრთხის წინაშე მდგომ საზოგადოებას, ალეგორიულ-მეტაფორული ნარატივით აფხიზლებდა. „ერის ტრაგედიას ჰქონდა თავისი ობიექტური თუ სუბიექტური მიზეზები და მათი გაცნობიერება მხოლოდ მწერალთა კი არა, ყოველი ქართველის ვალი იყო“ [კუცია, 2015:161].

ეროვნული ცნობიერების კოსმოპოლიტიზმის ქარტეხილებისგან გადარჩენა მხოლოდ ტრადიციულ ღირებულებათა შენარჩუნებით იყო შესაძლებელი. მაკა ჯოხაძე წერს: „ფუტკარსაც კი ეროვნულობის ჭრილიდან ვუყურებ და ასე მგონია, სანთლის საუფლოში გამოკვეთილი მათი ვარძია, პაწია თაღები, სიმეტრიული სარკმლები, ერთი

სიტყვით, ფიჭის უჯრედული წყობაც კი საერთაშორისო სტანდარტებს არ ემორჩილება - არქიტექტონიკის თვალსაზრისითაც კი ეროვნულია“ [ჯოხაძე, 1997:3].

ერის უპირველესი ჭირისუფალი საქართველოში, ტრადიციულად, მწერალი იყო. ნაირა გელაშვილის მოსაზრებით, „კაცობრიობა მწერალთა ტანჯვაში, მათ ცრემლსა და სისხლშია განზანთილი. არ არსებობს ქვეყანა და ეპოქა, რომელსაც თავის მწერალთა ტანჯვა-წამებით არ დაემძიმებინოს სული“ [გელაშვილი, 2014:588].

ზურაბ ჭავჭავაძე მწერლობას ინტელიგენციის ყველაზე „მეტყველ“ ნაწილად მოიაზრებს. სწორედ ამიტომ ებრძოდა ყოველი რეჟიმი საზოგადოების ამ ზემოქმედებას ნაწილს. ამ მხრივ, განსაკუთრებული „მიღწევები“ კომუნისტურ რეჟიმს ჰქონდა. ქვეყანა უდიდესი საფრთხის წინაშე აღმოჩნდა.

ლალი ავალიანის მოსაზრებით, „ქართული მწერლობა თითქოს ინერციით, მაგრამ მაინც წარმატებულად და თავისი შინაგანი კანონების თანახმად ვითარდებოდა. 1924-1933 წლების ულმოებელმა რეპრესიებმა საბოლოოდ დააბრკოლა მწერლობის განვითარების ბუნებრივი გეზი და დაასამარა შემოქმედის თავისუფლების ილუზია ტოტალიტარიზმის პირობებში“ [ავალიანი, 2005:240]. ამას დაერთო 1937 წლის რეპრესიები, რამაც ფიზიკური განადგურების საფრთხის წინაშე დარჩენილი „გადარჩენილი“ მწერლობა უარესი წნეხის ქვეშ მოაქცია.

მე-20-21-ე საუკუნეთა მიჯნაზე მომხდარმა ძვრებმა გლობალიზაციის ფერხულში ჩააბა საქართველოც. დგებოდა ხანა ღირებულებათა გადაფასებისა. თავისუფლებამ, რომელიც ათეული წლების განმავლობაში ოცნების საგანი იყო, ქართველობა რთული სოციალური, პოლიტიკური და სულიერი კრიზისის წინაშე დააყენა. პოსტსაბჭოთა პერიოდის კატაკლიზმებით გამოწვეული რყევების ფონზე ქვეყნის სამ გეოგრაფიულ სივრცეში იმპერიის მიერ თითქმის ერთდროულად ინსპირირებულმა საომარმა მოქმედებებმა (თბილისი, სამხრეთ ოსეთი, აფხაზეთი) უმძიმესი შედეგები მოიტანა. ზემოთქმული აისახებოდა ქვეყნის პოლიტიკურ, სოციალურ და ეკონომიკურ მდგომარეობაზე, ირეკლებოდა ლიტერატურაში, რომელმაც ობიექტურად გამოხატა კომუნისტური იდეოლოგიისგან გათავისუფლებული საზოგადოების მისწრაფებანი.

ბაკურ სულაკაური, საუბრობს რა „ლიტერატურულ ლანდშაფტში“ მომხდარ ცვლილებებზე, აღნიშნავს, რომ ყველაზე თვალშისაცემი „აქტორთა გაახალგაზრდაებაა“. თანამედროვე ქართულ პროზაში, სადაც მამაკაცი ავტორები ჭარბობდნენ, გამოჩნდნენ ქალებიც, გაჩნდა ინტერესი სხვადასხვა ლიტერატურული ჟანრისადმი.

მკითხველის დაინტერესება, თემატიკასთან ერთად, ახალგაზრდა ავტორთა ნიჭიერებამ განაპირობა: „თუ ჩვენ - მწერლები, მკითხველები, გამომცემლები ერთად შევქმნით ბობოქარ ლიტერატურულ სივრცეს, სადაც ავტორები ბევრს წერენ, მკითხველები მსჯელობენ, ოპტიმიზმის საფუძველიც გვექნება“ [სულაკაური, 2013:5]. ვფიქრობთ, ლიტერატურის განვითარების შეუქცევადი პროცესი ოპტიმიზმის საფუძველს ნამდვილად იძლევა.

90-იანელთა სახელით სამწერლო ასპარეზზე გამოსული ახალი თაობა აცნობიერებს, აანალიზებს მომხდარს. ყოველივე ეს კი, ლიტერატურული რეფლექსიის სახით, ოდნავ მოგვიანებით, გააზრებულად და სრულფასოვნად აისახა მხატვრულ ტექსტებში. ლიტერატურაში ეპოქის მოვლენათა არამყისიერი ასახვა განაპირობა საბჭოური გავლენისაგან დაღდასმულმა ცნობიერებამ; იდეოლოგიური რეჟიმის მარწუხებში მოქცეული მწერლობა ერთბაშად ვერ იხსნის საბჭოეთის უმძიმეს „უღელს“; ახალ მოვლენათა რეალური აღქმის, გააზრებისა და ლიტერატურული პროცესის სახით განვითარებისთვის „დროითი დისტანცია“ იყო საჭირო, რადგან სივრცე ჯერ კიდევ „გასასუფთავებელი“ იყო „რკინის ფარდის“ ნარჩენებისგან. ზემოთქმულით ადვილად აიხსნება ის ფაქტი, რომ 2008 წლის მოვლენებმა, 90-იანი წლებისგან განსხვავებით, მყისიერი ასახვა პოვა ლიტერატურაში. უმოკლეს პერიოდში შეიქმნა ნაწარმოებები 2008 წლის ომის თემაზე.

საკითხთან დაკავშირებით, საინტერესოა მკვლევარ ბელა წიფურის თვალსაზრისი: „90-იანი წლების პირველ ნახევარში ძლიერი საზოგადოებრივი სტრესის პირობებში ლიტერატურა ფრუსტრაციის ველში მოექცა, მან დაკარგა გარემოსთან ბრძოლისა და ადაპტაციის ჩვეული ფორმები და, ერთგვარად, სოციალური ფუნქციაც. მოხდა

ავტორთა, როგორც ინდივიდთა სოციალური და შინაგანი იზოლაცია“ [წიგურია,2005:127].

XXI საუკუნის დამდეგისთვის უკვე აშკარად შეინიშნება ლიტერატურის „რეაბილიტაცია“. იწყება პოსტმოდერნიზმის ეპოქა. ახალგაზრდა ავტორები ახალ პრინციპებზე აგებული ნაწარმოებებით იმკვიდრებენ სახელს პოსტსაბჭოთა სივრცის ლიტერატურაში.

შეიქმნა სამყაროს აღქმისა და ხედვის პოსტსაბჭოური, ახალი, თავისუფალი მოდელი. ჩაკეტილი სივრცის გახსნამ შესაძლებელი გახადა ენობრივი კონსტრუქციების რღვევა. ტრადიციულ საძირკველზე აიგო ახალი, კლიშეებისგან გათავისუფლებული, ეპოქალური ძვრებისა და ღირებულებების გადაფასების ფონზე შექმნილი პოსტმოდერნისტული ლიტერატურა.

რამდენად მისაღები აღმოჩნდა საზოგადოებისთვის აღნიშნული ტიპის ტექსტები, როგორც სიახლე, ამ საკითხთან დაკავშირებით თავისი მოსაზრება აქვს სოფიკო ძნელაძეს: „კლასიკურ მწერლობას მიჩვეული მკითხველი დაბნეულობამ მოიცვა; თუმცა წლების გასვლასთან ერთად, საკითხისადმი მიდგომაც შეიცვალა, საზოგადოება ასეთი ტიპის მწერლობისადმი უფრო „ჰუმანური“ გახდა“ [ძნელაძე, 2014:3].

სამწერლო ასპარეზზე გამოსული ახალგაზრდების გვერდით, მოღვაწეობას აგრძელებენ ძველი თაობის წარმომადგენლები(ც). ისინი ფრთხილობენ (აქვთ მძიმე გამოცდილება!) - გარდამავალი ეტაპი უმტკივნეულებს იქნება ისეთი მცირერიცხოვანი ერისთვის, როგორც საქართველოა. ტაბუდადებული თემები ნელ-ნელა ირეკლება ლიტერატურულ სივრცეში; ჩაკეტილი სივრცის გახსნამ შესაძლებელი გახადა ენობრივი კონსტრუქციების ცვლა; იწერება ყველაფერი ყველასა და ყველაფერზე, რაც წარმოუდგენელი იყო კომუნისტური ცენზურის პირობებში.

მკვლევარი ანა იმნაიშვილი აღნიშნავს, რომ ლიტერატურულ სინამდვილეში დაპირისპირებები არასდროს იყო უცხო, მაგრამ ეს „ბრძოლა“ მიმდინარეობდა, ძირითადად, ძველ და ახალ თაობას შორის. ლიტერატორის დაკვირვებულ თვალს შეუმჩნეველი არ რჩება XX საუკუნის 90-იანი წლების კიდევ ერთი თავისებურება, რომ

იმ პერიოდში წინააღმდეგობები უკვე, ორის ნაცვლად, სამ თაობას შორის გამოიკვეთა. „ძველი, რომლისათვისაც საბჭოთა კავშირისა და სოციალისტური იდეოლოგიის დაშლა წარმოუდგენელი იყო; საშუალო თაობა, რომელიც მენტალურ-მორალურად ყოველთვის ეწინააღმდეგებოდა საბჭოთა იდეოლოგიას, მაგრამ 90-იანი წლების რეალობასაც უნდობლად უცქერდა და ახალი, რომელიც, „ახლის“ ჟინით შეპყრობილი, შეგნებით თუ შეუგნებლად მიისწრაფოდა „ტრადიციების რღვევისა“ და დასავლური ცნობიერებისაკენ“ [იმნაიშვილი, 2010:3]. გადის დრო, შეხედულებებთან ერთად, იცვლება რეალობა და ვფიქრობ, ძველი, სიახლეებისადმი სკეპტიკურად განწყობილი თაობა საერთოდ გაქრა - თანდათანობით შეერწყა მომდევნო ორ თაობას და მათ შორის „გადანაწილდა“. მეორე, 90-იანი წლების მოვლენებისადმი უნდობლად განწყობილი თაობა, უკვე რეალურად აღწერს და აფასებს მიმდინარე პროცესებს; კალმით ებრძვის მიუღებელს, თუმცა, აშკარად თავს იკავებს დასკვნებისაგან. ხოლო მესამე, „ახლის“ მაძიებელი, დღემდე დასავლური ცნობიერების შეთვისებაშია და „ძველის“ უარყოფით გამოწვეულ სიამოვნებას განიცდის, ხშირ შემთხვევაში, ქართული მენტალობისთვის მიუღებლის აფიშირებით იქცევს საზოგადოების ყურადღებას. შეიცვალა საზოგადოების დამოკიდებულება ისეთი ლიტერატურული პროცესებისადმი, როგორცაა უცხოური ტერმინოლოგიით ჩვენს ლიტერატურაში დამკვიდრებული „ფიქშენი“ (შეთხზული) და „ნონფიქშენი“ (ნამდვილი). განსაკუთრებული ინტერესი შეინიშნება ამ უკანასკნელისადმი, უმდიდრესი ტრადიციებით რომ გამოირჩევა ქართულ მწერლობაში (იაკობ ხუცესის „მუშანიკის წამება“, იოვანე საბანისძის „აბოს წამება“, გიორგი მერჩულეს „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება“ და სხვ). საინტერესოა დოკუმენტური ტექსტები, ყოველგვარი „მეფუთვის“ გარეშე რომ აღწერს ქვეყნის შიგნით დამანგრეველი პროცესების ფონზე შექმნილ რეალობას. ეს იყო მხატვრულ-დოკუმენტური ტენდენციების, პოსტმოდერნისტული ეტაპის დასაწყისი ქართული ლიტერატურის ისტორიაში.

ამგვარად, პოლიტიკურ-სოციალური პროცესების ფონზე, ლიტერატურული რეფლექსიის სახით, სიღრმისეულად აისახებოდა საზოგადოებრივი ცხოვრების რეალური სურათი; გადმოიცემოდა ყველა ის განცდა და მოვლენა, რომელმაც

თავდაყირა დააყენა და ძირფესვიანად შეცვალა ერის ცხოვრება და ლიტერატურული პროცესიც.

არაერთი ლიტერატორი იკვლევდა და იკვლევს პოსტსაბჭოთა პერიოდის ლიტერატურის სხვადასხვა ასპექტს, როგორც ამ სივრცის ახალ მხატვრულ ფაქტს. საქართველოში დატრიალებული ტრაგედია - სამი შეიარაღებული კონფლიქტი (ცხინვალის, აფხაზეთის, სამოქალაქო), მყისიერად გახდა არაერთი ქართველი ავტორის შემოქმედების მთავარი მოტივი.

მიუხედავად იმისა, რომ არსებობს ცალკეული სტატიები, მეცნიერული კვლევები და დისერტაციები, რომლებშიც ავტორები ყურადღებას ამახვილებენ ჩვენ მიერ შერჩეულ საკვლევ საკითხზე, აღნიშნული თემა მონოგრაფიულად დღემდე არაა შესწავლილი.

ნაშრომის აქტუალობას განაპირობებს ის გარემოება, რომ საქართველოში განვითარებული მოვლენების ლიტერატურული ასახვა ღრმა ანალიზს საჭიროებს; შესასწავლია მხატვრული ტექსტები, რომლებშიც ავტორები კონფლიქტების გამომწვევ მიზეზებზე ამახვილებენ ყურადღებას. მიუხედავად იმისა, რომ რამდენიმე ავტორს (ანა იმნაიშვილი, ანა იმნაძე, სოფიკო ძნელაძე, ნინო თოდუა), დისერტაციაშიც აქვს განხილული ლიტერატურა ომის შესახებ, ვფიქრობ, დღემდე არ შექმნილა აღნიშნული თემის მეტ-ნაკლებად სრულად ამსახველი ნაშრომი. ზოგიერთი ნაწარმოები კი, რომელსაც წარმოდგენილ კვლევაში განვიხილავთ, ქართულ სალიტერატურო კრიტიკაში საერთოდ არ არეკლილა. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მოცემული თემა **ახლებურ მიდგომასა** და განხილვას საჭიროებს. აღსანიშნავია ისიც, რომ ქართველ ავტორებს აქვთ თავისი დამოკიდებულება საქართველოში არსებული კონფლიქტების მიმართ, რაც მხატვრულ ტექსტებში ნათლად იკითხება.

საკითხის შესწავლის ისტორია: XX საუკუნის დასასრულისა და XXI საუკუნის დასაწყისის ქართული ლიტერატურული პროცესის კვლევას ეხება ანა იმნაიშვილის დისერტაცია: „XX საუკუნის 90-იანი წლების ქართული პროზის ტენდენციები (პოსტსაბჭოთა თაობა. 2010)“ ანა იმნაიშვილი, აღნიშნულ ნაშრომში, განიხილავს ქართველ ავტორებს: ზ. ქარუმიძე, შ. იათაშვილი, ი. ბაქანიძე, ა. მორჩილაძე, ზ.

სამადაშვილი, დ. ტურაშვილი და სხვ. აღნიშნული ავტორის კვლევა და მეცნიერული პოზიცია, წარმოაჩინოს მწერლის, როგორც ეპოქის მოძღვრის, პოეტური სიტყვით ქვეყნის ტკივილის გამთავისებლის ფუნქცია და დანიშნულება, ჩემთვის, როგორც მკვლევარისთვის, საინტერესო და მისაღებია, ამდენად, აღნიშნული კვლევა ერთ-ერთი გზამკვლევი გახდა აღნიშნულ თემაზე მუშაობის პროცესში.

ანა იმნაძის დისერტაციაში „**ფაქტი და ლიტერატურული რეფლექსია (XX საუკუნის 90-იანი წლების რეალობა ქართულ ბელეტრისტიკაში)**“, ნაწილობრივ, მეოცე საუკუნის ბოლო წლების საქართველოში მიმდინარე პროცესები და მასზე შექმნილი ლიტერატურაა გაშუქებული. ავტორი, ისტორიულ ჭრილში ეპოქის მიმოხილვისას, ყურადღებას ამახვილებს იმ პერიოდის სამოქალაქო დაპირისპირებებზე, როდესაც ქვეყნის მთავარი ფიგურა საქართველოს პირველი პრეზიდენტი ზვიად გამსახურდიაა. კვლევაში განხილულია რამდენიმე ავტორი: ო. ჩხეიძე, ნ. გელაშვილი, გ. დოჩანაშვილი, დ. ტურაშვილი და ზ. კვარაცხელია. გამოკვეთილია ნაირა გელაშვილის განსხვავებული პოზიცია. მკვლევარი აშკარად არ აფიქსირებს თავის პოლიტიკურ შეხედულებას, მაგრამ იმის გაგება, თუ ვინაა ავტორის კეთილგანწყობის ობიექტი, ადვილი მისახვედრია: „ქვეყნის ტრაგედიაა, რომ ასე უაზროდ დაიღუპა კაცი, რომლის ხელში იყო მოქცეული საქართველოს შემდგომი ბედი - თავისუფლება“. [იმნაძე, 2013:118].

სოფიკო ძნელაძე თავის საკვალიფიკაციო ნაშრომში „**პოსტმოდერნისტული ტენდენციები თანამედროვე ქართულ რომანში**“, ლიტერატურაში პოსტმოდერნისტულ მიმართულებაზე საუბრისას აღნიშნავს, რომ პოსტმოდერნიზმი, როგორც ლიტერატურული პროცესი, საქართველოში XX საუკუნის ბოლო პერიოდში განიხილება. თუმცა, საკითხთან დაკავშირებით, თავისი მოსაზრება აქვს ლევან ბრეგაძეს: „არსებობს უაღრესად საინტერესო ქართული პოსტმოდერნიზმი, არსებობს დიდი ხანია“. [ბრეგაძე, 2008:188]. ბუნებრივია, აღნიშნული პროცესი არ შეიძლება ახალ მიმდინარეობად აღვიქვათ ლიტერატურაში - პოსტსაბჭოთა სივრცეში იგი მხოლოდ ახალ ინერციას იძენს და შეიძლება ითქვას, ამ თვალსაზრისით, ეპოქის ახალი პირმშოა - იშვა, ვითარდება და იქნება დრომდე, ვიდრე ეპოქა ახალი მიმდინარეობისთვის სასურველ ნიადაგს მოამზადებს.

პოსტმოდერნიზმის ერთ-ერთი წარმომადგენელი, მწერალი უმბერტო ეკო

მიიჩნევს, რომ პოსტმოდერნიზმს არ გააჩნია ქრონოლოგიური ჩარჩო და რომ იგი არის „გარკვეული სულიერი მდგომარეობა და ამიტომ ყველა ეპოქას თ ა ვ ი ს ი პოსტმოდერნიზმი აქვს“. [გაფრინდაშვილი, მირესაშვილი, 2014:260].

როგორც დასაწყისშივე ითქვა, წარმოდგენილი მასალა არ გახლავთ ომის თემაზე შექმნილი ლიტერატურის კვლევის პირველწყარო. ქართულ სივრცეში გამოქვეყნებულია მასალები, სადაც 90-იანი წლების საქართველოში მიმდინარე პრობლემებს, კერძოდ, ომის თემაზე შექმნილ ლიტერატურას განიხილავენ მკვლევრები: მარიამ მირესაშვილი, ნინო მინდიაშვილი, გიორგი ხორბალაძე, მარინა ტურავა, ირმა რატიანი, ბელა წიფურია, ნანა გაფრინდაშვილი, ლევან ბრეგაძე, ლალი ავალიანი, ლელა მელაძე, ნინო ვახანია, ნატალია სვანიძე, მაკა ჯოხაძე, ნანა კუცია და სხვ. გარკვეული ნაწილი აქ წარმოდგენილი ავტორებისა და მათ მიერ გამოქვეყნებული კვლევები მეტად მნიშვნელოვანი და ღირებულია იმდენად, რამდენადაც ისინი იმ პროცესების უშუალო მონაწილენი არიან, რომელთაც, განურჩევლად ეროვნებისა, ყველაზე იქონიეს საბედისწერო გავლენა.

90-იან წლებში განვითარებულმა მოვლენებმა, რომელთა შედეგადაც ათასობით ადამიანი გახდა იძულებით გადაადგილებული, ლიტერატურულ პროცესებში ახალი თემის დამკვიდრებას შეუწყო ხელი. თანამედროვე ავტორთა მიერ სხვადასხვა რაკურსით გაშუქდა ჩვენი ლიტერატურისათვის აქამდე, ფაქტობრივად, უცხო სახე - დევნილისა.

ბოლო პერიოდში მსოფლიო სალიტერატურო დისკურსში ჩნდება ახალი თეორიული მიმართულება - „ლიტერატურა დევნილების შესახებ“.

დევნილობის ლიტერატურაში ასახვას განიხილავს მკვლევარი ნინო მინდიაშვილი ნაშრომში „დევნილის პარადიგმა ეპოქალური დისკურსის კონტექსტში“. ავტორი ყურადღებას ამახვილებს საკითხზე, რომელიც „ეხებოდა ლტოლვილის მხატვრული სახის განსაზღვრას ლიტერატურაში, მის იდეოლოგიურ, ნაციონალურ და სხვა მნიშვნელოვან ასპექტებს“ [მინდიაშვილი: 2019:4]. საინტერესოა ის გარემოება, რომ დევნილის მხატვრული მოდელის გააზრება სულ უფრო აქტუალური ხდება თეორიულ ლიტერატურულ ნარატივში.

საკითხის აქტუალურობა განაპირობა მსოფლიოში მიმდინარე მოვლენებმა, რაც რეფლექსირდა ლიტერატურაში, ამდენად, „ლიტერატურა დევნილებზე“ სულ უფრო საინტერესო ხდება თეორეტიკოსებისთვის.

ამ მიმართულების მკვლევართაგან ერთ-ერთი პირველია კლაირ გალიენი, რომელმაც, ფაქტობრივად, საფუძველი ჩაუყარა ზემოაღნიშნული საკითხის თეორიულ განხილვას. ამ კონტექსტში საინტერესოა მარიანჯელა პალადინოს, ფრედერიკ დეტუეის, მელისა ჩაპლინის, ბენედიქტ ლეტელიეს, ოლივერა ჯოკის, ვალერიე ანიშჩენკოვას, კორინა სტენის მოსაზრებები.

„ლტოლვილთა/დევნილთა ლიტერატურა“ სამეცნიერო წრეებში ფართო განხილვის საგანია. თეორიულ დისკურსში მკვიდრდება ტერმინი **„დევნილთა ლიტერატურა“ (Galien: 2017; 5).**

გარდა თეორიული კონცეპტებისა, მნიშვნელოვანია, რომ აღნიშნული ლიტერატურა გენეტიკური თავისებურებებითა და ნაციონალური ნიშნებით ხასიათდება. ვიზიარებთ მკვლევარ ნინო მინდიაშვილის მოსაზრებას, რომ, თემის სენსიტიურობისა და აქტუალურობის გათვალისწინებით, მისი საფუძვლიანი შესწავლისთვის, საჭიროა ერთმანეთს გაემიჯნოს *დევნილი ავტორების მიერ შექმნილი ლიტერატურა* და *ლიტერატურა დევნილების შესახებ*.

პოსტსაბჭოთა სივრცემ ასახვა პოვა თანამედროვე ქართულ დრამატურგიაშიც. ნინო თოდუას საკვალიფიკაციო ნაშრომი „პოსტსაბჭოთა პერიოდის ქართული დრამატურგია“ ახალი სიტყვაა იმ თვალსაზრისით, რომ მასში XXI საუკუნის ქართული დრამატურგიისათვის დამახასიათებელი პოსტსაბჭოთა პერიოდისათვის დამახასიათებელი ყველა ის ვითარებაა ასახული, რაც ლიტერატურულ ჭრილში ჩვენი კვლევის ობიექტაცაა. კვლევაში განხილული, საუკუნის მაჯისცემას ეტაპობრივად მიდევნებული პიესები ლიტერატურული პროცესების განვითარების კონკრეტული მახასიათებელია.

ნაშრომში წარმოდგენილია ქართველი დრამატურგების მიერ ძველი, კლასიკური ტექსტების ნიმუშთა ინტერპრეტირება. როგორც მკვლევარი ნინო თოდუა აღნიშნავს, ესაა ერთგვარი „თარგმნა“, რომელზეც აქ განხილული პიესების სათაურებიც მიანიშნებს: „ლისისტრატე“, „ნუგზარი და მეფისტოფელი“ (ლაშა ბუღაძე),

„ზარატუსტრას ჟამი“ (რეზო კლდიაშვილი), „მეფე ღირი თავმესაფარში“ (ოთარ ბალათურია), „ჰამლეტი გლ დანიის პრინცი“ (დათო ტურაშვილი), „რომა და ჯულია“ (გურამ ბათიაშვილი).

ნიმანდობლივია, რომ ამგვარი სახით „ნათარგმნი“ ანუ ინტერპრეტირებული ტექსტები, პოსტსაბჭოთა სივრცის ლიტერატურის ყველა იმ ნიმან-თვისებებით ხასიათდება, რაც ტექსტში მთელი სიმძაფრით, ხან ირონიით, ხან კიდევ დრამატული კოლიზიის სახითაა გადმოცემული. ფაქტია, ქართველი დრამატურგები ახალ სიტყვას ამბობენ ქართულ პოსტსაბჭოთა/პოსტმოდერნისტულ ლიტერატურაში. როგორც ავტორი აღნიშნავს: „21-ე საუკუნის ქართველი ავტორები იყენებენ კლასიკური ლიტერატურის პერსონაჟთა ხასიათებს, სიუჟეტს, ხშირ შემთხვევაში, იდეას, არგებენ მათთვის საინტერესო გარემოს, ქმნიან ახალ რეალობას და გამოკვეთენ საკუთარ მიზანდასახულობას“ [თოდუა, 2020:156]. ვფიქრობ, აღნიშნული ნაშრომი ერთ-ერთი პირველწყაროა, რომელიც ერთგვარად ამყარებს ჩვენს საკვალეფიკაციო ნაშრომში გამოთქმულ მოსაზრებებს.

სხვადასხვა თეორიულ მიმართულებასთან ერთად, ქართულ სალიტერატურო დისკურსში, აქტუალური ხდება „მეცნიერება ტრავმული მეხსიერების შესახებ“.

ტრავმა, როგორც საზოგადოებრივი მოვლენა (მეტ-ნაკლებად ინდივიდიალური), კომუნისტური რეჟიმის ერთ-ერთი მახასიათებელთაგანი იყო. თუმცა, აბსოლუტურად გასაგები მიზეზების გამო, ამ საკითხს არავინ განიხილავდა და მისი, როგორც ფაქტის, ასევე მოვლენის სალიტერატურო სივრცეში აღწერა მხოლოდ შეფარვით, ქარაგმულად იყო შესაძლებელი. საბჭოთა რეჟიმისაგან განსხვავებით, პოსტსაბჭოთა სივრცის მწერლობაში ტრავმა, როგორც საზოგადოებრივი რეალობა, ლიტერატურაში მთელი სიმძაფრით აისახა. საქართველოსთვის ურთულესი პერიოდი იყო როგორც საბჭოთა, ასევე პოსტსაბჭოთა ეპოქის გარკვეული ეტაპი. ფაქტია, პოსტსაბჭოური სივრცე საზოგადოებისთვის ასოცირდებოდა თავისუფლებასთან, მაგრამ რეალობამ აჩვენა, რომ 90-იანი წლების საქართველო „ტრავმული მეხსიერებით“ დაავადდა, რის გამოძახილიცაა ლიტერატურაში ასახული (პიროვნული თუ საზოგადოებრივი) ტრავმის ნიმუშები. ჩვენ მიერ განხილული მასალა ნათლად მეტყველებს, რომ პოლიტიკამ, ფიზიკურ ყოფასთან ერთად, „აშალა“, დაანგრია ინდივიდთა ფსიქიკა,

რწმენა ოდესმე სამართლიანობის აღდგენისა და ყოფის უკეთესობისკენ შემობრუნებისა.

მკვლევარი მანანა კვაჭანტირაძე მწერლობას „საიდუმლო ტრავმული მეხსიერების შემნახველ მონუმენტად“ მიიჩნევს; მისი თვალსაზრისით, ტრავმა ხსოვნაში ინახავს ემოციურ ხატებს. ფაქტია, თუ ცნობიერებამ ტრავმის გადალახვა შეძლო, ეს მეხსიერების დადებით გამოცდილებაზე მეტყველებს [კვაჭანტირაძე, 2015 (ელექტრონული რესურსი)].

ფსიქოლოგები საზოგადოების იდენტობაში ჩაქსოვილ ტრავმებსა და სირცხვილის აულიარებლობის ფენომენზე საუბრისას აღნიშნავენ, რომ ეს მიზეზი დიდ როლს თამაშობს ტრავმული სტრესის ჩამოყალიბებაში. მკვლევართა შეხედულებით, საზოგადოებამ წარსულში უნდა დატოვოს მასშტაბური ტრავმა, რომ იგი მომავალი თაობის „რეზერვუარი“ არ აღმოჩნდეს [ჯავახიშვილი, 2012 (ელექტრონული რესურსი)].

პრაქტიკამ აჩვენა, რომ საბჭოური და პოსტსაბჭოური ტრავმის მატარებელი ადამიანები, რომლებიც 90-იანი წლების მოვლენების გამო სტრესულ მდგომარეობაში იმყოფებოდნენ, უფრო ორიენტირებულნი აღმოჩნდნენ მომავლის პოზიტივზე, ვიდრე ამ პროცესების გამო იძულებით გადაადგილებულნი; მათი უმრავლესობის მეხსიერებიდან, მიუხედავად რეფლექსიური ნარატივის არსებობისა, შეუძლებელი აღმოჩნდა როგორც საზოგადოებრივი, ასევე ინდივიდიალური სახის ტრავმათა აღმოფხვრა. სამომავლო შესაძლებლობისადმი მათ სკეპტიკურ მიდგომას ფსიქოლოგიურ სტიგმასთან ასოცირებული სტატუსი და სოციოეკონომიკური ფაქტორი განსაზღვრავს.

კიდევ ერთი ცნობილი ქართველი მკვლევარი, რომელიც ტრავმულ მეხსიერებას განიხილავს, ბელა წიფურიაა. კვლევითი ნარატივის ერთ-ერთ ქვეთავში „პოსტსაბჭოური ტრავმა და კიდევ ერთი ნარატივის დასასრული“, აღნიშნავს, რომ ტრავმა, როგორც სულიერი მდგომარეობა, საბჭოთა პერიოდსაც ისევე ახასიათებდა, როგორც შემდგომ - პოსტსაბჭოთა პერიოდს. ტრავმირებული სულის გამომახილი იყო ის გამოუქვეყნებელი ნაწარმოებები, რომლებიც ხელიდან ხელში არალეგარულად გადადიოდა. ტაბუდადებულ თემათა სიმრავლემ შექმნა ნიადაგი, რომელზეც საბჭოეთის „ემაფოტიდან“ თავდახსნილი ადამიანები დაეყრდნენ.

ბელა წიფურია, საზოგადოებრივ ტრავმაზე საუბრისას, აღნიშნავს, რომ, თუ ტრავმა ნგრევასთან ასოცირდება, უნდა გვახსოვდეს ისიც, რომ საბჭოთა კავშირის ნგრევის ფაქტიც, გარკვეული ფენისთვის, ტრავმული იყო, რადგან კავშირის ნგრევა მათი მსოფლხედვისა და იმედების ნგრევასთან ასოცირდებოდა.

ვფიქრობ, ეს მართლაც ასეა და აღნიშნული ფაქტის მიხედვით, პოსტსაბჭოთა სივრცეში გამოვლენილი პირველი ტრავმა საბჭოეთის გადმონაშთია. შემდგომი ტრავმები უკვე 90-იანი წლების ტრაგიკულ მოვლენებთან ასოცირდება; აღნიშნულმა ფაქტმა ასახვა პოვა 90-იანი წლების მოვლენათა ამსახველ ლიტერატურაში. ბელა წიფურია პიროვნული ტრავმების ამსახველ ფაქტებზე საუბრისას აღნიშნავს: „ამ უკანასკნელ შემთხვევაში თხზულებები ხშირად იქმნება იმ ფუნქციით, რომ ავტორმა გარკვეული მიჯნა დადოს გარესამყაროსა და შინაგან სამყაროს შორის და სტრესულ ვითარებაში პიროვნული მდგომარეობის აღწერის, ანუ თვითფიქსაციის გზით მაინც დაიცვას საკუთარი თავი და საკუთარი ინდივიდუალობა გარე აგრესიისაგან“. [წიფურია,2016:89].

წარმოდგენილი სამივე ავტორი ტრავმული მეხსიერების სხვადასხვა ასპექტზე ამახვილებს ყურადღებას. საბჭოთა პერიოდის ტრავმირებულთა ყოფა აუტანელი იყო იმ თვალსაზრისითაც, რომ არსებულ რეჟიმში ამ საკითხის განხილვა შეუძლებელი იყო. პოსტსაბჭოთა სივრცის მოვლენებით ტრავმირებული ადამიანები ხმამაღლა აპროტესტებდნენ როგორც საზოგადოებრივ, ასევე ინდივიდიალურ პრობლემებს, რაც ტრავმის სახით აისახებოდა მათ ცნობიერ(ება)ზე. დემოკრატიულ არეალში ჩასახულმა ტრავმამ დასაბამი მისცა რეალური ფაქტების ასახვას ლიტერატურაში, რაც ნათლად ჩანს ჩვენ მიერ განხილულ ნაწარმოებებში.

ამერიკელი მეცნიერი ალექსანდერ ჯეფრი სტატიაში „კულტურული ტრავმა და კოლექტიური მეხსიერება“ ყურადღებას ამახვილებს სამგვარი სახის ტრავმაზე: სამედიცინო, ფსიქოლოგიურ და, მეცნიერებაში სულ ახლახანს დამკვიდრებულ, სოციალურ ტრავმაზე, რომლის ობიექტიც არა ინდივიდი, არამედ ჯგუფია. ამ შემთხვევაში, უკვე საქმე გვაქვს კულტურულ ტრავმასთან. მკვლევარი ყურადღებას ამახვილებს პოპულარულ ტრავმულ თეორიაზე, სადაც აღნიშნავს, რომ არსებობენ სოციალური ჯგუფები, რომლებსაც არ სურთ, დაინახონ სხვათა ტრავმები და უარესიც

- სურვილი აქვთ, თავისი ტრავმებიც მოახვიონ თავს. ასევე, ადასტურებს, რომ ტრავმა გამომდინარეობს, მოვლენიდან, სადაც ტრავმის განცდა იგრძნობა მაშინვე: „В соответствии с популярной точкой зрения, травматический опыт имеет место, когда травмирующее событие вступает во взаимодействие с человеческой природой“ [Джеффри 2001:7] [ცნობილი თვალსაზრისის შესაბამისად, ტრავმულ გამოცდილებას ადგილი აქვს, როცა „მატრამვირებელი“ მოვლენა ზემოქმედებს ადამიანის ბუნებაზე] (თარგმანი ჩვენია - კ.გ).

პოლონელი მეცნიერი პიოტრ შტომპკა სტატიაში „ტრავმა, როგორც სოციალური ცვლილებები“, ტრავმას მიიჩნევს სოციალურ ფაქტად, რომელიც შეიძლება აღმოცენდეს კოლექტივის ბიოლოგიურ და დემოგრაფიულ დონეზე და გამოვლინდეს მოსახლეობის ბიოლოგიური დეგრადაციის სახით. მას შეუძლია, დაანგრიოს გამყარებული სოციალური სისტემა და იერარქია. მკვლევარი აღნიშნავს: „В психиатрии это длительное деструктивное влияние на личность, результатом чего являются умственные, эмоциональные нарушения. Имеет смысл отнести термин и к социальной сфере с деструктивным воздействием на социальное тело“ [Штомпка 2001:7]. [ფსიქიატრიაში ეს არის გრძელვადიანი დესტრუქციული გავლენა, რის შედეგადაც ვიღებთ ემოციურ დარღვევებს. არსებობს თვალსაზრისი, ეს ტერმინი მივაკუთნოთ დესტრუქციული ზეგავლენის სოციალურ სფეროს]. (თარგმანი ჩვენია - კ.გ).

სამეცნიერო კონფერენციის („ქართულ-აფხაზური და ქართულ-ოსური ურთიერთობები-წარსული, დღევანდლობა, მომავალი“) მასალებში წარმოდგენილია გორის სასწავლო და სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტების ერთობლივი კონფერენციის მონაწილეთა (ორმოცამდე ავტორის) ნაშრომები (მარიამ მირესაშვილი, თამარ გოგალაძე, ნინო მინდიაშვილი, ნინო ვახანია, მაია კობერიძე, მარინე ტურავა, ზაზა ცოტნიაშვილი, გიორგი სოსიაშვილი, მამუკა ცოტნიაშვილი და სხვ.).

სოხუმის უნივერსიტეტის წარმომადგენელთა ნაშრომების თემას ქართულ-აფხაზური ურთიერთობები და ამ თემაზე შექმნილ ნაწარმოებთა განხილვა წარმოადგენს; გორის უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლები კი, ქართულ-ოსური კონფლიქტის ლიტერატურაში ასახვასთან ერთად, ამ პროცესის მიზეზ-შედეგებისა და ურთიერთობათა სამომავლო პერსპექტივებზე საუბრობენ. აღნიშნული მასალის

ღირებულებას განსაზღვრავს როგორც ქართულ-ოსურ-აფხაზური ურთიერთობის, ასევე, ზოგადად, ლიტერატურულ ურთიერთობათა მხატვრულ-მეცნიერული ანალიზი.

უახლეს ლიტერატურაში ტრავმული მეხსიერების თემატიკაზეა შექმნილი ნინო ხარატიშვილის ნაწარმოები „მერვე სიცოცხლე“. აღნიშნული ნაწარმოების განხილვისას, მკვლევარი მარინა ტურავა გამოთქვამს თვალსაზრისს: „ეს არის ერთი ოჯახის რამდენიმე თაობის ისტორია, რომელიც გადაწულია ეპოქის ქარტეხილებთან. [...] წიგნში მთელი მეოცე საუკუნეა დახატული: „ამ სტრიქონებს ვუმაღლი იმ საუკუნეს, რომელმაც ყველა მოატყუა და ყველას უღალატა, ვისაც იმედი ჰქონდა“, ვკითხულობთ რომანში“ [ტურავა, 2020 (ელექტრონული რესურსი)].

2008 წლის აგვისტოში, პოლიტიკურ დაფაზე არასწორმა სვლებმა უბედურების ახალი ტალღა ააგორა, ოსებსა და ქართველებს შორის არსებული უფსკრული კიდეე უფრო გაღრმავდა; რუსული ძალების მიერ ინსპირირებულმა სცენარმა, რომელიც ამჯერად შიდა ქართლში განხორციელდა, დევნილთა ახალი ნაკადი შეჰმატა ქვეყანას; ახალი ბზარები გაჩნდა ქართველ და ოს ლიტერატორთა ურთიერთობაში. არსებული სიტუაციიდან გამომდინარე, მწერლებს უდიდესი მისია დაეკისრათ - ჩატეხილი ხიდის აღდგენის შესაძლებლობა ლიტერატურული რეფლექსიით, მათი გონივრული „სვლებით“ უნდა განსაზღვრულიყო.

ნინო მინდიაშვილი, აღნიშნულ საკითხზე საუბრისას, ერთ-ერთ ნაშრომში „შემობრუნების ტენდენციას“ ეხება, აღნიშნავს, რომ ამ თემაზე საუბრის შესაძლებლობას იძლევა იმ ოსი ეროვნების ავტორთა შემოქმედება, სადაც ქართველებისადმი კეთილგანწყობის დამადასტურებელი არაერთი ფრაზა იკითხება. მკვლევარი გულისტკივილს გამოთქვამს იმის გამო, რომ: „ამჟამად სამხრეთ ოსეთში მოღვაწეობს არაერთი საინტერესო მწერალი, ლიტერატორი, კრიტიკოსი, მათ შემოქმედებას კი ქართველი ხალხი არ იცნობს: აზა ხეჯაევა, ნიკოლაი რომანტიუკი, გერსან კოდალაევი, ზინაიდა ბიტაროვა, ალექსანდრე სანაკოევი და სხვები“. [მინდიაშვილი, 2017: 3]. თუმცა, უნდა ითქვას, რომ, სამწუხაროდ, 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომმა სხვა რაკურსით წარმართა ოსური ლიტერატურა, რადგან ჩვენ მიერ მოძიებული ოსი ეროვნების ავტორები, გარდა **ტამერლან ტადტაევისა**, ტენდენციურად ასახავენ მოვლენებს და „ფაშისტებად“ მოიხსენიებენ ქართველებს.

ნაშრომის თეორიულ ბაზად გამოყენებულია ნანა გაფრინდაშვილის „მედარებითი ლიტერატურათმცოდნეობის თეორიული საფუძვლები“, როზა დევდარიანის „ნარკვევები უახლესი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან“, ნანა გაფრინდაშვილისა და მარიამ მირესაშვილის ნაშრომი „ლიტერატურათმცოდნეობის საფუძვლები“, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და ქართული ლიტერატურის სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტის ერთობლივი ნაშრომი „აფხაზეთის ქართული მწერლობის ისტორიიდან“ ტ. II (შემდგენელი - ტიტე მოსია), ა. შუმბაცარის „უმომავლო პრივიტივიზმისა და დაღლილი პროფესიონალიზმის გასაყარზე“, ბელა წიფურას „პოსტსაბჭოური პერიოდი და პოსტმოდერნიზაცია ქართულ მწერლობაში“, ლევან ბრეგაძის „ქართული „ნონფიქშენი“, ნანა კუციას „ჟამის რეფლექსია მეოცე საუკუნის ოთხმოციანი წლების ქართულ კრიტიკაში“, ნინო მინდიაშვილის „დევნილის პარადიგმა ეპოქალური დისკურსის კონტექსტში“, „შემობრუნების“ ტენდენცია თანამედროვე ოსურ პოეზიაში“, მარინე ტურავას „გარღვეული ლაბირინთი“, ნანა კობახიძის „თანამედროვე ქართული პროზა XXI საუკუნე“, ნინო თოდუას „პოსტსაბჭოთა პერიოდის ქართული დრამატურგია“, ანა იმნაძის „ფაქტი და ლიტერატურული რეფლექსია“, ანა იმნაიშვილის „XX საუკუნის 90-იანი წლების ქართული პროზის ტენდენციები“, ნონა ამბოკაძის „საბჭოური მემკვიდრეობა: ტრავმული მეხსიერება კოლონიურ/პოსტკოლონიურ ქართულ ლიტერატურულ დისკურსში“, ასევე გავეცანით ედვარდ ვადი საიდის, გაიატრი ჩაკრავორტი სპივაკის, იან ასმანის , მორის ჰალბვაქსის, პიერ ნორას, პიოტრ შტომპკას, ორლანდო ფაიჯესის, სიუზან ლეიტონის, მიხაილ ბახტინის, ალექსანდრ ეტკინდის, იულია კრისტევას და სხვ. მონოგრაფიებს.

ნაშრომის თეორიულ-მეთოდოლოგიური საფუძველს წარმოადგენს თეორია „ტრავმული მეხსიერებისა“ და „დევნილთა ლიტერატურისა“.

სამეცნიერო ნაშრომის მიზანია, სრულფასოვნად წარმოვაჩინოთ ლიტერატურული პროცესები, რომლებმაც ლიტერატურული რეფლექსიის სახით წარმოადგინა გასული საუკუნის ყველაზე მნიშვნელოვანი და საბედისწერო მოვლენები როგორც ქართულ, ასევე ოსურ და აფხაზურ ლიტერატურაში. აღნიშნული მასალის ერთიან კონტექსტში შესწავლა და გაანალიზება მნიშვნელოვანია, ერთი მხრივ, მეტ-ნაკლებად სრული

ლიტერატურული დისკურსის წარმოსაჩენად, ხოლო, მეორე მხრივ, ქართულ-ოსური და ქართულ-აფხაზური კონფლიქტების ფონზე **ომის პარადიგმის**, როგორც გარკვეული რეცეფციის, ქართულ კულტურულ სივრცეში გასააზრებლად.

საკვალიფიკაციო ნაშრომის სამეცნიერო სიახლეა:

ქართულ-ოსური, ქართულ-აფხაზური და სამოქალაქო ომის თემაზე შექმნილი მხატვრული ტექსტების ერთიან კონტექსტში გააზრება.

იმ მხატვრული ტექსტების საკვლევი საკითხის კონტექსტში განხილვა, რომელთაც, რამდენადაც ჩვენთვის ცნობილია, ჯერჯერობით, კრიტიკოსთა კალამი არ შეხებია (მურად მთვარელიძის „ტყვიის პრემია“, გელა ჩქვანავას „ტორეადორები“, ბესო ხვედელიძის „თავის გემო“, კრებული „ალილუია“).

ქართულ-ოსური კონფლიქტის თემაზე ოსურ პრესასა და ლიტერატურაში წარმოჩენილი მასალის (რუსულენოვანი, ოსურენოვანი) გაანალიზება და ავტორთა პოზიციების შედარება.

ომის, როგორც ლიტერატურული მოდელის (პარადიგმის), თავისებურებების ჩვენება ორი თეორიის - „ტრავმული მეხსიერებისა“ და „დევილთა ლიტერატურის“ კონტექსტში (ქართული და ოსური საანალიზო მასალის საფუძველზე).

დისერტაციის მთავარი ამოცანა და კვლევის მეცნიერული სიახლეა, თუ რას წერენ აფხაზი და ოსი ავტორები რუსეთის მიერ ინსპირირებულ ომებზე, რა შეფასებას აძლევენ მომხდარს, ვის ადანაშაულებენ, რა პოზიციას ინარჩუნებს იმ ერთა მოაზროვნე ფენა, რომლებიც თვლიდნენ, რომ საქართველომ ისინი „გაიმეტა“ და „გენოციდი მოუწყო.“ ვფიქრობთ, ამ კითხვაზე პასუხის გაცემით, უფრო საინტერესო გახდება თემა, რომელიც ქართულ, ოსურ და აფხაზურ ლიტერატურას დროის ერთ, საერთო მონაკვეთში, ერთიან ქრონოტოპში წარმოაჩენს. ამგვარად, ისტორიის პერიოდმა, რომელმაც ეროვნული დეპრესია გამოიწვია, სამი ერის სხადასხვაგვარი შეხედულებით დატვირთული და, ამავდროულად, მეტად საინტერესო ლიტერატურა შემოგვთავაზა.

კვლევის მეცნიერულ სიახლეს წამოადგენს ანალიზი იმისა, თუ რას წერენ, რა კრიტერიუმით განსაზღვრავენ მომხდარს ჩვენ მიერ წარმოდგენილი ოსი ავტორები: ალენა დოგუზოვა, დავით გაზაათი, ედვარდ ვართანოვი, ეკატერინა ჯიოევა, ლანა

ძუკაევა, ლიზა ტასოევა, მერაბ ზასეეტი, ნატალია ძუკოევა, ტამერლან ტადტაევი და თენგიზ დოგუზოვი.

აღნიშნული მასალა ჩვენი საკვალიფიკაციო ნაშრომის ფარგლებში პირველად გაანალიზდება, რაც დისერტაციის ერთ-ერთ მთავარ ამოცანად მოიაზრება. უნდა ითქვას, რომ შეუძლებელია, ერთ ნაშრომში თავი მოუყარო XX საუკუნის 90-იანი წლების ისტორიული ფაქტების, ლიტერატურული რეფლექსიის გზით ასახულ სრულ მასალას, თუმცა, ვფიქრობთ, შევძელით მეტ-ნაკლებად სრული სურათის წარმოჩენა.

კვლევის მეთოდები. დისერტაციაზე მუშაობის პროცესში გამოყენებულია ტექსტზე დაკვირვების, ანალიზის ინტერდისციპლინარული მეთოდები, კომპარატივისტული მეთოდი, შედარებითი ანალიზისა და კონცეპტუალური ინტერპრეტაციის მეთოდები, ინდუქციური და დედუქციური მეთოდები, ტექსტის ინტერპრეტაციის დროს გათვალისწინებულია კომპლექსური ლიტერატურათმცოდნეობითი მიდგომა.

ნაშრომის სტრუქტურა: სადისერტაციო ნაშრომი შედგება შესავლის, სამი თავის, ხუთი ქვეთავის, დასკვნისა და ბიბლიოგრაფიისგან.

ნაშრომის თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობა:

ნაშრომის, როგორც გარკვეული თეორიული ბაზის, გამოყენება შესაძლებელი იქნება შემდგომი კვლევებისთვის.

ნაშრომი გამოადგება ფილოლოგიური პროფილის სტუდენტებს უახლესი ქართული ლიტერატურის ისტორიის შესწავლისას.

ნაშრომის გაცნობისას დაინტერესებულ მკითხველს მეტ-ნაკლებად სრული წარმოდგენა შეექმნება 90-იანი წლების საქართველოში მიმდინარე პოლიტიკურ-კულტურულ პროცესებზე, საქართველოს უახლესი ისტორიის უმნიშვნელოვანეს ეტაპზე, რომელიც არაერთი ქართველი ლიტერატურათმცოდნის კვლევის საგანი გახდა.

თავი I

მე-20 საუკუნის 90-იანი წლების ანარეკლი ქართულ მწერლობაში

I.1.სამოქალაქო ომის რეფლექსია

გასული საუკუნის 90-იანი წლების საქართველოში მმართველობითი კრიზისის ფონზე განვითარებული მოვლენები (9 აპრილის ტრაგედია, სამოქალაქო ომი) უმძიმეს პოლიტიკურ ფონს ქმნის.

საბჭოური რეჟიმის მრავალწლიანი არსებობით გამოწვეულ ტრავმას ახალი, პოსტსაბჭოური მოვლენებით მიღებული მასობრივი ტრავმა ჩაენაცვლა, რომლის ლიტერატურულ დისკურსში განხილვა ქართველ მწერალთა ნარატივზე დაყრდნობით ხდება შესაძლებელი.

გურამ დოჩანაშვილი ერთ-ერთი იმ მწერალთაგანია, რომლებმაც თვალი გაუსწორეს რეალობას, მთელი სიმძაფრით გამოააშკარავეს სისტემის მუხანათური სახე. მწერალმა ერთ-ერთმა პირველმა ამხილა ჭაობში ჩაძირული წყობის უკუდმართი პოლიტიკა. მოთხრობა „**ორნი აქა-იქა**“ საქართველოში ეროვნული მოძრაობის ჩახშობის მცდელობისას დაღუპულთა რეკვიემია, ნაწარმოები, რომლის თემატიკაც, 90-იანი წლების სისხლიანი აპრილის გამოდახილია. ტექსტი სულის, როგორც ერთადერთი ფასეულობის, უფლამდე მიტანასა და მარადიულობაში მის გადანაცვლებას ეხება. პატარა გოგონა, რომელიც 9 აპრილის ღამეს რუსი ჯალათის, სტასიკის, მიერ მოქნიული

ორნალესი ბარის მსხვერპლია, უფლის წინაშე თავისი სიმართლითა და სიწმინდით წარდგა.

არაერთი მკვლევარი აღნიშნავს, რომ გურამ დოჩანაშვილის შემოქმედებისთვის დამახასიათებელი თხრობის განსაკუთრებული სტილი, წერის გამორჩეული მანერა, ენობრივი ქსოვილის ელასტიურობა და მგრძნობელობა (ზომიერი იუმორი), განაპირობებს იმ ფაქტს, რომ არც ერთ ნაწარმოებში არ იკარგება ავტორის „მე“; სტილის ორიგინალურობის განმსაზღვრელიც სწორედ ესაა.

ნაწარმოებში ჩართულია ბიბლიური ციტატები, რომელთა აღქმაც მკითხველისაგან ჯეროვან განათლებას მოითხოვს.

9 აპრილის ღამეს რუსი სპეცრაზმელის მიერ ორლესული ნიჩბით გამეტებული გოგონას სული ტოვებს სხეულს და მარადიულობაში ინაცვლებს. ნაწარმოების სათაურიდან გამომდინარე („ორნი აქა, იქა“), უფალს უბრუნდება ის, რაც მას ეკუთვნის. ხოლო „აქ“, როგორც სამშობლოს სიყვარულისთვის დასჯილი, ისტორიის ნაწილი ხდება. ცოდვილი ჯალათი სტასიკი, როგორც მკვლელი, უარყოფილია და, ამავე მიზეზით, ზეციურ სამკვიდროში - მიუღებელი.

მკვლევარ ნონა ამბოკაძის თვალსაზრისით, „ერთი შეხედვით, გურამ დოჩანაშვილს, თითქოს, მიზნად არ დაუსახავს 9 აპრილის მოვლენების დეტალური გადმოცემა და მხოლოდ სიკეთისა და ბოროტების მარადიული დაპირისპირების პრობლემა წარმოაჩინა, მაგრამ სწორედ ამ ფონზე იკითხება იმპერიალისტური ქვეყნის „სახისმეტყველება“. ქრისტიანული რელიგიის კონტექსტით ნაკარნახევ ტექსტში, მტრის შეწყალება ჩვეულებრივ მოვლენად წარმოაჩინა მწერალმა“ [ამბოკაძე, 2020: 182]. სავსებით მისაღებია მკვლევრის მოსაზრება. მოკრძალებით დავძენთ, რომ იმ ქაოსურ სიტუაციაში, როცა ავტორი აღნიშნულ ნაწარმოებს ქმნიდა, მომხდარის გაანალიზება მხოლოდ რელიგიური კონტექსტით იყო შესაძლებელი. დოჩანაშვილმაც უფალს ანდო მომავალი „აჩეხილი“ მამულისა.

სტასიკის წარმომავლობა, მიზანი - დათვრეს სისხლით - მისი ქვეყნის ხასიათს ამხელს, ანგელოზი გოგონა კი, რომელიც ქუჩაში ღვთისა და ქვეყნის სიყვარულმა გამოიყვანა, ბოროტ(ებ)ის მსხვერპლად ქცეული სიწმინდის სახეა.

წილხვედრი ქვეყნიდან მოვლენილ პაწია ანგელოზს ეფერება ღვთისმშობელი: „უხილავ თავზე, ჭრილობასთან, წყნარად დაედო ფრთხილი, ფაქიზი, დაუჯერებლად მომფერებელი, დაკოჟრილი დიადი ხელი: - ჩემი იქნები. აღარაფერი შეგაჭირვებს. აღარასოდეს. გიხაროდენ!“ [დოჩანაშვილი, 1989 (ელექტრონული მისამართი)].

მანუგეშებელი ფრაზა - „აღარაფერი შეგაჭირვებს!“, როგორც, ზოგადად, მთელი ტექსტი, ბიბლიურ გააზრებას მოითხოვს. ერის ტრაგედიით შეძრწუნებული მწერალი, რომელმაც ეპოქალური ფასეულობები საუფლო მცნებებს შეუფარდა, მკითხველსაც ამ გზისკენ მიუთითებს, სასუფეველზე, მარადიულზე დააფიქრებს.

მკვლევარი სალომე ოშიაძე აღნიშნავს, რომ გურამ დოჩანაშვილის აღნიშნულ მოთხრობას აქვს სრულიად განსხვავებული, „საკუთარი“ ჟანრი - „შვილმკვდარ დედათა სანუგეშო“. ნაწარმოების ტექსტი იმ ადამიანთა ნუგეშისცემაა, რომლებმაც სიცოცხლეშივე იხილეს ჯოჯოხეთი. ოშიაძის თვალსაზრისი სავსებით მისაღებია, რადგან ერთადერთი იარაღი, რომელიც დამწუხრებელთა სასოწარკვეთას დაამარცხებდა, მხოლოდ სულის უკვდავებითა და სასუფეველის არსებობაში მათი დარწმუნებით ნუგეშისცემაა.

გურამ დოჩანაშვილის შემოქმედების განხილვისას ს. ოშიაძე დასძენს: „ავტორის პროზაული დისკურსი პოლიფონიურობის ერთი ყველაზე თვალსაჩინო ნიმუშია თანამედროვე ქართულ მწერლობაში. ამ მრავალხმიანობაში თითოეულ ხმას ქმნის მრავალი წინარეტექსტი, პრეცედენტული სახელი, სიტუაცია თუ გამონათქვამი, ის მენტალურ-კულტურული სქემები, რომელთა ცოდნის გარეშე გურამ დოჩანაშვილის შემოქმედების არაერთი კონტექსტის სემანტიკური და მხატვრული ღირებულება მკითხველისათვის გაუგებარი დარჩება“ [ოშიაძე, 2009 (ელექტრონული მისამართი)].

ლიტერატურულ-ისტორიული ალუზიები მკითხველს კიდევ ერთი ეპიზოდის ზემოქმედების ქვეშ აქცევს - წმინდა ნინოს დიდ ბაღში შეჰყავს გოგონა და ინტერესით

ათვალიერებინებს ყოველ ხესა თუ ბუჩქს, რომელთაგან თითოეული ბიბლიური მითების ფონზე დიდებულ წინაპარს „განასახიერებს.“ წმინდანების მფარველობის ქვეშ მყოფი გოგონა ქვაბულიდან გამოჰყავთ. მან განაჩენი უნდა გამოუტანოს მკვლელს, რომელმაც მიწაზე, ახლობლებთან ყოფნის ბედნიერება, დედობის უფლება წაართვა. მკითხველი კვანძის გახსნას ელოდება. არც უკვირს, გოგონას გული რომ უკვდება მკვლელის გაუბედურებული სახის დანახვაზე, არც ის - აპატიეთო, ღვთისმშობელს რომ სთხოვს... გოგონას გადაწყვეტილება - მიუტევოს მკვლელს - დედა მარიამს სიხარულის ცრემლს ჰგვრის. გოგონამ გაიმარჯვა - სიყვარულის ძალით ამაოებაზე ამაღლებულმა მარადიულობაში გადაინაცვლა.

ჭეშმარიტი ხელოვანის მსოფლადქმის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კონცეფცია სამყაროს მარადიულ(ობ)ის თემით დაინტერესებაა. ავტორის იდეა, უნუგეშოდ არ დარჩენილიყო ერი, გამართლდა - გოგონა სიწმინდის, ხოლო სტასიკი - უსამართლობის, დაუნდობლობის და დამარცხების სიმბოლოდ იქცა.

წერილში „სტასიკით შეუმკრთალი ქვეყანა“ ზვიად კვარაცხელია წერს: „ახალი ქვეყანა დაიბადა: სტასიკით შეუმკრთალი საქართველო“ [კვარაცხელია, 2013 (ელექტრონული მისამართი)].

საგულისხმოა ლევან ბერძენიშვილის მოსაზრება, რომ გურამ დოჩანაშვილს, როგორც ლიტერატორს, კლასიკოსთა გავლენა არ განუცდია. იგი ყოველთვის გამოირჩეოდა წერის განსხვავებული მანერით: „დოჩანაშვილი ზღვაა, ისეთივე სიღრმისა, როგორც ჯოისი და, დარწმუნებული ვარ, წლები დასჭირდება იმის შესწავლას, თუ რა გააკეთა ჩვენმა მწერალმა ენობრივი ექსპერიმენტის თვალსაზრისით ქართულ ლიტერატურაში“ [ბერძენიშვილი, 2019 (ელექტრონული მისამართი)].

მკვლევარი ლევან ბრეგაძე, გურამ დოჩანაშვილის წერის სტილისა და მანერის თავისებურებებზე მსჯელობისას, აღნიშნავს, რომ ნაწარმოებში ესეისტურ-თეორიული ჩანართების გამოყენებით მწერალი ქმნის „ავტორის ნიღბის“ განსაკუთრებულ ქრესტომათიულ ნიმუშებს - ესაა პაროდული მეტატექსტები, ავტორი კი „ხასიათთა მრავალფეროვნებით, სიუჟეტის უჩვეულო განვითარებით, სტილური ეკლექტიზმით

გამორჩეული მხატვრული ტექსტის შემადუღაბებლად გვევლინება“ [ბრეგაძე, 2008:233].

გურამ დოჩანაშვილის, როგორც მწერლის, განსაკუთრებულობას უამრავი ფაქტორი განაპირობებს: მისი შემოქმედების თემატიკა ადამიანთა ჩვეულებრივი ყოფის გადმოცემაა, სადაც ზოგი თავისუფლებას დაემბს, ზოგი - ძალაუფლებას, ზოგი - მსხვერპლს; მოძალადე მკვლელის შემწყნარებელი უსუსური გოგონა ძლიერ დამპყრობელზე ჩვენი ქვეყნის ზნეობრივი გამარჯვების სიმბოლოა. ნაწარმოებში, როგორც გურამ დოჩანაშვილის მთელ შემოქმედებაში, განსაკუთრებით იგრძნობა ღვთის მუდმივი თანაყოფნა, რაც ამქვეყნიური ტვირთის ტარებას უმსუბუქებს ადამიანებს.

90-იანი წლების საქართველოს, კონკრეტულად, სამოქალაქო ომისა და ქვეყნის დანაწევრების შედეგად სახეცვლილი დედაქალაქის მკვიდრთა მძიმე ყოფის გასააზრებლად საყურადღებოა **ზურა მესხის** ნაწარმოები „სპაზმები“. ლიტერატურულ სივრცეში აღნიშნული ნაწარმოების გამოჩენამ, „ზურა მესხის“ ფსევდონიმით ინკოგნიტოდ დარჩენილი ავტორის ტექსტმა საზოგადოებაში აზრთა სხვადასხვაობა გამოიწვია. ლევან ბრეგაძის მოსაზრებით, „სპაზმების“ ავტორი, სავარაუდოდ, ქალია, რადგან მკვლევარი თვლის, რომ ასე „დაუნდობლად“ ქართველი დედის სახის დახატვა მამაკაცის ძალას, უდავოდ, აღემატება.

ნაწარმოებში აღწერილია რეალური სურათი ეპოქისა, რომელმაც ერი ფიზიკური და მორალური ხრწნის გზაზე დააყენა. ნაწარმოებში გადმოცემულია შეურაცხყოფილი ინტელიგენციისა და მოზარდი თაობის გაუსამლისი ყოფა, ცხოვრების წესისა და მრწამსის შეცვლა უარესობისკენ.

„ვირთხებითა და ლტოლვილებით სავსე თბილისში“ ქაოსია, განუკითხაობა... დახატულია ლუკმაპურის საშოვნელად ქუჩაში გამოსული ინტელიგენცია, მისი ხრწნის სურათი... მოზარდთა სულიერი დეგრადაცია... ცხოვრებისეულ სირთულეებს ერთვის ეპოქალური ძვრებით გამოწვეული კრიზისი, რომლის შედეგიც ერთი დანგრეული ოჯახის ფონზე იკვეთება. ნაწარმოების მიხედვით, გადარჩენის გზის ცალ-ცალკე მაძიებელი მშობლები ძნელად აცნობიერებენ ერთადერთი ვაჟის გარდაუვალ განსაცდელს. ყმაწვილი პერსონაჟის უკან 90-იანელთა მთელი თაობა დგას - ეპოქალური

ქართველების გამო ყურადღების მიღმა დარჩენილი, სიბინძურისა და ავადობის ჭაობში ჩაძირული, რომელიც წყვილია მოცულ სამყაროში გზას ველარ იგნებს, ყველასა და ყველაფრისადმი ზიზღით ღვთის უარყოფამდე მიდის: „მე არ მეჯავრება ღმერთი, რადგან არ არსებობს. რომ მწამებოდა - შემჯავრდებოდა. არა მგონია, ეს ერჩიოს, ე. ი., რომ მწამდეს და მეჯავრებოდეს. რომ არა მწამს - არის თავისთვის, ჩემი სიძულვილით და მათხოვრობით შეწუხებული, ე. ი., არ არის“.[მესხი, 2001:3].

ვფიქრობთ, ხელოვნურია დეტალი, რომელიც ძალიან უცხოა ქართველი მამაკაცის ბუნებისთვის - დედის პირადი ცხოვრება არ ანალვლებს ბიჭს და, უარესიც, დასცინის როგორც „ყოფილი პედაგოგის ქუჩაში გადანაცვლების გამო ერთგვარ პიროვნულ უხერხულობას“. ქალი თავიდან პარიკითა და სათვალთ გადის სავაჭროდ, რადგან რცხვენია. „დედაჩემმა გამოცდას ვერ გაუძლო, რომლის აზრიც მისი ბრიყვული ანუ ქართული მედიდურობის დაძლევა იყო, ხალხის ბრიყვულ შეხედულებებზე ამაღლება, ე.ი., რელიგიური მიზანი“ [მესხი ზ,2001:11]. უფრო მეტიც, ბიჭს მხოლოდ ის „აწუხებს“, რომ დედას ისეთი პარტნიორი გადაჰყრია, თვითონ ყიდულობს პრეზერვატივებს...

ქალის ფსიქოლოგიურ დეგრადაციას ირეკლავს „მოთხოვნადი პორნოგრაფიული პროდუქციის“ გაყიდვა, პერსონაჟი იცვლის სახეს, ზნეს, ეცემა...

ზადრი შარვაძის დაკვირვებით, მიუხედავად იმისა, რომ ნაწარმოებში დედის სახე საოცარი დაუნდობლობითაა წარმოჩენილი, „შვილის თვალში უფრო ღირსეულ ადამიანადაა ქცეული, იმიტომ, რომ აღარც სიყალბეს ემსახურება და აღარც მედიდურობას აუტანია“ [შარვაძე, 2010:172]. კრიტიკოსი აღნიშნავს, რომ ნაწარმოებში „მხატვრული ჩანაფიქრის ჩავარდნის“ ტოლფასია გმირის ასაკის შეუსაბამობა მის ემოციურ და ინტელექტუალურ გამოცდილებასთან - 16 წლის ბიჭს გადაეცემა ავტორისეული გამოცდილება, რაც, როგორც მკვლევარი მიიჩნევს, შეუსაბამობას იწვევს: „გმირის ასაკს [...] გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება თხრობის შინაგანი არსის გახსნაში, რადგან ვერც ერთი სხვა თაობის წარმომადგენელი ვერ გაიმართებოდა წელში, ვერ აჰყვებოდა „განნაგვების“ დევიზს იმ გამოცდილების ამარა, რომლითაც „გაჟღენთვას“ ცხოვრების საუკეთესო დრო შეეწირა“ [შარვაძე, 2010:173].

შარვაძის თვალსაზრისით, ავტორისეული ხედვა აჩენს მოლოდინს, მცირე

მოცულობის ნაწარმოების ნაცვლად, რომანი შექმნილიყო, არშექმნის მიზეზად კი „ავტორის გადაღლას“ მიიჩნევს.

„სპაზმებში“ გადმოცემული სურათი სრული სიმძაფრით გვიხატავს 90-იანელთა გაუსაძლის ყოფას: დანგრეული სახელმწიფო, დანგრეული ოჯახი, „აშლილი“ ფსიქიკა, ცხოვრების წესი, ლეჩაქმოხდილი დედა, „ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის“ ფურცლებით გახურებულ ღუმელთან შიშველი ყმაწვილების როკვა... ვფიქრობთ, ამ „მინირომანით“ ყველაფერია ნათქვამი: ეპოქაში, რომელიც ცოდვების სიმძიმეს ვერ ითვლის, ადამიანი ვეღარ ახერხებს შეინარჩუნოს ღირებული, პესიმიზმსა და ურწმუნობას უღმერთობამდე მიჰყავს სამყარო და მაინც, ღირსებააყრილ, გახრწნილ და გადაგვარებულ მოზარდში, სწორედ იქ, სადაც ყველაზე ნაკლებად იყო მოსალოდნელი, ჩნდება სინათლე - სიბრალული მომაკვდავი გოგონასადმი, რომელიც ბიჭს დანგრეულ, ჩაბნელებულ საავადმყოფოში ნაყოფის მოსაცილებლად მიჰყავს (ისიც არ იცის, ვისია ნაყოფი, რადგან ნანა „საერთო“ იყო, ყველასი), მიჰყავს, რომ სიკვდილს გადაარჩინოს. ავტორი საავადმყოფოსაც ქვეყნის მდგომარეობის ერთგვარ ანარეკლად ხატავს [როგორც ჩეხოვი მოთხრობაში „პალატა N6“ - კ.გ.]: სიბნელე, სიცივე, ღუმილი, შიში... გოგონა სისხლისგან იცლება; ექიმი არსად ჩანს... დერეფანი ბნელია. ბიჭს ახსენდება, რომ ღმერთი არსებობს. მზადაა, თვითონ გაიწიროს, აკეთოს ის, რაც დღემდე მიუღებელი იყო მისთვის: „ღმერთოო! მძუუუულხარ! ისე, რომ ყველა ორგანოში სპაზმი მაქვს, მძულხარ, რადგან მივხვდი, რომ არსებობ! ააარსეებობ! და ჩასაფრებული ხარ, და მძუუუულხარ! და გევედრები: მე ნუ, მე ნუ, მაგრამ ნანას უშველე, ღმერთოო! გეფიცები! გპირდები! სიტყვას გაძლევ! რომ მესამე, მესამე გზით წავალ, ყველაზე ძნელით, ხვალვე, როგორც კი გათენდება შაბათი დილა! როცა მუშაობა არ შეიძლება, მე დავიწყებ დაგვას!“ [მესხი ზ.,2001:28].

აღნიშნულ ასპექტზე ყურადღებას ამახვილებს მკვლევარი ანა იმნაიშვილი: „ღმერთისადმი ამ დაპირებამ, რომელიც შენდობას უფრო ჰგავდა, თითქოს შეცვალა დამოკიდებულება პერსონაჟის მიმართ... გარდა ამისა, გამოიკვეთა ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი რამ: ის თაობა [უმცროსი თაობა], თურმე, კაცთმოდულე არ ყოფილა,

ყველაფრის მიუხედავად, მასში, სიყვარულთან ერთად, რწმენაც ღვივის, ანუ, მათ მომავალი აქვთ“ [იმნაიშვილი, 2010:70].

ზემოთ დამოწმებული პასაჟი გვაგონებს ერნესტ ჰემინგუეის ცნობილი რომანის - „მშვიდობით, იარაღო!“ ფინალურ ეპიზოდს, სადაც მთავარი პერსონაჟის მონოლოგიც კი იდენტურია.

ნაწარმოების ფინალში იკვეთება ავტორის ჩანაფიქრი (გავიმეორებთ ზემოთ მოხმობილ ციტატას): პოსტკოლონიური ტრავმის სტიგმის მატარებელ მოზარდში რწმენა გააღვიძოს: „ღმერთოოო! მძუუუულხარ! ისე, რომ ყველა ორგანოში სპაზმი მაქვს, მძულხარ, რადგან მივხვდი, რომ არსებობ! ააარსეებობ!“ [მესხი, 2001:28].

ღმერთის მიმართ ამგვარ დამოკიდებულებას ვხვდებით ფრიდრიხ ნიცშესთან („მხიარული მეცნიერება“), სადაც ცნობილ ფრაზას - „ღმერთი მოკვდა“, სავსებით ეწინააღმდეგება სიცოცხლის უკანასკნელ წუთებში წარმოთქმული სიტყვები: „შენ გაიმარჯვე, ნაზარეველო!“

ავტორისეული კონცეფციის თანახმად, მიუხედავად იმისა, რომ სახეცვლილი ქალაქის ფონზე „დაკარგული თაობის“ „პირველი ნაკადის“ ტრაგიზმი უკიდურესია, ალექსის დადება, რომ „ხვალ ის [პერსონაჟი - კ.გ.] უსათუოდ დაიწყებს დაგვას“, ქაოსური ყოფის ძნელი გზით, მაგრამ გარდაუვალ „დალაგებაზე“ მინიშნებაა.

„ავადმყოფი ქალაქი“ - ასეთი სიმბოლური სათაური აქვს შოთა იათაშვილის ნაწარმოებს, რომელიც თემატურად ჩვენ მიერ შესწავლილ ნაწარმოებებს ენათესავება. ტექსტის სათაური თავისთავად მიგვანიშნებს, რომ საუბარია 90-იანი წლების საქართველოს „სნეულ“ დედაქალაქზე, სადაც, ერთი კონკრეტული ქალაქის მაგალითზე, ეპოქის რეალური სურათია გადმოცემული.

ტრაგიკული მოვლენების შედეგად მიღებული ტრავმა, რომელიც დაავადებული სამყაროს აღქმამ დატოვა, არასოდეს წაიშლება იმ თაობის ცნობიერებიდან, რომელიც ცხოვრების ასპარეზზე გამოსასვლელად სწორედ მაშინ დგამდა პირველ ნაბიჯებს. ნაწარმოების მიხედვით, ავადმყოფ ქალაქში დაბადების ბედისწერა მარადიულ

ტკვილთან ასოცირდება. იქიდან გა(მო)ღწევა შეუძლებელია; არა იმიტომ, რომ „მაღალი გალავანი“ აქვს, არამედ - იმის გამო, რომ „დაავადებულს“ არავინ მიიღებს, არავის სჭირდება; დაავადებულ ქალაქში სულით დაავადებული ადამიანები დააბიჯებენ: „ზოგიერთი მსუბუქადაა დაავადებული, ზოგი - სერიოზულად და ზოგი - განუკურნებლად კი“ [იათაშვილი, 1998:37].

შოთა იათაშვილი ერთ-ერთ ინტერვიუში ამბობს, რომ შეუძლებელია ბავშვობისა და სამშობლოს დავიწყება. თუმცა, ჩვენი აზრით, სამშობლოსგან განსხვავებით, ბავშვობა არც მსხვერპლს გთხოვს და არც არდავიწყებას. სამშობლოს ცხოვრებით ცხოვრება კი დიდ ძალისხმევას და მსხვერპლს გულისხმობს; მით უფრო - ისეთი ქვეყნის შვილობა, როგორც საქართველოა!...

„დაავადებული“ [განსაზღვრება ავტორისეულია - კ.გ.] სამშობლოს სწულ მკვიდრთათვის არაფერია მიუღებელი, უკადრებელი. ერთმანეთში ირევა ცოდვა-მაღლი; მხოლოდ „მდგომარეობის“ კარნახით მოძრაობენ ადამიანები. დალდასმულ სულიერებასა და ზნეობრივი ღირებულებების უარყოფაზე მეტყველებს პოეტის ვაჭრობა.... პრეზერვატივებით! ყველაზე ცოდვილი მათუსელა კი ყვავილების შეგროვებითაა დაკავებული; და მაშინ, როცა ყველა ტირის, ის ზის და მღერის... მათუსელას აზრით, შეჭირვებული ყოფის დროს, ყველა პოეტმა სიყვარულზე უნდა წეროს, რადგან ღვთაებრივია მხოლოდ ის, რაც სიყვარულითაა სავსე.

საგულისხმოა, რომ მთავარ გმირს, რომლისთვისაც აღარაფერია „უკადრებელი“, მხოლოდ დედის თვალეში ჩახედვა აშინებს, რადგან ეს თვალეები სარკეა, რომელშიც მთელი სამყაროა არეკლილი.

ვფიქრობთ, დედის თვალეები მხატვრული სახეა ღვთისმშობლისა, რომელსაც ვერაფერს დაუმალავ.

„ავადმყოფი ქალაქის“ მდგმურები გრძნობენ, რომ დალუპვა გარდაუვალია და ცდილობენ, სული როგორმე გადაირჩინონ... მხოლოდ შეჭირვების ჟამს ახსენდებათ, რომ არსებობს ღმერთი, არსებობს ეკლესია, სადაც შეუძლიათ, დროებითს განერიდონ, სულის მარადიულ სიმშვიდეს ეზიარონ, უფალს მიუახლოვდნენ.

ავტორი საინტერესო კუთხით წარმოაჩენს ტაძარში შესული ადამიანების ფსიქოლოგიურ განწყობას; თუ ერთი (ინვალიდის ეტლში მჯდომი), ლოცულობს, მეორე („ჯანმრთელი“) ტაძარში დგომისა და ლოცვისას ვერაფერს გრძნობს.

კრიტიკოსი ბადრი შარვაძე შ.იათაშვილის „ავადმყოფი ქალაქსა“ და ზურა მესხის „სპაზმებზე“ მსჯელობისას, აღნიშნულ ნაწარმოებებს ერთიან კონტექსტში განიხილავს. მისი თვალსაზრისით, ავტორთა დამოკიდებულება იდენტურია როგორც ღვთისადმი, ასევე - დედის სახისადმი, ეპოქა, თემატიკა და გარემოც ერთი და იგივეა.

მკვლევრის შეხედულებით, „ავადმყოფი ქალაქი“ „გაშინაარსებული ლექსის“ შთაბეჭდილებას ტოვებს. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ მკვლევარი არ მიესალმება რწმენისადმი ამგვარ „ღია, უკომპლექსო“ დამოკიდებულებას და აღნიშნავს, რომ, რომ შეეძლოს, ღმერთის ხსენებას აკრძალავდა იმ სივრცეში, სადაც უბრალო ადამიანად თავის შეგრძნებას ათასწლეულები არ ეყო: „ხოლო მოუსვენარ ღმერთთან შებრძოლების სულისკვეთებით ანთებულებს მივუთითებდი, რომ გაუფრთხილდნენ თავიანთ თოთო ენერგიას და ადამიანებთან, ცხოვრებისეულ გარემოებებთან ურთიერთობებში ქანცგაწყვეტილები ნუ შეეცდებიან სუროგატული დაკმაყოფილების მიღწევას ზეადამიანურ სივრცეებში“ [შარვაძე, 2010:172].

„სპაზმების“ მსგავსად, აღნიშნულ ტექსტშიც ისმის საყვედური უფლისადმი; თუ „რატომ არ ზის იგი ურწმუნოს გულსა და ტვინში“. დაკარგული და შერყეული რწმენაც უფლის „დანაშაულადაა“ მიჩნეული.

შოთა იათაშვილის „ავადმყოფი ქალაქისა“ და ზურა მესხის „სპაზმების“ შესახებ მკვლევარი სოფო წულაია წერს, რომ თუნდაც მხოლოდ აღნიშნული ნაწარმოებების საშუალებითაც შესაძლებელია, წარმოვიდგინოთ მეოცე საუკუნის მიწურულის პოლიტიკური ვითარება. მისი აზრით, აღნიშნული ტექსტები ძალიან ბევრ კითხვას სცემს ზუსტ პასუხს.

„ავადმყოფ ქალაქში“ იშვიათად ვხვდებით მხატვრულ დიალოგს. შესაბამისად, მწირია პერსონაჟთა შორის აზრთა გაცვლა-გამოცვლის ამრეკლავი პასაჟები.

ავტორი ცდილობს, თითოეული პერსონაჟის მოქმედებით გადმოგვცეს რეალური სურათი არსებული სიტუაციისა. აღმოჩნდება, რომ გმირი, რომლის მიზანიც ბოროტებასთან ბრძოლა და მისი განადგურება იყო, ყველაფერს ეგუება და მხოლოდ მაშინ „იღვიძებს“, როცა იძულებულია ფეხებზე ტანკადავლილ პოეტ მეგობარს, „ტანჯვის შესამცირებლად“, სიცოცხლე მოუსწრაფოს.

ტრავმული მეხსიერების ფონზე, ტაძარში რწმენაშერყეულთა სიჭარბეა. საგულისხმოა ის, რომ ღვთისმსახური, აღნიშნული „მიზეზის“ გამო, წირვის ჩატარებას უაზრობად მიიჩნევს და იმ მიზეზით, რომ ადამიანებმა ღმერთს ზურგი აქციეს, ჰპირდება მათ, რომ ეშმაკს დაუტოვებს ასპარეზს(!)

თითქოს გაუგებარია, რისთვის დასჭირდა ავტორს მღვდელმთავრის მიერ ურწმუნო, ირონიულ-სარკასტულად განწყობილი მომლოცველის მოკვლა, მერე კი - სიცოცხლის სუიციდით დასრულება. ვფიქრობ, მღვდელმთავრის მიერ თავისი დანაშაულის შეცნობაა მიზეზი თვითმკვლელობისა.

ბადრი შარვაძის შეფასებით, „მოშლილია მოქმედ პირთა ფუნქციები, ცალსახაა ღვთისადმი მიმართება.“

სოფო წულაიას თვალსაზრისით, „ავადმყოფი ქალაქი“ კონკრეტული ეპოქის ლიტერატურული ტრადიციის ერთგვარი გამგრძელებელია. 90-იანი წლების მოვლენებისადმი საზოგადოების დამოკიდებულება დღემდე ემოციურ ფონს ქმნის. მკვლევარი აღნიშნავს: „მთავარია, ეს ყველაფერი მომავალი თაობისთვის იაფფასიან გასართობად, თავშესაქცევად არ იქცეს და ადამიანებმა, ამერიკული „ბოევიკების“ მსგავსად, სიამოვნება არ მიიღონ იმ ყველაფრისგან, რაც რეალურად ტრაგედიაა და არა - სანახაობა“ [წულაია,2013:41].

ნაწარმოებში, სადაც სიკვდილი ჩვეულებრივი მოვლენაა (მეტიც, დომინირებს), ერთ-ერთ „პერსონაჟად“ შემოდის ზღვა.

ზღვისადმი უსაზღვრო მონატრება და მისკენ ლტოლვა გადარჩენის ერთადერთი გზაა, მაგრამ „ავადმყოფი“ ქალაქიდან გასვლა შეუძლებელია და გმირის სასჯელიც

სწეული ქალაქიდან თავდაუღწევლობაა. ვფიქრობთ, ავტორის ჩანაფიქრიც სწორედ ესაა - დაგვარწმუნოს, რომ თავი არ უნდა დააღწიო, უნდა განკურნო და შენც მასთან ერთად განიკურნო. მკვეთრად ფიქსირდება ზნეობრივი მრწამსი.

თუ რა გადაწყვეტილე(ებ)ბამდე შეიძლება მიიყვანოს ადამიანი სოციალური სიდუხჭირემ, ფიზიკური განადგურების საფრთხემ, განსხვავებულ ასპექტში, ორიგინალური სიუჟეტით აქვს გადმოცემული შოთა იათაშვილს მცირე ფორმატის ნაწარმოებში „ტვინი“ - ესაა კიდევ ერთი სურათი ტრაგედიისა, რომელიც კითხვის ნიშნის ქვეშ არათუ ცალკეული პიროვნების, არამედ, ზოგადად, მოაზროვნე ფენის ყოფნა-არყოფნის საკითხს აყენებს. ადამიანი გააზრებულად თმობს ყველაზე ძვირფასს - ტვინს, რაც, ცხადია, დაღუპვის მიზეზად ექცევა.

შოთა იათაშვილის განსხვავებულ ენასა და სტილზე საუბრისას კრიტიკოსი სოფიო წულაია აღნიშნავს, რომ მწერალს სხვა ავტორების ტექსტუალური ლაბირინთებიდან „გამოღწევის“ (ანუ მათი გავლენებისა ან გადაკოპირებისგან თავის დაღწევის) ერთადერთ გზად სინტაქსის დეკონსტრუქცია ესახება“ [წულაია,2013:32].

ნაწარმოების სტრუქტურულ თავისებურებებზე გულახდილი საუბრისას შოთა იათაშვილი აღნიშნავს, რომ 90-იანი წლების „ენით აღუწერელი რეალობის“ [განსაზღვრება მწერლისეულია - კ.გ.] გადმოსაცემად ხშირად მიმართავს იგავურ თხრობას, მხატვრულ პარაბოლიზმს.

ნაწარმოებში სიმბოლური დატვირთვა აქვს უკიდურეს სიდუხჭირეში მყოფი ინტელიგენტის მიერ „ტვინის დალომბარდების“ ფაქტს. თომას ტვინი იმდენად მძიმეა, რომ ნაბიჯის გადადგმა უჭირს და იღებს გადაწყვეტილებას, რომელიც, ტვინმა, უკანასკნელად და, იქნებ, გამოსაცდელადაც კი უკარნახა... თომა ვერ უძლებს ცდუნებს და თმობს ტვინს...

ნაწარმოები თითქოს ერთი პატარა ფრაგმენტია იმ დიდი ფილმიდან, რომელიც 90-იან წლებში „გადაიღეს“. უკვე მკითხველს ვეღარაფრით გააოცებ; რაღა უნდა თქმულიყო ახალი და აი, ნაწარმოების პერსონაჟი უკანასკნელად იყენებს თავის

ტვინს, რომ არათუ მხოლოდ ცხოვრების პირობები გაიუმჯობესოს, არამედ, სამწუხაროდ, ბევრად უფრო მნიშვნელოვანი მიზეზით - შიმშილით არ მოკვდეს!

პარაბოლა გამჭვირვალეა - გადაწყვეტილების მიღებას, ეკონომიური სიდუხჭირის გარდა, პერსონაჟის მცირედმორწმუნეობაც განაპირობებს.

თომამ საკუთარ თავზე თქვა უარი.

სიუჟეტის მიხედვით, ქვეყანაში არსებული სიტუაციის რეალური სურათი ლომბარდში იხატება; ცინიზმითაა გაჯერებული ის ეპიზოდი, სადაც თომას უმძიმეს ტვინში მიხერულ თანხას სთავაზობენ, იმდენს, რაც მხოლოდ ერთჯერადად თუ დაეხმარება შიმშილის მოკვლაში...

ლაფში ამოსვრილი ღირსება პროტესტს ვერავის უცხადებს, რადგან გაუფასურებულია ყველაფერი, თვით სიცოცხლაც კი. ყველაზე მნიშვნელოვანი კი ისაა, რომ თომას შიმშილით სიკვდილი არ უნდა. იგი, ტვინთან ერთად, კარგავს ღირსებას....

მატერიალური ჩრდილავს და ანადგურებს სულიერს. დევალვაციის პროცესი, თომას შემთხვევაში, უმტკივნეულო აღმოჩნდა; ტვინის გამოსყიდვაზე არც დაფიქრებულა; ტვინის გარეშე უკეთ აიწყო ცხოვრება, ფიზიკურად დაიტვირთა, მაგრამ ოჯახი გადაარჩინა. ცოლ-შვილიც ბევრად კმაყოფილი ჰყავდა; გამხიარულდა კიდეც და ცხოვრებაც გაუიოლდა...

ნაწარმოების მიხედვით, თომას ანტიპოდი ლომბარდის დირექტორია. დრო იყო, თომას ტვინს შენატროდა. ახლა, ის, კაპიკებად შეძენილი, უკვე მის ხელში აღმოჩნდა; „გამოიყენა“, ფილოსოფოსობა დაიწყო, რეალობის აღქმის უნარი შეიძინა, სულ სხვაგვარად დაინახა სამყარო. ტრავმირებული საზოგადოების ყურებით სული დაუავადდა, დალუპვის შიშმა გააუბედურა, ოჯახი მიატოვა და, მარტოდმყოფმა, სუიციდით დაასრულა სიცოცხლე. „საშინელი სანახავი იყო თურმე. მის საწერ მაგიდაზე უამრავი ნაწერი და ნაბეჭდი ფურცელი ნახეს. სამოწყალოდ ნათესავებმა

დასაფლავეს, ნაწერები კი ბინის პატრონმა სანაგვეში გადაუძახა“[იათაშვილი, 1992: 76].

ნაწარმოების იგავური სიუჟეტი ეპოქის ანარეკლია. თომას კონკრეტულ მაგალითზე მთელი ერის მოაზროვნე ფენის კატასტროფა ჩანს. გამოკვეთილია, როგორ, რისი წყალობით ხდებოდა ღირებულებათა გადაფასება. „დროის მანქანის“ შემობრუნების შემდეგ, კოჭლი ცხვარივით, საზოგადოების როგორი ფენა მოექცა წინ; ვინ რისი დათმობის ხარჯზე აუღო „აღლო“ ახალ ცხოვრებას.

ვფიქრობთ, პოსტმოდერნისტულ ნარატივში იგივე მოტივები გაიჟღერებს, რაც მიხეილ ჯავახიშვილის ნეორეალისტურ თხრობაში, კერძოდ, „ჯაყოს ხიზნების“ კონცეფციაში. ჯაყო-„ბიოლოგია“ *[ჯავახიშვილისეული განსაზღვრებაა - კ.გ.]* ანაცვლებს თეიმურაზ-„ესთეტიკას.“

ირინა ბაქანიძის „ნათელო, ნათელო ჩემო“ არსებული მდგომარეობის ფონზე ფიზიკურად და ფსიქოლოგიურად დაშლილი ოჯახის ცხოვრების ერთ კონკრეტულ მონაკვეთზე აგებული სიუჟეტია.

ნაწარმოებში 90-იანი წლების ურთულესი პერიოდის ერთ-ერთი ტრაგედია ადამიანური (მათ შორის, ოჯახური) ურთიერთობების მსხვერვაა.

მოთხრობა არ გამოირჩევა ეპიზოდური კომბინაციების მრავალფეროვნებით, მაგრამ მნიშვნელოვანია ქალის, როგორც ცხოვრებისაგან გაწამებული არსების, ფუნქციადაკარგული დედის დახასიათების თვალსაზრისით. აღნიშნული ნაწარმოების სიუჟეტი, ისევე, როგორც ზურა მესხის „სპაზმები“, ნათლად გადმოსცემს, თუ რა გავლენას ახდენს ქვეყანაში მიმდინარე პროცესები ოჯახზე - „დიდი ორგანიზმის პატარა უჯრედზე“, რა კვალს ტოვებს სულიერი ქაოსი მოზარდთა ფსიქიკაზე.

ირინა ბაქანიძის შემოქმედების განხილვისას, ანდრო ბუაჩიძე ხაზს უსვამს იმ ფაქტს, რომ მწერალი არ ცდილობს, ხელოვნურ რეალში მოაქციოს ყოფილი

ცხოვრების ფრაგმენტები. მისი ნაწარმოებები არაა ორაზროვანი, თავს არ იწონებს „რთული მხატვრული აზროვნებით“.

აღწერილი ფაქტების სხვა ფორმით გადმოცემისას, ვფიქობთ, შეუძლებელი იქნებოდა ემოციური ფონის შექმნა, მკითხველის დაფიქრება.

„ამღვრეული ცხოვრების“ ფონზე დანგრეულ ბუდეში დარჩენილი ყმაწვილი ორმაგ დარტყმას იღებს. ფრთებშეტრუსული ჩიტივით უმწეო და მიუსაფარი გამოსავალს რომ ვერ იპოვის, დედას უპირისპირდება.

ყველგან ქაოსია - სულში, ოჯახში, ქუჩაში... ნაწარმოების მთავარი გმირი ჩვეულებრივი ქალია, „ყოფილი ოჯახის უნარდაკარგული დიასახლისი“, რომელიც ვერ ერევა სასტიკ რეალობას და ნებდება. მასთან იკრიბებიან თავმოყვარეობადაკარგული, გაუბედურებული ქალები, რომლებიც ერთმანეთის თუ სხვათა „მოკითხვა-განკითხვასთან“ ერთად, ახერხებენ, გადარჩენის გზები ნებისმიერი საშუალებით ეძებონ, თუნდაც, წამლის აღება-რეალიზებით. საგულისხმოა ის გარემოება, რომ ასეთი „საქმიანობით“ დაკავებული ქალები არც პასუხისმგებლობას გრძნობენ და არც შიშს. „როგორც ამ ქალებს, შიშსაც დაკარგვოდა თავისი სახე; უფუნქციო და ძალადაკარგული კი ვიდას დააბრკოლებდა“... ქალებს შორის გამართულ დიალოგებში აშკარად ჩანს როგორც სამყაროსადმი, ასევე ერთმანეთისადმი გულგრილობა, დაუნდობლობა, უპერსპექტივობა... გაღიზიანებულნი ერთმანეთს ფიზიკურ შეურაცხყოფას აყენებენ და ესეც მათი უმწეობის, უსუსურობისა და უზნეობის გამოხატულებაა. ისინი ეპოქის სამსხვერპლოზე მიტანილ შიშისთვალეზე ზვარაკს ჰგვანან, იმ ქვეყნის ქალთა სახეს წარმოადგენდნენ, რომელიც ერთ დროს, თავისი მანდილოსნებით ამაყობდა და რომელმაც, ეს-ესაა „თავისუფლების რელსებზე“ გადაინაცვლა.

ანდრო ბუაჩიძის თვალსაზრისით, „მწერალმა ძალზე ახლოს მიიტანა ობიექტივი ამ ადამიანებთან, მსხვილი პლანით აღბეჭდა და დოკუმენტური სიზუსტით დააფიქსირა მათი მეტყველება, მათი სახეები, მათი მონოტონური დიალოგები. [...] ძალზე მკაფიოდ აღბეჭდა პერსონაჟების ფსიქიკა, მათი გახევებული ინტელექტი,

სულბერწობა, ვიწრო პირუტყვიანი ინტერესები და მოთხოვნილებები“ [ბუაჩიძე, 2006:227].

ვეთანხმებით და ვიზიარებთ მკვლევრის შეხედულებას - ნაწარმოებში აღწერილი ფაქტები მთელი სიზუსტით აღწერს ტრავმირებული საზოგადოების ყოფა-ცხოვრებას, უახლესი წარსულის პულსაციას.

მწარე და უნუგეშო ფიქრებში ჩადირულ ნინოს მხოლოდ ქალაქის შუაგულში მოკაკანე ავტომატები და მისი მოპასუხე თოფის ტყუპი ბათქის ხმა ეხმიანებაო, წერს ავტორი. ამ ფონზე, მხოლოდ მომავლის მუქი კონტურები შეიძლება გამოიკვეთოს, „მყოფადში“ კი შვილისგან გაღიზიანებული ქალი წონასწორობას კარგავს, გზას აძლევს დაგუბებულ ნაღველს და მოწყვეტით მოქნეულ ხელს შემოჰკრავს შვილს. „გაარტყა, თუმცა ბუნდოვნად იცოდა, რომ ბიჭს ნაკლები ბრალი ედო იმაში, რაც ხდებოდა, ყველაფერი უფრო ღრმა და რთული იყო, ამას ვერ ეტყოდა შვილს, ვერ გააგებინებდა...“ [ბაქანიძე, 1993:42].

გაავებული ქალი ისვრის ნივთებს და, თითქოს „თავისუფლებით“ ტკბებაო, გიჟური აღტკინებით ანადგურებს, რაც ხელთ ხვდება; არაფერი ანაღვლებს... მისი ცხოვრება უკვე დანგრეულია, უარესი რა უნდა მოხდეს?!... წარსული წაშლილია. მომავალი არ ჩანს!...ჩანს მხოლოდ ის, რასაც ამ წუთში ხედავს, ეს კი მისი მყოფადის დაცინვა და აბუჩად აგდებაა. დაუზოგავად ესვრის შვილს ყველაფერს, რასაც კი ხედავს და ეხება. აქამდის ცინიკურად განწყობილი ბიჭი ფხიზლდება, მის „აცა-ბაცად“ მზირალ თვალებში სიბრაალული ჩანს.

ავტორი ფსიქოლოგიური შტრიხებით ცდილობს დედა-შვილს შორის უხილავი ძაფის აღდგენას, მაგრამ გაავებულ ქალს მაინც აძლევს შანსს, ბოლომდე დაიცალოს. ის ახლა დედა კი არა, ცხოვრებისგან ხელნაკრავი ქალია, რომელსაც ბედნიერების, დედობის, მოქალაქეობის უფლება წაართვეს და ახლა დასცინიან, მერედა, ვინ?! შვილი დასცინის მის უუნარობას!

შვილისადმი გამოვლენილი ზიზღის კულმინაცია სიტყვიერი შეურაცხყოფაა - ელამ თვალებს წამოსძახებს, მერე, შინაგანად განადგურებული, მზერას არიდებს

შვილს, ვეღარც იმ ეკლესიას უყურებს, სარკმლიდან რომ მოჩანს. ქალს ყველაზე მეტად ახლა შეებრაღა თავი: „მოიზღარბა უმწეოდ, გათელილი, ნაცემი ძალღვიით აყმუვლდა. კრუნჩხვით, გაუაზრებლად ისვამდა მუხლზე იაფფასიანი სიგარეტის ცხელი ბოლისგან ჩაყვითლებულ თითებს და უშნოდ მისტიროდა თავის თავს, თავის უნიათობას, უპატრონობას, სიღარიბეს, უსაშველოდ ებრალეობდა თავისი დამცირებული, სანაგვეზე გადაგდებული არსება“ [ბაქანიძე, 1993:46].

აღნიშნულ ნაწარმოებსა და ზურა მესხის „სპაზმებში“ წარმოდგენილ პერსონაჟთა პოზიციები მკვეთრად ემიჯნება ერთმანეთს. თუ პირველ შემთხვევაში ქალის ისტერიულობას უფუნქციოდ დარჩენა იწვევს და შვილთან, თუნდაც მენტორული ტონით, ურთიერთობას ახერხებს, ზურა მესხთან ქუჩაში გადანაცვლებული ქალი უგულუბელყოფს მშობლის მოვალეობას, შვილსაც აღარ აინტერესებს, რითაა დაკავებული დედა.

ირინა ბაქანიძესთან დედა-შვილს კიდევ აქვთ შანსი, ერთმანეთი იპოვონ, ზურა მესხთან კი ამისი მცდელობაც არ ჩანს, რადგან პერსონაჟები ღრმა ჭაობში აღმოჩნდნენ.

ირინა ბაქანიძის პოსტმოდერნისტულ ნაწარმოებში ქალი-დედის ლიტერატურული პორტრეტი სოციალური-ფსიქოლოგიური შტრიხებითაა გადმოცემული. ესაა უმძიმესი ეპოქის ერთ-ერთი ენიგმა, რომელიც ავტორმა უცვლელად „გადმოხატა“, რათა მკითხველისათვის წარმოდგენა შეექმნა ქართველი ქალის გამოუვალ მდგომარეობაზე 90-იანი წლების განუკითხაობისას.

ზაზა თვარამე იმ ავტორთაგანია, რომელიც ნათლად ასახავს ქვეყნის პოლიტიკურ-ეკონომიური კრიზისის გავლენას როგორც, ზოგადად, ქვეყნის, ასევე, კონკრეტული ადამიანების პირად ცხოვრებაზე. ნაწარმოებში „დამშრალი მდინარე“ დროის ის მონაკვეთია აღწერილი, როცა ისტორიამ უკვე „მიითვალა“ ეროვნული მოძრაობის, თბილისის ომის და საქართველოს ტერიტორიული რღვევის ურთულესი პერიოდები. იმავდროულად, მიუხედავად კატაკლიზმებისა, ადამიანში ბრუნდება რწმენა, ცდილობს, უფალს მიეახლოს, მიენდოს.

კომუნისტების იდეოლოგიური წნეხისგან გათავისუფლებული მწერლობა უკვე საუბრობს ეკლესიასა და იმ ადამიანებზე, რომლებიც ნაბიჯ-ნაბიჯ უახლოვდებიან რწმენის ფენომენს. ზაზა თვარაძის შემოქმედების მთავარი თემა ადამიანის ღვთისადმი მიმართებაა.

წესიერი ადამიანები ძნელად უმკლავდებიან ცხოვრებისეულ კატაკლიზმებს. ისტორია „ბრუნავს“, უარესს უკეთესი მოსდევს, ან პირიქით. დრო დაუნდობლად ძარცვავს წუთისოფელში სტუმრად მოსულ, ბედის უკუღმართობით დაღლილ ადამიანებს. ყოველივე ეს მტკივნეულად აისახება როგორც საზოგადოებრივ, ასევე კონკრეტული ადამიანის პირად ცხოვრებაზე. ასეა ნაწარმოების გმირის შემთხვევაშიც. არეულ ქვეყანაში ოჯახიც ინგრევა. პერსონაჟი ეკლესიას მიაშურებს... მისი მოგონებების სახით, ნაწარმოებში ცოცხლდება საქართველოს თავისუფლების ხანმოკლე პერიოდი (1918-21წწ): „გამოჰქონდა სევდიანი და საშიში დასკვნა, რომ ახლანდელი დამოუკიდებლობაც ისეთივე ტრაგედიით უნდა დასრულებულიყო, როგორც მაშინდელი და მასაც უნდა მოჰყოლოდა რეპრესიებისა და ტერორის საზარელი ათწლეულები“ [თვარაძე, 1999:13].

ზაზა თვარაძის შემოქმედებისთვის დამახასიათებელია მკაცრი რეალობისადმი უაღრესად სერიოზული დამოკიდებულება. პოეტ ზვიად რატიანის თვალსაზრისით, ზაზა თვარაძე რთული ავტორია. მისი ლექსიკა და თემატიკა - დრამატული; მწერლისეული სერიოზულობა შემაშფოთებელიც კია. თავად ზაზა თვარაძე იყო სრულიად განსხვავებული პიროვნება“.

მწერლის ნაწარმოებების განხილვისას საყურადღებოა ავტორის დამოკიდებულება (კოლონიური თუ პოსტკოლონიური ტრავმების ფონზე) ქვეყნის კატასტროფული მდგომარეობისადმი. ავტორი გულისტკივილით იხსენებს წარსულს და იმ „სამარცხვინო ბოძზე“ საუბრობს, რომელზეც არაერთხელ გავაკარით გამორჩეული ქართველები - ილია, მიხეილ ჯავახიშვილი, მერაბ მამარდაშვილი.

მწერლის თვალსაზრისით, „ ერის ჭკუა-უჭკუობა იმაში გამოიხატება, თუ როგორ ეპყრობა ესა თუ ის ერი თავის კრიტიკოს შვილებს“ [თვარაძე, 1999:14].

ღვთის ნებას დამორჩილებული პერსონაჟების ცხოვრების აღწერისას ავტორი ხაზს უსვამს იმ ფაქტს, რომ მოკვდავთ არ ძალუბთ წინ აღუდგნენ ღვთის ნებას; რწმენაზე უკეთესს, კაცობრიობა ვერაფერს ეზიარება. ზაზა თვარაძის შემოქმედების ძირითადი თემა, იდეა რწმენის სიმტკიცე და სულის გადარჩენისთვის ღვთის გზის ძიებაა.

აღნიშნულ ნაწარმოებში, კომუნისტური რეჟიმის დროს ფუნქციაშეცვლილი ეკლესიის თემაც შემოდის. ხელმოწერების შეგროვების შემდეგ, ხალხური მედიცინის მუზეუმი ლურჯი მონასტრიდან სხვა შენობაში გადააქვთ. ეს ხდება მაშინ, როცა მონასტრის გახსნაზე ფიქრიც კი დიდ რისკთან იყო დაკავშირებული.

პერსონაჟის ქადაგების შინაარსი არსებული პოლიტიკური თუ სულიერი მდგომარეობის გამოძახილია: „- ნუ გავამპარტავანდებით! ნუ გავამპარტავანდებით! - ამბობდა იგი. - რომელმა ერმა დაანგრია თავისი ტაძრები?! რომელმა ერმა გაანადგურა თავისი საუკეთესო შვილები?! მღვდლებსა და ბერებს ტყის ნადირებივით დასდევდნენ... გაიხსენეთ ლოდი შებრკოლებისა - ვინც ამ ლოდს დაეცემა, დაიმსხვრევა, როგორც თიხის ჭურჭელი. ჩვენი ერი უკვე დაეცა ამ ლოდზე. მაგრამ ვისაც ეს ლოდი დაეცემა და ქვეშ მოიტანს, გასრისავს, გესმით, გასრისავს! წაშლის პირისაგან მიწისა. ფრთხილად იყავით! ფრთხილად! მთელს ჩვენს ერს ემუქრება ეს ლოდი!“ [თვარაძე, 1999:20].

პერსონაჟები გზააბნეულნი არიან, გადარჩენის სურვილით აფორიაქებულნი. საგულისხმოა ავტორისეული შეხედულება - ხალხის დაუფიქრებელი არჩევნით ურწმუნო ადამიანების ხელისუფლებაში მოსვლა წინაპირობაა ყველა იმ უბედურებისა, რაც ქვეყანაში ტრიალებს.

ავტორს მრევლის წევრთა შორის ჩასახული გრძნობის შესახებაც გვიამბობს. ეკონომიური კრიზისის გამო ოჯახი არ იქმნება და, მიუხედავად მორწმუნეობისა, არაკანონიერი ინტიმური კავშირი მყარდება. სიბრალეული მჟღავნდება იმ ადამიანებისადმი, ვინც თვლის, რომ ადამიანის კეთილდღეობას ხელს უშლის ეკლესია.

ზაზა თვარაძე აღწერს არსებული რეალობას, წერს ღმერთზე, სიყვარულზე, ტკივილზე... მისი შემოქმედებისათვის დამახასიათებელია დედაქალაქის მაჯისცემის მიყურადება, პერსონაჟთა ცნობიერებაში აღბეჭდილი რეალობის წარმოჩენა.

კრიტიკოს ლალი ავალიანის შეხედულებით: „ზაზა თვარაძის ფილოსოფიური, ინტელექტუალური პროზა, თხრობის თავშეკავებული, მშრალი სტილი უფრო სიღრმეთა წვდომას ისახავს მიზნად, ხოლო მკითხველს არაერთხელ ჩააფიქრებს მისი საკმაოდ რთული ქვეტექსტები და სიმბოლიკა“ [ავალიანი, 2002:10].

ზაზა თვარაძის შემოქმედებაზე დღემდე მსჯელობენ ლიტერატურათმცოდნენი, კრიტიკოსები, განიხილება როგორც მწერლის სიცოცხლეში, ასევე მისი გარდაცვალების შემდეგ გამოქვეყნებული მასალები. გაანალიზებულ ნაწარმოებში გაიჟღერებს არჩევნების თემა. მწერლისეული კონცეფცია ამკარად მიუთითებს იმაზე, რომ ურწმუნო ადამიანების ხელისუფლებაში მოსვლა განსაზღვრავს ქვეყნის უბედურებას.

ნაწარმოებებში, ფსიქოლოგიური დეტალების საშუალებით, ადამიანების სულიერი მდგომარეობა სრული სიზუსტითაა გადმოცემული. ავტორის რწმენის სიმტკიცე განსაზღვრავს ნაწარმოებებში რელიგიური თემატიკის სიჭარბეს (როგორც მეუღლე იხსენებს, სახლიდან გასული მწერალი რაღაცას მოიმინეზეხებდა, შინ მიბრუნდებოდა და სიმყუდროვეში ლოცულობდა).

ლალი ავალიანის თვალსაზრისით, ზაზა თვარაძე მიეკუთვნება იმ კატეგორიის მწერლებს, რომლებიც თვლიან, რომ ეროვნული თვითშეგნება, კულტურული მეხსიერება და გენეტიკა თვითმყოფადობის შენარჩუნებისა და წამლევავი გლობალიზაციისაგან თავდახსნის ერთადერთი საშუალებაა. ავტორის მცდელობაა, მკითხველს წარმოადგენა შეუქმნას დროის იმ მონაკვეთზე, რომელიც ქრონოტოპულ ნაწარმოების ხერხემალს წარმოადგენს, დროზე, რომელიც დაუნდობლად დევნის სინათლეს; მწერალი ჰყვება ქვეყანაში არსებული ეკონომიური და სულიერი კრიზისის ფონზე ტაძარს თავშეფარებულ ადამიანებზე, ცხოვრების არეულ რიტმზე, რომელიც მათი პირადი ცხოვრების განმსაზღვრელია.

ზაზა თვარამის „ბინები“ თბილისში მიმდინარე პროცესებისადმი ავტორისეული დამოკიდებულების, ასევე, თითოეული ადამიანისა და, ზოგადად, ქვეყნის მდგომარეობის უკეთესობისაკენ შეცვლის, თავისუფლებისაკენ სწრაფვის გამოხატულებაა. ნაწარმოები კომუნისტების გახრწნილი მმართველობის შედეგად ქუჩაში გამოსული ადამიანების ხვედრზე დაგვაფიქრებს.

იხატება ძველის ნგრევისა და უკეთესი მერმისის შენების ოცნებით ქუჩაში გამოსული ადამიანების ფსიქოლოგიურ პორტრეტი. მომიტინგეთა შორის აზრთა სხვადასხვაობის მიუხედავად, გვერდიგვერდ დგანან ერთი ბინის მკვიდრნი. ერთი სისხლისღვრის აუცილებლობას აღიარებს, მეორე კატეგორიულად ეწინააღმდეგება აზრს, რომ მსხვერპლი „აუცილებელ პირობას“ წარმოადგენს.

სხვადასხვა პოზიციაზე, მაგრამ ერთად დგანან, რადგან ახლა ერთ მუშტად შეკვრაა საჭირო. ასე ესმის სამშობლოს სიყვარული ერთი ბინის ორ მობინადრეს. მრავალრიცხოვან მიტინგზე მღერიან, ცეკვავენ, მაგრამ, მიუხედავად ეგზალტირებული მდგომარეობისა, ავტორი აღნიშნავს, რომ ადამიანებს ფიქრისა და განსჯის უნარი არ დაუკარგავთ. მომიტინგე უეცრად როკვას წყვეტს, ფიქრობს არსებულ ვითარებაზე და გამოაქვს დასკვნა, რომ ყველანი, ნამდვილად, მასობრივი ფსიქოზით არიან დაავადებულნი. პერსონაჟები როგორც ერთმანეთისადმი, ასევე საკუთარი თავისადმი მძაფრ ირონიასა და ეჭვს ავლენენ. იკვეთება უნდობლობა, სასოწარკვეთა...

ნაწარმოებში ყოველი გმირის უკან თითქოს ავტორი დგას - სამშობლოსადმი, ენისადმი, რწმენისადმი ჩამოყალიბებული დამოკიდებულებებით. ამავე ფასეულობებითაა ნასაზრდოები მისი შემოქმედებაც. მწერლის თვალით დანახული რეალობა ფარდას ხდის თანადროულ თბილისურ ყოფას.

შოთა იათაშვილის თვალსაზრისით, „ზაზა თვარამემ XX საუკუნის ბოლოს მნიშვნელოვანი ექსპერიმენტი განახორციელა: კლასიკური მხატვრული ფორმით მეტათემაზე წარმატებული მხატვრული ნაწარმოები შექმნა. აწი ქართული ლიტერატურიდან მის სიტყვებს ვერავინ ამოძირკვავს“ [იათაშვილი, 2010:54].

ტრავმული მეხსიერების კიდევ ერთ ლიტერატურულ ანარეკლს წარმოადგენს ზაალ სამადაშვილის „ხმაურიანი ქალაქი“.

ნაწარმოების სიუჟეტური ღერძი აფხაზეთის ომის ფონზე თბილისში მიმდინარე პროცესების გარშემო ტრიალებს. ნაწილი ქართველი ბიჭებისა აფხაზეთის ომში იბრძვის, ნაწილი თბილისის ქაოსურ ყოფაშია ჩაძირული. ასეთ თბილისში ყველაფერი დასაშვებია: ქურდობა, ნარკოტიკი, მკვლელობა... განუკითხაობაში „ჭკვიანი“ კაცები სიმბოლურ ფასად ყიდულობენ ყველაფერს...

ნაწარმოების მიხედვით, სულიერად ტრავმირებულ ადამიანებს უფალთან დაბრუნების სურვილი უჩნდებათ. ყველა ცოდვილი უფლის სარკმელში შეხედვას ლამობს, მას უხსნის გულს და ადამიანურ დაცემას აღიარებს....

ინგა მილორაგას თვალსაზრისით, ზაალ სამადაშვილის შემოქმედებისთვის დამახასიათებელია სულის დაფარული შრეებიდან გამოხმობილი რეალობის წარმოჩენა. მწერალი საოცარი სიმძაფრით გრძნობს სივრცეს, დროს. „წერს დიდი ტაქტით, სიყვარულით, სადად და მოქნილი ენით, მისი სტილი ნათელი და რბილია. მწერალი ქმნის სახეობრივ სისტემას, რომლის შემეცნებაც, ერთი შეხედვით, იოლია, მაგრამ მოჩვენებითი სიმარტივის მიღმა ისეთი სიღრმეა, ის საძირკველია, რომელიც მხოლოდ მრავალსაუკუნოვანი და მდიდარი კულტურის წიაღში შეიძლება არსებობდეს“ [მილორაგა, 2011:43].

სავსებით ვიზიარებთ მკვლევრის მოსაზრებას. ჩვენ მიერ განხილულ ნაწარმოებებში აშკარად იკვეთება როგორც მოვლენებისადმი ინდივიდიალური აღქმა და დამოკიდებულება, ასევე - ამბის გადმოცემის გამორჩეული ფორმები, სტილი, სისადავე...

ზაალ სამადაშვილის შემოქმედებით საღამოზე, მწერლის მოთხრობების კრებულის - „სამოცის“ წარდგინებისას, როსტომ ჩხეიძემ ხაზგასმით ისაუბრა ავტორის წერის სტილსა და თავისებურებებზე; რეზო ინანიშვილთან მის როგორც სისხლისმიერ, ასევე, შემოქმედებით ნათესაობაზე.

ავტორი „ავტოპორტრეტში“ აღნიშნავს, რომ წერისას მხოლოდ იმ სურათებსა და ხმებს იხსენებს, რომლებმაც „მწერალი ზაალ სამადაშვილი“ ჩამოაყალიბეს, ზოგს

საუბარში ბაძავს, ზოგს - წერაში, ზოგს - მოქმედებაში, შემდეგ კი იმაზე ფიქრობს, თუ ვინაა ის „ვიღაც“...

ტრაგიკულია მხატვრულ ტექსტებში არეკლილი თბილისისათვის დამახასიათებელი მოვლენები. დროდადრო საზეიმო სუფრაც კი იშლება და არავის ახსოვს, რომ ქალაქი, მთელი ქვეყანა დაზაფრულია. ეს ის დროა, როცა, შოთა იათაშვილის პერსონაჟის ტვინის მსგავსად, უამრავი ტვინი დევს ლომბარდში, მის გარეშე დარჩენილი ადამიანები არხეინად ცხოვრობენ, არც მომაკვდავთა კვნესა ესმით და არც იმ სისხლით წალეკვა აშინებთ, თბილისსა თუ აფხაზეთში რომ ღვრიან ქართველი ბიჭები. მთავარი ის იყო, უბედურებას მათ ოჯახებში არ შეეღწია!... პირად კეთილდღეობაზე მზრუნველი ადამიანებისთვის საუკეთესო დრო დამდგარიყო. „ეგ შენი აფხაზეთიც ფეხზე დაიკიდეს და ეგ შენი სამაჩაბლოც“ [სამადაშვილი,1999:14].

ერთნი თუ ქვეყნის მთლიანობას იცავენ. მეორენი დარჩენილს იტაცებენ, ვიღაც ბედნიერია, ვიღაც - უბედური.

„ჭკვიანი და მოხერხებული“ ბიჭის მამა „დაჩაგრეს“, შვილს აფრთხილებს, მე რომ თვალწინ არქივს ამცლინ, შენ რაღას გიზამენო!... მამის მცდელობის მიუხედავად, მაინც იმ გზას მისდევს, რომელიც იოლად გასავლელია - თავგზააზნეული სამეგობრო ჭაობში ითრევს. ძმის საფლაფზე „საჭირო“ საქმისთვის თავმოყრილნი, ყველანაირ ბუნებრივ და ხელოვნურ მოთხოვნილებებს იკმაყოფილებენ. ნაყაჩადარი ფულიც აქვე იყოფა. წაბილწული ძმის საფლაფი, ზოგადა, არსებული რეალობა გულს ურევს ბიჭს. რომელსაც შინაგანი პროტესტი უჩნდება: „სადმე სხვაგან, სხვა სიტუაციაში, სხვა ქალაქში უნდა მეცხოვრა, ყელში ამომივიდა ეს ჩაბნელებული ქუჩები, ეს გაავებული ხალხი, ეს უთავბოლო სროლა“ [სამადაშვილი,1999:29].

ნაწარმოებში, სადაც აღნიშნული მოვლენებისადმი ავტორის სუბიექტური დამოკიდებულება თითქოს არ მკვეთრდება, 90-იანი წლების ამსახველი სურათის სწორად „წაკითხვა“ მკითხველის პრეროგატივაა - მწერალი ენდობა მკითხველს, რომელიც უზუსტესად გაიაზრებს ტექსტში არეკლილ ფაქტებს: ერთი ქვეყნის ორ ფრთაზე მდგომი თაობა სხვადასხვა მიზეზით და სხვადასხვა ადგილზე ილუპება - თუ

უფროსი თაობის წარმომადგენლები ფულის მოხვეჭის გზებს ეძებენ, შვილებისთვის მთავარი იარაღია, რადგან კაცის კვლა გაიოლებულია. ბიჭებმა ცოდვის სიმძიმე იციან და ისიც, „ღმერთთან რა გზით უნდა მიხვიდე“, მაგრამ ქმედებას დრო და სიტუაცია განსაზღვრავს და არა რწმენა.

„პირველად კაცი რო მოვკალი, გახურებული ბრძოლა იყო, ვერც გავიაზრე, რა მოხდა. როცა ყველა ერთმანეთს ესვრის და ყველა ერთმანეთს მოსაკლავად იმეტებს, სინდისი არ გაწუხებს. მერე ერთი მოღალატე მივახვრიტე და მაშინ მივხვდი, ღმერთისგან უკვე შორს ვიყავი“ [სამადაშვილი,1999: 28], - ვკითხულობთ პერსონაჟის აღსარებას.

ზაალ სამადაშვილის გმირები, მიუხედავად ცოდვილი ყოფისა, ღმერთთან დაშორების გამო სინანულს გამოთქვამენ. სულიერი მდგომარეობის მიუხედავად, ისევ „გრძნობენ“ უფალს. წუხილი მომხდარზე - ესაა ყველაზე გულწრფელი აღსარება, რომელსაც ისინი ღია ცის ქვეშ ახარებენ თავად უფალს (და არა მოძღვარს, სანთლის ალით გაცისკროვნებულ ტაძარში).

ჩვენი კვლევის მიზანს, წარმოვაჩინოთ, თუ რაოგორ აისახა, როგორი კვალი დატოვა პოსტკოლონი(ალ)ურმა ძვრებმა თანამედროვე ლიტერატურაში, მეტად საინტერესო ავტორამდე მივყავართ.

90-იანი წლების მოვლენათა გამორჩეულ ლიტერატურულ ანარეკლს წარმოადგენს ოთარ ჩხეიძის რომანი „არტიტული გადატრიალება“.

ნაწარმოები დოკუმენტურ ფაქტებს ეყრდნობა და თბილისის ომისა და სამოქალაქო დაპირისპირების (რეალურად, რუსეთ-საქართველოს ომის) ერთგვარი ანალიზია. მწერალი 1991-92 წლების საქართველოში მიმდინარე ტრაგიკულ მოვლენებს ჩვეული ობიექტურობით აანალიზებს.

9 აპრილისა და შემდგომ „თბილისის ომის“ მოვლენებმა პოსტკოლონი(ალ)ურ საქართველოში განაპირობა ტრაგიკული სოციალურ-საზოგადოებრივი ძვრები: „1991 წლის 22 დეკემბერს, რუსთაველის გამზირზე ხელისუფლებისა და მისი მოწინააღმდეგეების მხარდამჭერი შეიარაღებული ფორმირებების დაპირისპირებით

დაიწყო ე.წ. „თბილისის ომი“, რომელმაც 15 დღე გასტანა და, ოფიციალური მონაცემებით, 113 ადამიანის სიცოცხლე შეიწირა“ [რეხვიაშვილი, 2011 (ელექტრონული რესურსი)].

ნაწარმოების მიხედვით, აღნიშნულმა ომმა ნიღაბი ჩამოხსნა საზოგადოებას, რომელიც ორ დაპირისპირებულ ბანაკად გაიმიჯნა.

ოთარ ჩხეიძე დიდი ტაქტით (თუმც, იმავდროულად, აბსოლუტური პირუთვნელობით) დროითი გადასახედიდან აკვირდება საქართველოს პირველი პრეზიდენტის გარშემო განვითარებულ მოვლენებს. ნაწარმოების სათაურიც სიმბოლურია - საზოგადოების ტრავმულ მეხსიერებაში ჩარჩენილ მოვლენათა განვითარებას მწერალი „თეატრალურ წარმოდგენად“ (იმავდროულად, სწორედ „არტისტთა“ მიერ დადგმულ ფარსად თუ ტრაგედიად) აღიქვამს და ფუნქციადაკარგული თეატრის დედაქალაქის ქუჩებში დამღუპველ, ტრაგიკულ გადანაცვლებაზე საუბრობს...

წინა პლანზე გამოსულიყო ქართული ხასიათის ნეგატიური პლასტი - ნებისმიერი როლის მორგება პირველობისთვის და ხმის ჩახლეჩამდე ყვირილი ყურადღების მისაქცევად. ეს იყო დედაქალაქის თანადროული ყოფის რეალური სურათი და, სამწუხაროდ, არამხოლოდ დედაქალაქისა - ქაოსს სრულიად საქართველო მოეცვა. დედაქალაქისაკენ ყველა კუთხიდან უწყვეტ ნაკადად მოემართებიან ავტობუსები. ქვეყნის პირველი პრეზიდენტი, რომელიც სულ ცოტა ხნის წინ ეროვნული მოძრაობის სათავეში იდგა და საყოველთაო მოძრაობის ლიდერი გახლდათ, შველას და დახმარებას ითხოვს თავისი ამომრჩევლისგან.

ნაწარმოების სათაურის არსს ვუახლოვდებით: ადამიანები ქუჩას ეფინებიან. მხოლოდ აქ შეეძლოთ ხმამაღლა, ქვეყნის გასაგონად ეთქვათ ის, რასაც ფიქრობდნენ. ვინ ნამდვილი გულშემატკივარი იყო და ვინ როლს ირგებდა... ყველა მსახიობი სცენას მიელტვოდა, ადგილს, სადაც განსხვავებული იმედების კოცონს ანთებდნენ და, მის გარშემო, ბუნტისა და შარდის სუნით აქოთებულ ქუჩაში, სურდათ ქვეყნის ბედის გადაწყვეტა.

ავტორს არაფერი უკვირს, გარდა ერთისა - თეატრში მაყურებელი ვიღაა, თუკი ყველა თამაშობსო?! და იქვე დასძენს, რომ მაყურებელი მხოლოდ უზენაესია.... და თუ უზენაესია, ე. ი., მასზეა დამოკიდებული, ვინ მიიღებს აპლოდისმენტებს, ვინ იქნება „გამარჯვებული“.

ოთარ ჩხეიძის თვალსაზრისით, მწერალი, უპირველესად, ეპოქის მხატვარია, მემატია. სწორედ ზემოაღნიშნული კონცეფცია განაპირობებს მის შემოქმედებაში არეკლილ მოვლენათა ობიექტურ ანალიზს. ჩვეული ოსტატობით აცოცხლებს ავტორი საქართველოს ისტორიის ტრაგიკულ ფურცლებს.

მკვლევარი მათა ჯალიაშვილი, კრიტიკოსთა შეფასებებზე დაყრდნობით, აღნიშნავს, რომ ოთარ ჩხეიძე ცნობილია, როგორც ეპოქის პირუთენელი მემატია: „ოთარ ჩხეიძე თავის უზარმაზარ მხატვრულ სამყაროში ჰყვება ცხოვრებისა და ადამიანების შესახებ, ჰყვება დინჯად, გულდასმით, დეტალურად, აუჩქარებლად, ყოველი სიტყვის დაგემოვნებით, რიტმულად, გაბმულად. საოცარი ხატოვანებითა და ექსპრესიული სიულობით მოგვითხრობს სიცოცხლის მრავალფეროვნებაზე, სიკვდილზე, სიყვარულსა და სიძულვილზე, მშვენიერებასა და სიმახინჯეზე, ადამიანის დაცემასა და ამაღლებაზე, მიტევებასა და შურისძიებაზე. ეს თხრობა სავსეა სამყაროს ათასგვარი ხმითა და ფერით, გემოთი და სურნელით“ [ჯალიაშვილი, 2016 (ელექტრონული მისამართი)].

ვეთანხმებით მკვლევარს და მოკრძალებით დავძენთ, რომ ავტორი ლოგიკურად ხსნის სიკვდილის, დაცემისა და შურისძიების მიზეზებს, ყველასა და ყველაფრისადმი სიბრალულს გრძნობს და ლიტერატურული რეფლექსიის გზით მიაქვს მკითხველამდე.

ნაწარმოების ერთ-ერთი ენიგმა გაღმერთებულ პრეზიდენტზე მლოცველი ხალხი. სულ ცოტა დროა საჭირო და, ესენი, ყველანი, „პოლიტიკოსობას“ იწყებენ. ავიწყდებათ პრეზიდენტის მიერ გადადგმული ნაბიჯები და მის „შეცდომებზე“ ხმამაღლა საუბრობენ... თუმცა, მწერალი ხაზს უსვამს იმ ფაქტსაც, რომ ბევრი იმასაც ამბობდა, ისიც ადამიანია და, თუკი ღმერთიც კი შეცდა, როცა ადამიანი გააჩინა, ადამიანი როგორ არ შეცდებაო!...

მწერალი ობიექტურია პირველი პრეზიდენტის მიმართ, ცდილობს, ის „მიზეზები“ გამოკვეთოს, რის გამოც ბევრი მტრობდა - ვინ აპატიებდა კონსტანტინეს შვილობას, კოლხურ კომქს ან ეზოში მოკუნტრუმე შვლის ნუკრს, ბედნიერ ბავშვობასო...

ქართველ მწერალთა შორის არიან ავტორებიც, რომლებიც 90-იანი წლების ყველა ტრაგედიის მიზეზად ეროვნული მოძრაობის ლიდერებს ასახელებდნენ. ზემოთქმულის დასტურად დავიმოწმებთ ნ. გელაშვილის რომანს „პირველი ორი წრე და ყველა სხვა“, რომელსაც ქვემოთ განვიხილავთ.

როგორც ოთარ ჩხეიძის ყოველი ნაწარმოები, „არტისტული გადატრიალება“ ჩაღრმავებას, ენიგმებისა და პარადიგმების ამოკითხვას მოითხოვს. მწერლის განსხვავებულმა სტილმა და ენობრივმა „ზღუდე-გალავანმა“ არა მარტო მკითხველი, სრულიად ლიტერატურული სივრცეც დააყენა დიდი ამოცანის წინაშე.

ნაირა გელაშვილი იხსენებს ოტია პაჭკორიას სიტყვებს - ოცი წელიწადი მოვუნდი, ოთარ ჩხეიძე რომ აღმომეჩინაო.

თუმცა, ბევრად უფრო ადრე „გაიხსნა კარი და დაიწყო საოცარი დღესასწაული: თხრობის ზეიმი, დიდებული ეპიკური სანახაობა, [...] ისეთი დიდოსტატობა ეპიკური ალქიმიისა, რომლის ცეცხლშიც სხივოსნობს ჭემმარიტი პროზის ოქრო - სიბრძნის ქვა“ [გელაშვილი,2014:56].

ბელეტრისტულ ტექსტს - „არტისტულ გადატრიალებას“ რომ დოკუმენტურ-პუბლიცისტური იერ-სახე შეუნარჩუნოს, ავტორი რეალური სახელებით მოიხსენიებს როგორც მოვლენებს, ასევე პერსონაჟებს. რომანი გამორჩეულ ემოციურ დატვირთვას იძენს. მკვლევარ ანა იმნაძის თვალსაზრისით, „ოთარ ჩხეიძემ პრინციპულად არ მიიჩნია საჭიროდ რომანის ავთენტური პერსონაჟებისთვის სახელების გადარქმევა; არც გაურკვეველ ალუზიებს მიმართა. იგი არ არის ზვიად გამსახურდიას აპოლოგეტი, ხშირად კრიტიკულად იყო განწყობილი ექს-პრეზიდენტის მიმართ, რაც რომანის ტექსტითაც დასტურდება, მაგრამ მან მიუკერძოებლად წარმოაჩინა მის თვალწინ გათამაშებული დრამატული მოვლენები, ორად გახლეჩილი და

ურთიერთდაპირისპირებული ქართული საზოგადოება“[იმნაძე, 2012(ელექტრონული რესურსი)].

რომანის მიხედვით, 9 აპრილი ერთ მუშტად შეკრული საქართველოს სიმბოლოს წარმოადგენს. ნაწარმოებში ობიექტურად, პირუთვნელადაა აღწერილი კოლონიალიზმის მატრავმირებელი ფაქტორებით სულშეხუთული ადამიანების სწრაფვა თავისუფლებისაკენ.

პატრიარქის მოწოდების უგულვებლყოფას მწერალი მონური ულლის გადაგდების უდიდესი სურვილით ხსნის. ნაწარმოებში 1956 წლის 9 მარტის კადრებიც გაიელვებს - წარსულის კიდევ ერთი ტრაგიკული ფურცლისა, როდესაც ახალგაზრდებმა სტალინის კულტის დაგმობა ეროვნულ შეურაცხყოფად მიიღეს, მასობრივი გამოსვლებით გააპროტესტეს და სისხლიანი 9 მარტიც „შედგა“: „აღარ ახსოვთ 9 მარტი... არც მოელიან. ივედრებოდა პატრიარქი და ატყაპუნებდნენ ფეხებსა მეაპრილენი და დავიწყებოდა ხალხსა 9 მარტი, ასევე განწირული, ასევე უბედური, მაშინაც ცდუნებული. დავიწყებოდა“ [ჩხეიძე, 1994 :52].

დამაბულ სიტუაციაში უშიშრად მყოფი ხალხის ერთადყოფნა თავგანწირვის ტოლფასი იყო. მცირედნი გრძნობდნენ მოახლოებულ საშიშროებას. სამშობლო რომ ერთი იყო, ყველამ იცოდა, მერაბ მამარდაშვილი ახსენებდა ხალხს, რომ „ჭეშმარიტება უფრო მაღლა იდგა, ვიდრე სამშობლო.“ უპასუხეს, რომ „ჭეშმარიტება“ და „სამშობლო“ სინონიმური ცნებებია...

მწერალი-მემატთანე ჰყვება: „ას სამოცი პარტია აბურთავებდა სამშობლოსა. ერთი მოედანი, ერთი ბურთი და ას სამოცი გუნდი... ღმერთო, დაგვიფარე!“ [ჩხეიძე, 1994 :54-55].

მ. მამარდაშვილის შეხედულებები, რომლის მიხედვითაც დამოუკიდებლობა, უპირველესად, შინაგანი თავისუფლების მოპოვებას გულისხმობს და, მხოლოდ შემდეგ - იმპერიისგან გათავისუფლებას, მიუღებელი და დასაგმობი აღმოჩნდა. თავი იჩინა საზოგადოებრივმა ტრავმამ, რომელმაც მოვლენების შემდგომი განვითარებისას

(რუსეთ-საქართველოს ომის სამაჩაბლო-აფხაზეთის ეპიზოდები), ტოტალური სახე მიიღო.

მომავლის წინაშე პასუხისმგებლობის გრძნობით გამორჩეული ავტორი კომუნიზმსა და ფაშიზმზე ნაკლებ საშიშროებას როდი მოელოს ოცდამეერთე საუკუნის გლობალისტური დოქტრინებისაგან. მწერლის შეხედულებით, რა განსხვავებაა, „დემოკრატიზაციის“ სახელით შენიღბული მგლის ლუკმა გახდები თუ მგლისფერი ძაღლის?!...

გია ხოფერიას თვალსაზრისით, ოთარ ჩხეიძის მიზანი ეპოქის რეალ(ისტ)ური სურათის წარმოჩენაა თავანკარა ქართულით: „სოფელ-ქვეყანას თავის ენაზე ესაუბრებოდა და თავისივე ენით უჩვენებდა, სად წასულიყო, როგორ წასულიყო. ეს ენა შორეული აკვნიდან წამოსული ენაა, წმინდა ქართული სისხლია და დავიწყება არ ეგებოდა“ [ხოფერია, 2013:38].

ზოგადსაკაცობრიო პრობლემატიკით გამორჩეული რომანი ერთ-ერთი საუკეთესო ტექსტია ეპოქის გასააზრებლად. მკვლევარი მაკა ჯოხაძე აღნიშნავს, რომ ოთარ ჩხეიძის შემოქმედება „განიხილება როგორც უწყვეტი, ქრონოლოგიური ნაკადი მეოცე საუკუნის ქართლის ცხოვრებისა. რაც შეეხება სტილს, ოთარ ჩხეიძის სტილი ერთგვარი მედიუმიანია, გამტარია მზესა და მიწას შორის. ცასავითაა, მზის ენერგიას რომ ფილტრავს და აკავებს“ [ჯოხაძე, 2009 (ელექტრონული რესურსი)].

90-იანი წლების მოვლენების მხატვრულ ანარეკლს ვხვდებით აკა მორჩილაძის შემოქმედებაში. როგორც გიორგი ლობჯანიძე აღნიშნავს, მწერალმა მოახერხა მხატვრული საშუალებებით, ადეკვატური ფორმებით გაეაზრებინა ქართული სინამდვილე: „კიდევ ერთი უმთავრესი ნიშანი აქვს, რასაც ძალზე ვაფასებ: რაზეც უნდა წერდეს, შეუძლებელია, თავი ბოლომდე არ წაგაკითხოს. მიზეზი, ალბათ, ის არის, რომ აკა მორჩილაძე ენას ყველა განზომილებაში ინარჩუნებს. ასეთი მდიდარი სტილური არსენალი დღეს სანთლითაა საძებარი“ [კობაიძე, ლობჯანიძე, 2013:7].

დავით ჯავახიშვილი მიიჩნევს, რომ აკა მორჩილაძე ისე მხატვრულად და ეფექტურად აკავშირებს ლიტერატურულ გმირებს სიუჟეტურ ხაზთან, რომ ნამდვილსა

და გამონაგონს შორის ზღვარი იშლება. ვფიქრობთ, ზემოთქმულია ერთ-ერთი მიზეზი, რის გამოც აკა მორჩილადის შემოქმედებისადმი ინტერესი დიდია.

„რეტროსპექტული თხრობის“ ნიმუშია აკა მორჩილადის რომანი „მოგზაურობა ყარაბაღში“. ნაწარმოების სათაური სიმბოლურია. 90-იანი წლების ქაოსურ ყოფაში „წამალზე“ წასულ ბიჭებს ღამით გზა აერევათ, ყარაბაღში იძულებითი „გაისეირნებენ“. ნაწარმოები საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის რღვევის პერიოდს, კერძოდ, ცხინვალის ომის მიწურულს ირეკლავს. ავტორი ისტორიული ფაქტების მხატვრულ ინტერპრეტირებას ახდენს, საინტერესოდ გვამოგზაურებს 90-იანი წლების დედაქალაქის წიაღში, რომელიც სრულიად საქართველოს ენიგმაა.

აკა მორჩილადის შემოქმედებაზე საუბრისას ლანა კალანდია აღნიშნავს, რომ აკა მორჩილადის ტექსტში სტილისტიკურ და აზრობრივ მნიშვნელობას იძენს ციტაცია, რომლის საშუალებითაც ისტორიულ-ლიტერატურული არეალი იშლება. თუმცა, ვფიქრობთ, ჩვენ მიერ გასაანალიზებელ ნაწარმოებში ავტორი ამ ხერხს ხშირად არ მიმართავს. მთხრობელი პერსონაჟი, გია მიქატაძეა. მის კეთილდღეობაზე კონსერვების ბიზნესით წელგამართული მამა, თენგიზ მიქატაძე ზრუნავს.

საბჭოეთის დაშლისშემდგომი სამოქალაქო და ეთნიკური ომებით გამოწვეული ქაოსი „ახალ ადამიანებს“ აყალიბებს. აღნიშნულმა დრომ „გამოჩეკა“ მიქატაძის ბიზნესიც. „დაკარგული“ წარსული და ქაოსური აწმყო დეგრადირებისათვის საუკეთესო სივრცეს სთავაზობს ახალგაზრდებს - თავისუფლებას ჩარაზული სივრცის მიღმა და, რაც მთავარია, „წამალს“, რომელიც ყველა პრობლემას „ავგარებს“. გია მიქატაძე - ერთი მხრივ, დედით ობოლი, სითბოსა და სიყვარულს მონატრებული ქალაქელი ბიჭი, მეორე მხრივ - ვითომ მაგარი ტიპი, ახალი დროის პირმშოა. იგი ფარული თუ ხილული ძაფებით, ნებსით თუ უნებლიეთ, მამის მორჩილი და მისი ნების აღმსრულებელია, რადგან საკუთარი, გვარ-სახელის გარდა, არაფერი გააჩნია. ერთადერთი, სადაც შვილი-მიქატაძე საკუთარ თავს პოულობს, პროსტიტუციის ბუდეში შემთხვევით „აღმოჩენილი“ იანას სიყვარულია. „იანა ჩემთვის ყველაფერი იყო. ის იყო, რაზედაც არასდროს მიფიქრია, რაც არასოდეს მდომებია. ის იყო, რისთვისაც, ალბათ, ცოცხლობენ ადამიანები“ [მორჩილადე, 2004:18]. ბედნიერების უფლება ან მამას

უნდა მიეცა, ან - ქუჩის მეგობრებს. იანა არც ერთი მხარისთვის არ იყო მისაღები. ამიტომ გიას ბედნიერება საჰაერო ბუმტივით ჩაიფუშა.

კონკრეტული ადამიანების ცხოვრების ფონზე იკითხება, რომ ესაა დასასრული უმძიმესი ეპოქისა და დასაწყისი რაღაც სხვა, ახალი გზისა ქართული საზოგადოების ცხოვრებასა და ცნობიერებაში. ეპოქის მაჯისცემას მიყურადებული ავტორი შესანიშნავად ახერხებს ქაოსური ყოფის ჯაჭვური რეაქციიდან ყველა ძირითადი რგოლი გამოაცალკევოს, სახელი დაარქვას.

გამომცემელ ბაკურ სულაკაურის თვალსაზრისით, თანამედროვე ქართული პროზა წარმოუდგენელია აკა მორჩილადის გარეშე: „მან დაამტკიცა, რომ ტექსტის ხარისხს ავტორის ნიჭიერება განსაზღვრავს და არა ჟანრი“ [კობაიძე; სულაკაური, 2013:4].

გიას მეგობრები - ეს ის ნიადაგამოცლილი თაობაა, რომელმაც არ იცის, რა უნდა აკეთოს, ამიტომ მოგზაურობის მიზანი, „რაღაცის“ კეთების სურვილით, ნარკოტიკზე წასვლაა. ნაწარმოების გმირები, მიუხედავად მათი თავგზააბნეულობისა, იმდენად გულწრფელნი არიან, მათთან ერთად „მოგზაურობა“ სიამოვნებას ანიჭებს მკითხველს. გიას ბავშვობის მეგობარი, გოგლიკო, ნარკომანიცაა და იმდენად ზარმაცი და უპასუხისმგებლო, რომ მის იმედად მყოფ ბებიაზეც არ ზრუნავს და მუდმივად ცდილობს, სხვა გამოიყენოს. სწორედ ამ მიზეზით, ფული რომ მოეგო, გადაწყვიტა წამალზე გაგზავნოდა სხვას აზერბაიჯანში და ამისთვის გია და მისი მანქანა გამოიყენა. თბილისის ქუჩები სავსეა გვარდიელებით, ფურგონებით, მილიციელებით... ომით არეული ქალაქის მაჯისცემას აყურადებენ ბიჭები: „ეს გვარდია მაგიჟებს...ათი ძველი ბიჭი შეიკრიბება ბირჟაზე, დაირქმევს „დელტას“ და რაღაცას და მიადგება კომენდატურას ზვიადას გინებით. დაურიგებს კომენდატურა ავტომატებს და მიდიი, ავოეე!..“ [მორჩილაძე, 2004:29].

აღნიშნული ფაქტი იმდენად რეალურია, რომ მკითხველი, რომელიც იმ ეპოქას შეესწრო, უზუსტეს ისტორიულ პასაჟად აღიქვამს.

ლევან ბრეგაძე, აკა მორჩილადის, როგორც პოსტმოდერნისტულ ნაწარმოებთა ავტორის შესახებ საუბრისას, საინტერესოდ მიიჩნევს ლალი ავალიანის შეხედულებას

და გვთავაზობს ციტირებას მისი წერილიდან: „აკა მორჩილაძე ღრუბელივით ისრუტავს ყოველივეს, რაც ოდესმე დაუნახავს, წაუკითხავს, დაულანდავს - ცხოვრებაშიც და ეკრანზეც. ყველაფერ ამას ჩაუძახებს თავის „ქვაბში“, აურ-დაურევს, ან გადახარშავს, ან არა, ცოტას იუმორით შეკმაზავს, გემოვნებისამებრ, და შემდეგ მკითხველს პირდაპირ თავზე გადმოამხობს“ [ბრეგაძე : 2008:228].

სწორედ ამგვარად „შეკმაზული“ ისტორიის მიხედვით, ღამით გზაარეული ბიჭები შემთხვევით ყარაბაღში აღმოჩნდებიან. მათ აზერბაიჯანელები ატყვევებენ. თავდახსნის მიზნით, თავს ზვიადის ჩამომგდებად და ჯაბა-კიტოვანის მეგობრად ასაღებენ, მაგრამ იქაც ომია და ომს თავისი კანონები აქვს. შემდეგ კი, სომხების თავდასხმისას, ძმაკაცები უნებლიეთ დაშორდებიან ერთმანეთს: სომხები გიას „გამოიხსნიან“ და თავისიანებთან წაიყვანენ. (ასეთ შემთხვევას ხელიდან როგორ გაუშვებენ! - ფული უნდა იშოვონ!...) ნაწარმოების მიხედვით, თბილისის ომი გიასთვის მხოლოდ სახურავიდან დანახული ცუდი სურათი იყო, აქ კი, ყარაბაღში, უკეთ გრძნობს, რა არის არეულობა. ბუნებრივია მისი შიში და აღშფოთება იმის გამო, რასაც ხედავს და გრძნობს. თავისუფლებაზე ოცნება იქ, სადაც კუბოს ფიცრებიც კი არ აქვთ, აბსურდია... სამშობლო და ომი აქ ბიზნესის საუკეთესო საშუალებაა. „ომი კი არა, კოოპერატივია. სომხურ-თათრულ-კავკასიური კოოპერატივი“ [მორჩილაძე, 2004:119]. ნაწარმოების მიხედვით წარმოდგენა გვექმნება არა მარტო თბილისურ არეულობაზე, არამედ - სრულიად კავკასიაში მიმდინარე ტრაგიკულ პროცესებზე.

კრიტიკოს ირაკლი ქარსაშვილის თვალსაზრისით, ნაწარმოებში ასახული ე პ ო ქ ა რეალურია, მაგრამ ა მ ბ ა ვ ი - გამოგონილი, მაგრამ იქაური სამყარო იმდენად დაუნდობელი და ძლიერია, რომ ნამდვილ სიყვარულს ჩანასახშივე სპობს და ანადგურებს... მკვლევარი აღნიშნავს: „აქ ნამდვილი მხოლოდ ამ სამყაროსგან როგორმე გათავისუფლების სურვილია და არა ის ყალბი ვალდებულების გრძნობა, რომელიც მთავარ გმირს აიძულებს უსიამოვნო, სახიფათო და, რაც მთავარია უაზრო გზას დაადგეს აზერბაიჯანიდან წამლის ჩამოსატანად“ [ქარსაშვილი, 2001:45].

ტექსტის მიხედვით, ყარაბაღის „თავისუფალ ტყვეს“ რუსი ჟურნალისტების გამოჩენა სამშობლოს განცდას უბრუნებს. მათდამი აგრესია უკანასკნელ პერიოდში

საქართველოში განვითარებული მოვლენების გამოძახილია. სამშობლოსგან შორს მყოფი, ბევრ რამეზე ფიქრობს. ახსენდება იანა, ასევე - თავისი მეზობელი ცანცუკა, რომლის ხელოვნური ბედნიერება უბედურებით დასრულდა... „ფაქტების“ მოყვანით (ცანცუკას, იანასა და გიას ისტორიები), ავტორი ზოგადსაკაცობრიო პრობლემებს ააშკარავებს.

საზღვრის მიღმა, ყარაბაღში „გასეირნების“ შემდეგ გია აღარაა მამის კალთას ამოფარებული, უსუსური არსება; მასში, როგორც ინდივიდში, სიღრმისეულად სჩანს არა მარტო 90-იანი წლების ქართველი ახალგაზრდის, არამედ, ზოგადად, ქართველი კაცისათვის დამახასიათებელი ყველა ნიშან-თვისება: მორჩილის როლი (არ უწევს წინააღმდეგობას), მეგობრობა და გახსნილი ხასიათი (მხატვარი ვალერი), თავმოყვარეობა (რუსებთან დრომდე არ ამხელს, რომ ტყვეა), ლამაზი წარსულით ტკბობა და ოცნების უნარი (იანაზე ფიქრი), ჭკვიანური გადაწყვეტილება (გაქცევის გეგმა), რისკი (გაქცევა). მამიკოს ფულით განებივრებულ ბიჭში არსებული რეალობის მოწინააღმდეგე ჯანყდება. გაქცევის წინ, საკნის გასაღებების გულისთვის მოხუცი კაცის მოკვლის აუცილებლობას მისადმი უხეში მოპყრობით ცვლის, რადგან კრიტიკულ წუთებში იანა ახსენდება. ებრალება ყველა, ვინც დრომ გააუბედურა: „ბოლშევიკებმა ყველანი ერთად შეგვმალეს ჭკუიდან - სომხებიც, თათრებიც, ქართველებიც, პროფესორებიც და ტაქსისტებიც. დრო. დრო. დრო. თორემ ან აქ რა მინდოდა, ან ვისი გამსაღებელი ვიყავი, ან საერთოდ“ [მორჩილაძე, 2004:134].

რუსი ჟურნალისტის „გამოყენებით“, აზერბაიჯანელი ტყვეებით „ხელდამშვენებული“ თათრებს მიადგა. მერე თვალწინ დაუდგა სომხების გაუბედურებული სოფელი და მხატვარი, რომელმაც საგვარეულო შაშხანა აჩუქა, მიუხედავად იმისა, რომ იცოდა, მისიანების წინააღმდეგ უნდა გამოეყენებინათ. ავტორის პოზიცია გასაგებია - პატივისცემას იმსახურებს ყველა, ვისთვისაც ჭეშმარიტებაა, ადამიანობაა პატივსაცემი, უპირველესად კი - სინდისთან პირნათელობა.

თათრები, მაღლიერების ნიშნად, ნარკოტიკებით გაბრუებულ გოგლიკოს „ჩუქნიან“ გიას და მასთან ერთად მშვიდობიანად ბრუნდება დანგრეულ, გაუბედურებულ თბილისში, სადაც არავის სჭირდება, არავის აინტერესებს, არავინ

ელოდება... გარდა მისი ერთგვირიანი „გასეირნებით“ გადარეული მამისა და რამდენიმე ძმაკაცისა, რომლებსაც მისი თავგადასავალი უფრო აინტერესებთ, ვიდრე ის, თუ რას ფიქრობს და გრძნობს ბიჭი, რომელმაც ეპოქის მაჯისცემას მიაყურადა, დაბრუნდა იქ, სადაც, მიუხედავად ქაოსური მდგომარეობისა, ავტომატის კაკანისა, მამლის ყივილივით რომ ათენებს დღეს, მაინც ერთფეროვნების ჭაობში უნდა ჩაიძიროს, სადაც კონფორმისტული საზოგადოება თვლემს, სადაც ცხოვრებას „ფსონად“ მამის ჯიბიდან ამოცურებული კუპიურები უნდა შესთავაზოს.

როგორც აღვნიშნეთ, ნაწარმოებში გადმოცემული ფაქტები არა მარტო თბილისის, არამედ 90-იან წლებში სრულიად კავკასიაში განვითარებულ მოვლენებს ასახავს, რაც საინტერესოს და ღირებულს ხდის ტექსტს.

აკა მორჩილადის „შენი თავგადასავალი“ თითქოს შოთა იათაშვილის „ავადმყოფი ქალაქის“ გამოძახილია. დაავადებულ ქალაქს უკურნებელი სენით უავადდება შვილებიც. ნაწარმოებში განვითარებული მოვლენები ცხადყოფს, თუ როდემდე გაჰყვა ომის შიში, ომისშემდგომი დეპრესია ხალხს.

პირველი დარტყმა, რომელიც სისხლიანი აპრილის ღამეს მიიღეს ადამიანებმა, მხოლოდ ფიზიკური არ იყო - ფსიქოლოგიური ტრავმა უკურნებელი აღმოჩნდა. ლონდონში ჩასულ პეტრე ჯაფარიძეს, რომელსაც „ელესდეს“ აბი ჰქონდა მიღებული, ფოსტალიონები პოლიციელებად მოეჩვენა, თვალწინ დაუდგა რუსის ჯარი. კომენდატის საათი. პეტრე გარბის, გაურბის წარსულის წარმოსახვას. არადა, სად წავა, სად გაექცევა მას, რაც სულშია დალექილი?! ნარკოტიკით გაბრუებული გონების წარმოსახვა ისეთ ასოციაციას იწვევს, ხვდები, ის თაობა, რომელიც უშუალო მომსწრე და მონაწილე იყო თბილისში განვითარებული „მოვლენებისა“, დაავადებულია.

პეტრე ჯაფარიძე, მიუხედავად სულიერი სტრესისა, სინანულს არ განიცდის იმის გამო, რომ მონაწილე იყო აპრილის ტრაგედიისა. „როგორც კი ინანებ, სულ ერთ ბეწოს მაინც, აი, იქ გაგედო. როცა იტყვი, რომ ქუჩებში კი არ უნდა გეზოდიალა, არამედ საჯარო ბიბლიოთეკაში უნდა მჯდარიყავი და სანანებელიც არაფერი დაგრჩებოდა, აი, მანდ მთავრდება“ [მორჩილაძე, 2010:9].

როგორც მკვლევარი სოფო წულაია ღნიშნავს, აკა მორჩილამეს აქვს საოცარი უნარი მკითხველის ნდობის მოპოვებისა. მისი შინაგანი სამყაროდან ლიტერატურულ ტექსტებში გადმოსახლებული საგნები თუ მოვლენები ბუნდოვანი არ რჩება და მკითხველს და მწერალს აახლოებს. მკვლევრის თვალსაზრისით, „ავტორი ყოველთვის რაღაცას ჰყვება, მაშინაც კი, როცა ფორმა უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე შინაარსი - ჰყვება ჟარგონით, სკაბრეზით, დიალექტით[...]სიყვარულით, გულისტკივილით და, რაც მთავარია, გემოვნებით, იმიტომ, რომ კარგად იცნობს და გრძნობს თანამედროვე ქართული ენისთვის დამახასიათებელ ძირითად თავისებურებებსაც და ძველი ქართული ენის სინტაქსსაც“ [წულაია, 2013:53].

სავსებით მისაღები და გასაზიარებელია მკვლევრის თვალსაზრისი აკა მორჩილამის შემოქმედების შესახებ.

ავტორის ორივე ნაწარმოები - „გასეირნება ყარაბაღში“ და „ჩემი თავგადასავალი“ - რომანის ჟანრს მიეკუთვნება. ტექსტებისათვის, მიუხედავად მათში აღწერილი უმძიმესი ვითარებისა, დამახასიათებელია გულწრფელი იუმორით შეზავებული ლაღი თხრობა, სადაც ენიგმური სახეების მონაცვლეობით შემოსვლა და ფაქტების წარმოჩენა ხელს უწყობს 90-იანი წლების სოციალურ-პოლიტიკური სურათის აღდგენას.

გია და პეტრე ავბედითი დროის პირმშონი არიან, ჩანასახშივე დასაღუპად გამეტებულნი. სისხლმა, სასოწარკვეთილებამ, უიმედობამ კიდევ ერთი ტრაგიკული, „დაკარგული“ თაობა შვა, ეპოქამ დაარღვია მათი ფსიქიკა, რაც შავ ლაქად დაეჩნა სულიერ ყოფასა და შეუმდგარ ცხოვრებას..

XX საუკუნის უკანასკნელი ათწლეულის ტრაგიკული მოვლენები, მათით გამოწვეული სოციალურ-ფსიქოლოგიური ტრავმა დიდი მხატვრული ექსპრესიითა და პირუთვნელობით ასახა ქართულმა ლიტერატურამ (9 აპრილის ტრაგედია, თბილისის ომი). შესწავლილთაგან თითოეული ნაწარმოები სწორედ განსაკუთრებული გამომსახველობითა და ობიექტურობით გამოირჩევა.

თავი II

ომი ქართველ მწერალთა შემოქმედებაში

2.1 ეპოქალური დისკურსი

მეოცე საუკუნის 90-იანი წლების მოვლენებზე შექმნილი მხატვრულ-დოკუმენტური ხასიათის ქართული ლიტერატურა, დიდი ხანია, კომპლექსური მეცნიერული კვლევის საგანს წარმოადგენს. აღნიშნული მასალა განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს მკითხველში, რადგან ნათლად ირეკლავს ეპოქის მაჯისცემას.

კოლონიური მწერლობის „ჩარჩოს“ ნაჩვევი მკითხველი დააბნია ისეთი ხასიათის დოკუმენტური ჟანრის ლიტერატურამ, სადაც არაერთგვაროვნადაა წარმოჩენილი ეპოქალური ძვრების გამომწვევი მიზეზები და რომელიც თავდაყირა აყენებს და ამსხვრევს არსებულ სტერეოტიპებს. სწორედ ძველის შეცვლის მცდელობა და

ახლებური ინტერპრეტაციის შემოთავაზებაა მიზეზი იმ ინტერესისა, რომელიც 90-იანი წლების მოვლენების ამრეკლავი მხატვრულ-დოკუმენტური პროზისადმი ბუნებრივად ჩნდება.

საზოგადოებრივი ცხოვრების რიტმის შეცვლა თავისებურადაა წარმოჩენილი სხვადასხვა მწერალთან. მოაზროვნე ადამიანებში ჩნდება პროტესტი. განცდილი, პიროვნულად შეურაცხმყოფელი თუ ზოგადი ხასიათის ტკივილი ასახვას პოეზის ლიტერატურაში.

ეპოქალური დისკურსის კონტექსტში ჩვენი განხილვის საგანია ოთარ ჩხეიძის, როსტომ ჩხეიძის, ნაირა გელაშვილის, დათო ტურაშვილისა და ჯაბა იოსელიანის ნაწარმოებები. მწერლები სხვადასხვა რაკურსის გამკვეთრებით „გვამოგზაურებენ“ ერთსა და იმავე ეპოქაში.

პოსტკოლონიური სივრცის ლიტერატურული ანარეკლი საინტერესოა იმ თვალსაზრისითაც, რომ ესაა დოკუმენტური ლიტერატურა იმის შესახებ, თუ როგორ წარიმართა იმპერიის ხალხების ბედი „მონსტროზული სახელმწიფოს“ [ი. ბროდსკი] დაშლის შემდეგ; როგორ შეფასდა და რა კუთხით წარმოჩნდა ქართულ ლიტერატურაში საქართველოს პირველი პრეზიდენტის, ზვიად გამსახურდიას, პოლიტიკური მოღვაწეობა; თბილისში, სამაჩაბლოსა და აფხაზეთში განვითარებული მოვლენები.

90-იანი წლების საქართველოში განვითარებული ტრაგიკული მოვლენების ლიტერატურულ რეფლექსიას საინტერესო კუთხით ვხვდებით ნაირა გელაშვილის შემოქმედებაში. აღსანიშნავია რომანი „პირველი ორი წრე და ყველა სხვა“.

ნაწარმოები დოკუმენტური პროზის ჟანრს განეკუთვნება, ნათელ წარმოდგენას გვიქმნის, თუ რა შეხედულება და დამოკიდებულება ჰქონდა ავტორს აღნიშნულ წლებში საქართველოში მიმდინარე პროცესებთან. მწერლისეული გადმოცემით, ნაწარმოები 1992-94 წლებშია შექმნილი, მაგრამ დასტამბვა მხოლოდ 2010 წელს მოხერხდა. თექვსმეტწლიანი შუალედის არსებობას (შექმნიდან გამოქვეყნებამდე) ერთ-ერთ ინტერვიუში თავად ავტორი ამგვარად განმარტავს: „სულ ერთია, რომანი

როდის დაიბეჭდებოდა: ათი წლის წინ თუ 2050 წელს, პრობლემების თვალსაზრისით, საუბედუროდ, ის ყოველთვის აქტუალური იქნებოდა“ [დოლენჯაშვილი, 2010:03 (ელექტრონული რესურსი)].

ზემოაღნიშნულს ადასტურებს ის ფაქტიც, რომ ნაწარმოები დღემდე განხილვისა და კვლევის ობიექტია. მკვლევარ ანა იმნაძის თვალსაზრისით, „მძიმე პოლიტიკურ-ეკონომიკური და სულიერი სიდუხჭირის ფონზე, ნაირა გელაშვილმა არ ისურვა, რომანს დღის სინათლე ეხილა. სავარაუდოა, ე.წ. „დროის დისტანციის“ თეორიის მიხედვით, ავტორი ელოდა, გადაფასდებოდა თუ არა მის მიერ ნაწარმოებში გატარებული იდეები, მოსაზრებები“ [იმნაძე, 2013:46].

სავსებით გასაზიარებელია ანა იმნაძის მოსაზრება, რადგან რომანმა საკმაოდ ხანგრძლივი დროითი დისტანციის ფონზეც საზოგადოების გულისწყრომა გამოიწვია. ადვილი წარმოსადგენია მკითხველის რეაქცია, მწერალს ნაწარმოები რომ შექმნისთანავე გამოემზებურებინა, თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ ტექსტმა ლიტერატურული პრემია „საბა“ ორჯერ დაიმსახურა. საგულისხმოა მკვლევარ მარინე ტურავას მოსაზრება: „საკითხავია, ნაირა გელაშვილს უფრო სჭირდება „საბა“ თუ „საბას“ - მწერალი, დაკარგული სახელის დასაბრუნებლად?!“ [ტურავა, 2017:157].

რომანი „პირველი ორი წრე და ყველა სხვა“ სრულიად განსხვავებული რაკურსით გვამოგზაურებს 90-იანი წლების საქართველოში და, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, განიხილება, როგორც ისტორიის ლიტერატურული რეფლექსიის ერთ-ერთი საინტერესო ნიმუში. ნაწარმოები დოკუმენტური პროზის ჟანრს განეკუთვნება, ნათელ წარმოდგენას გვიქმნის, თუ რა დამოკიდებულება ჰქონდა ავტორს მიმდინარე პროცესებთან.

რომანი მოთხრობათა ერთგვარი ციკლია, სადაც ნარატორი, ფოკალიზატორი და აქტორი ერთმანეთს იმდენად ემთხვევიან, ძნელია მათი ერთმანეთისგან გამოიჯნვა. ტექსტი მნიშვნელოვანი ისტორიაა, რომელშიც მთხრობელი თანამონაწილეს აღწერილი მოვლენებისა. სუბიექტურ მოსაზრებებს სხვადასხვა პერსონაჟი ახმოვანებს.

მაღხაზ ხარბედიას თვალთაზრისით, საქართველოში, სადაც ნაკლებად იწერება დოკუმენტური ჟანრის ნაწარმოებები, გაანალიზებული რომანი აღნიშნულ ხარვეზს ავსებს.

ტექსტი წარმოაჩენს მნიშვნელოვან პრობლემას, რომელიც აქტუალურია არამხოლოდ საქართველოში - განსხვავებული აზრის გამო ადამიანთა შევიწროება. ავტორის შეხედულებით, სხვა შეხედულების ადამიანი, ხშირ შემთხვევაში, დაცინვისა და გარიყვის ობიექტია.

ნაირა გელაშვილს, როგორც მოქალაქეს, უჩნდება შიში, რომ მეცნიერებისა და კულტურის დონის დაცემა გამოიწვევს ჩვენი ტერიტორიების გადანაწილებას „დიდ მეზობლებზე“. ხაზგასმული საფრთხის წანამძღვრად ავტორი შიდა დაპირისპირებებს მიიჩნევს.

9 აპრილის შემდგომ ისევ ჩნდება კითხვები, სწორად მოიქცა თუ არა ერეკლე II. ნაირა გელაშვილი, საკითხთან დაკავშირებით, აკაკი ბაქრაძის აზრს გვიზიარებს: „მთელი ცხოვრება თავს ვიმტვრევდი, მაინც რატომ შეუერთა ერეკლე მეორემ საქართველო რუსეთს, ჩვენზე მეტი პატრიოტი იყო, სხვა თუ არაფერი, კაცი ასი ჭრილობით ჩავიდა მიწაში-მეთქი, და ახლა მივხვდი: გარეშე მტრების კი არა, არამედ ქართველების შიშით გააკეთა ეს, რომ ქართველებს ერთმანეთი, ანუ საკუთარი თავი არ ამოეწყვიტათ!“ [გელაშვილი, 2009:764].

9 აპრილის, თბილისის, სამაჩაბლოსა და აფხაზეთის ომებისადმი დამოკიდებულების გადმოსაცემად ნარატორი სხვადასხვა მხატვრულ ხერხს მიმართავს; რომანში გადმოსაცემი მასალა „გადანაწილებულია“ „მთარგმნელობითი ცენტრის“ თანამშრომლებზე. ნაწარმოების პერსონაჟები სხვადასხვა ქვეყნის ლიტერატურულ შედევრთა თარგმნით არიან დაკავებულნი. მათ გარშემო იცვლება პოლიტიკური ვითარება. ჩნდებიან ახალ-ახალი დაჯგუფებები, ლიდერები. ისინი „მთარგმნელობითი კოლეგიის“ თანამშრომლების დაშინებას და დევნას იწყებენ, დარბევას მოსდევს მსხვერპლი. პერსონაჟთა მიმოწერაში საქართველოს ისტორიის სხვადასხვა მონაკვეთია გაშუქებული.

მთარგმნელობითი ცენტრის „სარკმლიდან“ არა მხოლოდ თბილისის, ზოგადად, მთელ საქართველოში მიმდინარე ტრაგიკულ მოვლენებს აღვიქვამთ.

9 აპრილის მოვლენებისადმი მეტად კრიტიკულია ავტორი, მიტინგის ორგანიზატორებს ბრალს სდებს და პასუხისმგებლობას აკისრებს მომხდარზე - არ უნდა დავიწყებოდით 1956 წლის 9 მარტი!

მომიტინგეებს ემატებოდნენ მშობლები, ახლობლები. რაც უფრო ფართოვდებოდა წრე, მით უფრო ქრებოდა განცდა საფრთხისა. ტრაგედიამდე სულ რაღაც ორი ნაბიჯი იყო დარჩენილი... გრძობდნენ საშიშროებას, მაგრამ... დაე, ყოფილიყო რბევა, ოღონდ - არა ნებაყოფლობითი დაჩოქება: „მოზღვავებული ხალხისთვის ყველაზე მეტი ავტორიტეტი ზვიად გამსახურდიას და მერაბ კოსტავას ჰქონდათ. ამიტომ მხოლოდ მათ სიტყვას დაუჯერებდნენ... ეს უნდა ყოფილიყო მიტინგის დაშლის კატეგორიული მოთხოვნა და არა - ფორმალური მზრუნველობის გამოხატულება, თუ გინდათ, ქალები და ბავშვები შინ წაბრძანდითო, ორჭოფულად რომ შესთავაზა წინა დღეებში გამსახურდიამ“ [გელაშვილი, 2009:429].

საბედისწერო წუთის წინ პატრიარქი საერო წინამძღოლს სთხოვს, მოუწოდოს ხალხს დაშლისაკენ - სხვა გზაც არსებობსო. პასუხად უარი მიიღო - მოღალატედ გამომაცხადებენო [იქნებ, რომ სცოდნოდა, მავანთაგან, მაინც ასე მოინათლებოდა, იქნებ, არ დაღვრილიყო უმანკო სისხლი?! - ვ. გ.].

მომიტინგეთათვის ბელადის აზრი ცნობილია. პატრიარქი საშიშროების შესახებ საუბრობს, მრევლს მოუწოდებს, ეკლესიას მიაშურონ, მაგრამ... მოძღვარს ყურს არ უგდებენ. პირველი „არა!“ გაისმა და პატრიარქის ხელიდან წაგლეჯილ მიკროფონში ირაკლი წერეთელმა „მამაო ჩვენო“ წამოიწყო... აპრილის ტრაგიკული ღამის მოვლენათა ანალიზისას მწერალი არა მარტო გამსახურდიას, არამედ ეროვნული მოძრაობის სხვა ლიდერებსაც არ ინდობს.

ავტორის აზრით, ქვეცნობიერში არსებულმა სისხლის კულტმა, რომელიც ინტელიგენციის დიდ ნაწილში იყო გაბატონებული („ვიდრე სისხლი არ დაიღვრება“), შეუწყო ხელი ლიდერთა მხრიდან „სისხლზე გათვლილ სპეკულაციას.“ მწერლის

პოზიციით, განიწმინდება ის, ვინც საკუთარ ცოდვებს აცნობიერებს, სინანულს განიცდის და გარდაქმნას ახერხებს. „...შრომა და აზროვნება რომ ეზარებათ, გამოიგონეს უნივერსალური წამალი - სისხლი! და მხსნელი - მესია!“ [გელაშვილი,2009:433].

ნაირა გელაშვილი თვლის, რომ უპასუხისმგებლობამ შეიწირა ადამიანები, ის გოგონები და ქალები, რომლებსაც ნება არ მისცეს, პატრიარქს დამორჩილებოდნენ.

მწერალი აქლერებს მერაბ მამარდაშვილის პოზიციას: „ეს „ეროვნული გამარჯვება“ და დღესასწაული კი არ იყო, არამედ - სირცხვილი, სასჯელი და და მარცხება!“[გელაშვილი, 2009:433].

მწერლის პოზიცია ფილოსოფოსისეულს ემთხვევა. ავტორი მერაბ მამარდაშვილის ავტორიტეტს და პოზიციას მყარ არგუმენტად მიიჩნევს, თუმცა გასათვალისწინებელია ისიც, რომ მერაბ მამარდაშვილი ფილოსოფოსის (ე. წ. „მესამე“) თვალთ უმზერდა და აანალიზებდა პროცესებს (როგორც თავად მწერალი), მაგრამ ეროვნული მოძრაობის ეპიცენტრში მყოფი ზვიად გამსახურდიასთვის ეს (ბევრი მიზეზის გამო), შეუძლებელი აღმოჩნდა.

მამარდაშვილის ცნობილი ფრაზა - „ჭეშმარიტება“ სამშობლოზე მაღლა დგას“ - ახალი დაპირისპირების მიზეზი ხდება, რადგან „ჭეშმარიტება“ ორივე მხარეს სხვადასხვაგვარად ესმოდა.

ნაირა გელაშვილს თითქოს არ სურს, დაინახოს კვარცხლბეკი, რომელიც საზოგადოებამ გმირებად შერაცხული ლიდერებისთვის ააგო. ავტორი თვლის, რომ უდანაშაულო ადამიანების სისხლმა საძირკველი ჩაუყარა „კარიერას ბელადისა“, რომელმაც ვერც 1924, ვერც 1956 წლის მაგალითი ვერ გაითვალისწინა 1989 წელს. მწერლის პოზიციით, „თუ ჩვენ მსჯავრს არ გამოვუტანთ 9 აპრილს და ისევ მშვენიერ საშუალებად ჩავთვლით ადამიანის სისხლს რაღაც ფსევდო-ეროვნული მიზნების მისაღწევად, სულ ამ გზით მოგვიწევს სიარული - სისხლის გზით და იქ, სადაც სისხლი ასე იაფია, ცხოვრება ვერ აშენდება“ [გელაშვილი, 2009:435].

ლელა კოდალაშვილის თვალსაზრისით, ნაირა გელაშვილი ცდილობს ისე დახატოს სურათი, რომ მკითხველიც შეუერთდეს „ინტელექტუალური იარაღით ცნობიერების პროგრესად წარმართულ ბრძოლაში“. მკვლევარს უჩნდება ეჭვი, რომ, გარდა ზოგადი შეხედულებებისა, რაღაც კონკრეტული მიზეზი ხომ არ დგას ამ დაპირისპირების უკან, რადგან სოხუმის ტრაგედიაშიც, უცნობი მიზეზით, ავტორი ზვიად გამსახურდიას ადანაშაულებს, თუმცა ლელა კოდალაშვილი მწერლისადმი დიდ მოწიწებას გამოხატავს: „ისიც ჩვეულებრივი ადამიანია თავისი ძლიერებით და სისუსტით, ზომიერების სიბრძნით და იქვე - უმართავი აფექტურობით, შენდობის თვისებით და რაღაც ღრმად დამარხხულის ბოლომდე ვერპატიებით“ [კოდალაშვილი, 2009:54].

ვფიქრობთ, გასაზიარებელია ლელა კოდალაშვილის თვალსაზრისი. ნაირა გელაშვილისთვის აღნიშნულ რომანზე საზოგადოების რეაქცია არ უნდა ყოფილიყო მოულოდნელი, თუმცა, ისიც უნდა ითქვას, რომ ავტორს, ალბათ, ჰქონდა სწორედ ამგვარი რეაქციის მოლოდინი და სწორედ ეს იყო მიზეზი იმისა, რომ ნაწარმოებმა დღის სინათლე მხოლოდ შექმნიდან თექვსმეტი წლის შემდეგ იხილა.

ნაირა გელაშვილს მიაჩნია, რომ მწერლის გზა უნდა იყოს მოწამებრივი, ფუნქცია - თვალი გაუსწოროს სიმართლეს, მაშინაც კი, შეკაზმული ცხენი რომ არსად ეგულება. საკუთარი გამოცდილებიდან აკეთებს დასკვნას: „დღესაც მთელი საზოგადოება აიყალყება ხოლმე, თუკი მწერალმა გაბედა და რაიმე მოვლენაზე თავისი აზრი გამოთქვა, თუ არ დაეთანხმა უმრავლესობის შეხედულებას და რწმენას. „ხალხის მტრის“ იარლიყი მზად არის“ [გელაშვილი, 2014:563].

ვიზიარებთ ავტორის თვალსაზრისს იმის შესახებ, რომ მწერალი არ უნდა ემსახურებოდეს დიქტატურის იდეოლოგიას, უნდა ააშკარავებდეს საზოგადოების მანკიერებებს, მაგრამ საზოგადოება, როგორც ცოცხალი ორგანიზმი, არ გპატიობს, როცა მის ყველაზე მგრძობიარე ნერვს ეხები...

ნაირა გელაშვილის მიერ ზვიად გამსახურდიას „არდანდობის“ მიზეზებთან დაკავშირებით თავის ვარაუდს გამოთქვამს მკვლევარი ნონა ამბოკაძეც, არ უკვირს ლიდერის მისამართით გამოთქმული ბრალდებები, მაგრამ მასში, როგორც ერის

წინამძღოლში, მხოლოდ უარყოფითის ხაზგასმა დასკვნების გამოტანისკენ უბიძგებს: „ნაირა გელაშვილს სურს, მომხდარი მოვლენებისადმი სუბიექტივისტური ხედვა ობიექტურ, მიუკერძოებულ შეფასებად „შეფუთოს“ და თავს მოახვიოს მკითხველს“ [ამბოკაძე 2020:185].

სავსებით ვიზიარებთ ამ მოსაზრებას. ნაწარმოების ანალიზისას, ჩნდება კითხვები, რომელთა პასუხიც იცის მხოლოდ და მხოლოდ ავტორმა. მკვლევართა მოსაზრებები მხოლოდ ვარაუდია.

ფაქტი ერთია - ნაირა გელაშვილი ტრავმული მეხსიერების მატარებელი მწერალია! რომ არა რაღაც საფუძველი, იგი ვერ შეძლებდა, თავისი შეხედულებებითა და პოზიციით ერის მიერ გაღმერთებულ ადამიანს „შესჭიდებოდა“. მწერალმა, გარკვეული „დროითი დისტანციის“ გამოყენებით, ფსიქოლოგიური ბარიერი დაძლია, იმ ჩვენების ერთგული დარჩა, რომელზეც რომანშია საუბარი.

მკვლევარი ნონა ამბოკაძე, გამოთქვამს რა თავის მოსაზრებებს, მოკრძალებით დასძენს, რომ მოვლენათა პოლიტიკური შეფასებები კონკრეტული დისერტაციის მიზანი არაა, მაგრამ, რადგან ტრავმულ მოვლენათა ლიტერატურული რეფლექსია ინტერპრეტაციულ ანალიზს მოითხოვს, თემას გვერდს ვერ აუვლის.

„პირველი ორი წრე და ყველა სხვა“ საკმაოდ მოცულობითი ნაწარმოებია და მასში აღწერილი ყველა მოვლენა (უარყოფითი) ზვიად გამსახურდიას სახელს „უკავშირდება“.

მკვლევარს ნაირა გელაშვილის „შემობრუნების შეუძლებლობა“ აოცებს: „იგი, თითქოს, გარდაცვლილ ზვიად გამსახურდიასაც ებრძვის და „ასამართლებს“.

ჩნდება კითხვა: იქნებ, 9 აპრილის მიღმა, ან შემდგომ განვითარებულ მოვლენებში უნდა ვეძიოთ ესოდენ დიდი და უპატიებელი გულისწყრომა ავტორისა საქართველოს პირველი პრეზიდენტის მიმართ?“ [ამბოკაძე, 2020:186].

მსგავსი კითხვა, როგორც ზემოთაა აღნიშნული, უჩნდება ლელა კოდალაშვილსაც. ორივე მკვლევრის მიერ გამოთქმული თვალსაზრისი გამომდინარეობს ნაწარმოების შინაარსიდან და, ვთვლით, რომ სავსებით გასაზიარებელია.

„ეკლის გვირგვინში“ როსტომ ჩხეიძე ხაზგასმით აღნიშნავს, რომ მწერალ ქალს ზვიად გამსახურდიამ დაუმსახურებელი შეურაცხყოფა მიაყენა თურქი მესხების ჩამოსახლების საკითხთან დაკავშირებით.

მიუხედავად ზემოთ აღნიშნულისა, ფაქტია, რომ „არაობიოქტურის“ სახელით მონათლული ნაწარმოები ხელიდან ხელში საგოგმანები გახდა, მრავალი თვალსაზრისით. მკვლევარი მარინე ტურავა აღნიშნავს, რომ ნაირა გელაშვილი პერსონაჟთა ხატვისა და კომპოზიციის აგების დიდოსტატია. მის ყველა ნაწარმოებში იგრძნობა მწერლის პიროვნული თავისუფლება: „ნაირა გელაშვილი გამბედავი მწერალია, დიდი მწერლები არიან მუდამ გამბედავები“ [ტურავა, 2013:53].

„პირველი ორი წრე და ყველა სხვა“ მხატვრულ-დოკუმენტური ჟანრის რომანია. მას მაღალ შეფასებას აძლევენ მკვლევარნი. მალხაზ ხარბედიას თვალსაზრისით, რეალობა იძლევა იმის თქმის საფუძველს, რომ თითქმის აღარ იწერება დოკუმენტური ჟანრის ისეთი პროზაული ნაწარმოებები, სადაც მწვავედ დასმულ კითხვებს შეხვდებით. „პირველი ორი წრე და ყველა სხვა“ კი - „ესაა რომანი ჩვენი დროის შესახებ, უფრო სწორად კი, იმ მიზეზებზე, რამაც ჩვენი დრო შვა“ [ხარბედია, 2010(ელექტრონული რესურსი)].

ავტორისეული ხედვ(ებ)ისა და ტკივილების რეტროსპექტივა განგვაცდევინებს ჩვენი ქვეყნის ტრაგიკულ თავგადასავალს. რომანი აღიქმება, როგორც კოლექტიური ტრავმით ინსპირირებული ტექსტი, იმავდროულად - საქართველოს პერმანენტული პოლიტიკური მარცხის განსხვავებულად აღქმის, ტრაგედიის არსში სიღრმისეული წვდომის მცდელობაც.

ნაირა გელაშვილის შემოქმედებაზე საუბრისას, მწერალი და მკვლევარი შოთა იათაშვილი ავტორს „მაღალი სინჯის პროზაიკოსად“ ახასიათებს: „ნაირა გელაშვილის შემოქმედებაში ადამიანისა და ბუნების სტიქიათა ურთიერთობა რიტუალებში არ ქვავდება, იგი დრამატიზმის (თუ ტრაგიზმის) მაღალ გრადაციებს აღწევს“ [იათაშვილი, 2010:42]. სავსებით გასაზიარებელია შოთა იათაშვილის მოსაზრება. ვთვლით, რომ დღემდე სწორედ ამიტომაც „პირველი ორი წრე...“ აქტუალური.

რომანი 90-იანი წლების გახლეჩილ საზოგადოებას, განსხვავებულ აზრებსა და პოზიციებს წარმოაჩენს. ორ ბანაკში ერთმანეთის პირისპირ დგანან ეროვნული იდეებისადმი უნდობლობით განმსჭვალული ადამიანები („თარგმანის ცენტრის“ თანამშრომლები) და ფსიქიატრიული საავადმყოფოს პაციენტები (ეროვნული მოძრაობის მხარდამჭერნი). სიუჟეტი მთარგმნელობითი ცენტრის გარშემო ვითარდება. „ცენტრის“ თანამშრომლები სხვადასხვა ეროვნების ადამიანები არიან. ქვეყანაში მიმდინარე პროცესების ფონზე მათი პროფესიული და პოლიტიკური შეხედულებები თანხვდება - 90-იანი წლების მოვლენებს, როგორც ნათელი - ბნელს, ემიჯნებიან და დიდ საფრთხედ აღიქვამენ. „ცენტრის“ საქმიანობა მნიშვნელოვანი იყო სხვადასხვა ეროვნების ლიტერატორთა ურთიერთკავშირისთვის.

კრიტიკოსი ლევან ბრეგაძე, რომელიც „ცენტრის“ კოლეგიაში მუშაობდა, აღნიშნავს, რომ ამ დაწესებულების ფუმემდეგელი, ოთარ ნოდია, თანამშრომლებთან ერთად, ღირსეულად ართმევდა თავს მთარგმნელობით საქმიანობას. რაც შეეხება ნაირა გელაშვილის აღნიშნულ რომანს, ბრეგაძე მიიჩნევს: „ესაა ქვეყნის ბედით შეწუხებული ადამიანის ფიქრები, გამოსავლის ძიება, და იმის მცდელობა, რომ გაიაზროს, რა ხდება, რა გვჭირს, რა მოგვივიდა, რომ ამ გაუთავებელი კრიზისიდან ვეღარ გამოვსულვართ“[ხარბედია, ბრეგაძე, 2010 (ელექტრონული რესურსი)].

მიუხედავად იმისა, რომ გასაანალიზებელ რომანში ავტორის პოზიციას ბევრი არ იზიარებს, მიგვაჩნია, რომ ნაწარმოები ლიტერატურული ფაქტია, ერთგვარი მცდელობა, მესამე თვალთ შევხედოთ მოვლენებს.

ეროვნული მოძრაობის მედროშეთა მიერ „თარგმნის ცენტრის“ დარბევა და დახურვა (როგორც დისიდენტური აზროვნების ლიკვიდაცია), იყო ერთ-ერთი მიზეზი, რომ ნაირა გელაშვილის პოზიცია გამყარებულიყო. კიდევ ერთი დიდი პრობლემა, რომელიც მწერლისა და საქართველოს პირველი პრეზიდენტის დაპირისპირების მიზეზად იქცა, ესაა საზოგადოებრივი ტრავმის კიდევ ერთი მაგალითი - „თურქი მესხების“ თემა.

40-იან წლებში, სტალინის დავალებით, მესხეთიდან ერთ ღამეში აჰყარეს თურქი მესხები და შუა აზიის გზას გაუყენეს. დაზარალებულთა ოჯახს მიეკუთვნება ნაირა გელაშვილის ერთ-ერთი პერსონაჟი, ემა ვაჩნაძე-ჰასანოვა. რომანში იკვეთება ზვიად გამსახურდიასადმი წაყენებული კიდევ ერთი ბრალდება, რომ მან უარი უთხრა მიღებაზე სამშობლოს საზღვარს მომდგარ თურქ მესხებს.

საჭიროდ მივიჩნით, გაგვეზიარებინა ანა იმნაძის თვალსაზრისი: „ნაირა გელაშვილი დევნილ მესხთა „არშემოშვებაში“ ზვიად გამსახურდიას და ეროვნულ მოძრაობას სდებს ბრალს. საქმე ის არის, რომ 1989 წელს, როდესაც ეს საშინელი რბევა-აწიოკება დაატყდათ თავს მაჰმადიან მესხებს, საქართველოში ჯერ კიდევ საბჭოთა ხელისუფლება იყო და ეროვნული მოძრაობა და მისი ლიდერი ვ ე რ ა ნ ა ი რ [ხაზი ჩვენია - კ. გ.] გადაწყვეტილებას ვერ მიიღებდა ლტოლვილთა შემოსვლა-შემოშვებასა თუ არშემოშვებასთან დაკავშირებით“ [იმნაძე, 2013:55].

სხვადასხვა მკვლევარი სხვადასხვაგვარი რაკურსით გვამოგზაურებს „პირველ ორ წრეში.“ როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, რომანი დღემდე აქტუალურ საკითხავად რჩება. პასუხგაუცემელია კითხვები, რომელთაც მომავალმა თაობამ უნდა უპასუხოს.

პოეტი და მთარგმნელი გიორგი ლობჯანიძე თანამედროვე ლიტერატურაში რომანის ჟანრის კრიზისზე საუბრისას აღნიშნავს: „უპირველესად უნდა დავასახელო ამ პერიოდის (და ლამის ერთადერთი) რომანისტი ქალი ნაირა გელაშვილი, რომლის ბოლო ნაწერები გვარწმუნებს, რომ კვლავ საუკეთესო ფორმაშია. მისი „პირველი ორი წრე და ყველა სხვა“ ეპოქალური წიგნი მგონია, სადაც ჩვენი ქვეყნის ბოლოდროინდელი სინამდვილე შესანიშნავად არის მხატვრულად ათვისებულ-დამუშავებული“ [კობაიძე, ლობჯანიძე, 2013:7].

ნაწარმოები, სადაც მოვლენათა ხედვა წარსულის ლაბირინთებში გვაბრუნებს და დღემდე მსჯელობის საგანია, კრიტიკული აზროვნების ნიმუშს ნამდვილად წარმოადგენს. როსტომ ჩხეიძის თვალსაზრისით: „ეს ნაწარმოები განვლილის შეჯამებაა, რაღაც დიდი ციკლის დასასრულია. ამავე დროს, საწინდარია ახლის“ [გელაშვილი, ჩხეიძე, 2014:596].

საუკუნის მიწურულს, ქვეყანაში შექმნილი ტრაგიკული ვითარებიდან გამომდინარე, აქტუალური გახდა პიროვნებათა გაუცხოების პრობლემა, რაც განსაკუთრებით ომიანობის პერიოდში გამოიკვეთა. ეს კარგად ჩანს ჩვენ მიერ განხილულ ნაწარმოებებში, სადაც პერსონაჟები რეალობის მძევლებს წარმოადგენენ. საკითხისადმი სხვადასხვაგვარი მიდგომით გამოირჩევიან სხვადასხვა თაობის ავტორები, თუმცა აშკარაა მისასალმებელი გამბედაობა.

დათო ტურაშვილი ლიტერატურულ სივრცეში მაშინ გამოჩნდა, როცა ქართული მწერლობა კომუნისტური იდეოლოგიის წნეხისგან თავისუფლდებოდა. ეროვნულმა მოძრაობის თვითმხილველმა და მონაწილემ ახალგაზრდა მწერალმა საკუთარი შემოქმედებით გადმოგვცა ის, რაც დაინახა, იგრძნო და განიცადა. სწორედ ამიტომ, საზოგადოებამ კარგად მიიღო მისი ემოციური, მართალი ტექსტები.

რომანში „იყო და არა იყო რა“ ავტორი ქრონოლოგიურ ჭრილში განიხილავს მოვლენებს საქართველო-რუსეთის მრავალწლოვანი ურთიერთობისა თავისუფლების მოპოვებამდე. ისტორიული ტრავმებით გაჯერებული ნაწარმოები ავტობიოგრაფიული ხასიათისაა. მკითხველი მოგზაურობს ჯერ საბჭოთა საქართველოში, შემდგომ ავტორ-პერსონაჟთან ერთად მიდის „სარკმლამდე“, საიდანაც თავისუფლება მოჩანს.

ავტორი, რომელსაც წლების მანძილზე არწმუნებდნენ - როგორც გაგარინმა კოსმოსში, ასევე, ევროპაში პეტრე პირველმა გაჭრა ფანჯარა - მიდის დასკვნამდე, რომ თურმე საქართველოში ეს ფანჯარა ჯერ კიდევ „კევაზე მოვაჭრე ქურთმა გოზალამ“ გაჭრა. თანაც, გოზალა ისე ხდებოდა ისტორიის ნაწილი, აზრზეც არ იყო! არც მენეჯმენტის ნიჭი აკლდა უდიპლომო გოზალას! კარგად იცოდა, როდის და სად დამჯდარიყო, რომ კარგად ევაჭრა.

საბჭოეთის აბსურდული გარემოს აღწერისას ტრაგიკომიკური ობერტონები ლაიტმოტივად გასდევს ნაწარმოებს. ავტორის თვალსაზრისით, სხვაგვარად ვერც გაიხსენებ მეღნით დათითხნილ მეღნისფერ სამოსში გამოწყობილ საბჭოთა მოწაფეებს (ქართველებს), რომლებსაც ბანაკში ყოფნის დროს რუსი ხელმძღვანელები მშობლიურ ენაზე საუბარს უკრძალავდნენ.

ზოგადად, პირადი პრობლემებით დატვირთულ ადამიანებს არ ანაღვლებდათ ქვეყნის ბედი, არ აინტერესებდათ, რა ხდებოდა, ან რა შეიძლება მომხდარიყო...

ავტორი თვლის, რომ სწორედ კოლონიური ტრავმის შედეგად დაბლაგვებული აზროვნების შედეგია ის ფაქტი, რომ ნორმალური სახელმწიფოს შექმნამდე ჯერ კიდევ დიდი გზაა გასავლელი. სტუდენტების მიერ გარეჯის ამბების გაპროტესტება რომ ტაქსის მძღოლს ღვინო „გარეჯის“ ხარისხის წახდენის გამო მოწყობილი „მიტინგი“ ეგონა, იმაზე მეტყველებს, რომ საზოგადოების დიდმა ნაწილმა დღემდე არ იცის, რა ხდება სახელმწიფოში.

ავტორი 90-იანი წლების თბილისში მიმდინარე პოლიტიკური პროცესებისადმი თავისი თაობის აზრს და პოზიციას აფიქსირებს, მიიჩნევს, რომ განხეთქილება და დაპირისპირება, რაც მაშინ ლიდერთა შორის არსებობდა, ვერც წარმოედგინათ, თუ ტრაგიკული შედეგით - თავისუფლებისთვის ბრძოლიდან ხელისუფლებისთვის ბრძოლაში გადაიზრდებოდა.

ავტორს საკუთარი დამოკიდებულებები გააჩნია ლიდერთა მიმართ. მისი აზრით, ირაკლი წერეთელი ის გულმხურვალე მამულიშვილია, რომელსაც არასოდეს არაფერი მოუთხოვია ჯილდოდ თუ სანაცვლოდ.

ქვეყნის საჭირობოროტო საკითხებისადმი განსხვავებული მიდგომა ხშირად ოჯახური განხეთქილებების მიზეზიც ხდებოდა. ავტორი იხსენებს მომენტს, როცა ციხიდან ახალგამოსულმა ირაკლი წერეთელმა მიტინგზე სიტყვა წარმოთქვა. ხალხიდან ქალმა იყვირა, არ დაუჯეროთ, ეგ ხომ გიჟია, მაგისი დედა ვარ და ვიცი, რასაც ვამბობო. იქნებ, მართლაც ირაკლის დედა იყო, იქნებ - არა, მაგრამ დედა დედაა და ცდილობს, შვილის სიცოცხლე ნებისმიერი ხერხით დაიცვას - პარადოქსულითაც კი...

იმხანად ზვიად გამსახურდიას გარშემო ატეხილი ხმაური, რომ მისი, როგორც პრეზიდენტის, წარუმატებლობის ერთ-ერთ მთავარ მიზეზს ქალთა გარემოცვა წარმოადგენდა, დღემდე აქტუალურია. დათო ტურაშვილი თავს არიდებს ამ საკითხზე

მსჯელობას, თუმცა იხსენებს ფაქტს, რომელსაც შეესწრო: დაპირისპირებულ მხარეთა შორის განხეთქილების აღმოსაფხვრელად, უნივერსიტეტში ერთმანეთს ლიდერები ხვდებოდნენ. ირაკლი წერეთელმა დარბაზში რომ ზვიადის მეუღლე დაინახა, ტურაშვილი გარეთ გაიხმო და სთხოვა, ზვიადისთვის გადაეცა, ქალბატონი მანანა წავიდესო. ზვიადმა რომ ეს მოისმინა, ღიმილით უპასუხა, ირაკლიმ თვითონ უთხრას ეგ მანანას და დარბაზს ვინ დატოვებს, ვნახავთო...

ავტორი-პროტაგონისტი მთხრობელი ეროვნული მოძრაობის ლიდერებზე თავის შეხედულებას გვიზიარებს. ეს ფაქტები მნიშვნელოვანია იმდენად, რომ საზოგადოების აზრს ემთხვევა, წარმოდგენა გვექმნება ეპოქის პულსაციაზე.

თუ ნაირა გელაშვილი აპრილის მოვლენებზე პასუხისმგებლობას ეროვნული მოძრაობის ლიდერებს აკისრებს, დათო ტურაშვილი თვლის, რომ ისინი ეროვნული გმირები იყვნენ, პასუხისმგებლობა კი იმ ხელისუფლებას უნდა დაკისრებოდა, რომელმაც მიტინგის დაშლის მოთხოვნა შეიმუშავა. მწერლის შეხედულებით, ინტელიგენცია იმხანად უნდობლობას უცხადებდა ლიდერებს, ხალხს გაემიჯნა და აქედან წარმოიშვა დაპირისპირებაც.

მკვლევარი ნონა ამბოკაძე მიიჩნევს, რომ სწორედ ხალხსა და ინტელიგენციას შორის დაპირისპირების შედეგად წარმოქმნილი ვაკუუმი ამოავსო დისიდენტურმა მოძრაობამ, რომელსაც ერმა დიდი ნდობა გამოუცხადა. მკვლევრის თვალსაზრისით: „1989 წლის 9 აპრილის აქციების დროს დათო ტურაშვილი სტუდენტი იყო; ამდენად, ინტერესმოკლებული არ არის მისი (ანუ, „შვილების“ თაობის) დამოკიდებულება ინტელიგენციის (ანუ, „მამების“ თაობის) მიმართ. დათო ტურაშვილი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ინტელიგენციის დიდი ნაწილი მოლოდინის რეჟიმში იმყოფებოდა; ამით ავტორი უახლოვდება ოთარ ჭილაძის პოზიციას „მამების“ თაობის შესახებ“ [ამბოკაძე, 2020:196]. ვეთანხმებით მკვლევრის მოსაზრებას და ვთვლით, რომ პარალელი უარესად საინტერესოა.

„ისტერიული რომანი“ სევდიან-ღიმილიანი მოგონებებითაა სავსე. ავტორის გამჭრიახი თვალთ დანახული ძვრები, როცა საზოგადოების იდენტობაში ჩაღეჭილი

ტრავმა ნელ-ნელა „რეაბილიტირდება“, კარგად ჩანს იმ ფაქტში, როცა ავტორი ჯუმბერ პატიაშვილის უნივერსიტეტში სტუმრობის შესახებ საუბრობს.

ცეკას მდივანთან სტუდენტების კამათმა, მათმა დაუსჯელობამ საზოგადოება გააოგნა, შიშის სინდრომი გაქრა, მიტინგებზე ხალხის რაოდენობამ იმატა. მოთმინების ჯებირი, ეპოქალური ძვრების კვალდაკვალ, გაირღვა...

მოგვიანებით, 2017 წელს, ჯუმბერ პატიაშვილი ჟურნალისტთან ინტერვიუში იტყვის: „როგორი ქვეყანაც მინდოდა, ყოფილიყო საქართველო, იქიდან არაფერი დარჩა... ეს ყველაფერი გულს მიკლავს, ვხედავ, როგორ ირყვება საზოგადოება... საზოგადოების დამახინჯება დიდი ხნის წინათ დაიწყო. ვინც სიმართლე თქვა, დაისაჯა, ხოლო დამნაშავენი კვლავ თანამდებობებზე არიან, ისტორიის, აწმყოს, მომავლის, არჩევნების გამყალბებლები. ძნელი საყურებელია გაყიდული საქართველო, ვილუპებით და შიმშილით სიკვდილი გვემუქრება. გადაწყვეტილება ფრთხილად უნდა მივიღოთ... სისულელეებზე ვყვირით, მაშინ, როცა ქვეყანა გაყიდეს. რაც არ არის გაყიდული, ინგრევა, შესყიდული შენობები უყურადღებობით ნადგურდება.“ [ნასყიდაშვილი, 2017 (ელექტრონული რესურსი)].

პატიაშვილიც ისეთივე ფიგურა იყო ისტორიის დაფაზე, როგორც სხვა პოლიტიკოსები.

ავტორი, რომლის სტუდენტური წლებიც საქართველოში ეროვნული მოძრაობის დაწყებას დაემთხვა, ცდილობს, ყურადღება ყველაფერზე გაამახვილოს, ადამიანი-ინდივიდი მთელი თავისი არსით წარმოაჩინოს, იხსენებს ერთ-ერთ ლექტორს, რომელიც „მედროვის მანტიით დამარიშურობდა“ ხელისუფლებასა და ოპოზიციას შორის. „როგორც ჩანს, პრეზიდენტები მიდიან და მოდიან, მონები კი რჩებიან და ჩვენი უბედურებაც სწორედ ეგ არის, რომ მონები ყოველთვის ახალ ბელადს თუ არა, ახალ პრეზიდენტს მაინც ეძებენ და, თუ ვერ პოულობენ, თვითონვე ქმნიან“ [ტურაშვილი, 1991: 107].

ნაწარმოების მიხედვით, საბჭოთა პრესა ავრცელებდა ინფორმაციას მოშიშმილეთა „ვნებათა შეუკავებლობაზე.“ ეს იყო კიდევ ერთი მცდელობა, ლაფში ამოესვარათ

მომიტინგეთა, უფრო სწორად, ლიდერთა სახელები. სამწუხაროდ, იმ ცხელ დღეებში ცნებამ „პატრიოტიზმი“ სხვადასხვაგვარი დატვირთვა შეიძინა.

ავტორის გაოცება ნამდვილად სამართლიანია იმის გამო, რომ მიტინგზე ერთ-ერთმა უნივერსიტეტელმა უთხრა, რუსული ლიტერატურა არც აქამდე წაუკითხავს და არც ამის შემდეგ აქვს სურვილი, ტოლსტოი და დოსტოევსკი გაიცნოს - პატრიოტი ვარო... „მაშინ დარწმუნებული არ ვიყავი, მაგრამ მაინც ვიფიქრე, რომ ზემოთქმული პატრიოტიზმი კი არა, იდიოტიზმი უფრო იყო და ახლა კი ზუსტად ვიცი, რომ სამშობლოს სიყვარული ბეწვის ხიდზე სიარულს ჰგავს და ძალიან დიდი სიფრთხილე და ზომიერება სჭირდება“ [ტურაშვილი, 1991: 113].

ავტორი საინტერესოდ აღწერს, თუ როგორ და რა ფორმით ვლინდებოდა საბჭოთა ტრავმა საზოგადოებაში და როგორ რეაგირებდა მასზე სხვადასხვა სოციალური, პარალელური ავლები ბალტიისპირეთისა და საქართველოს ეროვნულ მოძრაობებსა და მათ გულშემატკივართა შორის. როცა ვილნიუსის მოედანზე ლიტველი მოშიშშილე ნახა, გაუკვირდა - ქართველ მოშიშშილეთაგან განსხვავებით, ის მართლა შიმშილობდა!.. ნამდვილი მოშიშშილე ლიტვაში ვნახეო.....მერე, ირაკლი კაკაბაძესთან ერთად, კარავში რომ შეიხედა, ორმოცდასამი დღის მოშიშშილე გავამხნევოთო, მოშიშშილე კაცის მარცხნივ და მარჯვნივ ადგილები გია ბარამიძესა და ზურაბ ჟვანიას ეკავთ. სასტუმროში ადგილი ვერ ეშოვათ და, როგორც ჟვანიამ აუხსნა, ამ პატიოსან კაცს შეუფარებია.

იუმორით გადმოცემულ ამბავს სევდანარევი მონოლოგით ასრულებს ავტორი - ნეტავ, იმ დროს! მაშინ ჯერ კიდევ ადამიანები ერქვათ და არა ხელისუფალნიო....

ავტორი აფიქსირებს ლიტველი ტაქსის მძღოლის პოზიციას - ქართველებს ჭკუა არ გეყოთ, ცხრა აპრილს რუსებს თავი დაახოცინეთო. საინტერესოა, რას იტყოდა მძღოლი მას შემდეგ, რაც რუსებმა იგივე მათთანაც გაიმეორეს?!..

სამართლიანია ავტორის სინანული, რომ 9 აპრილის ტრაგედიის შემდგომ გამოიკვეთა ჩვენი ცნობიერების ტრაგიკული კონცენტრირება წარსულზე. კოლონიური მარწუხებისაგან გათავისუფლებული ადამიანები მომავლისადმი შიშით

განიმსჭვალნენ, სკეპტიკურად განეწყვნენ საკუთარი შესაძლებლობებისადმი, წარსულიდან „გმირების გამოხმობა“ დაიწყეს - ზოგი დავითს უხმობდა, ზოგი - ცოტნე დადიანს... ის კი, ვინც ჩვენ თვალწინ იდგა, ერის წინამძღოლად მოვლენილი, მარიტასავით ტალახის გუნდების სროლით გავაცილეთ...

რაც შეეხება 1991 წლის თბილისის მოვლენებს, ე.წ. „თბილისის ომს“, ავტორის აზრით, ეს იყო გადატრიალება. მიტინგზე, სადაც ახალგაზრდები ომის შეწყვეტასა და მშვიდობას ითხოვდნენ, ერთი რამ აშკარად გამოიკვეთა - ხალხი მომიტინგეებს შემოეცალა და ეს კი, რაც არ უნდა სავალალო იყოს, ნიშნავდა იმას, რომ არავის ანაღვლებდა, ომი შეწყდებოდა თუ არა...

ოფიცერთა სახლის წინ, პროტესტის ნიშნად, ახალგაზრდა ექიმმა, გია აბესაძემ, თანამემამულეთა გამოსაფხიზლებლად, ბენზინი გადაისხა და თავი დაიწვა. ამ დროს კი, ომის პარალელურად, არცთუ მოშორებულ უბნებში, ხალხი ჩვეულებრივი ცხოვრებით ცხოვრობდა. „მაგრამ ისინიც კი, მაინც მოდიოდნენ რუსთაველზე ნამდვილი ომის სანახავად“ [ტურაშვილი, 1991:147] - მწერალი უკომენტაროდ ტოვებს ტრაგიკულ ფრაზას.

„ჩვენ-ჩვენი ცხოვრება“ რომ არ ყოფილიყო უმთავრესი ყველგან და ყოველთვის, თავისუფალი საქართველოს პირველი პრეზიდენტის დიდ თავგანწირვას მცირე შეცდომების ნისლში არ გავხვევდით, არ გავიმეტებდით და ქართველობას არ ვანანებდით (თუმცა, ისიც ხომ უდავოა, მიუხედავად ყველაფრისა, სამშობლოსადმი თავდადებას თვითონ არასოდეს ინანებდა!).

ავტორი აქცენტირებს ბედს დევნილობიდან დაბრუნებული პრეზიდენტისა, რომელიც ღამეს ნადირთა გარემოცვაში ატარებს და სამეგრელოს ტყეში ასრულებს სიცოცხლეს - „ამერიკის ვერც ერთი პრეზიდენტი ვერ წარმოიდგენდა მთიანი სამეგრელოს იმ ტყეს, სადაც მეოცე საუკუნის ბოლოს მათი ქართველი კოლეგა ჩირალდნით ხელში ებრძოდა ველურ სიბნელეს“ [ტურაშვილი, 1991:152]. ფრაზის უკანასკნელი სინტაგმა მკვეთრად აფიქსირებს მწერლის პოზიციას.

„იყო და არა იყო რა“ საქართველოს საბჭოურ და პოსტსაბჭოურ საზოგადოებრივ ტრავმათა შედეგების ამსახველი ნაწარმოებია, სადაც გამოკვეთილია აღნიშნული მოვლენებისადმი ავტორის დამოკიდებულება. ტექსტის გაცნობა საშუალებას გვაძლევს ჩავუღრმავდეთ მოვლენებს, რომელთაც საბჭოთა კავშირის ნგრევა გამოიწვია; გვეხმარება, გავაანალიზოთ ჩვენი ქმედება ცხრა აპრილის მოვლენებიდან მოყოლებული, დაკავშირებით და გამოვიკვლიოთ, რა იყო ჩვენი, როგორც დამოუკიდებლობის მაძიებელი ერის, შეცდომები. წიგნი გვიბიძგებს გავაგრძელოთ ეს ისტორია, თანაც ისე, რომ ფაქტების გასაჯაროება მწარე ღიმილს და სინანულს არ გგვრიდეს.

როსტომ ჩხეიძის ისტორიულ-ბიოგრაფიული ჟანრის რომანი, „ეკლის გვირგვინი“ საქართველოს უახლესი ისტორიის ფურცლებს აცოცხლებს. წიგნი-ისტორია ზვიად გამსახურდიას ცხოვრების ტრაგიზმს ირეკლავს.

როსტომ ჩხეიძის ნაწარმოებების გაანალიზებისას, მკვლევარი ნონა ამბოკაძე ხაზგასმით აღნიშნავს ავტორის გასაოცარ უნარს - დოკუმენტურ მასალაზე დაყრდნობით შექმნას საინტერესო მხატვრული ნაწარმოებები, სადაც ობიექტური შეფასებებია იმ მოვლენებისა, რომლებიც ტრავმული მეხსიერების სახით ჩაიკირა მთელი ქართველი ერისა თუ კონკრეტულ პიროვნებათა ცნობიერებაში. მკვლევრის თვალსაზრისით: „ზოგადად, ბიოგრაფიული ხასიათის რომანში დოკუმენტური მასალის მშრალად წარმოჩენა ნაკლებად საინტერესოა და ზოგჯერ ტექსტის ბოლომდე წაკითხვის სურვილსაც უკარგავს მკითხველს; თუმცა, გასაანალიზებელი რომანის ავტორი ისტორიული ფაქტების მხატვრულად წარმოსახვის დიდოსტატად გვევლინება“ [ამბოკაძე, 2020:98]. ვიზიარებთ რა მკვლევრის მოსაზრებას, იმასაც დავძენთ, რომ როსტომ ჩხეიძეს შესწევს უნარი, მტკივნეულ თემებსაც წარმოუდგენელი ტაქტით შეეხოს.

კოლონიალური ყოფა, მის ნიადაგზე აღმოცენებული ტრავმული მეხსიერება აღმოჩნდა ბიძგი, რომელმაც საბჭოთა კავშირის რღვევა განაპირობა.

მათ შორის, ვინც დიდ იმედებს ამყარებდა საბჭოეთზე, თვლიდა, რომ ეს იყო ის, რაც კაცობრიობის ყოფას უკეთესობისკენ შეცვლიდა, გახლდათ ფრანგი მწერალი ანდრე ჟიდი. საბჭოთა კავშირში ერთთვისანი მოგზაურობის შემდეგ მან გამოიტანა დასკვნა: „არც ერთ ქვეყანაში, თვით ჰიტლერულ გერმანიაშიც კი, არ არის აზრის თავისუფლება ისე შეზღუდული და დათრგუნული, როგორც საბჭოთა კავშირში“ [გაფრინდაშვილი, 2012:199].

მიუხედავად რეპრესიებისა, ქვეყანაში მაინც არსებობდა დისიდენტური მოძრაობა. აწმყო-წარსულის გონივრულად გააზრებამ განაპირობა პროცესები, რომელთა განხილვაც შეუძლებელია ზვიად გამსახურდიას პიროვნების გააზრების გარეშე.

ნაწარმოების მიხედვით (ტექსტის ყოველი დეტალი ისტორიულ ფაქტებს ეყრდნობა), ზვიად გამსახურდიას პიროვნულ ტრავმას განაპირობებდა სახელმწიფოს მხრიდან განსხვავებულად მოაზროვნეზე მუდმივი იდეოლოგიური ზეწოლა. ზვიადი არასოდეს დარჩენილა გავლენიანი მამის ჩრდილქვეშ.

ნაწარმოები ზ. გამსახურდიას ეროვნული მოძრაობის ლიდერობიდან ჯიხაშკარამდე განვლილ გზას აღგვიწერს. მიუხედავად იმისა, რომ ავტორის სტილური მანერა თავშეკავებულია, ნაწარმოებში აშკარად იკვეთება პოზიცია - მწერალმა კარგად იცის, რა ამომრავებდა ზვიად გამსახურდიას!

როსტომ ჩხეიძე აქტიურად იყენებს დეკონსტრუქციის მეთოდს. მისთვის, როგორც მკვლევრისთვის, დამახასიათებელია კლასიკურ ქმნილებებში სიახლეთა ძიება, შეუმჩნევლის აღმოჩენა. ლევან ბრეგაძე აღნიშნავს: „ფართო ინტერესების მქონე მწერლის დეკონსტრუქციული ანალიზები სიღრმით, მახვილგონივრულობით, კარგად ცნობილი ტექსტების ახლებური, მოულოდნელი კუთხით წაკითხვა-ინტერპრეტაციით გამოირჩევა და ცხოველ ინტერესს, აზრთა შეხლა-შემოხლას (ზოგჯერ აჟიოტაჟსაც!) იწვევს, აცოცხლებს ჩვენს სამწერლო ცხოვრებას“ [ბრეგაძე, 2008; 221].

გავრცელებული თვალსაზრისით (რაც ზემოთ ჩვენც აღვნიშნეთ), 90-იანი წლების პოსტსაბჭოური ტრავმა და მოვლენათა გაცნობა-გაანალიზება შეუძლებელია ზვიად გამსახურდიას პიროვნების გათვალისწინების გარეშე.

აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ, თუ ნაირა გელაშვილის რომანში „პირველი ორი წრე და ყველა სხვა“, ზვიად გამსახურდია ანტიგმირად წარმოჩნდება, როსტომ ჩხეიძე დამოუკიდებელი საქართველოს პირველი პრეზიდენტის რეალურ სახეს (თავისი დადებითი და უარყოფითი მხარეებით) წარმოაჩენს ნაწარმოებში „ეკლის გვირგვინი“, რომელიც ზვიად გამსახურდიას მოღვაწეობის ობიექტური სახით წარმოჩენის მნიშვნელოვანი მცდელობაა.

ავტორის პოზიცია აშკარად იკვეთება ნაწარმოების შესავალშივე, სადაც იგი პარალელს ავლებს ირლანდიის ეროვნული მოძრაობის წინამძღოლს, ჩარლზ პარნელსა და ზვიად გამსახურდიას შორის: ირლანდიელებმა წინამძღოლის თხოვნა - ნუ ჩამაგდებთ ინგლისელი მგლების ხელში, ყმულით რომ გარს მივლიანო, „შეისმინეს და თვითონვე გაგლიჯეს“, ზ. გამსახურდიას სიცოცხლის უკანასკნელი დღეებიც ხომ ტყესთან, მგლების ყმულითან ასოცირდებოდა. ზვიადის სურვილიც ხომ ის იყო - არ ჩავარდნილიყო რუსი „მგლების“ ხელში. ის ჩვენვე დავგლიჯეთ ნაწილ-ნაწილად.

როსტომ ჩხეიძე, ისევე, როგორც იმ თაობის ინტელიგენციის წარმომადგენელთა უმრავლესობა, სკეპტიკურად უყურებს ზ. გამსახურდიას მონანიების მამულიშვილური მისიის სარჩულით ახსნის ვერსიას. აღნიშნული ფაქტის გამო საზოგადოების ნაწილმა გამსახურდია გარიყა და აითვალისწუნა. მწერალთა კავშირიდან მისი გარიცხვის მომხრე იყო თითქმის ყველა მწერალი.

ნაწარმოებში მოყვანილი ტექსტების მიხედვით, წარმოდგენა გვექმნება მწერალთა ყრილობაზე ზ. გამსახურდიასთან დაპირისპირებაზე. მწერალთა უმრავლესობა თვლიდა, რომ ზ. გამსახურდია ნამდვილად იმსახურებდა გარიცხვას; უმცირესობა კი, განსხვავებული აზრი რომც ჰქონოდა, საჭირო გამამართლებელი არგუმენტების არარსებობის გამო, იძულებული იყო, თანხმობა ეთქვა და ამის გამო მთელი ცხოვრება სინდისის ქეჯნაში გაეტარებინა.

ეს იყო კიდევ ერთი ფსიქოლოგიური ტრავმა და წნეხი საზოგადოებისათვის.

ნაწარმოებში მოყვანილი ფაქტები საფუძველს გვაძლევს დავეთანხმოთ დასკვნას, რომ ზვიად გამსახურდიას ავტორიტეტი არა მარტო ცნობილმა მონანიებამ შეზღავნა, არამედ

- იმ განცხადებებმა, რომელთა მიხედვითაც ყველას, ვინც მის აზრს ეწინააღმდეგებოდა, გამსახურდია „სუკის აგენტად“ მოიხსენიებდა.

ავტორი ქრონოლოგიურ ჭრილში განიხილავს მოვლენებს და ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ზვიადის, როგორც პოლიტიკური ფიგურის, რეაბილიტაციის საქმეში უდიდესი როლი შეასრულა მერაბ კოსტავამ, რომლის სუფთა წარსულმა შეიფარა და გადაალახინა ყველას ეჭვი, რომელიც ზ. გამსახურდიას წინ დაბრკოლებად აღმართულიყო. ზემოთქმული განაპირობა იმ ფაქტმა, რომ ყველაზე უკეთ მას მ. კოსტავა იცნობდა და არ ეგულებოდა პიროვნება, ვინც ეროვნულ მოძრაობას გამსახურდიაზე უკეთ წარმართავდა.

რომანის თანახმად „ლიხნის წერილის“ გაქდერება დამოუკიდებლობის მოთხოვნას ამძაფრებს და მასათა მღელვარებას განაპირობებს. მოვლენათა ეპიცენტრში ზვიად გამსახურდიაა - „მოუთვინიერებელი“ პატრიოტი. ფეხდაფეხ მივყვებით ეროვნული მოძრაობის ლიდერის მიერ განვლილ გზას. ნებისმიერი ირაციონალური მოვლენა, განსაკუთრებით, როცა საქმე მასების მოძრაობას ეხება, ტოვებს კვალს, რომლის ობიექტური ანალიზი აუცილებელია.

ნაწარმოებში 9 აპრილის ღამის მოვლენებიც არის გაშუქებული. აღნიშნული თემა არაერთხელ განხილულა ფართო ისტორიულ კონტექსტში. ლიტერატურულ ანალიზზე შევჩერდებით.

პატრიარქის თხოვნას, დაშლილიყვნენ და ლოცვა სიონში გაეგრძელებინათ, მომიტინგეთა „არა“ ეგებება. ეროვნული მოძრაობის ლიდერს დიდი გავლენა ჰქონდა მასაზე, მაგრამ, როგორც ავტორი აღწერს, გამსახურდიას ხელს აღარ აძლევდა ხალხის დაშლა. ნაწარმოების მიხედვით, ხშირად საუბრობდნენ იმაზე, რომ ზვიადს სიხარულსაც კი მოგვრიდა პატრიარქის გაწბილება, რადგან მათ შორის უკვე უთანხმოება ჩამოვარდნილიყო.

ავტორის თვალსაზრისით, გამსახურდიას კიდევ რომ მიემართა მომიტინგეებისთვის, არავინ იცის, რას მოიმოქმედებდნენ, მაგრამ ფაქტია - მან ეს არ გააკეთა! თუმცა, გასათვალისწინებელია, რომ წინა სადამოს გაკეთებულ მის

განცხადებას - ქალები და ბავშვები შინ გაბრუნდით და აღარ მოხვიდეთო, არავინ დაემორჩილა.

ავტორი აღნიშნავს, რომ გამსახურდიას სინანულს განაცდევინებდა ეს ფაქტი და მომიტინგეთა დაშლაში პასიურობას ერთადერთი მიზეზით ხსნიდა - ეს რომ გამეკეთებინა, მოლაღატედ გამომაცხადებდნენ, ვერაფერს გავაწყობდიო. ალბათ, ასეც იქნებოდა, ხალხს აზრს ვერავინ შეაცვლევინებდა.

ავტორი აღნიშნავს, რომ მოვლენები ისეთ სახეს იძენდა, მათი მართვა თვით ზვიად გამსახურდიასაც კი უჭირდა. რუსული ჯარი მომიტინგეებს მომწამლავი გაზით, ხიშტებით, ხელკეტებით, ორლესური ნიჩბებით უსწორდებოდა. ფსიქიკურ ტრავმას ფიზიკური ერწყმოდა... „პროტესტანტებს ალყაში იქცევდნენ, რათა მეტი დაესახიჩრებინათ, ნიშნის მოგებით მისდევდნენ, ესეც თქვენი სტალინისთვისო და ხარხარებდნენ: „გარბიხართ, პატრიოტებო, გარბიხართ, არა? ეგეც თქვენი დამოუკიდებლობა, ეგეც თქვენი თავისუფლებაო“ [ჩხეიძე, 2015: 176].

ნაწარმოებში, სადაც ავტორი ზომიერად თავშეკავებულია, ვკითხულობთ: „იქნებ, არ ღირდა პროცესის დაჩქარება, მოვლენათა რევოლუციური ამოძრავება და ევოლუციურ გზას, თანდათანობით, ოღონდ შეურიგებელ, დაუმორჩილებელ პოლიტიკას ეროვნული მოძრაობის მხრიდან ისედაც მოჰყოლოდა დამოუკიდებლობის გამოცხადება, მოჰყოლოდა უმსხვერპლოდ?“ [ჩხეიძე, 2015: 178].

ეს „იქნებ“ არავინ იცოდა, როდის იქნებოდა (ან თუ იქნებოდა საერთოდ), მაგრამ რომც სცოდნოდათ, ესკალაციის პროცესი ისეთ ფაზაში იყო, თვით გამსახურდიასაც კი აღარ შეეძლო აზვირთებული მდინარის შეჩერება. რეალობიდან გამომდინარე, 9 აპრილი მოიაზრება როგორც გამარჯვების, ასევე - ტრაგედიის დღედ.

ნაწარმოებში გამჟღავნებულია საზოგადოების აზრი იმის შესახებ, რომ როცა იმპერია გველემშაპად მოიაზრება, ქალები და ბავშვები საკუთარი ხელით არ უნდა ჩაუსხა ხახაში - ეს იყო კიდევ ერთი ბრალდება, ზ. გამსახურდიას მისამართით გაჟღერებული.

როსტომ ჩხეიძის აღნიშნული ნაწარმოები განსხვავებული აზრის გაცხადების მცდელობაცაა. ავტორი ყურადღებას ამახვილებს საზოგადოების გახლეჩაზე.

ავტორი თვლის, რომ გაუცნობიერებლად დაგეგმილი ვიზიტი ცხინვალში კიდევ ერთი ირაციონალური ქმედება იყო, რაც კიდევ უფრო ძაბავს ისეც დაძაბულ ქართულ-ოსურ ურთიერთობებს. როსტომ ჩხეიძეს აღუნიშნავი არ რჩება ნ. გელაშვილის მოსაზრებანი, რომელნიც მაჰმადიან მესხთა ჩამოსახლების აუცილებლობას შეეხებოდა. ავტორი თანაგრძნობითაა განმსჭვალული მწერალი ქალისადმი, რომელსაც ამ საკითხზე მცდარი შეხედულებაც რომ ჰქონოდა, „მოღალატის“ სტატუსს და სხვადასხვა სახის შეურაცხყოფას არ იმსახურებდა, თუნდაც მხოლოდ იმიტომ, რომ ნაირა გელაშვილმა, „1988წ 22 ოქტომბერს, ხელისუფლების წარმომადგენლები სახალხოდ დაადანაშაულა და მწერალთა კავშირის რიგებიდან დაუმსახურებლად გარიცხული ზვიად გამსახურდიას მწერალთა კავშირის რიგებში აღდგენა მოითხოვა“ [ჩხეიძე,2015:199].

როსტომ ჩხეიძე ქრონოლოგიური სიზუსტით მისდევს მოვლენებს. ნაწარმოების მიხედვით, ჯაბა იოსელიანის „შეიარაღებული ძალა“ საბედისწერო პრობლემებს უქმნიდა დამოუკიდებელ საქართველოს და მის პირველ პრეზიდენტს. „ჩაუშესკოს“ შეძახილებით დგანან მოწინააღმდეგენი მთავრობის სახლთან. ჯაბა არ ემორჩილება სახელმწიფო კანონებს, რადგან მას თავისი კანონები აქვს!.. არც პრეზიდენტი მიდის დათმობაზე... ნაწარმოებში დეტალურად და სარწმუნო ცნობებითაა დადასტურებული ფაქტი, რომ რუსეთი უზარმაზარ რესურსს იყენებდა საქართველოს ეროვნული მთავრობის დასამხობად. უდიდესი „წვლილი“ მიუძღოდა ედუარდ შევარდნაძეს. ამ უკანასკნელის წყალობით, მოგვიანებით, დაუმორჩილებლობის გამო, ჯაბა იოსელიანი და თენგიზ სიგუა ციხეში ამოყოფენ თავს, რაც პრეზიდენტმა გამსახურდიამ ვერ შეძლო.

ავტორი აღწერს ზ. გამსახურდიას მიერ მთავრობის სახლის დატოვების სცენას. ტყვიების ზუზუნში დედაქალაქს გარიდებული პრეზიდენტის გარემოცვა ჩეჩნეთიდან გამოგზავნილი ვერტმფრენით აფრინდება. გვარდიელები გეგმის სისრულეში მოყვანას ვეღარ ახერხებენ. „ამბოხებულთა“ შორისაა პრეზიდენტის შეპყრობის სურვილით აღტყინებული გიორგი შენგელაიაც (ფასეულობათა გადაფასების შემდგომ, როგორც

ბევრი სხვა, ისიც თვლიდა, რომ, შესაძლებლობის შემთხვევაში, წარსულში ბევრი რამის შეცვლას ისურვებდა).

„ეკლის გვირგვინი“, რომელიც როსტომ ჩხეიძის წინა წლებში გამოცემულ ორ ნაწარმოებს აერთიანებს („თუ საწუთრომან დამამხოს“ (1998წ.) და „ძველი ხიბულას საიდუმლოება“ (2010წ.), ჯიხაშკარამდე „მიაცილებს“ დამოუკიდებელი საქართველოს პირველ პრეზიდენტს. წიგნი ბიოგრაფიული რომანის ჟანრს განეკუთვნება და განიხილება, როგორც ნიმუში პოსტკოლონიური ტრავმისა (ნაწარმოები სწორედ ამ კუთხით გახდა ჩვენთვის საინტერესო). ავტორი ობიექტურად, ყოველგვარი შელამაზების გარეშე გადმოგვცემს 90-იანი წლების რეალურ სურათს, გვაცნობს მოწამებრივ გზას ამ პერიოდის მოვლენების ერთ-ერთი უდიდესი ფიგურის, ზვიად გამსახურდიასი, რომელმაც, მიუხედავად უდიდესი ქართველებისა, მაინც შეასრულა უდიდესი მისია - დამოუკიდებელი საქართველოს დროშა ააფრიალა.

9 აპრილის შემდგომი პერიოდი ტრაგიკული მოვლენებით აღიბეჭდა საქართველოს ისტორიაში. ეს იყო პოსტსაბჭოურ ტრავმათა განცდა-გაცნობიერების ეპოქა, რომელიც იმდენად სტრესული აღმოჩნდა, რომ ყოველი შემდგომი თაობა მის ერთგვარ „მძევლად“ იქცა. სამოქალაქო ომმა მოშალა სახელმწიფო, მართვის სტრუქტურა. ეროვნული მოძრაობის ლიდერებს უპირისპირდებიან სხვადასხვა დაჯგუფების ლიდერები. იქმნება „ეროვნული გვარდია“, მხედრიონი“, ჩნდება „შავნაბადას“ ბატალიონი, რომელმაც განსაკუთრებულად გამოიჩინა თავი საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის შენაარჩუნებისათვის ბრძოლაში.

ეროვნული გვარდია შეიქმნა 1990 წლის 20 დეკემბერს. ის იყო პირველი სამხედრო ფორმირება, რომლის ბაზაზეც ჩამოყალიბდა და განვითარდა ქართული შეიარაღებული ძალები. „XX საუკუნის 90-იან წლებში საქართველოს ერთიანობისთვის წარმოებულ ბრძოლებში ეროვნული გვარდია წარმოადგენდა ქართული შეიარაღებული ძალების ძირითად ბირთვს. 600-ზე მეტმა გვარდიელმა სამშობლოს ერთიანობასა და თავისუფლებას სიცოცხლე შესწირა“ [ეროვნული გვარდია, 2012(ელექტრონული რესურსი)].

ე. წ. სამხედრო-პატრიოტული ორგანიზაცია, რომელიც „მხედრიონის“ სახელით მონათლა და რომელსაც უამრავი ცუდი საქმე მიეწერებოდა, 1989 წელს ჩამოყალიბდა. ეს იყო „პლექანოველი, „ოქროსუბნელი“ და საბურთალოელი „ძველი ბიჭების“ გაერთიანება, რომლის ერთ-ერთი დამაარსებელი და ხელმძღვანელი იყო „კანონიერი ქურდი“ ჯაბა იოსელიანი“ [აფციაური,2017(ელექტრონული მისამართი)].

სამხედრო გადატრიალების მოწყობაში, 1992 წლის დასაწყისში ზვიად გამსახურდიას ხელისუფლების დამხობაში განსაკუთრებული „წვლილი“ მიუძღოდა , ჯაბა იოსელიანს. „1992 წლის 2 თებერვალს თამარ მეფის გამზირზე „მხედრიონის“ და გვარდიის მიერ უკვე იყო დახვრეტილი ზვიადისტების მანიფესტაცია. უკვე შექნილი იყო „მხედრიონი“, რომელიც, გვარდიის მსგავსად, თითქმის ორი მესამედით ჩვეულებრივი ყაჩაღებისგან შედგებოდა“ [კალანდაძე, 2011) ელექტრონული რესურსი)].

მოგვიანებით, ჯაბა იოსელიანი წიგნში „სამი განზომილება“ ქრონოლოგიური სიზუსტით აღწერს ყველაფერს, რაც საზოგადოებისთვის საინტერესოდ მიაჩნია. ნაწარმოების მიხედვით, ამბოხისთვის დაპატიმრებულ იოსელიანს ციხიდან ზვიად გამსახურდიასთან დასაპირისპირებლად უშვებენ. ახლა მისი ლოზუნგია: „პრეზიდენტი, რომელიც სამოქალაქო ომამდე მიიყვანს თავის ქვეყანას, უნდა გადადგეს!“ [იოსელიანი, 2007:36].

ზვიად გამსახურდიას უპირისპირდებიან ჯაბა იოსელიანი, თენგიზ სიგუა და თენგიზ კიტოვანი. მათთან ერთად - მათი გარემოცვა და ყველა ხელმოცარული, ვისი „აზრის“ გათვალისწინებაც არ, ან ვერ შეძლო გამსახურდიამ

ზვიადთან ბრძოლა იგივე ეროვნულ ცნობიერებასთან დაპირისპირებაა, რადგან პრეზიდენტი ხალხის რჩეულია (მისი გარდაცვალება დღემდე არ სჯერათ მის გულშემატკივრებს). სწორედ ამიტომ დიდი ძალისხმევა იყო საჭირო მის დასამხობად.

ხელისუფლის წინააღმდეგ აგორებული პროვოკაციის ერთ-ერთი საბაზი ცხინვალის პრობლემაა. ჯაბა იოსელიანს, ფაქტია, მოსწონს, როცა მტერი მის წისქვილზე ასხამს წყალს: „ოსებმა კაცი გამომიგზავნეს, „ბეტეერებით“ დაგეხმარებით, თუ პირადად შენ

გჭირდებაო - ისინი ხომ თავის პირველ მტრად გამსახურდიას მიიჩნევენ“ [იოსელიანი, 2007:74].

სამწუხაროა, საერთო მტრის წინააღმდეგ არ იკვრება ერი. საბჭოეთის ნგრევის პირობებში ეროვნული ძალების მობილიზება და აღზევება მსხვერპლს მოითხოვდა. როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, ზვიად გამსახურდიას „მონანიება“ სხვადასხვაგვარად იქნა აღქმული. თავის დროზე, ალბათ, ასეთივე ხმაური გამოიწვია ვახტანგ VI-ის გამაჰმადიანებამაც, მაგრამ ისტორიამ ნათელი მოჰფინა მეფის განზრახვას - ქვეყნის საკეთილდღეოდ იქნა ეს ნაბიჯი გადადგმული.

ჯაბა იოსელიანისთვის ზვიადის „მონანიება“ მიუღებელია: „ჩვენი ეროვნული მოძრაობის ზოგიერთი ლიდერისა და ინტელიგენციის დიდ დანაშაულად მიმაჩნია ის მკრეხელური პოზიცია, რითაც გამსახურდიას ამ გამცემლურ აქტს გამართლება მოუძებნეს, „ტაქტიკური სვლა“ უწოდეს“ [იოსელიანი, 2007:17].

იოსელიანის შეხედულებები, მისი მოღვაწეობის პერიოდი იმდენადაა ჩვენთვის საინტერესო, რამდენადაც საქართველოს უახლეს ისტორიაში გვერდს ვერ ავუვლით მის პერსონას. საზოგადოებრივი ტრავმის ერთ-ერთი მიზეზი სწორედ ჯაბა იოსელიანის „მოღვაწეობაა“. „რა კვალი დაატყო ჯაბა იოსელიანმა 90-ანი წლების პირველ ნახევარში საქართველოს პოლიტიკურ ყოფასა და ახალგაზრდა თაობის საგრძნობი ნაწილის მსოფლმხედველობას, თავისთავად ცხადი სულაც არ არის. კერძო საუბრებში ახლაც ხშირად მოისმენთ, რომ ამ პერიოდის თბილისის გადაქცევა ახალგაზრდა განგსტერებისა და ნარკომანების ქალაქად დიდწილად განსაზღვრა ჯაბა იოსელიანის მოტანილმა წესებმა“ [პაიჭაძე, 2003 (ელექტრონული რესურსი)].

თავად იოსელიანი ასე ხსნის თავის მოქმედებას: „მთელი ჩემი ცხოვრება დღენიადაგ მხოლოდ ერთ რამეზე ვფიქრობ: ჩემო სამშობლოვ, მე შენ მიყვარხარ!“ [კახიძე, 2003 (ელექტრონული რესურსი)]. „სამშობლოს სიყვარული“ სხვადასხვაგვარად ესმოდათ ზვიად გამსახურდიას და ჯაბა იოსელიანს...

ქართველთა ეროვნული იდენტობის ძიების პროცესებთან დაკავშირებული მასალის განხილვისას გვერდს ვერ ავუვლით ოთარ ჩხეიძის შემოქმედებას. 90-იანი წლების

დამანგრეველი პერიოდი, რომელიც კოლექტიური ტრავმის ახალ ეტაპად იქცა, საინტერესოდ და ღრმა ფილოსოფიური მიდგომით აქვს გადმოცემული ნაწარმოებებში „არტისტული გადატრიალება“, რომელსაც ჩვენს კვლევაში ერთხელ კიდევ უნდა ჩავუღრმავდეთ.

ნაწარმოები, სადაც ავტორის სტილი ირონიულ-სატირულია, თამამად ამხელს მასად ქცეული ხალხის გაუცნობიერებელ ქმედებებს. მწერალი მიუკერძოებელია და სწორედ ამიტომ მისი შემოქმედების შინაარსი ნებისმიერი პოზიციის მქონე მკითხველისთვის მისაღები. მკვლევარ ლია კუხიანიძის თვალსაზრისით: „მწერალს ტოტალიტარული სიცრუის ეპოქაში მოუხდა ცხოვრება, ისეთ დროს, როცა სიმართლის თქმა დიდ გმირობას ნიშნავდა, ხოლო სიმართლისთვის გვერდის ავლა ერის, საკუთარი თავისა და ღვთის დალატი იქნებოდა“ [ვახანია,2009:85].

მწერალი პოსტკოლონიურ სივრცეში არ მოერიდა უახლესი ისტორიის ლიტერატურულ ანალიზს. მაშინ, როცა მწერალთა უმრავლესობა, გარკვეული მიზეზების გამო, დუმილს ირჩევს, ოთარ ჩხეიძე ბედავს ხმამაღლა ისაუბროს და საზოგადოებას ამცნოს ქართული ყოფის ტრაგიზმის შესახებ. მისი შემოქმედება ჩვენი ქვეყნის ისტორიის საინტერესო კუთხით წარმოჩენაა. მკვლევარი ნანა კუცია ჟამის რეფლექსიაზე საუბრისას, იმოწმებს ლია ყატაშვილის საინტერესო თვალსაზრისს: „ნამდვილ ეროვნულ ფესვებზე ამოზრდილი ეს საოცარი პროზა კიდევ დიდხანს დაიუნჯებს თავს მასობრივი მკითხველისაგან - მემატანეებს ხომ თანამედროვენი არ კითხულობენ, მათ შთამომავლები ეწაფებიან ხარბად“ [კუცია, 2015:164].

როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, „არტისტული გადატრიალების“ პერსონაჟთა შეუცვლელი გვარ-სახელები ფაქტების რეალობაზე, ავტორის მიუკერძოებლობაზე მეტყველებს. ოთარ ჩხეიძის, როგორც მწერლის ხედვა ღრმა ფილოსოფიურია. პროფესორ ლელა მელაძის თვალსაზრისით: „ოთარ ჩხეიძის, როგორც დიდოსტატის თვალი, აბსოლუტურად უჩინარ, ერთი შეხედვით, მექანიზებულ პროცესებშიც კი ისეთ სიფხიზლეს იჩენს, გაგიკვირდებათ.[...] ესაა მობილიზებული გულის, გონებისა და ეპოქის სულისკვეთებისადმი უნდობლობით წამოსული ქვეცნობიერი სიფხიზლე“ [მელაძე, 2018:23]. ესაა რეალობის ობიექტურად აღქმის უნარი.

ნაწარმოების მთავარი ლიტერატურული პერსონაჟი საქართველოს პირველი პრეზიდენტია, სადაც მისი წარმატებებით და წარუმატებლობით სავსე ისტორიაა გადმოცემული. ანა იმნაძის თვალსაზრისით: „ოთარ ჩხეიძის „არტისტული გადატრიალება“ ერთ-ერთი, და შეიძლება ითქვას, ყველაზე სრულყოფილი მხატვრული ტილოა, სადაც აღბეჭდილია ზვიად გამსახურდიას, როგორც პრეზიდენტის სახე და ბედისწერა“ [იმნაძე,2013:69].

პირველი პრეზიდენტისადმი ავტორის დამოკიდებულება თითქოს ცვალებადია, ხან ირონია ქარბობს, ხან - თანაგრძნობა. სათაურიდან გამომდინარე, პროცესები, რომელიც 90-იანი წლების საქართველოში მიმდინარეობს, არტისტული გადატრიალებაა - ადამიანების მიერ საკუთარი როლის მოძებნისა და დამკვიდრების საუკეთესო დრო დამდგარიყო.

მწერალი ცდილობს, ახსნას, თუ რა მიზეზი იყო იმისა, რომ გარკვეული მასები პრეზიდენტს აშკარად დაუპირისპირდნენ - არავინ აპატიებდა ცნობილი მამის შვილობას და უდარდელ ბავშვობას; ქვებს ისე ესროდნენ, თითქოს ყველა უცოდველი იყო... ზვიად გამსახურდიას არც სამშობლოს ღალატი შეეძლო და არც იმ ერთგული გარემოცვისა, რომელთა სიცოცხლის უსაფრთხოების გამო დატოვა სამშობლო. მისთვის ყველაზე მთავარი სულიერი ფასეულობები და ის პასუხისმგებლობა იყო, რომელიც ქვეყნის წინაშე გააჩნდა.

უნდა აღინიშნოს, რომ უახლესი ისტორიის ჯერ კიდევ „გაუცივებელი“ ფაქტების გაცხადებას საზოგადოებაც და კრიტიკოსებიც დუმით შეხვდნენ. ნინო ვახანიას თვალსაზრისით, ეს მხოლოდ გაუბედაობისა და შიშის ნიშანია მავანთა წინაშე. სამაგიეროდ მწერალი, როგორც ერის ხმა, გაბედულია!... „არტისტული გადატრიალება“ მწერლის განსხვავებული სტილისა და ენობრივი ქსოვილის ტიპური ნიმუშია. ნინო ვახანია ღია კუხიანიძის თვალსაზრისს იზიარებს: „მწერლის მიზანი ის კი არ არის, ქართველებს გვითხრას, რა ცუდები ვართ. უფრო გაფრთხილებაა სამომავლოდ, სარკის მიტანაა, სახეზე ურიგობის ჩვენებაა, მოწოდებაა შეცვლისკენ, გამოსწორებისკენ“ [ვახანია,2009:94].

მწერლის მისიაა, საზოგადოება შეცდომებზე დააფიქროს, მაგრამ არც ერთ ფრაზაში არ იკითხება არპატიება, ნონა ამბოკაძის თვალსაზრისით; მკვლევარი თვლის, რომ, ნაირა გელაშვილის მსგავსად, ოთარ ჩხეიძეც ხმამაღლა ამხელს მიტინგის ორგანიზატორთა შეცდომებს, მაგრამ, მისგან განსხვავებით, პასუხისმგებლობას არ აკისრებს: „ოთარ ჩხეიძე პირუთვნელად აღწერს ფაქტებს, არ ალამაზებს სიტუაციას; თუმცა, არც ბრალმდებლის როლში გვევლინება. მწერალი ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ მიტინგის ორგანიზატორთა სურვილი, ეხსნათ სამშობლო საბჭოთა იმპერიის მარწუხებისაგან, აბსოლუტურად გულწრფელი იყო, მაგრამ - ბოლომდე ვერგათვლილი“ [ამბოკაძე, 2020:190].

მკვლევრის შეხედულებით, ორგანიზატორთა მიერ დაშვებული შეცდომების გამო მწერალი მათ მიმართ თანაგრძნობითაა განმსჭვალული. ოთარ ჩხეიძე ქრონოლოგიურად, დოკუმენტური სიზუსტით აღწერს საქართველოს უახლესი ისტორიის ტრაგიკულ მოვლენებს.

საზოგადოებრივი ტრავმა სხვადასხვა საუკუნის ფონზე იშლება. ნაწარმოების სიუჟეტურ ქარგაში წინარე საუკუნეების ისტორიული გმირებისა და მოვლენების შემოყვანით, ავტორი აშკარად ცდილობს, პარალელი გაავლოს და მკითხველი დააფიქროს, აშკარა თანაგრძნობას გამოხატავს 90-იანი წლების მოვლენების ეპიცენტრში მყოფი პრეზიდენტისა და მისი თანაგუნდელების მიმართ, რადგან მათ გარშემო ჭრელი საზოგადოების თავმოყრამ მძიმე შედეგი გამოიღო. ვისაც არ ენდო, დაუპირისპირდა - ზოგი აშკარად, ზოგმა ნიღაბი მოირგო. „ნიღბებს იცვლიან, კეკლუცობენ, სიკეთის მოციქულად გვისახავენ თავსა, სინამდვილეში რომ შურით გაგუდულან, ვნება რომ ახრჩობთ ერთადერთი: სხვას აღემატონ, თუნდაც ქვა ქვაზეც ნუ დარჩენილა“ [ჩხეიძე, 1994: 329].

ოთარ ჩხეიძის პოზიცია გამოკვეთილია - ტრაგიკული მეოცე საუკუნე დასრულდა, მაგრამ, ავტორის აზრით, ოცდამეერთეში ერი არანაკლები სირთულეების წინაშე დგას, რაც ახალი საზოგადოებრივი ტრავმის ალბათობას აჩენს.

მწერლისათვის ევროპული ორიენტაციაა მისაღები.

წინამდებარე ქვეთავში გაანალიზებული ნაწარმოებები წარმოდგენას გვიქმნიან 1990-იანი წლების საქართველოში დატრიალებულ მოვლენებზე, კოლონიური ტრავმის გადმონაშთებზე. მხატვრულ-დოკუმენტური ჟანრის ნაწარმოებები ცხადყოფს, რომ, მიუხედავად განსხვავებული შეხედულებებისა, წინააღმდეგობებისა, საზოგადოების ნაწილმა შეინარჩუნა ეროვნული იდენტობა და მრწამსის დასაცავად ბოლომდე იბრძოლა.

2.3. აფხაზეთის ომი ქართულ ლიტერატურაში

XX საუკუნის 90-იანი წლები - ეს იყო ერთ-ერთი უმძიმესი და უმნიშვნელოვანესი ეტაპი ჩვენი ერის მრავალსაუკუნოვან ისტორიაში. ეროვნული დამოუკიდებლობის აღდგენისაკენ სწრაფვამ უდიდესი რყევები გამოიწვია ყველა სფეროში.

პოლიტიკურმა პროცესებმა ხელი შეუწყო კოლონიური წყობის რღვევას. აპრილის მოვლენების შემდგომ საქართველო ახალი პოლიტიკურ-სახელმწიფოებრივი რეალობის

წინაშე აღმოჩნდა. რუსეთის მიერ ინსპირირებულმა ქართულ-ოსურმა და ქართულ-აფხაზურმა კონფლიქტმა (რეალურად, რუსეთ-საქართველოს გამოუცხადებელმა ომმა) ასახვა პოვა თანამედროვე ქართულ ლიტერატურაში.

აფხაზეთის ინტელიგენციის წარმომადგენელი, ლიტერატურის მკვლევარი და პოეტი მარინა ტურავა გულისტკივილით აღნიშნავს, რომ ზოგიერთებისთვის უკვე არარსებული ცნებაა აფხაზეთის ქართული მწერლობა. მისი თვალსაზრისით, „დაკარგული ტერიტორიების პოეტები და მწერლები უაფხაზეთოდაც აგრძელებენ შემოქმედებით საქმიანობას და დღემდე ქმნიან აფხაზეთის ქართულ მწერლობას, რომელსაც ბედმა მძიმე ჯვარი დააკისრა - ვარამითა და მონატრებით, ნოსტალგიითა და ტკივილებით გაჯერებული დღეების გაცოცხლება, მეტაფორად ქცევა, რომ მომავალმა თაობებმა კარგად იცოდნენ - რას ნიშნავს საკუთარ სამშობლოში უსამშობლოდ დარჩენა“ [ტურავა, 2014:392].

არაერთი ქართველი მწერლის შემოქმედების თემაა 90-იანი წლების საქართველოში მიმდინარე, გარე ძალების ჩარევით თუ შიდა განხეთქილებებით გამოწვეული ომები. ვფიქრობთ, დიდ ინტერესს უნდა იწვევდეს კონკრეტულად იმ რეგიონის მკვიდრ ავტორთა ნაწარმოებების გაანალიზება, სადაც სისხლიანი დაპირისპირებები მიმდინარეობდა. აღნიშნული მასალის აქტუალურობას განაპირობებს აფხაზეთში მიმდინარე ომის, ქართულ სივრცეში პრეზიდენტისა და ექსპრეზიდენტის მომხრეთა შორის აზრობრივი და შეიარაღებული დაპირისპირებით გამოწვეული შედეგები. შესასწავლია, თუ როგორ აისახა აფხაზეთში განვითარებული მოვლენები თანამედროვე ქართულ ლიტერატურაში. ნაწარმოებების განხილვა საშუალებას გვამლევს დავაკვირდეთ ავტორთა შეხედულებებს აფხაზეთის ომსა თუ შიდა დაპირისპირებების გამომწვევ მიზეზებზე, ასევე, პერსონაჟთა (მხატვრული დეტალების საშუალებით გადმოცემულ) სულიერ მდგომარეობას, რაც, მეტწილად, ომამდელი ცხოვრების ანარეკლია.

აფხაზეთის ტერიტორიაზე დატრიალებული ტრაგედია (როგორც, ზოგადად, ყველა მოვლენა), საბოლოოდ, ლიტერატურის წიაღში ინაცვლებს. საქართველოს სხვადასხვა რეგიონიდან სოხუმში საბრძოლველად არაერთი გამოუცდელი ახალგაზრდა გაემურა.

უმრავლესობისთვის ომი ისეთივე უცხო იყო, როგორც ომგამოვლილთათვის - სიმშვიდე. მრავალი შეეწირა სოხუმის დაცვას, ნაწილი კი, რომელიც ფიზიკურად გადარჩა, ფსიქიკური ტრავმით დაბრუნდა (ყოველივე ეს იმ პერიოდის მოვლენებს განეკუთვნება, როცა ლიტერატურა გათავისუფლებულია დოგმებისაგან, მიმდინარე პროცესები მთელი სისავსით აისახება მხატვრულ სივრცეში).

ქართულ ლიტერატურაში აფხაზეთის ომის რეცეფციაზე საუბრისას, ყურადღებას მივაპყრობთ **გელა ჩქვანავას** „ტორეადორებს“. გელა ჩქვანავა აფხაზეთის მკვიდრია, ერთ-ერთ ინტერვიუში შინ დაბრუნებაზე ოცნებობს, თუმცა, ინტერნეტწყაროდან იცის, რომ მისი სახლი აღარ არსებობს, დაშლილია... „სოხუმიდან, ქალაქის დაცემის შემდეგ ერთი თვის მერე გამოაღწია. ტყვედ იყო აფხაზებთან. ამბობს, რომ გაუმართლა და გადარჩა. თუმცა ახსოვს ის აუტანელი აურა - დაყრუებული ქალაქის. სხვანაირი სოხუმის. ყველაზე ცუდი ამბები ჯერ არ დაუწერია. არც იცის, დაწერს თუ არა ოდესმე“ **[ქვევანიშვილი, ელექტრონული რესურსი]**. ვფიქრობთ, შემოქმედი, რომელმაც საკუთარ თავზე გამოსცადა ომის საშინელება, შეიძლება „დროითი დისტანციის“ შემდეგ, მაგრამ აუცილებლად დაწერს განცდილ-ნანახს. ივანე ამირხანაშვილის თვალსაზრისით, „გელა ჩქვანავა მხატვარია, ამბავს კი არ გვიყვება, არამედ ხატავს. ხატავს ცხოვრებას ისეთს, როგორც არის შიგნიდან, სულის მხრიდან - მწარე, საცოდავი, სანტიმენტალური“ **[ამირხანაშვილი, 2009:6]**.

ვფიქრობთ, რეალობა ფაქტორი, რაც თვითმხილველ მწერალს მთელი სიზუსტით დაახატვინებს მომხდარს.

გელა ჩქვანავას „ტორეადორები“ აფხაზეთის ომში განვითარებული მოვლენების გამოძახილია. ტექსტში აღწერილია საომარი მოქმედებების დროს მტრის ზურგში ჩარჩენილი ორი მებრძოლის რამდენიმე დღე. ავტორის დამოკიდებულება პერსონაჟებისადმი ლოიალურია - ეს იკითხება ტექსტშიც და ქვეტექსტშიც. მწერალი დიდი სიფრთხილითა და თანაგრძნობით აღწერს პერსონაჟთა როგორც სიმხნევებს, ასევე წარუმატებლობასაც.

ასეულის მაიორისთვის, ხელოვანი კაცისათვის, უცხოა ომი. მხატვარი ბრძოლის ქარცეცხლშიც ცდილობს ჰუმანისტური პრინციპების ერთგული დარჩეს. ამიტომ, რასაც

მეომრებს სთხოვს, ესაა ერთმანეთისადმი თბილი და მეგობრული დამოკიდებულების შენარჩუნება. ფაქტია, ბრძოლის ველზე დაუცველად მიტოვებული, გაუწვრთვნილი ბიჭები საზარბაზნე ხორცად იქცნენ. ასეთი ფაქტი უამრავი იყო - ზოგი თვლიდა, რომ სამშობლოს სიყვარული ამ გზით უნდა დაემტკიცებინა და თავისი სურვილით მიდიოდა; ზოგი - ვალდებულების გამო, ზოგი კი „მღვრიე წყალში თევზის დაჭერის“ პრინციპით, მხოლოდ „სამოქმედო“ ასპარეზს იცვლიდა.

მაიორი, რომელიც თავისი ნება-სურვილით არ მოხვედრილა ბრძოლის ქარცეცხლში, შეტევის წინ, წარმატების შემთხვევაში, პატივისცემას ჰპირდება ბიჭებს. მისი ტონი და ღიმილი რიგითებს სიმხნევსა და ხალისს ჰმატებს, თითქოს სიკვდილის შესახვედრად კი არა, ზღვის სანაპიროზე გასასეირნებლად ეპატიჟებოდნენ.

მხატვარი კაცის მაიორობას ის შედეგი მოჰყვა, რომ ცივი, სამხედროსთვის დამახასიათებელი, გამჭრიახი, გონიერი გადაწყვეტილებების ნაცვლად, ბრძოლისადმი ზედმეტი ჟინი უჩნდება და წარმატებულ შეტევას კრახით ასრულებს. კობა, რომელიც მაიორის სიძეა (დის ქმარი), შენიშვნას აძლევს, მაგრამ გვიანია. ასეულის ერთ-ერთი რიგითი, მამუკა, ხშირად მაიორზე ჭკვიანურ გადაწყვეტილებებს იღებს, მაგრამ ამჯერად ვერც მისი გონიერება გამოიღებს შედეგს.

ავტორი თვლის, რომ ასეულის ბედი ისეთი ადამიანის ხელში აღმოჩნდა, რომელსაც ომისა არა გაეგებოდა რა. მსგავსი შემთხვევების გამო, ხშირი იყო წარუმატებლობა. მაიორიც ბრმა ტყვიამ იმსხვერპლა!... შემოქმედმა კაცმა, რომელსაც ხელში ფუნჯი უნდა სჭეროდა და თავისი ქვეყნის ულამაზესი პეიზაჟები ეხატა, უცხოს მიერ ინსპირირებულ ძმთამკვლელ ომში დახუჭა თვალი. მასთან დახმარების მიზნით „მიხობებულ“ რიგით მამუკასაც იგივე ბედი ეწია. „მაიორელები“ მიხვდნენ, რომ მათი საქმე წასული იყო, სიკვდილის აჩრდილი დააბიჯებდა მათ შორის და შიშის ზარს სცემდა. ვიღაცამ ხმამაღლა იყვირაო, ამბობს მწერალი. ეს იქნებოდა უფსკრულის პირას აქანავებულის სასოწარკვეთილი ამოძახილი - ვიხოცებით და გამოსავალი ვეძებოთო!....

საზოგადოებრივი ტრავმით ინსპირირებული, ინდივიდუალური ფსიქიკური სტრესი ცვლის ჯარისკაცების სულიერ მდგრადობას. ერთმანეთს თვალით ეძებენ

სიკვდილის შიშით დაზაფრული ბიჭები. ავტორი ქვეტექსტებით საუბრობს; მისი შეხედულებით, სამშობლო, რომელიც ბრძოლის ველზე გამოუცდელ ახალგაზრდებს უხმობს და ყველაზე კრიტიკულ მომენტშიც კი მათ დაცვას ვერ ახერხებს, აღარ არსებობს!... ბიჭები წასვლას ჩქარობენ, რადგან უნდათ, რაც შეიძლება სწრაფად გაეცლონ სიკვდილის ველს, სადაც დაჭრილები კვნესიან, მაგრამ ამის შესახებ კრინტსაც ვერ ძრავენ. კობა, მაიორის შეცდომების გამო, როგორც მისი ახლობელი, თავს ვალდებულად თვლის, პასუხისმგებლობა აიღოს. იგი ჯარისკაცებს დაჭრილებისადმი უყურადღებობას უსაყვედურებს. ბიჭებმა არ იციან, რით დაეხმარონ დაჭრილებს!... ჯოჯოხეთს თავს ვერ აღწევენ; დაჭრილებს ვერ შველიან!...

ავტორის პოზიცია გამოკვეთილია - ცდილობს, მკითხველს ბრძოლის ველზე წარმოადგენინოს თავი და დააფიქროს, რას მოიმოქმედებს კრიტიკულ სიტუაციაში; რას უკარნახებს გული, გონება, მდგომარეობა?!

ჯარისკაცების კითხვაზე, რა უყონ დაჭრილებს, კობა ნახევრად გაუაზრებელ, გულთან შეუთანხმებელ პასუხს იძლევა: „- რა ვიცი, რა ფეხები ვუყოთ! ვისაც სიარული არ შეუძლია, დავხოცოთ, ტყვედ რომ არ ჩავარდნენ!“ [ჩქვანავა, 2006:11].

ომის უმკაცრესი „ლოგიკა“ ჟღერდა მის სიტყვებში, მაგრამ აშკარა იყო, საკუთარ თავს ებრძოდა. თანამებრძოლთაგან ზოგი დაიხოცა, დაჭრილებმა კი ბევრად უფრო მეტი პრობლემა გაუჩინეს, ვიდრე მკვდრებმა...

გამაოგნებელი პასუხი აბნევს ბიჭებს, მაგრამ დამაფიქრებელია, არსებულ სიტუაციაში, როგორი პასუხი იქნებოდა მათთვის მისაღები?!

ავტორის პოზიცია გასაგებია - რაც არ უნდა მოხდეს, ბიჭებმა ერთმანეთი არ უნდა გაწირონ! განა ხელისუფალთა გულგრილობა და ენგურის გაღმა-გამოღმა მყოფი ძმების მიერ ერთმანეთის არდანდობა არაა საკმარისი?!

მწერალი გამოსავალს ეძებს; არ შეუძლია დაუშვას, რომ მებრძოლებში მხეცმა ჩაიბუდა. „მაიორელები“ ალყაში არიან და სხვადასხვა გზით მიდიან დასაზვერად. „მზვერავები“ წავიდნენ. დაჭრილებს არავინ ეძებდა. ერთ ადგილზე იდგნენ

გარინდულნი, ნეტავ, დაჭრილთა კვნესა არ მოგვესმას და ზედმეტ ტვირთად არ აგვეკიდონო, ნატრობდნენ და ამის გამო ერთმანეთისთვის თვალებში ჩახედვისა რცხვენოდათ თითქოს“ [ჩქვანავა, 2006: 12].

გადარჩენის ინსტინქტი მძლავრობს და გელა ჩქვანავაც ცდილობს, ბრძოლის ველზე დარჩენილი ადამიანების ფსიქოლოგიური პორტრეტი შექმნას, თუმცა აშკარაა, ამ წარუმატებლობაში მათ არ ადანაშაულებს.

დაზვერვაზე წასული კოტე თავს იფეთქებს. ალყაში მოხვედრილი „მაიორელები“ აღარ არსებობენ! სამწუხაროდ, მტერთან ბრძოლის მთავარი მიზნიდან, მხოლოდ ორი „ქვეპუნქტიდა“ დარჩა ძალაში: ბრძოლა სიცოცხლის შესანარჩუნებლად და შურისძიების უდიდესი წყურვილი.

ომის უსასტიკესმა კანონებმა მებრძოლეებში სულიერი რყევები გამოიწვია. მათი მდგომარეობა ვერც ომის შემდგომმა „მშვიდობიანმა“ პერიოდმა ვერ დაასტაბილურა, ფაქტობრივად, ეს თაობა შეწირული აღმოჩნდა.

საზოგადოებრივ-შემეცნებით ჟურნალ „პრემიერში“ დაიბეჭდა რობერტ მესხის ინტერვიუ გელა ჩქვანავასთან. ავტორი თვლის, რომ სოხუმი დღემდე შეურაცხყოფილია: „ჩვენ (ორივე მხარემ) ჩვენს ქალაქს ვუღალატეთ, ომი შევბედეთ, სისხლით მოვურწყეთ ქუჩები ქალაქს და მან ეს არ გვაპატია. ისე ვუყვარდით, რომ არ გვაპატია, როგორც ქალი არ აპატიებს ღალატს მამაკაცს, რომელიც თავზე მეტადაც უყვარს. როგორ შეიძლება ომი დაუწყო საკუთარ ქალაქს. როგორ შეიძლება სასიკვდილოდ გაიმეტო შენი თანაქალაქელი, რომელიც შენი ნაწილია - შენი ქალაქის, შენი ბავშვობის; დენიკინი თურმე თავის თავდადებულ ოფიცრებსა და ჯარისკაცებს გმირობას არ ანიჭებდა - ის, ვინც თავისი ჯურის ხალხს ხოცავს, არ შეიძლება გმირი იყოსო“ [მესხი, 2009 (ელექტრონული რესურსი)].

ყურადღება გამახვილებულია ქვეყნის ტრაგედიაზე, გამოკვეთილია კონცეპტები, რომლებიც საშუალებას გვაძლევს ნათელი წარმოდგენა შევიქმნათ პოსტკოლონიური საქართველოს ქაოსურ მდგომარეობაზე.

ჩვენ მიერ გაანალიზებულ ნაწარმოებში ავტორის სტილი ინდივიდიალურია. თხრობა მესამე პირში მიმდინარეობს. ენობრივი ფორმა დისტანციურია. პერსონაჟებისადმი დამოკიდებულება არაკრიტიკულია, არც მკითხველს უბიძგებს კრიტიკის ქარცეცხლში გაატაროს მათი მოქმედება. პირიქით, ავტორი თანაგრძნობითაა განმსჭვალული პერსონაჟებისადმი და მათთან ერთად (ვფიქრობ, მკითხველთან ერთადაც) გადის იმ ურთულეს გზას, რომელმაც გამოუცდელი ადამიანები ხელოვნურად გამოძერწილ მტერს შეაჩეხა.

აფხაზეთის ომის კიდევ ერთ ლიტერატურულ რეფლექსიას ვხვდებით **ზაურ კალანდიას** რომანში „**მეგლი ყველასათვის.**“

ნაწარმოების ფონი ისტორიულია. მწერალი მოგვითხრობს საქართველოს უახლესი წარსულის ტრაგიკულ დღეებზე, მოქმედება ეროვნული მოძრაობის აღწერით იწყება და გრძელდება სამოქალაქოდან აფხაზეთის ომამდე. ასახულია აფხაზეთის ომის პერიოდის სამეგრელოში მიმდინარე, შიდა დაპირისპირებების ფონზე გაშლილი რეალობა, 1992-93 წლებში სამეგრელოში ეროვნულ გვარდიასა და მხედრიონელებს შორის დაპირისპირება.

ავტორი აღწერს პერიოდს, როცა მხედრიონელებმა „ზვიადისტების“ განადგურების მიზნით მთელი სამეგრელო ააწიოკეს, მერე კი, როდესაც აფხაზეთიდან წამოსული ლტოლვილები სამეგრელოს შეეხიზნენ, მხედრიონელებმა მათი ძარცვა დაიწყეს. „პირველი ბრძოლა პარტიზანულმა რაზმებმა „მხედრიონის“ წინააღმდეგ წალენჯიხის ძარცვის დროს, 1992 წლის ზაფხულში გამართეს, რასაც თან ახლდა მოსახლეობის მიმართ ძალადობა და მკვლელობა-გაუპატიურება. ელვისებურად ჩატარებული წალენჯიხის ოპერაციისას, „მხედრიონის“ რაზმი, რომელსაც პირადად ჯაბა იოსელიანი მეთაურობდა, პრაქტიკულად განადგურდა, ხოლო იოსელიანი ბრძოლის ველიდან გაიქცა. ამ ოპერაციის შემდეგ პარტიზანულმა რაზმებმა ხელთ ჩაიგდეს რამდენიმე ათეული საბრძოლო იარაღი და საკმაო საჭურველი, რამაც მათ საშუალება მისცა რამდენიმე წარმატებული ოპერაციის შედეგად მთლიანად გაეთავისუფლებინათ სამეგრელოს რეგიონი სამხედრო საბჭოს შეიარაღებული ბანდებისაგან“. [ქრონიკები, გაზ. „სიმართლე“, 2010, 30.08].

ნაწარმოებში მთელი სიზუსტითაა აღწერილი, რა ხდებოდა ზვიად გამსახურდიას გაძევების შემდგომ ერთი ქვეყნის ორად გაყოფილ, დაპირისპირებულ ბანაკში.

სიუჟეტი, რომელსაც უსწრებს შიდა ომში „თავგამოჩენილი“ ბიჭების ომამდელი ისტორიები, საინტერესოდ ვითარდება. დამაფიქრებელია ადამიანში ბოროტმოქმედის შეგნებულად, ხელოვნურად გამოძერწვა. ნაწარმოების ობიექტური საფუძველი 90-იანი წლების საქართველოში კონკრეტული ვითარებით განპირობებული მოვლენებია, გამოყენებულია „სიუჟეტური ტავტოლოგია“.

რომანში გვხვდება მნიშვნელოვანი კომპოზიციური ხერხი - მხატვრულ ნაწარმოებში „ჩარჩოს“ გამოყენების პრინციპი. მწერლის ინდივიდუალობისა და იდეური ჩანაფიქრის შესაბამისად, სიუჟეტი ფართოდ იშლება სივრცესა და დროში. გამოყენებულია გაფართოებული ექსპოზიცია. ნაწარმოებში, რომელიც გაჯერებულია მინიატურული ფრაგმენტებით, დიალოგების ნაცვლად, გამოყენებულია მონოლოგიური რეპლიკა.

ნაწარმოების ერთ-ერთი მთავარი გმირი, ჭიჭე, რომელსაც სიტუაციაზე რეაგირების საოცარი უნარი შესწევს, საკუთარ ამბავს და შეხედულებებს ცინიზმითა და მეტატექსტებით გადმოსცემს. ჭიჭეს მიერ განცდილ-დანახულში წარმოჩენილია ეპოქის მაჯისცემა. საინტერესოა მისი შინაგანი მონოლოგი, არსებული სიტუაციიდან მის მიერ გამოტანილი დასკვნები და შეფასებები: „დავრწმუნდი, სანამ არსებობს ეს ხიდი, სანამ გამოღმელებს „ჩვენ“ გვქვია და გაღმელებს - „ისინი“, ჩვენი საშველი არ იქნება! ეს ხიდი კი არა, უფსკრულია - ღვარძლივით ამოუვსები, სიძულვილივით უძირო, თითო-თითოდ რომ გვნთქავს ყველას და გვინელებს...“ [კალანდია, 2002: 98]. ერთ მხარეს საყვარელი პირმშოა ეროვნული მოძრაობისა, მეორე მხარეს - უძღვები შვილი, რომელსაც არც დაბრუნება სურს და არც მონანიება მშობლის წინაშე. მათ შორის ხიდია. ხიდი არა სიძულვილისა, არამედ შურისძიებისა. ნაწარმოების მიხედვით, ახალგაზრდა ტოჩის მეზობლის, გერო ქეცბაიას, ჯარიდან დაბრუნების აღსანიშნავად გასროლილი საფანტი ხვდება ცხვირ-პირში. ტოჩის მამის გინება მწარედ დაამახსოვრდა გეროს უფროს ძმას, კოდის და ერთ მშვენიერ დღეს შუბლის ძვალი ბოთლით გაუტეხა ტოჩის მამას. სწორედ ამ ფაქტმა განაპირობა შურისძიების წყურვილი. აღნიშნული ფაქტით საქმე გვაქვს

ინდივიდის მიერ ტრავმული მეხსიერების გამოვლენასთან, რისი წყალობითაც ამაყმა ტოჩიმ ვერ აიტანა მამის სიკვდილის მიზეზად ქცეული შეურაცხყოფა, ჯირკზე დაადებინა კოდის მარჯვენა და მოსხიპა. არც ეს იკმარა, მათი ნაბოლარა გოგო „აიგდო“ და ამით საბოლოოდ ამოიყარა გულის ჯავრი ქეცბაიებზე. თხრობის მსვლელობაში ნათლად იკვეთება პერსონაჟთა ომამდელი წარსული, ავტორის კრიტიკული დამოკიდებულება მკითხველსაც ემოციურ განწყობას უქმნის. ნათელი ხდება, თუ როგორი „გამოცდილების“ მქონე ბიჭები იბრძოდნენ აფხაზეთში.

ნაწარმოების მიხედვით, ასეთი „ისტორიის“ მქონე, შინაურ მტრებზე გაწვრთნილი ტოჩი ომში განსაკუთრებული დაუნდობლობით იყო ცნობილი; თავზარს სცემდა მოწინააღმდეგეს. ტექსტის მიხედვით, ტოჩის მოხერხებულობა იმაში გამოიხატებოდა, რომ მიუხედავად დიდი მცდელობისა, მის ხელში ჩაგდებას მტერი ვერ ახერხებდა. აღსასრული ღირსების დაცვასთან ასოცირდება; სიფხიზლეს კარგავს, მის ხელში ჩაგდებაზე ოცნებობდნენ და ვინ დაზოგავდა!... „ჩეხავდნენ მკლავსიგრძე დანებით; წეწავდნენ, შიგნეულს გაარეთ აყრევინებდნენ... ტყვიას ტყვიაზე აჭედებდნენ მიწაზე ჯიუტად მოფათქუნე ტოჩის. ის მაინც არ აპირებდა სიკვდილს... ეს აგზნებული სისხლისხვრეპია სვაგები კი ველური ყიჟინით უვლიდნენ გარს და, მომეჩვენა, ამ შემზარავ, გამაყრუებელ ხმებს არამარტო მკვლელები - შემფოთებული გარემო, ბნელი ცა, მიწა, ვარსკვლავები გამოსცემდნენ“ [კალანდია, 2002:52].

თხრობის ემოციურ-ექსპრესიული ხასიათის შესაქმნელად (რაც ნაკლებად შეინიშნება გ. ჩქანავას „ტორეადორებში“) ზაურ კალანდია ხშირად მიმართავს შედარებებსა და გაპიროვნებებს.

ზაურ კალანდია იმ მეზრძოლთა ფსიქოლოგიურ პორტრეტს გვიხატავს, რომლებიც სირცხვილით იწვიან, რომ ოთხი დღეა, თხრილში უპატრონოდ აგდია ტოჩი, ცოცხალ ტყვეებს ამაოდ სთავაზობენ მოწინააღმდეგე მხარეს. ბიჭებს უჭირთ ომის კანონის გაცნობიერება და საკუთარი უსუსურობა აფრთხობთ. „ავტორიტეტა“ მაინც ახერხებს, „დაიხსნას“ წელში გადაჭრილი ტოჩის ცხედარი.

ნაწარმოების მიხედვით, მტრისთვის კიდევ ერთი თავზარდამცემი ფიგურაა სერო. იგი, როგორც ტოჩი, შურისძიების წყურვილითაა დამნაშავედ ქცეული. მათ შორის

განსხვავება მხოლოდ ისაა, რომ ტოჩიმ თვითონ აირჩია ეს გზა, სერო კი, ფსიქოლოგიური ტრავმის მსხვერპლია - მამა უბიძგებდა ძმის მკვლელებზე შურისძიებისაკენ და მეშვიდეკლასელი სერო უკვე პოტენციური მკვლეელია. მერე აღარც სხვა დანაშაულებზე დაუხვია უკან.

მკითხველის რეაქცია ავტორის ჩანაფიქრს ემთხვევა - ესაა რეალური ყოფა იმ საზოგადოებისა, რომელშიც ვცხოვრობთ. თუ გელა ჩქანავას პერსონაჟები ალალ-მართალი, გამოუცდელი და ჰუმანური ადამიანები არიან, ამ შემთხვევაში საქმე გვაქვს ადამიანთა იმ კატეგორიასთან, რომლებიც თავიანთი სურვილით მიდიან სასაკლაოზე, რადგან ეს მათთვის მხოლოდ სამოქმედო არეალის შეცვლაა - ისინი ომს არ ემალებიან. პირიქით, თითქოს სიკვდილთან თამაში სიამოვნებთ. მკითხველის განწყობა იცვლება, ეს ადამიანები დამნაშავეებად არ დაბადებულან. ისინი მდგომარეობამ აიძულა მკვლელებად ქცეულიყვნენ. აფხაზეთის ომამდე ეროვნული მოძრაობისადმი მათი თანაგრძნობითა და მასში უშუალო მონაწილეობით, ავტორი წარმოგვიჩენს მათ, როგორც ეპოქის მაჯისცემის რიტმს ფეხაწყობილ ადამიანებს. ნაწარმოების რეალური ფონიდან გამომდინარე, საშუალებას გვაძლევს, მათ სხვადასხვა რაკურსით დავაკვირდეთ.

ტოჩი და სერო რეალური ცხოვრებიდან ისტორიაში გადანაცვლებული ტიპური, ლიტერატურული გმირები არიან თავისი დადებითი და უარყოფითი თვისებებით. სიკვდილის წინ სერო პრეზიდენტისა და ექსპრეზიდენტისგან უფლებამოსილ ტოჩის შეხვდა. „ავტორიტეტები“ რაღაც-რაღაცებზე შეთანხმდნენ. მოლაპარაკებების შემდეგ ტოჩიმ თავის ბიჭებს გააცილებინა სერო, მაგრამ, „რატომღაც“, მათი ვერტმფრენი ცაში აფრენისთანავე აფეთქდა... ავტორის დაკვირვებით, ასეთი ადამიანების გადასაწყვეტი იყო, როგორც პიროვნებების, ასევე - მთელი ქვეყნის ბედი იმ ქაოსურ ყოფაში.

მწერალი პარალელს ავლებს ეროვნული მოძრაობისა და ზვიად გამსახურდიას შემდგომ პერიოდს შორის. მაშინ ერთიანი იყო საქართველო. სწორედ ამ ერთიანობამ სხვა კალაპოტში მოაქცია დამნაშავეთა შფოთით სავსე ცხოვრება. ადამიანები ერთმანეთის გულისთქმას გრძნობდნენ, მზად იყვნენ, სამშობლოს კეთილდღეობას შესწირვოდნენ. ერთი ყველას ნაწილი იყო, ყველა - ერთისა.

ახლა ყველაფერი პირიქითაა, ორ ბანაკად დაყოფა, ძმათა შორის გაჩენილი უფსკრული დაღუპვით ემუქრება სრულიად საქართველოს: „დღეს ჩვენზეა ამხედრებული, დაგეშილი ჩვენი გუმინდელი თანამოაზრე და მეგობარი. ასე, ჩვენდა გაუგებრად, ბუნდოვნად, უცნაურად. მხოლოდ ჩვენ აღმოვჩნდით ზედმეტები! არც არაფერი დაგვრჩენია! ეს გარემო უცხოა, უბოდიშო, უცნობი, რატომ? რისთვის უნდა ვეწამო? ჩვენი არ არის, თურმე არ გვეკუთვნის, არ შეგვიფარებს, არ მიგვიღებს, გულში არ ჩაგვიკრავს ეს შენი ვითომ მშობლიური ქვეყანა! არავის ვჭირდებით და გავრბივართ; ზედმეტებით, მოღალატეებით, ცვედნებით მოკვეთილები!“ [კალანდია, 2002:145].

როცა საკითხი საქართველოში ბოლო პერიოდში განვითარებულ მოვლენებს ეხება, მწერალი აპრილის მოვლენებით „კვებას“ მომდევნო პროცესებს. ნაწარმოებში აღწერილია ზუგდიდში მილიციის მიერ „დუბინკებით“ აქციის დარბევა. მომიტინგეებს მხოლოდ ერთი ლოზუნგი ჰქონდათ: „წადი, რუსო, შინ!“ მაშინ, ქვეყნის დასავლეთშიც და აღმოსავლეთშიც ერთსულოვნება სუფევდა. მხოლოდ ერთი მიზანი ამოძრავებდა ყველას - საქართველოს დამოუკიდებლობა, რომელიც რუსეთისაგან გამიჯვნით უნდა მოპოვებულიყო. კოლონიური წნეხი და საზოგადოებრივი ტრავმა გახდა მიზეზი მოვლენების სწრაფად, გაუთვალისწინებლად წარმართვისა. ჭიჭე, რომელსაც ამ გზამ ბევრი თანამოაზრე შესძინა, იხსენებს: „ცხრა აპრილმა ხო მთლად „დაგვხატა“, ერთ მიკროფონთან მოგვიყარა თავი ყველას! აი, რა ძალა აქვს ძმაო, სიძულვილს! წითელი ჭირის სიძულვილმა ქნა ეს - გაგვაერთიანა! კიდევ: მიკროფონის სიყვარულმა! ნამეტანი სიყვარული იცის თურმე, ძმაო!“ [კალანდია, 2002: 73].

ჭიჭეს მონოლოგებში ირეკლება ყოფიერების ტრაგიზმი, ადამიანური ფასეულობებისაგან განძარცვა - ესაა ეპოქის გამიშვლებული სურათი.

ისტორიულ ფაქტებზე დაყრდნობით (რასაც საკუთარი გამოცდილებითაც ამყარებს), ავტორი სამოქალაქო ომის პერიოდში საბჭოეთის ტრავმული მეხსიერებით „დაავადებულთა“ აქტიურობაზე საუბრობს. მისი თვალსაზრისით, ბევრი მათგანი მხოლოდ პრეზიდენტისა და მიკროფონის სიყვარულმა აიყვანა ტრიბუნაზე. ქალაქის კომენდანტყოფილმა, ვატა ხუნჯგურიამ, „გასაწმენდი“ ხალხის სია ნათესავის ორმოცში დასაპატიჟებელი სიისაგან ვერ გაარჩია და ჯურღმულში ახლობლები ჩაყარა.

თუმცა, ვერც იმ ადამიანებს აღმოაჩნდათ პროგნოზირების უნარი, რომელთაც საფუძვლიანი პრეტენზია გააჩნდათ განათლებასა და მამულიშვილობაზე. ქვეყნის შიდა არეულობით ხელს ითბობდნენ მედროვენი. „იქ, დედაქალაქში ქუჩაში იყვანდნენ თურმე კაცს საერისკაცოდ... იმასაც ამბობდნენ: ისეთი ჯიგარი ვინმეა პრეზიდენტი, გაღუნული ჯოხი რო შეუტანო, მინისტრად დაგისვამსო“ [კალანდია, 2002:87]. ეროვნული მოძრაობიდან თანამდებობამდე მხოლოდ ერთი ნაბიჯი იყო...

ნაწარმოებში გამოიკვეთა ორი დაპირისპირებული მხარე, რომლებიც მოვლენების ომში გადაზრდას არ ელოდნენ და შეფიქრიანდნენ: „მეტი სიგიჟე რაღა გინდა: შეიძლება არაფრის გამო, სულელურად მოკვდე, თან რისთვის და ვისი ხელით, ძმაო?!“ [კალანდია, 2002:97].

მკვლევარი სალომე კაპანაძე აღნიშნავს, რომ ზაურ კალანდიას „ძველი ყველასათვის“ ჩვენი ერის ფსიქოლოგიის ახალი შტრიხების წარმომჩენია. იგი თვლის, რომ ნაწარმოებმა კათარზისი უნდა გამოიწვიოს, „ამიტომაც ისმის ზაურ კალანდიას რომანის შეკრული სივრციდან განგაშის ზარების რეკვა, რათა ერისთვის თავს დატეხილი კრიზისული დროის ძლევის პროცესი გადაილახოს“ [კაპანაძე, 2016:168].

ნაწარმოებში ობიექტურადაა წარმოჩენილი საქართველოს ისტორიის ის მონაკვეთი, რომელიც პოლიტიკური კატაკლიზმების ფონზე საერთო მტრის წინააღმდეგ ერთ მუშტად შეკრული ერის დაშლა-დაპირისპირებით აღიბეჭდა.

ზვიად გამსახურდიას ხელისუფლების დამხობამ მისი მომხრეების რიცხვი კიდევ უფრო გაზარდა. ეროვნული ხელისუფლება, შეურაცხყოფის გარდა, პასუხისმგებლობას გრძნობდა - გადაერჩინა პრეზიდენტი და ქვეყანა მოძალადე კრიმინალებისაგან, მეორე მხრივ კი, სამხედრო საბჭოს მიერ ჩამოყალიბებული „მხედრიონი“ ზვიადისტებისგან „იკავდა“ ქვეყანას და გადარჩენის გზად შევარდნაძის გაპრეზიდენტება მიაჩნდა. ორად გახლეჩილი, ენგურის გაღმა-გამოღმა ნაპირზე გადანაწილებული ერი „საკუთარი“ პრეზიდენტების ბრძანებას ელოდა.

ჭიჭეს შესწევს უნარი საღი გონებით განსჯისა: „ორი პრეზიდენტი... ზოგს პირველი უჩანს ქვეყნის მხსნელად, ზოგს - მეორე! ჰო, მათი აღმატებულება, ვისთვის აქ რომ არის

მყარად, ვისთვის იქ, დროებით ჩეჩნეთში გახიზნული და, გვინდა თუ არ გვინდა, ისინი გვეოფენ! ვგრძნობთ, მათი შესაძლებლობები, ინტერესები, მიზნები სხვადასხვაა, ერთმანეთს ვერასოდეს გადაკვეთენ და ჩვენ - ძველ გვარდიელებსაც რაღა დაგვრჩენია, მათდა გასახარად თუ სამწუხაროდ! გავყრილვართ სამუდამოდ! ასე ვართ, გაღმა-გამოღმა, ჩვენ-ჩვენი პატრონის იმედად, რომელიც სისხლის უკანასკნელ წვეთამდე უნდა დაიცვა...“ [კალანდია,2002:101].

მხოლოდ პოლიტიკური შეხედულებების გამო არიან ძმები გამიჯნულნი. იციან: მიწა საერთოა, მაგრამ რატომ ხოცავენ ერთურთს, თითქოს იციან და არც იციან. თუმცა, გრძნობენ, რომ ენა და რჯული აერთიანებთ. ნაწარმოებში მთელი სიზუსტითაა აღწერილი საზოგადოების ყველა ის მანკიერი მხარე, რაც იმ პერიოდის საქართველოსთვის იყო დამახასიათებელი.

მტერთან ფიზიკურ დაპირისპირებებზე ასგზის დამაზარალელებელი გახდა „წამალი.“ „ფერადი სათვალით შეიარაღებულთ“ ძალიან გაუიოლდათ ყოველგვარი კრიზისის დაძლევა. გაუბრალოვდა სიცოცხლე, გახშირდა მოძმეში მტრის ხატის დანახვის ფაქტები.

შეიძლება ავტორს დავეთანხმოთ, რომ მტრობა მხოლოდ „წამლის“ გამო ავიწყდებოდათ მეზობლებს; დადამებულზე ენგურის გადაღმა გადარბოდნენ ბიჭები: „გადავლენ და გადმოვლენ; გაიბოლებიან, შეიშხაპუნებენ წამალს, ხვალ კვლავ შევხვდებით ღვთით, საღ-საღამათიო, გადაკოცნიან ალაღად, მმაბიჭურად და ხიდის გარეშე, შორდებიან ერთმანეთს ტანჯული ქვეყნის ტანჯული ძმები - ქართველები! აბა, რა: ხვალ, შეიძლება, ომი იყოს! ხვალ ერთმანეთს უნდა ესროლონ!“ [კალანდია, 2002: 102].

ნაწარმოებში წარმოჩენილია ბინძური პოლიტიკის გამო გუშინდელი ძმების გადაკიდება. გაორებულ ადამიანში ჩასახლებული მხეცი თავს ესხმის მოყვასს, რასაც თავდაცვის აუცილებლობით ხსნის.

რომანის მიხედვით, თანამეზობლთა საეჭვო კავშირებმა და მათთან ჩეჩნების ხშირმა ვიზიტმა კიდევ უფრო დიდ სიბინძურეს აჰხადა ფარდა. უნდობლობა ჩნდება

მებრძოლებს შორის: „მაგრამ ესენი მაინც ვინ არიან, ეს დაქირვებული მკვლელები, ლამის ამეხადოს თავის ქალა! ამათი გადარჩენილი სამშობლოსი რა ვთქვი, ძმაო გაბო! მათთან დგომას ჩემი გაუბედურებული გაღმელი ძმის პანლური მირჩევნია, იქნებ, წამლადაც შეგვერგოს!“ [კალანდია, 2002: 107].

შემფოთებულ ჯარისკაცში თითქოს ეროვნული ცნობიერება იღვიძებს - ქართველებს საერთო ტკივილი კიდევ თიშავთ და კიდევ აერთიანებთ. „გაღმელებთან“ „წამლისთვის“ გადასული ბესო დილით თეთრბაირადიანი ტანკით გამოაცილეს. ტანკი ვატას გაატანეს გაღმელებთან და უკან მობრუნებულს შეგვიანების მიზეზი რომ ჰკითხეს, უპასუხა: „მამის სულს გეფიცებით, სამად სამი ჭიქა დავლიე სულ, ერთი იმათი, ერთი ჩვენი, ერთი კიდო პრეზიდენტის სადღეგრძელოო. - რომლისაო?! - დაინტერესდნენ ბიჭები. გიჟი კი არ ვარ, არ დამიკონკრეტებიაო, გამოტყდა“ [კალანდია, 2002: 110].

ვაჟას „სტუმრ-მასპინძელზე“ აღზრდილ ბიჭებს ქართული ტრადიციები არც ომში ავიწყდებათ. სამად სამი ჭიქა დავლიეთ, ერთმანეთისა და პრეზიდენტისაო. სახელით არც კი მოიხსენიებენ, ისე სვამენ გაკერპებულ პრეზიდენტთა სადღეგრძელოს. ეს იმიტომ, რომ შინაგანი ხმა უკარნახებთ, რა მნიშვნელობა აქვს ცხენისწყლის გაღმა დგახარ, თუ გამოღმა, ან იმას, „ექსპრეზიდენტის“ სადღეგრძელოს სვამ, თუ „პრეზიდენტისა“?! ყველა ხომ ამ ბედკრული მიწის შვილია, ერთი სისხლისა და ხორცის დანაწევრებული ნაწილი! ყველაზე მეტად წარსული სტკივათ, გამაერთიანებელი, რაღაც სხვა - ეროვნული სულისა და ამაღლებული გრძნობის საყრდენი. ნაწარმოებში ჭიჭეს შინაგანი მონოლოგი გრძელდება: „ჩვენი არ არის, თურმე არ გვეკუთვნის, არ შეგვიფარებს, არ მიგვიღებს, გულში არ ჩავვიკრავს ეს შენი ვითომ მშობლიური ქვეყანა. არავის ვჭირდებით და გავრბივართ; ზედმეტებით, მოღალატეებით, ცვედნებით მოკვეთილები!“ [კალანდია, 2002 : 145].

„მხედრონის“ მიერ „ზვიადისტების“ წინააღმდეგ განხორციელებულმა ქმედებებმა სამეგრელოს მოსახლეობა დიდი განსაცდელის წინაშე დაყენა. მათი მოქმედებით გაღიზიანებული აპოლიტიკური ადამიანებიც ზვიადისტთა

მხარდამჭერები გახდნენ და, თავდაცვის მოტივით, „მხედრიონს“ დაუპირისპირდნენ. ამ უკანასკნელის უკან სახელმწიფო იდგა, ზურგს უმაგრებდა.

სამშობლო აღარ არსებობს! - თვლიდნენ განუკითხაობის ქაოსში თავგზადაბნეული ადამიანები: „როდის დაგვარგეთ სამშობლო? იქნებ, არც არასოდეს გვექონია იგი? სამშობლო, რომლისგან გარბიხარ და სამშობლო - საფლავიც რომ არ ემეტება შენთვის - ბლეფია!“ [კალანდია, 2002: 146].

სამწუხაროდ, ვერც აფხაზეთის დაკარგვის საშიშროებამ გააერთიანა პოლიტიკურად დანაწევრებული საქართველო. ვიღაც ყიდდა, ვიღაც ყიდულობდ, თუმცა მეზობლთა უმრავლესობა თვლიდა, რომ სამშობლოს დასაცავად იბრძოდა და ეს გრძნობა იყო ყველაზე ამალღებული იმ გრძნობათა შორის, რაც კი მანამდე განეცადათ.

რომანში აქცენტირებულია ფაქტი, რომელსაც ძალიან მტკივნეულად განიცდის ავტორი: როცა აფხაზეთში სასაკლავო აწყობდნენ, ამ დროს ენგურთან უმოქმედოდ იდგნენ ბიჭები. არადა, როგორ უჭირდა სოხუმს! ბიჭები გრძნობენ, რომ ენგურთან მათი დგომა მაშინ, როცა აფხაზეთი ცეცხლის ალში იყო გახვეული, ღალატი იყო, მაგრამ ბრძანება ასეთი გახლდათ და უნდა დამორჩილებოდნენ. ფაქტი იყო, პირველი კაცისა თუ ნაპირველკაცარის პირადი ინტერესი, შურისძიების დიდი სურვილი და მოყვასის უსაზღვრო სიძულვილი ძლევდა ქვეყნის სიყვარულს, პირადი - საზოგადოს. ასე იწერებოდა კიდევ ერთი სამარცხვინო ფურცელი ჩვენი ქვეყნის ისტორიისა.

თითოეული მეზობლი გრძნობს თავის დანაშაულს, მაგრამ დამოუკიდებლად მოქმედების უფლება არავის აქვს. ნასვამი „ავტორიტეტა“ ვეღარ ითმენს ამ არაკაცურ უმოქმედობას და ქვეყნის გამყიდველებს ეძახის ბიჭებს. ამით გულს იოხებს, თორემ თვითონაც მათ გვერდზე დგას და იცის, რომ სწორედ ასეთი მდგომარეობაა მათი დანაშაული. ასე თვლის ჭიჭეც, რომელიც ნაწარმოების პერსონაჟიცაა, ამავედროულად, მთხრობელიც: „უავტორიტეტოდ, მისი ცოფისა და ბლავილის გარეშე ვიცოდი, ჩვენი აქ დგომა ქვეყნისთვის დამღუპველი იყო! არ ვიდექით იქ, სადაც ჩვენებურად, ქრისტიანულად, კაცურად უნდა ვმდგარიყავით! ამაზე მე ჩემი აზრი მქონდა, ბევრიც ჩემსავით ფიქრობდა, მაგრამ რა იყო ეს, რისთვის გვსჯიდა ერთი თუ მეორე მხარე,

დღესაც ვერ ვხვდები! ახლა იოლია თქმა, შეიძლება თავიც იმართლო. უმთავრესი მაინც ის არის, სულს ეს თუ მომათქმევინებს, არ მეხეობდა ეს მე! არც ერთ ჩემნაირს და უფრო უკეთესსაც, არავინ ჰკითხავდა ამას და... ვიყავით გაორებული თუ გაოგნებული, ტუტუცებივით ვიდექით ენგურთან!" [კალანდია,2002 :205].

თითეული ხვდება: მდგომარეობის შესაცვლელად დიდი და სერიოზული ძვრას საჭირო. ავტორი მეტაფორას მიმართავს: „ერთი შემოლაწუნება უნდა ერს და... ქვეყანაც გამრთელდება!" [კალანდია,2002:246].

ნაწარმოების გაანალიზების საფუძველზე ვასკვნით: XX საუკუნის 90-იანი წლებში, ეპოქალურ ცვლილებათა ნიადაგზე წარმოქმნილმა პროცესმა, რომელმაც საქართველოს ტერიტორიული მთლიანობა შეიწირა, ასახვა პოვა პოსტმოდერნისტულ ტექსტებში. ეპოქათა ჭიდილის ფონზე გამოვლენილია გაორებული პიროვნებების, ზოგადად, ადამიანის შინაგან სამყაროში მიმდინარე ტრაგიკული პროცესები.

ზაურ კალანდიას „ძეგლი ყველასათვის“, ისევე, როგორც გელა ჩქანავას „ტორეადორები“, 90-იანი წლებში აფხაზეთში მიმდინარე რეალური პროცესების ამსახველი ნაწარმოებია. ორივე ავტორი თანაგრძნობითაა გამსჭვალული პერსონაჟებისადმი. ამ მხრივ, განსაკუთრებით გელა ჩქანავა გამოირჩევა. რასაც განაპირობებს ნაწარმოების მოცულობა და აღწერილი დროის მცირე მონაკვეთი(ალბათ, ამიტომაცაა, რომ ნაწარმოები ტროპული მეტყველების სიმწირეს განიცდის). ენობრივი ფორმა დისტანციურია. თხრობა - ფიქციური, დამოკიდებულება - არაკრიტიკული.

ზაურ კალანდიას რომანში სხვა ვითარებაა; აქ შესაძლებლობა გვეძლევა, პერსონაჟთა გაცნობა მათი ომამდელი ისტორიებით დავიწყოთ. ავტორს მოჰყავს მათი ცხოვრების როგორც დადებითი, ასევე - უარყოფითი არგუმენტები. მკითხველში ხან დადებითი ემოცია ჩნდება, ხან კი - პირიქით. ყოველი სიტყვის მიღმა ავტორის პოზიცია იკითხება. ზაურ კალანდია ცდილობს, მხატვრული სახეების გამოყენებით შეავსოს ჭიჭეს მონოლოგები, რომელიც გმირის თვითგაკიცხვაცაა და თვითგააზრებაც. „ჩვენ ნაკვალევზე ბალახი არ ამოვა! არც იმათ ნაკვალევზე ამოვა ბალახი! ჩვენ დავმარცხდით!" [კალანდია,2002:247] - ეს არის თვითგვემა, რომელიც ჭიჭეს

სასოწარკვეთილ აღსარებას ახლავს. ეს ნიშნავს იმას, რომ პერსონაჟი რეაბილიტირებულია.

სოხუმის დაცემის ტრაგედიას სხვადასხვა ავტორი განსხვავებული რაკურსით ხატავს, რეალობას ვერაფერს ცვლის, ფინალი ერთია - სოხუმი ეცემა!

რეზო თაბუკაშვილის (უმცროსის) მოთხრობები კიდევ ერთი მძაფრი გამოძახილია აფხაზეთის ტრაგედიისა, რომელიც საზოგადოებრივი ტრავმის უმძიმეს გამოვლინებად იქცა. ანა იმნაიშვილის თვალსაზრისით, „ქართული ტრადიციული პროზის ელემენტები და ნატურალური თხრობა რეზო თაბუკაშვილისეული მწერლური მანერაა და დარწმუნებული ვარ, მის ტექსტებს ყველა თაობის წარმომადგენლებში ჰყავს ადრესატი“ [იმნაიშვილი, 2005:19]. ვეთანხმებით მკვლევარს, დარწმუნებულნი ვართ, რეზო თაბუკაშვილის შემოქმედების თემატიკა ყოველთვის, ყველა თაობისთვის აქტუალური იქნება.

რეზო თაბუკაშვილის წიგნის სათაური „გემების ჩრდილქვეშ“ სიმბოლური ხასიათისაა - გემები იცავენ ადამიანებს, იფარავენ და სულიერ სიმშვიდეს უნარჩუნებენ. თუმცა, ისიც ცხადია, რომ გემი უმოძრაოდ არ გაჩერდება და იქნებ, სხვა, უკეთეს სამყაროში გადაადგილოს მის ჩრდილქვეშ შეყუჩული ადამიანები.

მოთხრობა „გაქცევა“ ადამიანის ინდივიდუალური ტრავმის წარმომჩენია.

როგორც ყველა სოხუმელს, ქალაქის იძულებით დატოვება უხდება ერთ-ერთ სოხუმელ გოგონასაც. მან უნდა დატოვოს ყველაფერი, რაც მისი ბედნიერების შემადგენელ ნაწილს წარმოადგენს.. გოგონას არ ეთმობა, ვერ წარმოუდგენია, რომ ზღვამ, რომელიც მხოლოდ თავისად მიაჩნდა, ახლა სხვასაც ისევე შემოხვიოს ტალღები, ისევე მოეფეროს, როგორც მას ელამუნებოდა. ამ დღემდე აზრადაც არ მოსვლია, თუ ვინმე შეეცილებოდა მის სიყვარულში. ახლა ორივე ერთად უნდა დატოვოს - ზღვაც და სოხუმიც... მუხლებამდე შედის ზღვაში, მოფერების ნაცვლად საყვედურს ეუბნება: „შე უსინდისო, ის ბოზები უნდა მიიღო და აბანაო? მთელი ბავშვობა შენთან გავატარე და ეხლა ასე აუღელვებლად ტოკავ და მემშვიდობები?... შემდეგ სახე წყალში ჩაყო და მარილიან ქვებს აკოცა, - მე დავბრუნდები“ [თაბუკაშვილი, 2012:113].

ეს თითქოს პატარა ეპიზოდი ადამიანური ტრაგედიის ანარეკლია. ტკივილი... ზღვის გაადამიანურებული ბუნება... ეჭვიანობა... მარილიან ქვებთან დამშვიდობება და, ამავდროულად, იმედი დაბრუნებისა - ესაა ის, რაც თითოეულმა სოხუმელმა განიცადა, რაც მეხსიერებას უდიდეს ტრავმად დააჩნდა.

რეზო თაბუკაშვილის „არგაქცევა“ (თემატიკით თითქოს „გაქცევის“ იდენტური), ადამიანში პროტესტის გაღვიძების მაგალითია - ქვეყნისა და ღირსების დაცვა სიცოცხლეზე მეტია. სოხუმის დაცემის დღემ უდიდესი ტრავმა მიაყენა ქვეყანას.

სოხუმის მშვიდობიანი მოსახლეობა გემზეა. მოკლე-მოკლე სროლების ხმა ნიშნავს, რომ სეპარატისტები ახლოვდებიან. სამი ათეული ადამიანიღაა დაბლა და ისინიც სასწრაფოდ არბიან გემბანზე. ლადოც მათ შორისაა, მაგრამ აჩქარებულ ნაბიჯს ანელებს. გარეგნულად შეუმჩნეველია, რას ფიქრობს იგი. ტრაპთან მისული, შედგა. გემბანზე ასვლა არც უფიქრია; მისი შინაგანი ბუნება აპროტესტებს, იძულებით დატოვოს სოხუმი!... „ხედავდა, როგორ მძიმედ მიაპობდა ლურჯ, ქაფიან წყალს უზარმაზარი, ხალხით აჭრელებული შავი გემი“ [თაბუკაშვილი, 201: 187].

თუ სოხუმელი გოგონა ქალაქის დატოვების წინ ზღვას ღალატს უსაყვედურებს („გაქცევა“), აღნიშნულ ნაწარმოებში ვაჟს ღალატად მიაჩნია ქალაქის დატოვება და რჩება მასთან („არგაქცევა“).

ნინო ვახანიას თვალსაზრისით, „რეზო თაბუკაშვილი კარგი მთხრობელია. იგი გატაცებით ჰყვება, ფერადოვნად ხატავს, საინტერესო სიუჟეტებს იგონებს, უმთავრესად, ადამიანის სული აინტერესებს“ [ვახანია, 2013:44].

ვეთანხმებით მკვლევარს - რეზო თაბუკაშვილის მოთხრობები ემოციის გარეშე არ იკითხება. მწერალი ადამიანის სულის ყველაზე მგრძნობიარე სიმებს ეხება.

„ნისლი“ არაჩვეულებრივი სურათია იმის გასააზრებლად, თუ რამდენად დაუფასებელი იყო ომგამოვლილი პიროვნება ომისშემდგომ ხანაში. ნაწარმოებში აქცენტირდება ომგამოვლილთა ხვედრი, სულიერი მდგომარეობა, ტრამვირებული

სული. მოთხრობის მიხედვით, ნაომარი კაცის ფიქრი იმ სურათებს დასტრიალებს, რაც ნახა, განიცადა.

აზარბაცებული, შემთხვევით ფეხს ადგამს ახალგაზრდას, მოუბოდიშებს კიდევ, მაგრამ „ნაბიჭვარი“ მაინც დაიმსახურა. კაცი, რომელიც ომში მტრის ტყვეებს, ყუმბარებს გადაურჩა, აქ, „მშვიდობიან პერიოდში“ ქუჩაში ბებუთით განიგმირება...

შეუძლებელია, გააანალიზო ომის თემა ქართულ ლიტერატურაში და გვერდი აუარო გურამ ოდიშარიას შემოქმედებას, სადაც სიღრმისეულადაა წარმოჩენილი საზოგადოებრივი ტრავმა, სტრესი, ქართულ-რუსული პოსტკოლონიური ურთიერთობები და ამ ფონზე წამოჭრილი შიდაეთნიკური (კერძოდ, ქართულ-აფხაზური კონფლიქტი).

გურამ ოდიშარიას შემოქმედებისთვის დამახასიათებელია ფსიქოლოგიური ნიუანსების წვდომა, დროის სიღრმისეული შეგრძნება.

როგორც მკვლევარი სალომე კაპანაძე აღნიშნავს, მწერლის „მზერის მიღმა არ დარჩენილა უფაქიზესი ნიუანსიც კი, რომელიც მომავალზე არ იყოს გათვლილი. მიკრომატიანე, რომელიც მან შექმნა, რეალური დასაყრდენია აფხაზ-ქართველთა საერთო წარსულისა და სამომავლო თანაცხოვრების გადასარჩენად [კაპანაძე, 2012:48].

გასაანალიზებელი ნაწარმოებები წარსულისადმი ნოსტალგიაზეა ფოკუსირებული (პროცესზე, რომელიც გამოიწვია იძულებითმა გადაადგილებამ), ძმების მესამე ძალის ჩარევით დაპირისპირებასა და უცხო ქალაქებში გადასახლებულ ადამიანთა ხვედრზე.

„სოხუმში მოსალოდნელია წვიმა“ ავტობიოგრაფიული ხასიათის ნაწარმოებია, რომლის გაცნობის შემდეგ ჩნდება განცდა, თითქოს სათაურმა „მოირგო“ ტექსტი. ნათლად ჩანს აწმყო-წარსულისადმი ავტორის დამოკიდებულება.

ფსიქოლოგიურ დრამაში შესამჩნევია ექსპლიციტური მოთხრობლის ნოსტალგიური დამოკიდებულება ქალაქისადმი, რომელში დასაბრუნებლადაც იგი მუდმივ მზადყოფნას განიცდის. ესაა მცდელობა - მარადიულობა მიანიჭოს სოხუმს. ნაწარმოები ერთგვარი დღიურია იძულებით გადაადგილებული კაცისა, რომელიც ყოველ დღით,

გაღვიძებისთანავე, სარკესთან მიდის და მოწესრიგებას იწყებს - წუთიც და, დაუძახებენ სოხუმში გასამგზავრებლად!... მწერლის მუდმივი მზადყოფნა სულიერი სიფხიზლის დასტურია. ეს მისი ორიენტირია, იცის, რა შეიძლება გამოიწვიოს ერის სულიერი თუ ფიზიკური სიფხიზლის მოდუნებამ.

სალომე კაპანაძის თვალსაზრისით, ოდიშარის „რომანებში მუდმივად ჩნდება აფხაზეთში დაბრუნების იმედთან ასოცირებული და ამ იდეიდან ამოზრდილი პარადიგმა“ [კაპანაძე, 2016:179].

გურამ ოდიშარია სოხუმის სახეა და, ვიდრე სოხუმს დავიბრუნებდეთ, ლოცვასავით უნდა ვიკითხოთ მისი შემოქმედება. მწერლის შთაგონების წყარო სოხუმი, უპატრონოდ დარჩენილი სახლია. ავტორი ცდილობს, ემოციური განწყობა გადმოიტანოს მკითხველზე, რომელიც კარგად ხვდება, რა „ავადობა“ შეჰყრია ავტორს „სოხუმის მონატრების“ სახელით.

სოხუმი ის ქალაქია, რომელმაც სამყარო შეაყვარა, სადაც ბედნიერების გასაღები იპოვა. სახლი მხოლოდ კედლები არ იყო მისთვის - ამ სახლში იყო ჩაბუდებული მისი ბავშვობა, მშობლების სითბო და სიყვარული... მიუხედავად მშობლიური სახლისადმი ასეთი დამოკიდებულებისა, გურამ ოდიშარია ერთ-ერთ ინტერვიუში იტყვის, რომ მისთვის სოხუმის სახლი არაფერს ნიშნავს, თუ იქ ყველა ქართველთან ერთად არ დაბრუნდება.

„სოხუმში მოსალოდნელია წვიმაო“, აცხადებს რადიო და ავტორი უკვე სოხუმშია! წვიმა მოირბენს სოხუმის ქუჩებს, პლაჟებს, ტურბაზას, მსგავსად მემატანისა, დააკვირდება თამარის ხიდს, ბაგრატის ციხის ნანგრევებს და დიოსკურიას. ნეტავ, თოლიები თუ დაფრინავენ წვიმაში?!

მწერალს სოხუმი უყვარს, უყვარს საოცნებო ქალივით, თავისი მწუხარე ცოცხლებითა და იმედგაცრუებული მიცვალებულებით. ხვალ იწვიმებს სოხუმში. იწვიმებს მის გარეშე. მის მიღმა. იწვიმებს მხოლოდ ომამდელ (!) სოხუმში. ომით სახეშეცვლილი სოხუმი მის გარეშე დარჩენილი სოხუმია, გასხვისებული, არაფრისმთქმელი.

სხვას არაფერს ამბობს რადიო. მწერალი-პროტაგონისტი ეგუება ბედს და ხვალინდელი იმედიანი ხმის მოლოდინში აგრძელებს უსოხუმო ცხოვრებას. ქალაქთან ერთად, იხატება ავტორის ფსიქოლოგიური პორტრეტი - რასაც ლტოლვილის თვალი ამჩნევს, აღიქვამს.

სოხუმიდან დევნილი ლიტერატორი, პოეტი მარინე ტურავა, „მშვიდობისა და იმედის მწერალს“ უწოდებს გურამ ოდიშარიას. მკვლევრის თვალსაზრისით: „გურამ ოდიშარიასთვის მიწიერი სამოთხე სოხუმია, მისი კანუდოსი მუდამ აქ იყო, მაშინაც კი, როცა ქალაქს არანაირი საფრთხე არ ემუქრებოდა. [...] იგი გულისგულში, მწერლური ინტუიციით მაინც გრძნობდა მოსალოდნელ საფრთხეს“ [ტურავა, 2011:42].

ვფიქრობთ, გურამ ოდიშარიას შემოქმედება სწორედ ის ხიდია, რომელსაც ქართველთა და აფხაზთა შერიგების მისია აკისრია.

ლიტერატურათმცოდნენი გურამ ოდიშარიას ნიჭიერებას ასფალტზე ამოხეთქილი ბალახის ძალას ადარებენ, მიიჩნევენ, რომ ინტონაციის მოულოდნელობით გამორჩეული მწერალი თავმდაბლურად აცხადებს უარს გაუსაძლისი ტკივილის დემონსტრირებაზე, დიდი სიფრთხილით ეხება დევნილობის თემას, რადგან შორს დგას სპეკულაციური ცდუნებისგან: „გურამ ოდიშარია მწერლობის, როგორც გარკვეული წესების მქონე თამაშის, დემონსტრირებას ახდენს; მოჩვენებითად ქოტურ სივრცეს ქმნის, რომელიც სინამდვილეში ღრმად ორგანიზებულია. მეტიც, წერა მისთვის ერთგვარ თავშექცევასთან ერთად საკუთარ ქალაქში, საკუთარ თავთან „დაბრუნების მექანიზმია“ [კუცია, კუპრეიშვილი, 2017:282].

სწორედ ეს იგრძნობა ნაწარმოებში, სადაც, გარდა იმისა, რომ წვიმიან სოხუმში მოგზაურობს ოცნებით, საინტერესოდ, შემოქმედის თვალით უმზერს, თუ რა ხდება ლტოლვილებით სავსე დედაქალაქის ქუჩებში. მეტროში ჩასულს პატარა მათხოვარი გოგონა უფრთხოვს სოხუმის წვიმაზე ფიქრს. გოგონას შაოსანი ქალი მოსდევს დახრილი მზერით, ხელში საღებავი რეზინის კოლოფი უჭირავს წარწერით: „დაეხმარეთ ობლებს“. ლტოლვილმა გაიღო მოწყალება... მეტროს კართან ორივე მათხოვარი გვერდიგვერდ დგას. პატარა გოგონა დაჟინებით უმზერს უფროს „კოლეგას“, ხელს ჯიბეში იყოფს, მუქით ამოაქვს მონეტები და ბედნიერი ღიმილით შაოსან მათხოვარს

ხელის სწრაფი მოძრაობით უყრის კოლოფში! მოწყალების მთხოვნელთა ერთმანეთისადმი ასეთი დამოკიდებულება დაუვიწყარია. თავს იჩენს ღრმა ფსიქოლოგიზმი, რომელიც განსაკუთრებული სიმწვავეთ მძიმე სოციალურ გარემოში ირეკლება. ლტოლვილი მზერით აცილებს ბედნიერი სახით მიმავალ გოგონას: „ეს რა დიდი ამბის მოწმე გამხადე, უფალო. ათასი წელიც რომ ვიცოცხლო, რა დამავიწყებს პატარა მათხოვარს!“ [ოდიშარია,1997:9].

პროტაგონისტი-მთხრობელი სოფელში, დასთან გადაბარგებულ დედასთან მიემშურება, იცის, რაზეც უნდა ისაუბრონ - ეტყვის, რომ სოხუმში წვიმს, მათ სოხუმში. მერე დედას ცრემლჩამდგარ თვალებში ჩახედავს, ბავშვივით ჩაუდებს თავს კალთაში და იმედიანი სიტყვის მოლოდინში გაიტრუნება.

სადგურში, საიდანაც სოფლისკენ მიმავალი ავტობუსით უნდა გაემგზავროს, 90-იანი წლების დამახასიათებელი (დღემდე შემორჩენილი) კიდევ ერთი სურათი იხატება. „იკარუსში“ ამოდიან და ჩადიან ხელზე მოვაჭრე ადამიანები, რომლებსაც გვარ-სახელიც დაუკარგავთ - ზოგი „ნამცხვარია“, ზოგი - „შოკოლადი“, ზოგი - „გაზეთი“. ვინ იცის, რას საქმიანობდნენ ისინი ომამდე... რას ფიქრობდნენ... ალბათ, ვერასოდეს წარმოიდგენდნენ, ამ დღეში თუ აღმოჩნდებოდნენ. აი, სოხუმელი „ჩიტის რძე“ გამოჩნდა... ესაღმება, მაგრამ - დამნაშავესავით, უნდა თვალი მოარიდოს. მთხრობელს ახსოვს იგი, სოხუმის ქუჩებში კოხტად ჩაცმული, ლალი და ბედნიერი. ახლა კი... გამომშვიდობებისას, იგი „ჩიტის რძის“ შეკვრას ატანს დედასთან და ჩადის... დედას არ ეტყვის, ვინ გაუგზავნა ჩიტის რძე, ცოდოა...

მარინე ტურავას თვალსაზრისით, „პროზაიკოს გურამ ოდიშარიას ენა პოეტურია. მის პროზაულ ნაწარმოებებში, პოეზიის მსგავსად, ზღვის ტალღების ხმაური, თოლიებისა და მაგნოლიების გამუდმებული ჩურჩული, ნიჟარების იდუმალი ექო ისმის...“ [ტურავა, 2010: 46]. (ვფიქრობთ, მარინა ტურავას, როგორც ერთ-ერთ იძულებით გადაადგილებულ შემოქმედს, სხვაზე უკეთ ესმის ავტორის განცდები). ავტორის ქვეცნობიერში დარჩენილა სოხუმი - სამუდამოდ. „არა, არც სამსახურისკენ მიმავალმა და, არც სახლისკენ მომავალმა არ უნდა დაიმგზავროთ სოხუმი და ზღვა, თორემ,

როდესაც რამეს მეკითხებიან, ძალიან არეულად ვპასუხობ-ხოლმე. სულ მათზე ვფიქრობ“ [ოდიშარია,1997:16].

ავტორი თვლის, რომ ვერც გაზაფხული აშუშებს იარებს. რუსთაველზე, სადაც იებს და ყოჩივარდებს ჰყიდიან, „სამხედროფორმიანი მუხლსზემით მოკვეთილი ფეხით მიაღწევს ცხოვრებას. თითქოს ომი გვერდით მიჰყვება კაცს და მის ყოველ ნაბიჯს თავისი ბეჭდით ორჯერ ამოწმებს - „პირადად ვადასტურებ, ეს საქმე მე ვქმენ!“ [ოდიშარია,1997:19].

ავტორი, რომელმაც აფხაზეთის ტრაგედია უშუალოდ განიცადა და უღელტეხილი სხვებთან ერთად, ფეხით გადმოიარა, ფიქრით ლტოლვილთა ნაკადის დედაქალაქში შემოსვლის პერიოდს უბრუნდება. დამხდურთაგან ზოგი ამბობდა: ლტოლვილები ჩვენ ვართო, ზოგნი - რა ქნან, მათი მიზეზით ხომ არ მომხდარა ომიო... სხვა გზა არ იყო, თვალებში უნდა ეყურებინათ ყველასთვის და იმის მიხედვით ემოქმედათ, სიტბოს დაინახავდნენ დამხდურთა თვალებში თუ სიცივეს. კონტროლიორი ქალის მოქმედება გულს უთბობს ლტოლვილს. როგორც სოხუმელს, პატივს სცემს და საშვს ცელოფანში ჩაასმევინებს, აღარ გაგიცვდება, ბიჭო - ღიმილით მიმართავს. რამდენი ხანია, „ბიჭო“, არავის უთქვამს. სოხუმთან ერთად, დაიკარგნენ ის ადამიანები, რომლებიც ბავშვობიდან იცნობდნენ და შეეძლოთ ათასგვარი მოსაფერებელი სახელით მიემართათ მისთვის. აქ აღარავინ იყო - არც ბავშვობის მეგობარი, არც თანაკლასელი.

გაზაფხული ახალ იარას ხსნის - ლტოლვილობას განსაკუთრებული სიმძაფრით აღდგომის დღესასწაულზე გრძნობენ, თითქოს ხელგამოწვდილ მიცვალებულებს ხედავენ და არ ძალუძთ მიშველება. სოხუმიდან დევნილი ქალი მეზობელს ატანს წითელ კვერცხებსა და სანთლებს: „წაიღე, მაია, ეს ყველაფერი შენი მშობლების საფლავზე, მე ხომ მესამე წელია, ჩვენს სასაფლაოზე არ ვყოფილვარ...“ [ოდიშარია, 1997:20]. (საფლავდაკარგულთა უსასოობის თემა საინტერესოდა გაშუქებული გიორგი სოსიაშვილის შემოქმედებაშიც, რომელიც ქართულ-ოსური კონფლიქტის 2008 წლის მოვლენებს ეხება. ფაქტია, უსახლკარობისა და საკუთარ სამშობლოში დაუცველობის განცდა ერთნაირად აქვთ როგორც აფხაზეთიდან, ასევე სამაჩაბლოდან დევნილთ).

ნაწარმოებში „სოხუმში მოსალოდნელია წვიმა“ წარმოჩენილია წარუვალი სულიერი ღირებულებების ჭიდილი წარმავალ რეალობასთან. შეუთავსებელი სამყაროების შერწყმას, თუ დაახლოებას მაინც ახერხებს ავტორი.

90-იანი წლების ტრაგიკულ მოვლენებს ეხება გურამ ოდიშარას მოთხრობა „ძმისშვილიც.“ სათაური ერთგვარი რეზიუმეა ტექსტის შინაარსისა - ქართველი ჯარისკაცი აფხაზი მეომრის ძმისშვილს გადაარჩენს. ღირებულია ნათესაური კავშირები როგორც ქართველთა, ასევე აფხაზთა შორის. აფხაზეთის ომის თემაზე შექმნილ ნაწარმოებში წარმოჩენილია დაპირისპირებულთა ურთიერთდამოკიდებულება. ავტორს სურს, აღწეროს ომის სისასტიკე, ამავდროულად, ამბობს, რომ, მიუხედავად ომის დაუნდობელი კანონებისა, კრიტიკულ სიტუაციაში ადამიანები ცდილობენ, არც თვითონ დაკარგონ და არც მტერს შეულახონ ღირსება.

ვალერი, რომელიც თვითონაც განსაცდელშია, ცდილობს მტრის შვილი გაარიდოს ტყვიებს და სიცოცხლე შეუნარჩუნოს. ბავშვის პაპა კი, რომელიც მტრის თავდადებას აფასებს, ღირსეულად უმასპინძლებს და სამშვიდობოზეც მებრძოლის ყველა უფლების დაცვით გადაჰყავს. ნაწარმოების მიხედვით, ქართულ ბატალიონი სოხუმის მიმდებარე ტერიტორიაზე აფხაზებით დასახლებულ სოფლებში იბრძვის. თვალი ცეცხლში გახვეული საგნების ამოცნობას „ეჩვევა.“ სახლები თეთრი ალით იწვიან, მანქანები და ტანკები - შავით. თეთრ ბოლს ოჯახური სიწმინდისა და სიმყუდროვის რღვევის სიმბოლოდ მიიჩნევს ავტორი - მისი სახით მიდის ზეცამდე ერთ დროს ბედნიერი ოჯახის კვნესა-ვაება. ავტორის თვალსაზრისით, შავი ბოლი იმ ეშმაკის მანქანებს ასდით, ადამიანის უბედურებას რომ სჭედენ და ღვთისგან შექმნილ სიცოცხლეს ხელყოფენ. ავტორი თანაგრძნობითაა გასჭვალული მებრძოლებისადმი, რომლებიც, ერთმანეთის გაცნობას ვერც ასწრებენ, ისე იღუპებიან.

ეპოქის ტრაგიზმს ხატავს ავტორი, როცა იმ ბიჭის დაღუპვის სურათს აღწერს, რომელმაც იარაღი შურის საძიებლად აიღო. მიზეზი? - მამამისს ყელი გამოლადრეს გაგრაში და „კოლუმბიური ჰალსტუხი“ გაუკეთეს.

ნაწარმოები აფხაზეთის ომის ტკივილიანი ქრონიკაა. მწერალი მტრის დაცარიელებულ სახლში შესულ ქართველ ჯარისკაცთა სულიერ მდგომარეობას განაზოგადებს და მათ მიერ, წამიერად განცდილ-შექმნილ იდილიას გვიხატავს. საძინებელ ოთახში პატარა ბავშვის აღმოჩენით, მასზე ზრუნვით, ავტორს სურს გვიჩვენოს, რომ, მიუხედავად გაურკვეველი მომავალისა, სიკვდილის შიშისა და უსასოობისა, ბიჭები არ ბოროტდებიან. სროლები გაგრძელდა და ცოცხალი მხოლოდ ვალერი გადარჩა. „ავტომატი მხარზე გადაიკიდა, წამოდგა და, ის იყო, ფანჯრის რაფას შეახტა, რომ გველნაკბენივით მოტრიალდა - ბავშვი ავიწყდებოდა“ [ოდიშარია,1997:38]. მიუხედავად ფიზიკური და სულიერი შეჭირვებისა, ვალერის ბავშვი სამშვიდობოზე გაჰყავს. მას სხვა აღარაფერი ახსოვს - უნდა დაიცვას უმწუო...

გურამ ოდიშარიას შემოქმედების ანალიზისას სომეხი მწერალი და კრიტიკოსი ლეონიდ ტერ-აკოპიანი წერს: „გურამ ოდიშარიას ვრცელ მოთხრობაში „მმისშვილი“ [...] ავტორი თხრობას ისე წარმართავს, რომ იბნევი, ეს ვალერიმ გადაარჩინა ბავშვი, თუ ბავშვმა - ვალერი“ [ტერ-აკოპიანი, 2019:15].

ფიქვის ფესვებთან, ხალათზე დაძინებული ჩვილი და ვალერის დაფიქრება აწმყო-წარსულზე, ფაქტობრივად, ადამიანის მხეცადქცევის უსასტიკესი და უმტკივნეულესი პროცესის გაანალიზებაა. ავტორი პერსონაჟის ფიქრებით გადმოგვცემს განცდებს ადამიანისა, რომელსაც წარმოდგენა არ ჰქონდა ომზე და პირველად აიღო იარაღი, ნახა დასახიჩრებული გვამები, „ტანკში ჩამწვარი ჩექმის ტოლად“ დარჩენილი ჯარისკაცები, რომელთა ჩასასვენებელშიც ქვიშით სავსე ტომრებს აწყობდნენ სიმძიმისათვის... „ერთი რამ კი უკვე სჯეროდა - ამ ომის დამთავრების შემდეგ არავინ იქნებოდა ბედნიერი - არც ერთი კაცი და არც მთელი კაცობრიობა“ [ოდიშარია, 1997:43].

ვალერის ტყვედ ჩავარდნილი „თეთრარწიველი“ გაახსენდა; ორი აფხაზი და ორი ადიღელი ფეხებზე ბენზინს, ტანზე კი - წყალს ასხამდნენ, დიდხანს რომ გაგრძელებულიყო მისი ტანჯვა (ნარკოტიკსაც ამავე მიზნით უკეთებდნენ). ბოლოს „შეუსრულეს თხოვნა“ და ესროლეს.

ავტორი (ვალერის სულიერი ტრავმის მიზეზების აღწერით) გმობს ომის საშინელებას. ვფიქრობთ, პერსონაჟის მოგონებები ყველაზე მტკივნეულად გადმოსცემს რეალობას და ეს მოკლე ჩანართი ნაწარმოების მთავარ სათქმელს ირეკლავს და იტევს.

ვალერის ფიქრებში საყვარელი ქალის სახეც გავრთება - პერსონაჟის სიყვარულით გაკეთილშობილებულ სულს წარმოაჩენს ავტორი. სიყვარულია ძალა, რომელმაც ვალერის შეაძლებინა, არ დაეკარგა თავი და ყველა დაბრკოლება სატრფოსთან დაბრუნების იმედით დაეძლია.

ტყვედ აყვანილ ვალერის ჭაღარა კაცმა რევოლვერი აუთამაშა და დასჩხავლა: „- მაშ, შენი მიწაა, არა, ეს მიწა? ახლავე გავაჩერებ მანქანას და იმდენ მიწას გაჭმევ, იმდენ მიწას, რომ პატივისცემაში ამოგხდი სულს, შე ძაღლისშვილო...“ [ოდიშარია, 1997:59].

ავტორი ყურადღებას ამახვილებს აფხაზური ოჯახის ტრადიციულ სტუმართმოყვარეობაზეც, რაც მტრობისასაც არ იკარგება (უცხო ოჯახში ხელშეკრული შეჰყავთ ვალერი და, როდესაც მისი უდანაშაულობა ირკვევა, ბავშვის პაპა ებოდისება, რადგან მის სახლში ხელშეკრული კაცი არასოდეს შესულა).

პაპის სახით საღად მოაზროვნე აფხაზს ვხვდებით ნაწარმოებში. მოხუცის თვალსაზრისით, „არც ერთი ხალხი არ არის დამნაშავე, ყოველი ხალხი მსხვერპლია ომისა. ახალგაზრდა ხარ და დაიხსომე: ერთ დროს აუცილებლად შერიგებაზე მიდგება საქმე და მაშინ ჩემი სიტყვა მოიგონე - პატიების უფლება მხოლოდ მსხვერპლს აქვს“ [ოდიშარია, 1997:66].

საინტერესოა, ვის მოიაზრებდა „მსხვერპლში“ აფხაზი?! ოჯახის მადლიერება, რომ ვალერიმ ბავშვი დაიცვა, მისი გამასპინძლებით და უსაფრთხოდ გაცილებაში გამოიხატა. სამშვიდობოზე გაყვანილ ვალერის ბავშვის ბიძა იარაღს უბრუნებს - შენისთანა კაცს იარაღს ვერ ავყრითო! კიდევ ერთხელ გადაუხადა მადლობა დაურის გადარჩენისათვის და დაემშვიდობა: „- მოდი, ასე ძმებივით დავშორდეთ ერთმანეთს დღეს. მაგრამ თუკი ხვალ კიდევ მოგვიწია ბრძოლაში შეხვედრამ, რას იზამ, უნდა ვიბრძოლოთ. დღეს, ყველაფერთან ერთად, ღირსეული მტერიც სანატრელია“ [ოდიშარია, 1997:70].

ავტორი ემოციურად აღწერს დაღმართზე დაშვებული ვალერის განცდებს და ავ მოლოდინს - ვაითუ, ზურგში ტყვია დამადევნონო. მანქანის ძრავის ხმა რომ მიწყდა, სუნთქვაშეკრული ვალერი ჩერდება. მერე ავტომატს დახედავს, ხსნის და, ტყვიებით სავსე მჭიდეს რომ დაინახავს, უცნაური, მოულოდნელობით გამოწვეული განცდა იპყრობს - მტრის ნდობამ მოლოდინს გადააჭარბა. იცოდნენ, ამ ტყვიებს მათიანები უნდა ემსხვერპლა, მაგრამ ღირსება არ შეულახეს!

ვალერი ნელ-ნელა დაეშვა მიწაზე. „ბალახებში იჯდა და გულამოსკვნილი ტიროდა. პატარა ბიჭივით ტიროდა, ომისგან და კაცთა სიბრიყვისგან, სისხლისგან და სისასტიკისგან გადაღლილი, წუთისოფლის დაქანცული, ნერვებდაგლეჯილი მგზავრი“ [ოდიშარია, 1997: 72]. („ვაჟკაცობისას ამბობენ, ერთურთის დანდობისასაო“ - ღირსეული მტრის დანდობა ვაჟასეული ალუზიაა, ალუდა ქეთელაურის მუცალისადმი დამოკიდებულებას გვახსენებს).

ნაწარმოების სიუჟეტი კონცენტრალური ტიპისაა - დროის მოკლე მონაკვეთში განვითარებული მოვლენები ერთმანეთთან მჭიდრო მიზეზ-შედეგობრივ კავშირშია. მტრის შვილის გადარჩენა იწვევს დადებით შედეგს - მტერი ინდობს მტერს და ნდობასაც უცხადებს, მეტიც, უმაღლეს შეფასებას აძლევს - „ღირსეულ მტერს“ უწოდებს. ნდობით გამოწვეული ემოცია ატირებს კაცს, სიყვარულით სავსე ქვეყანაში ცხოვრებას მონატრებს და ანატრებიანებს.

სალომე კაპანაძის თვალსაზრისით, გურამ ოდიშარიას პერსონაჟები ყოველთვის სიკეთის უძლეველობის სიმბოლოები არიან. მტრები, კონკრეტულ სიტუაციაში, ერთმანეთის გადარჩენაზე ფიქრობენ და მსგავსი პარადოქსული აღმოჩენებით გამოირჩევა მწერლის შემოქმედება. კრიტიკოსი „მმისშვილს“ „სამშვიდობო მისიით წარმოდგენილ“ ნაწარმოებს უწოდებს: „სიძულვილით „აჩეხილ სამყაროში“ ამ კოლიზიის არსი და დანიშნულება ის არის, რომ ქართველები და აფხაზები კვლავ დაბრუნდნენ ერთი ოჯახის ქვეყანაში, უზარმაზარი ოჯახის უზარმაზარ ქვეყანაში, სადაც კაცი არ კლავს კაცს და სადაც მხოლოდ სიყვარულის ძალა განაგებს ყველაფერს“ [კაპანაძე, 2012: 48].

ვიზიარებთ სალომე კაპანაძის შეხედულებას, ვფიქრობთ, სწორედ ტრადიციული ადათ-წესები დაგვაბრუნებს ერთმანეთთან. მწერალი, რომლებმაც საკუთარ თავზე გამოსცადა ომის სისასტიკე, თავის შემოქმედებას ერთგვარი ხიდის მისია დააკისრა, თვლის, რომ, ერთმანეთს თუ არ მივუტევეთ, ხიდი არ აღდგება.

საკონფერენციო მასალებში, ქართულ-აფხაზურ ურთიერთობებს რომ ეხება, გურამ ოდიშარიას შესახებ ვკითხულობთ: „ მწერალი ყველაფერს ადამიანებს შორის გაჩენილ უნდობლობას აბრალებს და თვლის, რომ, სანამ ნდობას არ დავიბრუნებთ, პრობლემა არ მოგვარდება, პირიქით, უფრო მასშტაბურ ხასიათს მიიღებს“ [შავრეშიანი, დადალაური, 2011:45]. მკვლევართა თვალსაზრისით, გურამ ოდიშარიას შემოქმედება აღსარებაა ხალხის, მკითხველის წინაშე.

რომანი „პრეზიდენტის კატა“ მხატვრულ-დოკუმენტური ხასიათის ნაწარმოებია. სათაურიდან გამომდინარე, ჩნდება მოლოდინი, რომ ნაწარმოებში მთავარი ფიგურა თუ არაა, არცთუ უმნიშვნელო ადგილი უნდა ეჭიროს კატას. ტექსტის გაცნობისას აღმოჩნდება, რომ ეს ცხოველი, მხოლოდ ეპიზოდში გამოჩნდება და მისი „პრეზიდენტისეულობაც“ ნაწარმოების მთავარი გმირისთვის ისეთივე იუმორით შეზავებული წარმოსახვაა, როგორც - რძის ჩანჩქერის ან „სასტუმრო ბაყაყების“ არსებობა სოხუმში.

ნაწარმოები დოკუმენტურ ფაქტებზეა შექმნილი და საბჭოეთა კავშირისდრინდელი სოხუმის საზოგადოებრივი ცხოვრების პანორამას ასახავს. გაცოცხლებულია გასული საუკუნის 60-იან-80-იან წლებში აფხაზეთის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის, მიხეილ ბლაჟბას ცხოვრება. ბლაჟბა ხრუშჩოვის მმართველობის დროს მოღვაწეობდა და მის საქმიანობასაც, ნაწილობრივ, იმ პერიოდის სულისკვეთება ასაზრდოებდა. „წიგნი გვიყვება ორ განსხვავებულ სოხუმზე, ურთიერთობებით, მეგობრობით, ერთმანეთის სიყვარულით, თანადგომით გამორჩეულ ისტორიებსა და ომის საშინელებაზე, მშვიდობის უპირატესობაზე...“ [თოლორაია,2017(ელექტრონული რესურსი)].

ამბები, რომლებიც რომანშია აღწერილი, ომამდელი სოხუმის ცხოვრებას ასახავს, სწორედ იმ სოხუმისას, რომელიც ლტოლვილთა მოგონებებისა და ნოსტალგიის მიზეზია. ესტონელი კინორეჟისორის, ტატიანა მიულბაიერის თვალსაზრისით, „გურამ ოდიშარას რომანში „პრეზიდენტის კატა“ მთავარი გარემოცვის აღსაწერად გამოყენებული აქვს ხედვის ისეთი ფერადოვანი სპექტრი, რომელიც გაცივს თავისი მასშტაბური შეგრძნებებით და თანავტორობის, საოცარი თავისუფლების საშუალებას აძლევს მკითხველს (იგივე მაყურებელს), რადგან აშკარაა მწერლის ვიზუალური თხრობის მანერა და ნაწარმოების ოსტატურად აწყობის ნიჭი, რომლის მიღმაც იგრძნობა ავტორის ზუსტი გათვლები, ფაქიზ ინტუიციასა და დიდ პროფესიონალიზმთან ერთად“ [მიულბაიერი, 2019:15].

ვეთანხმებით კინორეჟისორს, რადგან ნაწარმოები, რომელიც დიდი მხატვრული ოსტატობითაა შექმნილი, იკითხება მსუბუქად, ლაღად. შიგადაშიგ (სადაც ავტორი თვლის საჭიროდ) ჩართულია არაერთი სახალისო სიუჟეტი. ტექსტი ეყრდნობა სოხუმელთა გადმოცემებს - სწორედ სოხუმელთა თხოვნა იყო, მიხეილ ბლაჟბა, როგორც კოლორიტი, „სოხუმური ფოლკლორის“ გმირად ქცეულიყო.

მიხეილ ბლაჟბას უკანასკნელი სურვილიც ეს იყო - მის შესახებ მოეთხროთ შთამომავლობისთვის. „სოხუმელები თვლიან, რომ, თუ მათგან მსოფლიომ სიამოვნებით მიიღო საცივი, ელარჯი, აჯიკა, თეთრი და შავი ღვინო, რატომ არ უნდა გაიცნონ მიხეილ ბლაჟბა, რომელიც ასეთივე მნიშვნელობისაა სოხუმელებისათვის?! როცა შენი ქვეყნიდან საუკეთესო მდინარესავით გაედინება, უნდათ-არ უნდათ, გვერდს ვერ აგივლიან, ვერ დაგივიწყებენ და სწორედ ამიტომ ისიც უნდა შესთავაზო, რაც შენ გსურს, რომ გადარჩეს. სოხუმელების აზრით, მიხეილ ბლაჟბა, სოხუმის კოლორიტი და მისივე ფოლკლორის გმირი, ნამდვილად იმსახურებს ხსოვნას და, თუკი იქნება მიხეილ ბლაჟბა, იქნება სოხუმიც და, პირიქით“.

რომანის შესახებ საინტერესო თვალსაზრისს გვთავაზობს შალვა ბაკურაძე: „ისეთი სტრუქტურითაა წიგნი აგებული, რომ ნებისმიერ ადგილას შეგიძლია გადაშალო და დაიწყო. აქ არის როგორც ჩანართები, საინტერესო ისტორიები, ფაქტობრივად,

ანეკდოტებამდე დასული ამბები, ასევე - გრძელი, სენ-ჟონ პერსისა და უიტმენის სტილში შესრულებული სადღეგრძელოები“ [ბაკურაძე, 2019:15].

გურამ ოდიშარია ხშირად მიმართავს ამ „სადღეგრძელოებს“, რაც მეტად საინტერესოსა და სახალისოს ხდის ტექსტს. ნაწარმოების მაღალმხატვრულობაზე მეტყველებს შედარებებისა და ეპითეტების სიმრავლე. მიხეილ ბლაჟბა გაიგივებულია ანბანთან, რომლის შესანარჩუნებლადაც უცხო ქვეყანაში გადახვეწილი ქართველები მჭადებს ასო-ბგერების ფორმისას აცხობდნენ. „მიხეილ თემუროვიჩი მიმოფანტულია (ძირითადად, სოხუმელებში). ზოგმა მხოლოდ ერთი ასო იცის ამ დამწერლობისა, ზოგმა - ორი ან სამი. ერთად კი უკვე-არავინ“ [ოდიშარია,2015:23].

ნაწარმოებში დიდი ადგილი უჭირავს ქართველებისა და აფხაზების მეგობრობის, ნათესაური კავშირების, სასიამოვნო ურთიერთობებით გამორჩეული ყოფითი სიტუაციების აღწერას. ბლაჟბას ცხოვრება და მოღვაწეობა ქართველებისა და აფხაზების მეგობრობისა და მშვიდობიანი თანაცხოვრების თვალსაჩინო მაგალითია. რომანი ფასეულია როგორც ისტორიული, ასევე - მხატვრული თვალსაზრისით.

ნაწარმოებში მოყვანილი ფაქტები, სოხუმის ისტორიის, ლამაზი წლების გაცოცხლება ერთგვარი დაბრუნებაა წარსულთან. ავტორი დავიწყების მტკერს აცლის პიროვნებას, რომელიც სოხუმის „კოლორიტად“ აღიქმებოდა. ტექსტი აწმყოსა და წარსულის კავშირის უწყვეტობის წარმომჩენია.

ეთნოსახლის პრეზიდენტის, მაია ბასარიას თვალსაზრისით, „ბატონი გურამ ოდიშარია არის ადამიანი, რომელმაც წლების განმავლობაში ბევრი რამ გააკეთა, რომ ქართველებსა და აფხაზებს შორის ნდობის აღდგენის პროცესი წასულიყო წინ. ამის ნათელი მაგალითია მისი არაერთი წიგნი, რომელიც აფხაზეთს ეძღვნება. ყველაზე მნიშვნელოვანი არის ის, რომ ქართველმა საზოგადოებამ იცოდეს, რომ ბატონი გურამის ერთ-ერთი წიგნი - „პრეზიდენტის კატა“ თვით აფხაზების მიერ ითარგმნა აფხაზურ ენაზე, რაც კიდევ უსვამს ხაზს იმას, რომ ჯერ კიდევ არსებობს და ცოცხლობს აფხაზებში ინტერესი ქართველებთან ურთიერთობის აღდგენის მიმართ“ [მუმლაძე, 2017(ელექტრონული რესურსი)].

მიხეილ ბლაჟბა „ადამიანური ურთიერთობების დიდოსტატია“. მწერლის კონცეფციით, რომ სწორედ ადამიანური ურთიერთობების, კავშირების რღვევას სდევს თან ყველანაირი უბედურება. ავტორს ყველაზე სწორად, გამართლებულად ეჩვენება გზა პერსონაჟ-პროტაგონისტისა, რომელიც ნებისმიერი სიმწვავის პრობლემისა და უთანხმოების საუბრით, მშვიდობიანი ხერხებით მოგვარებაზე გადის. მწერალი საგანგებოდ აღნიშნავს იმასაც, რომ ნაწარმოებში „არსად არაფერია ნაგულისხმევი. უნდა წაიკითხო და გაიგო ისე, როგორც წერია“.

კომუნისტური პარტია, „ეპოქის გონება, სინდისი და ღირსება“, ხსნიდა და ნიშნავდა მოკავშირე თუ ავტონომიური რესპუბლიკების ხელმძღვანელებს. ბევრმა მათგანმა თამამი სიტყვა თქვა, სერიოზული კვალი დატოვა თავისი მოღვაწეობით. მათ შორის იყო მიხეილ ბლაჟბაც. სტალინის „ფოლადის პერიოდის გადმონაშთი კომპლექსებისგან არ იყო თავისუფალი, მაგრამ თავისებური ნიჭის, კომუნიკაციისა და დიპლომატიის უნარით შეძლო, გამოემერწა სხვათაგან სრულიად განსხვავებული, დროს მისადაგებული თავკაცის სახე. მისი საუკეთესო თვისებებიდან ერთ-ერთი მთელ ქვეყანასთან მეგობრობა, ან მეგობრობის სურვილი იყო. თუ ეპოქა ადამიანს სხვა პლანეტაზე, სხვა გალაქტიკასა და კოსმოსში ეძებდა, ბლაჟბა მას იქვე, თავის გვერდით პოულობდა, იმეგობრებდა, სწავლობდა და ძერწავდა ისეთს, როგორც მის გუნება-განწყობას შეეწყობოდა, შეესაბამებოდა“.

მონათხრობების მიხედვით, შეიძლება ჩავთვალოთ, რომ სოხუმი ბლაჟბას გარშემო ბრუნავდა, ამავდროულად, ისიც „ბრუნავდა“ სოხუმის გარშემო, „ადამიანებს საუკეთესო კუთხიდან უმზერდა, მერე სხვებსაც ამ მხრიდან უჩვენებდა და ამგვარად, ჰარმონიულს ხდიდა ყოფას ქალაქისას, რომელიც, ასე თუ ისე, მაინც კომუნისტური უღლის ქვეშ ჩუმად გმინავდა“.

როცა აფხაზეთში „ამერიკის გემომ“ „პეპსიკოლათი“ დაიწყო შემოსვლა, ამერიკიდან ერთ-ერთი ვიზიტის შემდეგ დაბრუნებულმა ბლაჟბამ სოხუმელები „დაამშვიდა“, ამერიკაც კარგად განვითარებული საბჭოთა კავშირია, სხვა არაფერიო. მისი ჰუმანური ბუნება ნაციონალური შუღლის მარცვალს გაღივებისა და აღმოცენების ნებას არ აძლევდა. „ერთხელ ნალჩიკში ჰკითხეს, როგორ ახერხებთ, რომ ამდენი ეროვნება ხართ

აფხაზეთში და მშვიდობიანად ცხოვრობთო. უპასუხა, ჩვენ გვაქვს ღვინო „Букет Абхазии“, ასეთი სახელი იმიტომ შევარქვით, რომ აქ ყვავილების თაიგულივით ვცხოვრობთ, ამ თაიგულში ყველა ყვავილს თავისი განუმეორებელი სურნელი აქვსო“ [ოდუშარია, 2015:98-99].

ვფიქრობთ, დღეს ძალიან გვესაჭიროება ბლაჟბას მსგავსი მოაზროვნენი. ახლა „ახალი ყვავილებია“ საჭირო ისეთივე „თაიგულის“ შესაკრავად, რადგან ძველი თაიგულის დაშლილ-დაფანტულ ყვავილებს დღემდე ვერ აღუდგენიათ ფერი და სურნელი...

უბოროტო, იუმორნარევი იყო მიხეილ ბლაჟბას ტყუილიც, რომელსაც მხოლოდ სიტუაცია უკარნახებდა. ეს იყო მასალა, რომელმაც იგი გამოძრწა, როგორც სოხუმის კოლორიტი. ღიმილისმომგვრელია წითელი აპარატით მისი „საუბარი“ ნიკიტა ხრუმშოვთან, აქაფებული ჩანჩქერის „რძის ჩანჩქერად“ გასაღება, ქალაქის ცენტრში „სასტუმრო ბაყაყების“ არსებობა, თიხის ქვევრის „ზრდა“ და ა.შ.

საინტერესოა მწერალ შოთა იათაშვილის თვალსაზრისი იმის შესახებ, რომ სოციალისტური რეალიზმის „გმირებიდან“ ვერავინ გადაურჩა გამარჯვებას. გურამ ოდიშარიას „პრეზიდენტის კატა“ სწორედ ამ თვალსაზრისითაა საინტერესო - იათაშვილი ხედავს გურამ ოდიშარიას მიერ დახატულ ბლაჟბას: სამართლიანს, ხალისიანს, გულისხმიერს, ფანტაზიორს, ავანტიურისტს... სწორედ ისეთს, როგორც ... არ უნდა იყოს საბჭოთა მოხელე! „გურამ ოდიშარია ისე წერს, რომ არ გიჩნდება ასეთი ტიპის შეკითხვა: რამ დააწერინა ამ კაცს ახლა წიგნი საბჭოთა მოხელეზე და, თანაც დადებითი?!“ [იათაშვილი, 2019;15].

ნაწარმოების წაკითხვის შემდეგ გრჩება ამაღლებული განწყობა, რაც როგორც ნაწარმოების რეალური გმირის, ასევე ავტორის მაღალი გემოვნების დამსახურებაა. მწერალი თავს არ გვახვევს თავის შეხედულებებს. ნაწარმოების გმირის, როგორც ინდივიდის, ხასიათი ყველაზე უკეთ მოქმედების ამსახველ დეტალებში მჟღავნდება. ერთ-ერთი საინტერესო ისტორიაა „ასაკით შეუფერებელ“ გაბუნიასა და მარგარიტას შორის ინტიმური ურთიერთობის შესახებ ხმაური, რომელმაც ცენტრალურ

კომიტეტამდეც მიაღწია, მაგრამ „საკითხის“ ბლაჟბასეული შეფასება ფაქტზე უფრო სენსაციური აღმოჩნდა - დაზარალებული მამაკაცზე 20 წლით უფროსი მარგარიტა კი არაა, რომელსაც მისი ცოლობა გადაუწყვეტია, არამედ გაბუნიაო, ამ უკანასკნელს, „კომპენსაციის (!) სახით“, პრემია გამოუწერა, მარგარიტა კი დასასვენებლად გაუშვა...

მიხეილ ბლაჟბა საკითხისადმი განსხვავებული მიდგომით გამოირჩევა; ავტორი ძალიან საინტერესო კუთხით აშუქებს მის „უცნაურ“ გადაწყვეტილებებს (მაგალითად, ოჩამჩირელი პარტმუშაკის მიერ თხის მოპარვის ეპიზოდი. ბლაჟბა ქურდის პარტიის რიგებიდან გარიცხვას აპროტესტებს - სტუმართმოყვარეობის წმიდათაწმიდა ტრადიციის არდარღვევის გამო ჩადენილი დანაშაულიაო (ქურდს ხომ სტუმარი ჰყავდა!)).

ბლაჟბა მართლაც განსხვავებული ხედვის, ჩინოვნიკის ჩარჩოდან გადმოსული, „უცნაურ-ფანტასტიური“ პიროვნებაა. საზოგადოებასთან მისი დამოკიდებულება განსხვავებულია. ნაწარმოების მიხედვით, სოხუმის ცენტრალური კომიტეტის უკანასკნელი მდივანი ზედმიწევნით ფლობდა ყველა იმ თვისებას, რაც მას საქმის საუკეთესოდ წარმართვასა და ადამიანთა კეთილგანწყობის მოპოვებაში წაადგებოდა. ერთ-ერთი მთხრობელი მას ასე ახასიათებს: „მიხეილ თემუროვიჩი კატას მაგონებდა - თავისებურად ალერსიანიც იყო და თავისებურად ეშმაკიც, ოღონდ მოსიყვარულე კატას ჰგავდა, საუკეთესო კატას - საუკეთესო ძაღლის თვისებებით“ [ოდიშარია,2015: 44] - იგი ხომ ნებისმიერ პრობლემას მშვიდობიანი გზით აგვარებდა.

ადამიანებისადმი (და არამარტო მათდამი) განსხვავებულმა მიდგომამ და დამოკიდებულებამ აქცია მიხეილ ბლაჟბა სოხუმში მოარულ ლეგენდად. შვილის სიკვდილითა და რევმატიზმით გატანჯულ ბავშვობის მეგობარს, ზინაიდა ნიკოლაევნას უწამლოდ არასოდეს ტოვებდა, ქუჩაში არასდროს მიუტოვებია უპატრონო ცხოველი... ზინაიდას ოლენდრის ბუჩქქვეშ ნაპოვნი წითური, დიდი კატა მიუყვანა, ამერიკაში ყოფნისას ჯონ ფიცჯერალდ კენედიმ მაჩუქა, მძლავრი ბიოველი აქვს, ყველაფერს კურნავს, გვერდიდან არ მოიშორო, შეგიძლია ჯონი დაუძახო, ან, უბრალოდ, პრეზიდენტის კატაო. ასე შემოდის ნაწარმოებში „პრეზიდენტის კატად“ წოდებული ცხოველი...

ბუნებასა და ადამიანებთან ურთიერთობის განსაკუთრებული უნარის გარდა, მიხეილ თემუროვიჩი, როგორც თავისი საქმის პროფესიონალი, მეცნიერებაშიც თავის სიტყვას ამბობდა - „მცენარეთა ორგანიზმის კარკასის აგების“ ამოცანით, „ციტრუსთა და ცხოველთა შეჯვარებით“, „მრავალწლიან მცენარეთა მსხმოიარობის დაჩქარებაზე ზრუნვით“... გაჭირვებასა და განსაცდელში მყოფთა თანადგომა ანიჭებდა სიმშვიდეს. პირით ზღვისკენ მდგომი მიმართავდა მზეს - მანათობელს: „გამომიგზავნე ყველა უსახლკარო და იმედდაკარგული, ყველა მიუსაფარი და ლტოლვილი! მათ მოლოდინში ჩირაღდნით ხელში ვდგავარ ოქროს კარებთან, სუნთქვაშეკრული, გულისცემასჩქარებული“ [ოდიშარია, 2015:147].

ნაწარმოებში საუბარია ორ სოხუმზე: ომამდელ და ომით თავზარდაცემულ სოხუმზე. „პირველი“ ბედნიერებით აღსავსე, ლალი, ამაყი, მხიარული, დიდებული მასპინძელია ფიდელ კასტროსი და მაქსიმ გორკისა, სადაც „ზღვა იყო ისეთი, თითქოს სადღაც, ძალიან ახლოს ღმერთი დასეირნობსო“ [ოდიშარია, 2015:102].

ბლაჟბა ამბობდა, ადამიანებთან ურთიერთობის დროს ღმერთს ვხედავო. და კიდევ: „ადამიანებს ძერწავენ თავიანთი მტრები. დიდება მათ და სიყვარული! მაგრამ მე რომ არა მყავს ისინი?!“ [ოდიშარია, 2015:180].

და მას სოხუმში ეწვია კაცობრიობის მტერი - ომი! გაჩნდა „მეორე“ სოხუმი.

ნაწარმოების მიხედვით, 1991 წელს ბებეისირის აკადემია შეიქმნა. საერთაშორისო სიმპოზიუმს, რომელიც 1992 წლის ნოემბერში იყო დაგეგმილი, მსოფლიო ბიოლოგიის აქტიური პრობლემები უნდა განეხილა, მაგრამ 1992 წლის 14 აგვისტოს აფხაზეთში ომი დაიწყო. „და ვერავინ გაიგო, როგორ მოეპარა ომი ქალაქს, როგორ შემოსრიალდა, შემოგრუხუნდა, შემოხრიალდა...“ [ოდიშარია, 2015:256]. (საინტერესო შედარებებით ამდიდრებს ტექსტს ავტორი. მასთან ზღვა ხმამაღლა ფიქრის უნარს კარგავს, ქალაქი კი - სურნელს. ქალაქს, რომელიც ხვალინდელი დღის გეგმებს ძერწავს, ცეცხლის ალი ახრჩობს).

მიხეილ ბლაჟბა, რომელიც ვერასდროს წარმოიდგენდა ცეცხლის ალში გახვეულ სოხუმს, თვალს ვერ უსწორებს რეალობას. 1993 წლის პირველივე დღეს, განუყრელ

მეგობარს, სოსო კაპანაძეს დაუბარა, სად უნდა დაესაფლავებინათ. მას უნდა ეზრუნა იმაზეც, რომ ყველას გაეგო, ვინ იყო იგი - „ადრე სიკვდილის მეშინოდა, სოსიკ, ახლა სიცოცხლის მეშინია“ [ოდიშარია,2015:264]. სიმბოლურია ის ფაქტიც, რომ ორი რესტორანი: „ემერა“ და „მერხეული“ ერთმანეთს რეაქტიულ ჭურვებით „უმასპინძლებიან“, მსგავსად ენგურს გაღმა-გამოღმა მყოფი ქართველებისა. ასე იყო მისი დაკრძალვის დღესაც... მცირერიცხოვან პროცესიას ზინაიდა ნიკოლაევნა მიჰყვებოდა, პრეზიდენტის კატის შვილიშვილის შვილიშვილით ხელში...

ნაწარმები ნათელ წარმოდგენას გვიქმნის, თუ რას განიცდიან ბუდეაშლილი, იძულებით გადაადგილებული ადამიანები - რა ახსოვთ, რა ენატრებათ. „პრეზიდენტის კატა“ მნიშვნელოვანია იმ თვალსაზრისით, რომ იგი მეტად საინტერესოდ მოგვითხრობს სწორედ ომამდელ სოხუმზე. კონკრეტული გმირი, რომელიც ომამდელი სოხუმის სახეა, საინტერესო ფიგურას წარმოადგენს.

თაობა, რომელმაც სოხუმის შესახებ ცოტა რამ იცის, ინტერესით წაიკითხავს წიგნს, ტექსტი შეავსებს და გაამდიდრებს მათ წარმოდგენას სოხუმზე, გაიცნობენ პერსონაჟს - მიხეილ ბლაჟბას, კაცს, რომელიც არაფრით ჰგავდა წინამორბედ სახელმწიფო მოხელეთ, ვისთვისაც უმთავრესი იყო ადამიანი, როგორც ინდივიდი.

„პრეზიდენტის კატა“ ავტორის ქვეცნობიერში ჩარჩენილი სოხუმის მეორე სიცოცხლეა. ნაწარმოებში საინტერესო კუთხითაა წარმოჩენილი ომამდელი აფხაზეთი, კუთხე იმ ქვეყნისა, რომელიც საუკუნეების მანძილზე მსოფლიო იმპერიების ინტერესთა არეალში იმყოფებოდა. როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, წიგნს ერთგვარი „ხიდის“ მისია აკისრია - მას ერთნაირი ინტერესით კითხულობს ქართველიც და აფხაზიც. ნაწარმოებებში დასმული პრობლემური კითხვები ითხოვს პასუხს, ანალიზს. ომის გამომწვევი მიზეზების, შედეგებზე პასუხისმგებლობისა და ერთმანეთთან დასაბრუნებელი გზების ძიებისადმი ობიექტური მიდგომა შესაძლებელს ხდის, გაიხსნას კარი, რომელიც „მესამე ძალამ“ ჩაკეტა.

აფხაზეთის ინტელიგენციის წარმომადგენელი, კრიტიკოსი მარინე ტურავა (რომელსაც ამჯერად როგორც პოეტს წარმოვადგენთ), აფხაზეთის მწერლობის არსებობა-არარსებობის საკითხს მტკივნეულად განიცდის. მან კარგად უწყის

აფხაზეთის კულტურული ცხოვრების ისტორია, რომელიც ახლა დედაქალაქში გრძელდება. აფხაზეთი მისი ცხოვრების განუყოფელი ნაწილია, „სულიერი მდგომარეობა“, რაც კარგად ჩანს როგორც მის წერილებში, ასევე - ლექსებში, რომლებიც გრძნობათა კალაპოტად ქცეულა. ჯერ კიდევ აფხაზეთში ყოფნისას დაფრთიანებული მუზა ქვემეხების ქუხილზე ფრთხება და, საკმაოდ „დიდი დროითი დისტანციის“ შემდეგ, კვლავ ჩნდება.

როგორც მწერალი და კრიტიკოსი როსტომ ჩხეიძე აღნიშნავს, მარინე ტურავამ გადალახა შინაგანი დაბრკოლება და, ოცდახუთწლიანი პაუზის შემდეგ, შექმნა პოეზია, რომელიც მხოლოდ ლექსს არ გულისხმობს... არსებობს კითხვები, რომელთა ნაწილს ამომწურავად ვუპასუხებთ, მაგრამ პასუხი, რომელიც აბსტრაქტულ ცნებას ან ინდივიდიალურ დამოკიდებულებას ითვალისწინებს, ხშირად იცვლება. ასეთი მარადიული კითხვაა - რა არის სამშობლო, ან რა არის პოეზია?

როსტომ ჩხეიძე თვლის, რომ მარინე ტურავას შემოქმედებაში ადვილად იძებნება პასუხი კითხვაზე - რა არის პოეზია? მაინც რაღა უნდა თქმულიყო ახალი, როცა სასწაულები უკვე მოეხდინა პოეზიას?!... სწორედ აქ უნდა ეცადო, განსხვავება და სახელი მოუძებნო უწინდელ გააზრებასა და ამჟამინდელ აღქმას. „...და მარინე ტურავაც ამ და მხოლოდ ამ კუთხით ჩაუკვირდებოდა ამ მარადიულ კითხვას, არატრადიციული გადასახედიდან - ცხოვრების დაჩქარებული მდინარების, კოსმიური ტემპის ფონზე, როცა ადამიანი დაჰკარგავდა ლირიკული ამოსუნთქვის, გადახვევისა თუ თვითჩაღრმავების დროსა და საშუალებას და როცა უმთავრესი მიზანი ტექნიკური და ცივილიზაციით მოპოვებული მიღწევების ათვისება შეიქნებოდა“ [ჩხეიძე, 2020:32].

მარინე ტურავას შემოქმედებაში ნამდვილად იგრძნობა „კოსმიური ტემპის ფონი“ და „ლირიკული თავშეკავება.“ პოეტი ყველა დევნილის ტკივილს „პირველი პირის ტრიბუნიდან“, თავშეკავებული ემოციით აცხადებს: „ჩემი ზღვა მენატრება, ჩემი ქალაქის, მხოლოდ ჩემი, და არა, ზოგადად, ზღვა!!! სხვა ნაპირი არ მინდა - არც ლაჟვარდოვანი, არც ოქროსქვიშიანი!“ [ტურავა, 2019:48]. ან კიდევ: „...ახლა იმაზე ვფიქრობ, თუ გამიხსენებ, თუ მაპატიებ, თუ მიმიღებ?! - სიყვარული?! - მისი იმედი დიდი ხნის წინ დავკარგე, როგორც ნიკოფსიითგან დარუბანდამდე გადაშლილი

სამშობლო ჩემი!“ [ტურავა, 2019:61]. ავტორს საინტერესო ფორმით აქვს გადმოცემული საზოგადო ტკივილი, პირადად ითხოვს პატიებას, რომ ვერ დაიცვა, რომ ვერ დაიბრუნა...

მარინე ტურავას ლექსები არატრადიციული ფორმისაა. სხვა თეთრი ლექსებისაგან განსხვავებით, მძაფრად იგრძნობა ავტორის ემოცია, თითქოს წაშლილია ზღვარი სალექსო ფორმათა შორის. პაატა ჩხეიძე წერს: „ფორმით ვერლიბრი ანუ თავისუფალი ლექსია, მოდერნისტულ, იმაჟისტურ ტექნიკასაც ეხმაურება და ქართულ წყობილ სიტყვასაც, სხვადასხვამარცვლიანი მთლიანი სტრიქონების მონაცვლეობას. ამ წიგნის მთავარი ღირსება ისაა, რომ პოეტი ემოციას ხვეწს და ფორმას არ ტვირთავს, სათქმელი აქვს, იცის, რასაც წერს და ისიც იცის, როგორ უნდა დაწეროს. მარინე ტურავას წიგნი პოეზიაა და არა ლექსების კრებული, ასეთები მრავლადაა წიგნის ბაზარზე, პოეზიაა კი ცოტა“ [ჩხეიძე, 2020:9]. ვეთანხმებით მკვლევრის მოსაზრებას, ვთვლით, რომ არა მარტო ლექსებს, არამედ მარინე ტურავას პუბლიცისტურ ტექსტებსაც პოეზიის სურნელი დაჰკრავს.

მარინე ტურავას წიგნის - „სოხუმი-თბილისის“ წინასიტყვაობაში ლექსების ორიგინალურ, ახლებურ ფორმაზე საუბრობს ჟურნალისტი იოსებ ჭუმბურიძე: „არ ვიცოდი, მარინე ლექსებს თუ წერდა. რომ მცოდნოდა, ნამდვილად ვინერვიულებდი, ვაი, თუ... საბედნიეროდ, სანერვიულო არაფერი გვქონია: ლექსები ზედმიწევნით შეესატყვისებიან მის მაღალ ლიტერატურულ რენომეს. ამ ჭკვიანმა ლექსებმა ისე მომხიბლეს, რომ გარკვეული ხნით რითმებისადმი თაყვანისცემაც კი დამავიწყეს“ [ტურავა, 2019:3]. მარინე ტურავას ლიტერატურული გემოვნებიდან გამომდინარე, წაკითხვამდე იცი, რა სიამოვნება უნდა მოგანიჭოს მისმა ნააზრევმა.

მარინე ტურავას წიგნის - „სოხუმი-თბილისის“ ლექსში „ჩემი ითაკა“: „ზღვის ხმა უნდა მესმოდეს,/ მისი ტალღების ტლაშუნი,/ ჯებირებზე ხეთქება,/ სხეულით უნდა ვგრძნობდე სანაპიროს, / წყალმცენარეების,/ იოდის მომწარო გემოს და სურნელებას.../ ჭაბუკი შეყვარებულივით უნდა შემემძლოს/ მისთვის თვალის შევლება,/ ხელის გადასმა.../ზღვიდან ამოსხლეტილი/ ქორჭილების ჭყლოპინი /უნდა გავიგონო და /მედუზების უკონტურო/ სუსხება მეტკინოს... /მაშინდა მივხვდები, /რომ შინ ვარ! /სხვა

ყველაფერი არის/ ოდისევსის გზა ითაკისაკენ -/ათასგვარი ხიფათით, თავსატეხით და/ სიკვდილით სავსე!“ [ტურავა, 2019: 59].

ფაქიზი სულის ადამიანები ორმაგად ტრავმირებულნი აღმოჩნდნენ. დღემდე ეძებენ გზებს - როგორ დაიბრუნონ, როგორ იგრძნონ წარსული ისეთი სიცხადით, რომ, თუნდაც საკუთარი თავის მოტყუების ფასად, გაუნელონ ტკივილი ზღვას, მიწას, რომელიც დღემდე ინახავს მათ ნატერფალს, იმედით - ისინი დაბრუნდებიან!!! „მხოლოდ ჩემი ზღვა, /დაღლილი და დადუმებული, /მხოლოდ ჩემი ზღვა მინდა - /ჯოჯოხეთის ჩამოსარეცხად,/ ცოდვათა ჩემთა დასავიწყებლად,/ სიკეთეთა ჩვენთა მოსაგონებლად!“ [ტურავა, 2019:51].

როგორც აღვნიშნეთ, მარინა ტურავას ურითმო ლექსებში ისეთი რიტმია, საერთოდ არ იგრძნობა რითმის მოთხოვნილება. ავტორი ხშირად მიმართავს ეპითეტებსა და შედარებებს; აშკარაა, ნოსტალგია ისეთი სიმძაფრით დავანებულია მის სულში, ვეღარ იტევს და „დავიწყების მდინარეს“ როდი, მოგონების მდინარეს უხმობს.

მარინე ტურავას შემოქმედების შესახებ თვალსაზრისს გამოთქვამს ლიტერატურის კრიტიკოსი ინგა მილორავა: „...მომანიჭა სიამოვნება თავისი დახვეწილობით, პოეტური მიგნებებით, მკვეთრი, ემოციური სახეებით, კარგი ფრაზით - მოკლედ, ყველაფერი იმით, რასაც ჩვენ ვაანალიზებთ, ვაკვირდებით, განვიხილავთ, ვახარისხებთ და მიმაჩნია, რომ სწორედ მარინე ტურავაა ერთ-ერთი დღევანდელ საქართველოში, ვინც ყველაზე კარგად იცის, როგორ უნდა გაანალიზოს ტექსტი და მიიღოს მისგან მაქსიმალური ანალიტიკური შედეგი“ [მილორავა, 2019 (ხელნაწერის უფლებით)].

მარინე ტურავა ერთ-ერთი გამორჩეული ავტორია მათ შორის, ვინც აფხაზეთიდან თბილისამდე ღირსეულად ემსახურება კალამს.

აფხაზეთის ომზე, კონკრეტულად, ენგურის ნაპირზე გამაგრებულ ქართველ ჯარისკაცთა ბატალიონში მომხდარ რეალურ ფაქტზეა შექმნილი **ირმა მალაციძის** მხატვრულ-დოკუმენტური მოთხრობა „გუნდა.“ გუნდა ნაწარმოების მთავარი გმირის სახელია. ერთ-ერთ ექსპრეს-ინტერვიუში ავტორი ამბობს, რომ გმირობა მისთვის

სამშობლოსთვის თავგანწირვაა. ნაწარმოები იმ ადამიანებს ეძღვნება, რომლებმაც შეძლეს, ომის დროს არ გაბოროტებულიყვნენ.

ენგურს აქეთ დაკარგული ძაღლის მოსაძებნად უშიშრად გადმოდის ახალგაზრდა, ლამაზი აფხაზი ქალი, რომლისადმი ღირსეული დამოკიდებულებაც ჯარისკაცების ღირსებაზე, ჰუმანიზმზე მეტყველებს. გუნდა ჯარისკაცებთან ერთად ვახშმობს და მის ღამეულ სიმშვიდესაც ისინი სდარაჯობენ. ქართველი ქალი რომ შემთხვევით მტრის ბანაკში აღმოჩენილიყო, ეცდებოდა მაშინვე უკან დაბრუნებას, თუ აფხაზი ქალივით დარჩებოდა და ჯარისკაცთა სინდის-ნამუსს მიანდობდა თავის ღირსებას?! რას მოიმოქმედებდნენ, ამ შემთხვევაში, აფხაზები?! დარწმუნებული ვართ, ზუსტად იმავეს, რაც- ქართველებმა!

იმ ღამეს, აფხაზთა მხრიდან, სროლა არ ყოფილა; ამისი მიზეზი კი მხოლოდ გუნდა იყო - სერგო ბგამბას ახალგაზრდა მეუღლე, რომელიც ღამეს ქართველი ჯარისკაცების ყაზარმაში ათევდა... მეორე დღეს, გაცილებისას, ქალი ნაწნავზე თმას იჭრის და სახსოვრად უტოვებს ათმეთაურს, რომლის მიმართ გამოხატული მაღლიერება ნაწარმოებში ყველაზე მნიშვნელოვანია; ჰპირდება, რომ მომავალ შვილს უთუოდ მის სახელს დაარქმევს. გიგა დანით ამოჭრის მიწის ნაწილს და ქალს მეუღლესთან, სერგო ბგამბასთან ატანს: „ეს მიწა კი არა, ჩვენ ვართ... შენ ხარ... მე ვარ... სანდროა... ბიძინაა... შენი ქმარია... შენი დაუბადებელი შვილია... და ამას ვერ ვიყოფთ მე და შენი ქმარი, გესმის? ამ მიწად ვიქცევით, ადრე თუ გვიან, და მაინც ვერ ვიყოფთ...“ [მაღაციძე, 2009:12].

მწერალი ხაზს უსვამს მშობლიური მიწისადმი გიგას დამოკიდებულებას. ასეთ ადამიანს კი, არ შეუძლია ვინმეს უღირსად მოექცეს. მტერმა დააფასა ქართველი ჯარისკაცების მხრიდან ქალის დანდობა, რაც, მეორე დღესვე, ორმოცი ქართველი მძევლის გათავისუფლებაში გამოიხატა. ერთ-ერთმა გიგას შემდეგი შინაარსის ბარათი გადასცა : „გმადლობთ! სერგო ბგამბა“ [მაღაციძე, 2009:12].

მწერალი ამკარად ამჟღავნებს სიამაყეს, რაც ამ ამბის მოსმენის შემდგომ განიცადა. როგორც ჰყვება, სწორედ ზემოთქმულმა განაპირობა შექმნა ნაწარმოებისა, რომელშიც, გარდა ქართველი ჯარისკაცების ღირსებისა, აფხაზთა კეთილგონიერებაცაა წარმოჩენილი.

ომის დისკურსის წარმოსაჩენად განვიხილავთ მურად მთვარელიძის ნაწარმოებს „ტყვიის პრემია“, რომელშიც საქართველოს საუკუნოვანი ტრაგედია ირეკლება. აფხაზეთის ომი ტრაგედიის პასაჟაჟანია.

ლიტერატურულ სივრცეში მურად მთვარელიძე ცნობილია, როგორც პოეტი და მკვლევარი, თუმცა უკანასკნელ წლებში არაერთი საინტერესო პროზაული ტექსტი შექმნა. ავტორი აცოცხლებს გასული საუკუნის სხვადასხვა პერიოდის ტრაგიზმით აღსავსე მოვლენებს, საშუალებას გვაძლევს, კიდევ ერთხელ დავფიქრდეთ, თუ რამდენად შეიძლება ჰგავდეს ერთმანეთს, რა კავშირშია სამი თაობის ადამიანთა ტრაგიკული ხვედრი, როგორ აისახება სულზე ტრავმული მეხსიერების შედეგები. დროისა და სივრცის მონაცვლეობა ხელს არ უშლის ომის დამანგრეველ შედეგთა უცვლელობას.

მურად მთვარელიძის „ტყვიის პრემია“ არ გამხდარა კრიტიკოსთა განსჯისა და განხილვის საგანი, მაგრამ როგორც შემოქმედზე, პოეტზე, ბევრი ითქვა ლიტერატურულ სივრცეში. პოეტ ღია ჭილღადის თვალსაზრისით, გასაკვირიც კია, „უკანასკნელი წლების საქართველოს სულიერების დეფიციტში ისევ რომ ჩნდებიან შემოქმედნი, რომელთაც ჰყოფნით შინაგანი ძალა და შთაგონება იმისათვის, რომ ქვეყნის ცხოვრების რთულ პერიოდში შექმნან ასეთი ღირებულებები, როგორ ეს შეძლო მწერალმა“ [ჭილაძე, 2012:4].

პროფესორ შოთა ქურდაძის თვალსაზრისით, მურად მთვარელიძემ „კარგი და სერიოზული სვლა გააკეთა პროზის ჟანრში“, მკვლევარმა მაღალი შეფასება მისცა ნაწარმოებს: „მეიგავე“ არის პოეტისა და მკვლევარის საყურადღებო და სასიამოვნო პროზაული თხზულება. ვფიქრობ, ახალ ჟანრში ავტორის პირველი წარმატება“ [ქურდაძე, 2011 :9].

პოსტსაბჭოთა ლიტერატურის წარმოდგენილი ნიმუში „ისტორიულ ჭრილში ლიტერატურული რაკურსით“ გვამოგზაურებს მეოცე საუკუნის 20-იანი წლებიდან 21-ე საუკუნემდე. ნაწარმოები რთული, განუკითხაობით აღსავსე პერიოდის აღწერით იწყება. ავტორი წარსულში დაბრუნებით კიდევ ერთხელ გვახსენებს, თუ როგორი კვალი შეიძლება დააჩნოს ქვეყნაში მიმდინარე პროცესებმა თაობებს. წარმოდგენილია სხვადასხვა სოციალური ფენის მიერ რეალური სიტუაციის გაანალიზების, პირადი ინტერესებისათვის გამოყენების რამდენიმე მაგალითი.

ეს პერიოდიც განსაკუთრებით მძიმე აღმოჩნდა ქვეყნის ინტელიგენციისთვის. შეშინებული, საკუთარ ნაჭუჭში შეყუჟული ადამიანები ფიზიკური განადგურების საფრთხის წინაშე აღმოჩნდნენ. ამას განაპირობებდა როგორც ომების თანმდევი ქაოსი, ომებითვე გამოწვეული ეკონომიკური კრიზისიც - „მათი ადგილი იმ არეულ და ჭრელ საზოგადოებაში აღარსად იყო. ისინი, ვისაც ადრე სიტყვა ეთქმოდა, ახლა თავისთვის მიბინარებულიყვნენ და, შეურაცხყოფასა და ჯავრს გადაყოლილნი, თავს ობლად გრძნობდნენ, მცირე ნაწილს კი მხარზე იარალი გადაეკიდა და, „სამშობლოს სამსახურის“ სახელით, საკუთარი კეთილდღეობის გადარჩენისათვის იბრძოდა“ [მთვარელიძე, 2013: 4].

მწერალი ქრონოლოგიური სიზუსტით აღწერს ეპოქის დამახასიათებელ მოვლენებს; იგრძნობა პერსონაჟებისადმი თანაგრძნობაც. ქვეყნის ბედ-იღბლით გამოწვეული ტკივილი და ტრავმული მეხსიერებით დაღდასმული ერის ტრაგიზმი იკითხება როგორც ტექსტში, ასევე ქვეტექსტში (მურად მთვარელიძის განსხვავებული ხელწერის შესახებ თვალსაზრისს გამოთქვამს მკვლევარი ე. ბუჯიაშვილი: „თემის აქტუალობა, თხრობის თავისებური მანერა, ლიტერატურული ენის სხვადასხვა შრეს რომ მოიცავს, კარგად შეკრული კომპოზიციური ქარგა, სამყაროს შეცნობის დაუოკებელი სურვილის მისტერია“ [ბუჯიაშვილი, 2011:49]).

90-იანი წლების განუკითხაობისას „მამულიშვილის“ ნიღბით სახედაფარული, თავზეხელაღებული „მებრძოლები“ სხვადასხვა დაჯგუფებას ქმნიან და „ქვეყნის კეთილდღეობისთვის“ თანხების გამოძალვას იწყებენ. მათი ერთ-ერთი სამიზნე წესიერი ახალგაზრდა - გიგა გოკიელია.

ნაწარმოების ერთ „შრეზე“ 20-იანი წლების საქართველო წარმოჩნდება - ქვეყნის დამოუკიდებლობისთვის ბრძოლის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ჟამი - მენშევიკებისა და ბოლშევიკების დაპირისპირების უმძიმესი პერიოდი. თავადაზნაურობის, ინტელიგენციისა და სამღვდელოების შევიწროებისა და დარბევის მხვერპლი, აბაშიძის ლამაზი ასული, თბილისთან ახლოს, მიყრუებულ სოფელში ჯვარს სასურველ მამაკაცზე იწერს, მათი სიყვარულის ნაყოფი - თათული ჟორჟოლაძეც ევლინება ქვეყანას. თათული გიგას ლექტორია.

30-იანი წლების რეპრესიების მსხვერპლთა ისტორიას თათულის მშობლებთან მივყავართ. დარბევასა და განუკითხაობას ეწირება ინტელიგენციის უდიდესი ნაწილი. შიშით ძრწის დაბეჩავებული სიმართლე. ავტორი უკიდურეს გაჭირვებაში მყოფი, ყველასგან ზურშეცეული გოგონას სახით ყველა „მტრისშვილად“ შერაცხული ადამიანისადმი თანაგრძნობას გამოხატავს. ზოგადად, მურად მთვარელიძის შემოქმედებაში ხშირად ვხვდებით დეჰუმანიზებული სივრცის მანკიერებებს.

მკვლევარი თამარ გოგოლაძე მურად მთვარელიძის „შემოქმედებით კალიედოსკოპზე“ ახდენს დაკვირვებას და აღნიშნავს: „რაც კი დაუწერია ძველი, ახალი თუ უახლესი ქართული ლიტერატურის ისტორიაში, დალდასმულია ავტორის ღრმა ერუდიციით, პოეტური ფანტაზიის ღრუბელში გატარებული და გასიგრძეგანებული. ძნელი იყო იმაზე წერა, ვინ შეეწირა რეპრესიების „დამოკლეს მახვილს.“ ვინაც სადღაც, იქნებ, არაქართულ მიწაზე დალია სული და დაემგზავრა ახეულლყუჩიან თევზს, რომელსაც აუკრძალეს ლექსებით სუნთქვა, ფიზიკური სუნთქვა“ [გოგოლაძე,2018:2]. მურად მთვარელიძის ნაწარმოები განმსჭვალულია იმ ადამიანებისადმი თანაგრძნობით, რომლებიც ერთგულებისა და სიყვარულისთვის არა მარტო წარსულში, არამედ დღესაც და მომავალშიც მხოლოდ „ტყვიის პრემიებით“ (და)ჯილდოვდებიან.

ნაწარმოების ინსპირაცია სხვადასხვა ეპოქის ტრავმული მეხსიერების შედეგებია, აწმყომ რომ მემკვიდრეობით მიიღო. მასწავლებელი განსაცდელში არ დატოვს გოგონას და აგრძელებს მასთან მეცადინეობას. ავტორი ფრაუ ლიზის ქმედებაში ხედავს და აფასებს არა მარტო მისი სულის უფაქიზეს შრეებს, არამედ მიესალმება როგორც პედაგოგს, რომელიც საფრთხის ქვეშ აყენებს სოციალურ თუ ფიზიკურ ყოფას, არ

ავიწყდება, რომ, უპირველესად, პედაგოგია - ქაოსური ყოფის პალიტრაზე მზის ფერი ჩნდება.

30-იანი წლების თემატიკა მეორე სამამულო ომის პლატფორმაზე ინაცვლებს. ეს იყო ომი, რომელიც ფაშისტურმა გერმანიამ წამოიწყო და მასში 61 ქვეყანა მონაწილეობდა. მეორე მსოფლიო ომი (1939-45) იყო „უდიდესი საერთაშორისო კონფლიქტი, რომელსაც თავისი მასშტაბებით, დაღუპულთა რაოდენობითა და მატერიალური დანახარჯებით ანალოგი არ აქვს მსოფლიო ისტორიაში“ [მეორე მსოფლიო ომი 1939-45(ელექტრონული რესურსი)].

ქვეყნის პოლიტიკურ სივრცეში ახალი ძვრებია. ჯერ კიდევ წარსულის ნაღმის ნამსხვრევებზე მდგარი ქვეყანა ახალმა ტალღამ შეატორტმანა. ომით დაზარალებული ქვეყნის მოსახლეობის უმრავლესობას „მტრისშვილებად“ შერაცხული ადამიანები წარმოადგენენ. ომი თავის სიტყვას ამბობს თათულის ცხოვრებაშიც. გერმანელი ტყვის შეყვარება ძვირი უჯდება ქალს. ჰანსის სიყვარული ამინებს, თუმცა, მის თვალებში ხედავს, რომ ასეთი ადამიანი არავისი მტერი არ შეიძლება იყოს. ამაზე ჰანსსაც აქვს პასუხი: „მე მხოლოდ ბრმა იარაღი ვიყავი თქვენი მტრების ხელში, სხვა არაფერი, მაგრამ, როგორც ხედავთ, ეს მისია ვერ შევასრულე. ახლა ერთი ტყვე ვარ, ბოგანო, უიმედო, სულში ბნელჩამდგარი“ [მთვარელიძე, 2013:25].

ბუნებრივია, დამპყრობელი ქვეყნის ყველა ჯარისკაცი სისხლისღვრის მომხრე ვერ იქნებოდა. ჟურნალისტი მარიამ ჭიაურელი იმ გამოფენაზე საუბრისას, რომელიც გერმანიაში გაიხსნა და გერმანიის რეგულარული არმიის – ვერმახტის დანაშაულებს ასახავს, აღნიშნავს: „...მათ დიდხანს სჯეროდათ, რომ არმია მხოლოდ საბრძოლო მოქმედებებში მონაწილეობდა და არაფერი ესაქმებოდა ბოროტმოქმედებებთან, რომელთა მსხვერპლი სამოქალაქო პირები გახდნენ.[...] ჯარისკაცებს არჩევანი არ ჰქონდათ, ისინი ომში იძულებით მონაწილეობდნენ“ [ჭიაურელი, 2002 (ელექტრონული რესურსი)] [იგივეა კონცეფცია ვერკორის ცნობილი მოთხრობისა „ზღვის მდუმარება“ - ვ. გ.]

ავტორი თანაუგრძნობს ტყვე გერმანელსა და თათულის, რომელთა გრძნობა განსჯის საგნად აქცია უშიშროებამ. ვერაფრით აეხსნათ, რაღა მაინცდამაინც გერმანელი უნდა შეჰყვარებოდა „ქართველ გოგონას“?! არავის გახსენებია, რომ „ქართველ გოგონას“ ჰყავდა მამა, რომელიც თავად არ დაინდეს, უიმედობისათვის, უნუგემობისთვის გაიმეტა ქვეყანამ რეპრესირებული კაცის ოჯახი და ახლა სიყვარულის უფლებაც არ აქვს?! ნაცვლად სამართლიანობის აღდგენისა, თანაგრძნობისა და თანადგომის გამოხატვის სურვილისა, დაუნდობლად ხელყოფდნენ წმინდა გრძნობას, რის დასტურიც იყო თათულისთვის მამის „წარსულის“ შეხსენებაც.

1937 წლის რეპრესიათა მსხვერპლთ ჯერ კიდევ სამშობლოს მოღალატეებად მიიჩნევდნენ. „1937 წლის კაცთა კვლა, რომელიც სტალინმა წამოიწყო მთელი საბჭოთა იმპერიის მასშტაბით, ყველაზე უღმრთელი და ბოროტული ქმედება იყო, რაც კი ჩაუდენია ნებისმიერ ტირანს კაცობრიობის ისტორიაში. სტალინისა და მის გარშემო შემოკრებილი ხროვის მიერ შეთითხნილი ბრალდებით, რომ თითქოს „მოღალატეთა და მავნებელთა“ დიდი წრე მოქმედებდა საბჭოთა სისტემის დასამხობად, გამოუძიებლად და გაუსამართლებლად იხვრიტებოდა, ან ციმბირის ყინულეთში სამარდებოდა მილიონობით სრულიად უდანაშაულო ადამიანი, განსაკუთრებით, მაღალი დონის ინტელიგენცია და გამრჯე და გონიერი მუშა და გლეხი, ვინც ოდნავ ხმას იღებდა უსამართლო შრომითი ანაზღაურების გამო, უგასამრჯელო შრომით ბეგარაზე და უუფლებო პოლიტიკურ მდგომარეობაზე“ [მჭედლიშვილი, 2008(ელექტრონული რესურსი)].

თათულის ახსენდება - მამის დაპატიმრების შემდეგაც ასე ერიდებოდნენ ადამიანები, ახლობლებიც კი. ახლაც ასე, კეთროვანივით გარიყა საზოგადოებამ. ამისი მიზეზი კი ჰანსი იყო, მისდამი სიყვარული. მხოლოდ და მხოლოდ უცხო ტომის ქალმა, ფრაუ ლიზიმ არ მიატოვა ისინი განსაცდელში.

ნაწარმოებში საქართველოს ისტორიის კიდევ ერთი ტკივილიანი ფურცელი იშლება. ბოლშევიკების აჯანყების მხარდასაჭერად შემოჭრილი წითელი არმიის მიერ საქართველოს ოკუპაცია. „1921 წლის 17 მარტს საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობამ ბათუმი დატოვა და ემიგრაციაში გაემგზავრა. რუსეთ-

საქართველოს ომი 1921 წლის თებერვალ-მარტში დასრულდა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დაცემითა და რუსეთის საოკუპაციო რეჟიმის დამყარებით”[ლობჯანიძე,(ელექტრონული რესურსი)]. ფრაუ ლიზიზე დანიშნული თავადი, ლევან ამილახვარი, ყველა იმ ადამიანთან ერთად, ვინც საქართველოს დამოუკიდებლობას სისხლის ბოლო წვეთამდე იცავდა, ქვეყნის მენშევიკურ მთავრობას ემიგრაციაში გაჰყვა და მიუსაფარ, სისხლისგან დაცლილ სამშობლოს ფრაუ ლიზი, თავისი დიდი და უიღბლო სიყვარული, დაუტოვა შესაფარებლად. ლევანის მიერ ფრაუ ლიზისადმი მოწერილი წერილები, რომელიც გაუსაძლისი ტკივილითაა გაჯერებული, წლების შემდეგ აღწევს ადრესატამდე: „ჩვენი გემი რომ დაიძრა და ნაპირს დაშორდა, ყველას გმინვა აღმოგვხვდა. ვტიროდით, ზოგი - ცრემლებით, ზოგი - უხმოდ, ჩვენთვის, გულში ვტიროდით და ჩვენს წამებულ ქვეყანას ვემშვიდობებოდით“ [მთვარელიძე, 2013:51].

საქართველოში მიმდინარე სოციალურ-პოლიტიკურმა კატაკლიზმებმა არაერთი ადამიანის ცხოვრება დაანგრია. მათ შორის მოიაზრება ნაწარმოების ერთ-ერთი პერსონაჟი, ფრაუ ლიზი, რომელსაც ყველაზე მეტად ესმოდა და სტკიოდა მდგომარეობა თათულისა - არსებული პოლიტიკის კიდევ ერთი მსხვერპლისა.

გერმანელ ტყვეს სამშობლოში აბრუნებენ. ჰანსს არ ეშინია იმის, რომ (ჩვენგან განსხვავებით), ტყვედყოფილს თავისი ქვეყანა მოღალატედ გამოაცხადებს. თათული სიყვარულს თმობს, სამშობლოს - ვერა.

თათულის სახით, ავტორი ყველა იმ ადამიანს გვიხატავს, რომლებიც ამ მოვლენების მსხვერპლნი აღმოჩნდნენ. ეს გახლდათ 20-იანი წლების მოვლენები, 1937 წლის რეპრესიები და მეორე სამამულო ომი. თათულიმ იცის, წესიერი ადამიანების ჯილდო იმ ქვეყანაში, სადაც ტახტზე შეუცვლელად ზის განუკითხაობა, ტყვის პრემიაა. მისი სიცოცხლეც ასე უღიმღამოდ და უიმედობაში ჩაიფერფლა. უკანასკნელ გზაზე ყოფილი სტუდენტი, გიგა გააცილებს...

ტრაგედია გრძელდება. იცვლება მხოლოდ დრო და „გამომწვევ მიზეზები“.

„ახალი დროის“ მსხვერპლი უკვე გიგაა.

საქართველოზე უზომოდ შეყვარებულ, დედით ქართველ ბერძენ ქალს, დოდოს, ვაჟი სოხუმში გაიცნობს. ქალი აფხაზთა და ქართველთა ურთიერთგაუცხოების მთავარ მიზეზებზე საუბრობს, ამავდროულად, მოსალოდნელი საფრთხის გარდაუვალობაზეც მიანიშნებს. სიუჟეტი სოხუმის დაკარგვის წინაპერიოდის ფონზე იმლება.

სოხუმში მცხოვრები ბერძენი გოგონას და აფხაზი ვაჟის შეუღლება, პოლიტიკურ მრწამსთა შეუთავსებლობის გამო, არასასურველი ფინალით სრულდება. ოჯახი, რომელიც დროებით მოსკოვში ცხოვრობდა, იმპერიის დედაქალაქში დამკვიდრებული აფხაზი სეპარატისტების შეხვედრის ცენტრად იქცა (ამ ფაქტით ავტორი ხაზს უსვამს რუსეთის გავლენას აფხაზეთზე - კ.გ.). დოდო ბრუნდება სოხუმში, სადაც უკვე დენტის სუნი ტრიალებს. აფხაზეთის მოვლენების პარალელურად, ავტორი სამეგრელოში მიმდინარე პროცესებს აღწერს. ვითარება უმძიმესია.

ნაწარმოების მიხედვით, არეულობა იწყება სოხუმში, სადაც ქართველთა ოჯახების დაწიოკებაა, დაყაჩაღება, წამება, გაუპატიურება ჩვეულებრივ მოვლენად იქცა. გიგა თავდაცვის მიზნით იარაღს იძენს, ხვდება, რომ მტერს სიყვარულის ენა არ ესმის. ნაწარმოებში ერთმანეთს ცვლის ქართველთა და აფხაზთა ჯარის მონაცვლეობითი „პოზიციური უპირატესობა“ სოხუმში. გუდაუთასა და გაგრაში ქართველების თავებით „ფეხბურთნათამაშევმა“ აფხაზებმა და ჩრდილოკავკასიელმა „მოხალისეებმა“ სოხუმისაკენ გადმოინაცვლეს.

საუკუნის ტრაგედიამ სისხლიანი კვალი სვანეთის მკერდზეც დატოვა, ლტოლვილთა ნაკადი დედაქალაქს შეერწყა. პოლიტიკური ქაოსის ფონზე სახეცვლილი, ნორმალური ცხოვრების კალაპოტიდან ამოვარდნილი შავი სამყაროს წარმომადგენლები საკუთარ თუ სხვათა ისეც გაუსაძლის ყოფას კიდევ უფრო მეტად ამძიმებენ. „თბილისის ომიდანვე“ „ადგილდამკვიდრებულთ“ წინ ვერავინ და ვერაფერი დაუდგებოდათ. ფული, წამალი, ქალი, როცა სურდათ და რამდენიც! - ეს იყო იმ ჟამის რეალური ყოფის სურათი. ომი ანგრევს შენობებს, ფიზიკურად ანადგურებს ადამიანებს, თავდაყირა აყენებს გადარჩენილთა ცხოვრებას, არღვევს ქვეყნის მთლიანობას, მაგრამ ნაწარმოების ეპიზოდებით, სადაც მორალური ხრწნის

საზარლობას წარმოაჩენს, ავტორს სურს გვითხრას, რომ არსებობს ბევრად უარესი სასჯელი, ვიდრე ომი და ფიზიკური განადგურებაა.

გიგასა და ჩეზეს შორის პარალელის გავლებით, ავტორი ხაზს უსვამს კეთილისა და ბოროტის მარადიულ, უსასრულო ჭიდილს სამყაროში.

სახელმწიფო გადატრიალების მომზადებაში „ბრალდებულ“ გიგას ღამით მიაკითხეს. მის ბინაში სპეცოპერაციის ჩატარების შემდეგ, რიგითმა პოლიციელმა თავი გააქნია: „ნეტავ, რა არსენალზე ლაპარაკობდნენ, კაცს ერთი ავტომატის მეტი იარაღი არ გააჩნდა“ [მთვარელიძე, 2013:152]. ავტორი

აქცენტს აკეთებს იმ ადამიანებზე, რომლებიც იძულებულნი იყვნენ, საკუთარ ნაჭუჭში გამოკეტილიყვნენ, რათა მათ ფიზიკურ ყოფას საფრთხე არ შექმნოდა. გიგას გამოსარჩლებას ვერავინ ბედავს, მეზობლები ფანჯრებს აეკრნენ. კიდევ ერთით შემცირდა ქვეყნის კეთილდროობისთვის მებრძოლთა რიცხვი... ერთადერთი, ვინც ამ უსამართლობის გამო გულწრფელი რეაქცია გამოხატა და ხმა აღიმალა, მეძავი იყო... „ნაძირალებო, თვითონ ყაჩაღებო, რა გინდოდათ ამ პატიოსანი ოჯახისაგან?!“ [მთვარელიძე, 2013:153], - ყვიროდა იგი და გამწარებული არბოდა კიბეებზე. მერე უკვირდა, რადგან „მართლაც გასაკვირი იყო, რომ კიბეებზე უსულოდ დაყრილ თავდამსხმელ ყაჩაღებს, ზურგში ჰქონდათ ნასროლი!“ - აშკარა იყო, „თავისიანებისგან“ განწირულიყვნენ - ორმაგი სპექტაკლი გათამაშებულიყო.

მწერლის მიზანი ცხოვრებისეული სინამდვილის წარმოჩენაა. ტექსტში ფაბულური თხრობის პრინციპი დარღვეულია. ავტორი შესაძლებლობს გვამღევს, სიუჟეტების მონაცვლეობით კიდევ ერთხელ გავია(ზ)როთ საქართველოს ისტორიის ურთულესი ეპიზოდები, სოციალისტური რეალიზმის ეპოქიდან - უახლესი ისტორიის იმ მონაკვეთამდე, რომელმაც 2008 წლის „აგვისტოს ომად“ წოდებული მოვლენით ისედაც დანაწევრებული მამული კიდევ ერთხელ დაგვიქუცმაცა.

ავტორი, რომელიც აშკარად შეცბუნებულია ადამიანის მრავალსახოვანი, არცთუ კეთილგონიერი ბუნებით, ცდილობს, სარკესთან დააყენოს ერი და აჩვენოს, რომ ნაცვლად იმისა, ერთსულოვნად დავუპირისპირდეთ გარეშე მტერს, ერთმანეთთან ვიწყებთ ანგარიშსწორებას.

ნაწარმოებში კიდევ ერთ მნიშვნელოვან დეტალზეა ყურადღება გამახვილებული: 1921 წლის თებერვლის სუსხით დაზაფრული ადამიანები სტალინურ რეპრესიებს თუ გადაურჩნენ, მეორე სამამულო ომის შედეგებს ვერსად ემალებიან. გერმანელი ტყვის სიყვარულს უკრძალავენ ქალს, რომლის მამა-პაპასაც სამშობლოს სიყვარული არ ეპატიათ. ვინ ვართ ჩვენ?! - იკითხება ნაწარმოების ქვეტექსტში. როგორც ყოველთვის, პოლიტიკის ქარიშხალი ანგრევს ადამიანთა პირად ცხოვრებას. ეს ის ქვეყანაა, სადაც ერთგულების „ჯილდოდ“ „ტყვის პრემიები“ რიგდება. ვეთანხმებით და ვიზიარებთ ავტორის პოზიციას.

აფხაზეთის ომი, რომელიც საერთაშორისო ასპარეზზე დღემდე „ქართულ-აფხაზურ კონფლიქტად“ არის მონათლული, რეალურად კი რუსეთ-საქართველოს ომია, მე-20 საუკუნის კიდევ ერთ მნიშვნელოვან ტრავმად მოიაზრება.

ომის კიდევ ერთი ანარეკლია **ჯანო ჯანელიძის** შემოქმედება, რომელშიაც გადმოცემული ფაქტები ისეთივე სიმძაფრითაა ასახული, როგორც ავტორმა რეალობაში განიცადა.

აფხაზეთის ტრაგედიის შედეგად დედაქალაქს მიკედლებულ სამასი ათასამდე დევნილს შორის ერთ-ერთი, აფხაზეთის განათლების ყოფილი მინისტრი, **ჯანო ჯანელიძე** იყო, რომლის გამოსვლების ჩანაწერები თუ შემოქმედება ნიღაბს ხსნის, როგორც შევარდნაძის მზაკვრულ გეგმებს, ასევე - აფხაზ სეპარატისტთა დაუნდობლობას.

2008 წლის ზაფხულში, ქვიშხეთის ქართველ მწერალთა დასასვენებელ სახლში ლიტერატურულ საღამოზე გამოსულმა **ჯანო ჯანელიძემ** აფხაზეთის ტრაგედიის მიზეზ-შედეგებზე საუბრისას ახსენა, რომ ავადმყოფმა მეუღლემ აფხაზეთიდან ერთადერთი ვაჟის ცხედრის გადმოსვენება სთხოვა, მას კი კატეგორიული უარი უთქვამს იმ მიზეზით, რომ თუ ამას გააკეთებდა, დევნილებს სოხუმში დაბრუნების იმედი გადაეწურებოდათ.

პოეტური კრებულის „როცა ცრემლები მღერიან“ წინასიტყვაობაში ავტორი საკუთარ თავზე მესამე პირში წერს - „სოხუმში უპატრონოდ და მიუსაფრად მიტოვებული შვილის სამარე ლამის საკუთარ გულში გაიჭრასო“ [ჯანელიძე, 2008:6].

2008 წლის მიწურულს სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტში ჯანო ჯანელიძის 75 წლის იუბილე გაიმართა. დევნილმა პოეტმა აღნიშნა: „განსაკუთრებით დიდი პატივია სოხუმის უნივერსიტეტში ჩემი იუბილეს აღნიშვნა. ამ სასწავლებელმა გამზარდა და ასეთი სიტბოს გამოხატულება ჩემ მიმართ მეორედ დაბადების ტოლფასია. სოხუმის უნივერსიტეტი დევნილობაში ფენიქსივით აღდგა. იგი უდიდესი ინტელექტისა და ნიჭის მატარებელია და სწორედ ასეთი უმაღლესი დონის სასწავლებელი დაბრუნდება სოხუმში“ [ინტერპრესნიუსი, 2008 ელექტრონული რესურსი].

2009 წლის დასაწყისში პოეტს გულმა უმტყუნა... სოხუმში დაბრუნებამდე, დიდუბის პანთეონში დაკრძალეს...

მკვლევარ მარინე ტურავას თვალსაზრისით, ჯანო ჯანელიძე სიტყვაუხვი ავტორია, რომელიც მხატვრული სიტყვით ლიბერალიზებული პოეტური დისკურსისა და „უძრაობის“ ეპოქის ლიტერატურას ქმნის. „ჯანო ჯანელიძის პოეზია, ერთი მხრივ, ქართული პოეზიის ტრადიციების, მეორე მხრივ, კი აფხაზური ლიტერატურის განწყობების ფონზე იქმნება, ქართულ-აფხაზური დრო და სივრცე განაპირობებს მის პოეტურ ენას, ტროპულ აზროვნებას, ხატწერას...“ [ტურავა, 2017:351].

ჯანო ჯანელიძის პოეზიაზე საუბრისას, მარინე ტურავა აღნიშნავს, რომ პოეტმა საბჭოთა ეპოქაში დაიწყო მოღვაწეობა და, როგორც ზოგადად ამ პერიოდის ქართულ ლიტერატურაში, ბუნებრივია, მის შემოქმედებაშიც გაჩნდა ქვეტექსტი. ქართული პოეზიის ტრადიციები, აფხაზეთის დრო და სივრცე ავსებს მის პოეზიას, იკვეთება გამორჩეული პოეტური ენა, ხატწერა, ტროპული აზროვნება.

საბჭოეთის წნეხიდან გათავისუფლებული პოეტი, რომელიც მანამდე ქვეტექსტით ესაუბრებოდა მკითხველს, ეპოქალურ ტრავმას განიცდის - აფხაზეთის დაკარგვამ შეცვალა მისი ცხოვრება და შემოქმედების თემა, რომელიც აღარ საჭიროებდა ქვეტექსტს: „ავწონე ოქრო, ავწონე ვერცხლი, / ავწონე ცრემლი ნამცეცა, მცირე, / როგორ გავოცდი და როგორ შევცბი, / რომ ცრემლი იყო ყველაზე მძიმე“ [ჯანელიძე,

2008:10] - ეს ის ცრემლია, რომელიც, ჯვარივით, სიცოცხლის ბოლომდე ატარა პოეტმა. მშობლიური აფხაზეთიდან მოწყვეტა კი უდიდეს ტკივილად გაიაზრება:

„მზე დაგნათის, თუ ნისლი გებურვის,/არ გამაგონო სიტყვა-მშვიდობით,/მითხარ, ვინ ნახე გახარებული/უარმყოფელი დედაშვილობის?/ვინ შლის გულდაგულ ნატერფალს ჩემსას,/რა უცხო ხმები, რა უცხო სახე,/ რა უცნაური ძახილი მესმა, /ქარი გკოცნის თუ ნიავი გარხევს?!“ [ჯანელიძე,2008:181].

საკაცობრიო პრობლემებით გაწამებული, პირად სადარდელს ნაკლებად ამხელს პოეტი. ტკივილის მიზეზი დაკარგული აფხაზეთია, რომელზეც იწერებოდა მისი უკანასკნელი სტრიქონები.

ჯანო ჯანელიძე, უპირველესად, პოეტია. სოხუმის დაკარგვის უდიდესი ტკივილი იგრძნობა მის პოეზიაში. გურამ ფანჯიკიძისადმი მიძღვნილი ლექსი მეტაფორებითაა დატვირთული. მეწამული ფერის ზღვა ოცნებების ფერია, ატირებული ზეცა, გაღიმებული იუდა და შვილის მიერ ყელგამოჭრილი კოლხური მზე ...

მამია ალასანიას ლანდი, სევდიანი ღიმილით ადევნებული, არ შორდება პოეტს, ან რა დაავიწყებს ჯვარზე გაკრულ, თაფლისთვალა ჟიული შარტავას?!... უზომოდ სტკივა „საეჭვო მოდგმა, აფხაზეთს შერჩენილი“ და დღე დაცემისა... „ის დღე ჩვენსავით ვინ დაინაღვლა?!/ იწვოდა ზეცა და მიწა ფერხთით/ და გვეღვრებოდა თავზე ნიაღვრად /დიოსკურიის ძვირფასი ფერფლი“ [ჯანელიძე, 2008:273].

„მწერლის სახლში“ პოეტის ერთტომეულის პრეზენტაციაზე სიტყვით გამოსული უახლოესი მეგობარი, პაატა კოლუაშვილი ჯანო ჯანელიძის სიტყვებს გაიხსენებს: „ჩვენი ხსნა აფხაზეთის დაბრუნებაშია. საქართველოს ფეხზე დადგომა დევნილების დაბრუნებით უნდა დაიწყოს. უაფხაზეთობა ყველასთვის სასჯელია. ხშირად მეჩვენება, რომ თბილისმა ვერ შემეყვარა“ [ჭანტურია,2013:12) ელექტრონული რესურსი]. (წერილის ავტორი იქვე დასძენს, რომ თბილისმა, მყუდრო განსასვენებლის მიჩენით დაუმტკიცა, რომ ყოველთვის უყვარდა ჯანო ჯანელიძე).

ომით ტრავმირებული პოეტი პროზაში ინაცვლებს. ნაწარმოებში „როცა გამარჯვებულთ ასამართლებენ“, ავტორი გულისტკივილით ამხელს იმ ადამიანებს, რომლებმაც პირად ინტერესებს საერთო საქმე შესწირეს. მაგალითისთვის თუნდაც ლოთი ქობალია იკმარებდა, რომელსაც უკანასკნელ წუთამდე ელოდნენ, როგორც მხსნელს, მაგრამ სოხუმს არ მიუახლოვდა იმ მიზეზით, რომ ზვიადზე შურისძიება სწყუროდა. ნაწარმოებში ემოციურ ფონს ქმნის ის ფაქტი, რომელიც აღწერს, თუ როგორ იდგნენ ბავშვები ყვავილებით ხელში „მხსნელ“ ქობალიასთან შესაგებებლად, ვიდრე ტყვიების წვიმამ არ მოცელა ისინი...

სოხუმის დაცემის დღის მტკივნეულ ფრაგმენტებს მრავალ ავტორთან ვხვდებით. ყველა სხვადასხვაგვარი კუთხით დაგვაფიქრებს აფხაზეთის ტრაგედიაზე.

გაზეთ „აფხაზეთის ხმის“ რედაქტორის მკვლელობის ამბავს ჯანო ჯანელიძესთან ვხვდებით. ნაწარმოების მიხედვით, სოხუმის დაცემის დღეს, 1993 წლის 27 სექტემბერს, ახალაია სეპარატისტებმა მოკლეს. სამი დღის შემდეგ მისი ცხედრის დამარხვის ნებართვა მოხუცმა ქალმა ითხოვა. რუსის ჯარისკაცმა ქრთამი მოსთხოვა მოხუცს. ქალი აცახცახებული ხელით ძლივს იძრობს ოქროს კბილებს და აძლევს.

იქვე მდგომი ბოევიკი გაოცებულია და კითხვაზე, თუ ვინაა ეს ქალი, მისგანვე იღებს პასუხს, რომ ის დედაა. ყველა იმ ადამიანის დედაა, რომლებიც მზრუნველობას საჭიროებენ; რომ დედები არასდროს კვდებიან... „თქვენც რომ მენახეთ დახოცილები და დაყრილები, ასე მოვიქცეოდი“ [ჯანელიძე, 2005:12].

სიმბოლოურია ის ფაქტი, რომ ოქროს კბილებს გადამთიელი ეპატრონება.. დედები არ კვდებიან! თვითონ უჭრის საფლავს რედაქტორს, მაგრამ გული უმტყუნებს და ისიც იქ, ერთდროულად დამონებულიც და თავისუფალიც, მშობლიური სოხუმის ცის ქვეშ აღესრულება.

ჯანო ჯანელიძის შემოქმედებითი ცხოვრების შესახებ მკვლევარი მარინე ტურავა აღნიშნავს: „ჯანო ჯანელიძე რეალისტური მეთოდის ერთგულია თავის შემოქმედებაში. რეალისტური და ტრადიციულია ინტონაცია, სინტაქსი, არქიტექტონიკა,

კომპოზიცია.[...] რეალიზმი და მოდერნისტული განწყობები თანაარსებობენ პოეტის შემოქმედებაში“[ტურავა, 2017:366].

ქართულ-აფხაზური კონფლიქტის თემას ეხება ბესო ხვედელიძის პროზაული ნაწარმოებიც „თაგვის გემო.“ სათაური თითქოს აბნევს მკითხველს, ჩნდება ინტრიგა. მოთხრობაში ქართველები, აფხაზები, რუსები საომარ ვითარებაში წარმოჩნდებიან, ომი პოლონელი ჟურნალისტის თვალითაა დანახული.

ნაწარმოების ღირსება - ობიექტურობა - განპირობებულია იმ ფაქტითაც, რომ იმ წლებში თავად ავტორი, სამხედრო ჟურნალისტი აფხაზეთში იმყოფებოდა. ერთ-ერთ ინტერვიუში ბესო ხვედელიძე ამბობს: „ არასდროს მიწუწუნია, რადგან ყოველთვის არსებობდა რაღაც თემები, გარკვეული ადგილები და სივრცეები, სადაც შესაძლებლობა მქონდა შევყუჟულიყავი, იქაურობისთვის ალლო ამელო, გამეშიფრა და ნაწერის სახით გადმომეღვარა ფურცელზე. ვიყავი აფხაზეთის ომში, როგორც ჟურნალისტი და ორი წლის განმავლობაში მომიწია ქაოსში ყოფნამ, რაც ჩემს შემოქმედებაზე აისახა. ფაქტობრივად, რაც ჩემს მოთხრობებშია გადმოცემული, იმ რეალობის მოტანილია, რომელსაც ვეზიარე. ჩემი პერსონაჟების ტყავში ვძვრები და ვალაპარაკებ. ჩემი მოთხრობები, ძირითადად, დოკუმენტურია და ფანტაზია მხოლოდ სიუჟეტის აგებაში მჭირდება“ [გაბუნია,2002 (ელექტრონული რესურსი)].

თემის ხასიათიდან გამომდინარე, ნაწარმოები არ გამოირჩევა მხატვრული ეფექტის სიჭარბით, სტილი ინდივიდუალურია, თუმც იგრძნობა ემოციური ფონი. კომპოზიციის მიხედვით, ნაწარმოები „მოთხრობა-ჩარჩოა“, სადაც ნაწარმოების გმირთა განცდები გადმოცემულია როგორც მოთხრობლის მიერ, ასევე - იმ დღიურების სახით, რომელსაც აფხაზეთის ომში შემთხვევით აღმოჩენილი ჟურნალისტი იმ იმედით წერს, რომ მას, ოდესმე, დედა წაიკითხავს, ან უკეთეს (ანუ გადარჩენის) შემთხვევაში, ყველა წვრილმანს კარგად გაიხსენებს და საჭიროებისამებრ გამოიყენებს კიდეც.

ნაწარმოების იდეა, ფაქტობრივად, თემის ადეკვატურია, თუმცა ავტორი თავშეკავებულია და მხოლოდ ქვეტექსტებით ხდება გასაგები, თუ რის თქმა სურს;

„თავის გემო“ იწყება სცენით, სადაც მიტოვებულ სოფელში შესული ჯარისკაცები ორღობეში ადამიანთა გვამების მთქვლეფავ ღორს წააწყდებიან. ასე ვჭამთ ერთმანეთსო, ზიზღნარევი ხმით ამბობს პეტრო, რომელიც ღორს ავტომატის ჯერით ჩაცხრილავს. პოლონელი შოპენა თვალს არიდებს ამ სურათს და, მოღრეცილი სახით, ყველაფერს კამერით აფიქსირებს. „- ეს კი ჩაიტანს კაი ხორციან ამბებს ვარშავაში... - ვთქვი შოპენაზე და ეზოს შუაგულში მდგარ უფანჯრო და სახურავახდილ სახლს ფოტო გადავუღე“ [ხვედელიძე,2009:7]. ამ სიტყვებს მთხრობელი-პერსონაჟი, კაკო წარმოთქვამს. საგულისხმოა - მიუხედავად იმისა, რომ ბიჭები შეიგრძნობენ სიცოცხლის გაუფასურებას, მათთვის მაინც მნიშვნელოვანია, რა ამბავს გაიტანენ მათი სამშობლოდან...

პოლონელი შოპენას დღიურებით (რომლის ადრესატიც მისი დედაა), ცხადი ხდება, რომ იგი, როგორც ერთფეროვანი თემებით დაღლილი ჟურნალისტი, „პან რედაქტორს“ სთხოვს, „განსხვავებულ საქმეზე“ გაუშვას. ასეთ საქმედ იგი სადმე ფესტივალზე, ან იუბილეზე წასვლას მოიაზრებდა. თხოვნას სიამოვნებით უსრულებს „პან რედაქტორი“ და ინტერვიუს ჩამოსართმევად უშვებს საქართველოს მეთაურთან, რომელიც იმ დღეს მოსკოვში „ვიზიტად“ იმყოფება.

გასაგებია, რისი თქმაც სურს ავტორს იმ ფაქტით, რომ იმ დროს, როცა აფხაზეთში განუკითხაობა მძვინვარებდა, საქართველოს მეთაური მოსკოვში რამდენიმე საათით ჩაფრინდა... როგორც „დღიურების“ შინაარსიდან ირკვევა, შოპენა დავალების შესასრულებლად იმ იმედით მიფრინავს მოსკოვში, რომ რამდენიმე საათში უკან დაბრუნდება. მოსკოვში ჩაფრენილი, საცობის გამო, ასცდა რესპონდენტს, მერე თბილისში ჩაფრენის მითითება მიიღო, მაგრამ კვლავ არ გაუმართლა - ქვეყნის წინამძღოლი უკვე აფხაზეთში გაფრენილიყო. თბილისი-მოსკოვი-თბილისის რეისის შემდეგ, პრეზიდენტის სასწრაფოდ აფხაზეთში გადაფრენა ნაწარმოების ქვეტექსტს ცხადყოფს - მოსკოვში მიღებულია „დავალება“ და ამ „მისიის“ შესასრულებლად სასწრაფოდ აფხაზეთისკენ მიემართება ქვეყნის უბედურებით „შეწუხებული“.

პოლონელის წინაშე მანამდე უცნობი ქალაქია - დანგრეული, უსიცოცხლო თბილისი, გაუბედურებული, სანთლის შუქით განათებული სასტუმრო, სადაც

გვერდითა ნომრიდან გამოსული ნასვამი ხალხის ხორხოცი და ქალის კვილი მთელი ღამე ისმოდა და ძილის საშუალებას არ აძლევდა. გარიჟრაჟზე ბინიდან გამოსული სამხედროფორმიანები დაინახა, რომლებიც დასისხლიანებულ ქალს მისდევდნენ... აფხაზეთში ომი მძვინვარებდა...

შეკვამლული სახლები, ფერდაკარგული ქალაქის ნირწამხდარი, მუქსათვალისანი ადამიანები, კეთრგადატანილის მსგავსი მთავრობის სასახლე - ასე აღწერს ავტორი იმ თბილისს, რომელიც იხილა პოლონელმა ჟურნალისტმა.

ავტორი ახერხებს, ქვეტექსტით თუ აშკარად გამოხატოს სათქმელი და პოზიცია. ლევან ბრეგადის თვალსაზრისით, ბესო ხვედელიძის შემოქმედებას ახასიათებს მეტატექსტების სიჭარბე. „სათანადო ძალისხმევის გარეშე ძნელი მისახვედრია, ტექსტთან გვაქვს საქმე თუ მეტატექსტთან“ [ბრეგაძე, 2008:234].

გაანალიზებულ ნაწარმოებში ადვილი გასარკვევია, სადაა ტექსტი და სად - ქვეტექსტი. მკვლევარი სოფო წულაია აღნიშნავს, რომ ბესო ხვედელიძე არსად, არც ერთ ნაწარმოებში არ მეორდება, „განიცდის მუდმივ ტრანსფორმაციას ენაში, სტილში, ემოციებში, ყველაფრისადმი დამოკიდებულებაში. მისი ყოველი ნაწარმოები ახალ გასაღებს საჭიროებს“.

ვფიქრობთ, სწორედ ეს მიზეზები განაპირობებს ბესო ხვედელიძის შემოქმედებისადმი საზოგადოების ინტერესს.

შოპენა ახერხებს ასვლას თვითმფრინავის უსკამებო, გადაჭედებულ სალონში. სოხუმში ჩასული აღმოაჩენს, რომ პრეზიდენტმა (ამჯერადაც!) თბილისში გაასწრო. მისიაც შეუსრულებელი დარჩა. ბევრიც რომ სდომოდა, ომს თავს ვეღარ დააღწევდა, რადგან პრეზიდენტი რომ გაჰყვა, ის იყო ბოლო თვითმფრინავი, რომელიც სოხუმიდან თბილისში გაფრინდა. გადაწყვეტილება, რომლის მიხედვითაც სოხუმი-თბილისის მიმართულებით ფრენა უნდა შეწყვეტილიყო, გენშტაბის სხდომაზე იმ მიზეზით მიიღეს, რომ, თურმე, დეზერტირები გაედინებოდნენ ბრძოლის ველიდან. როგორც ჩანს, ამ გადაწყვეტილების მისაღებად ჩაფრინდა სოხუმში საქართველოს ხელისუფალი, შემდეგ დატოვა სოხუმი და ბოლო რეისით თბილისს მიაშურა.

ქართველი ჯარისკაცების სავალალო, დაუცველი მდგომარეობის თვითმხილველი ჟურნალისტი, რომელიც შემთხვევით აღმოჩნდა ბრძოლის ველზე, პირში გამუდმებით გრძნობს თავის გემოს - ეს იყო გარდაუვალი სიკვდილის, ან მარადიულად ამ მდგომარეობაში დარჩენის შიშით გამოწვეული გემო. ნაწარმოებში ხშირად ისმის შოპენას მიერ დასმული კითხვა: რა მინდა აქ?!

ასეთ კითხვას ომში შემთხვევით მოხვედრილი შოპენა კი არა, ქართველი ჯარისკაცებიც სვამენ, მაგრამ პასუხი მხოლოდ დროს აქვს.

ნაწარმოების მიხედვით, მიუხედავად იმ უბედურებისა, რაც შოპენას გარშემო ტრიალებს, იგი ცდილობს და ახერხებს, დედას დეტალურად აღუწეროს ის ადამიანები, რომელთა გვერდით ყოფნაც აძლიერებს. დღიურებში საინტერესოა წარმოჩენილი იმ ახალგაზრდის განცდები, რომელსაც ომის საშინელებაზე წარმოდგენაც არ ჰქონდა და მოულოდნელად აღმოჩნდა ყველა იმ უბედურების განმცდელი, რაც ომს ახასიათებს. ავტორი კონკრეტული პერსონაჟის თვალთ დახებული ომის მაგალითზე ცდილობს, სამყაროს უბედურება, ომის ტრავმა წარმოაჩინოს.

დანადმულ ველზე აფეთქებული მეზრძოლის დანახვით მიღებული ტრავმა და გადაწყვეტილება, რომ „უკვე აღარაფერი უნდა“, უცხოელის სულიერ მდგომარეობას აშიშვლებს.

ბესო ხვედელიძის მიერ გადმოცემული მოვლენები ქაოსურ სიტუაციაშიც „ომის კანონზომიერებით“ ლაგდება. ჰოსპიტალში მყოფი ჟურნალისტის სურვილიც, რომ აქედან, სადაც უკვე ყველაფერი ალყაშია, სადღაც, შორს გაიქცეს, სრულდება ფიქრით: „აქედან მხოლოდ სიკვდილით თუ გაიქცევი!“

ავტორი, რომლის ნაწარმოებებშიც, ხშირ შემთხვევაში, თხრობა პირველ პირში მიმდინარეობს, ჩვეულებრივის განსხვავებული რაკურსით წარმოჩენის ოსტატია. მისი სტილის ორიგინალურობასაც სწორედ ეს ფაქტი განაპირობებს.

ციკლში „საუბრები ლიტერატურაზე“ მკვლევარი სოფო წულაია, ბესო ხვედელიძეზე საუბრისას, იმოწმებს ბელა წიფურისას თვალსაზრისს: „ავტორს არასოდეს ღალატობს ზომიერების გრძნობა, ლიტერატურული გემოვნება,

ექსპერიმენტებით ზედმეტად გატაცება... მასალა საკმარისად გაშალაშინებული და რაფინირებულია“ [წულაია, 2013:78]. ვეთანხმებით მკვლევრის მოსაზრებას და მიგვაჩნია, რომ ნაწარმოებში გადმოცემული სურათი მთელი სიზუსტით აღწერს ომის სცენას; ბუნებრივია მებრძოლთა განცდებიც; ტექსტში ყურადღებას იქცევს თხრობის ავტორისეული მანერა და ქვეტექსტებით დატვირთული დიალოგები.

„აქაურობა ღვთისგანაც კი მიტოვებულიაო“, ვკითხულობთ ნაწარმოებში. ამის თქმის საფუძველს, უამრავ ფაქტთან ერთად, შოპენას ისიც აძლევს, რომ ამათიანებმა თავისიანს დახვრეტა იმის გამო მიუსაჯეს, რომ ტყვედ მყოფი დაჭრილი მტერი დაცხრილა. რატომ?! რატომ და, ტყვე, რომელსაც 200 ამათიანის სისხლში ჰქონდა ხელი გასვრილი და სისხლის გადასხმა ესაჭიროებოდა, ქართველის სისხლს არ გადავისხამო, ღრიალით აყრუებდა იქაურობას!...

ნაწარმოების იდეა, წარმოაჩინოს ქართველის, ამ შემთხვევაში, ჯარისკაცის ჰუმანური ბუნება, მჟღავნდება მთხრობლის, კოკას უცხოელი ჟურნალისტისადმი გულისხმიერი დამოკიდებულებით, რაც გამოიხატა სურვილით, როგორმე გაარიდოს იგი ამ უბედურებას. გადაწყვეტილების სისრულეში მოყვანაში ხელს უწყობს მიგნება იმ თვითმფრინავისა, რომელსაც გვამები გადააქვს თბილისში.

ნაწარმოები სრულდება შოპენას დღიურით, რომელსაც პოლონელი ჟურნალისტი უკვე თბილისი-მოსკოვის რეისის თვითმფრინავში წერს. ფაქტი კი, თუ როგორ დააღწია მან თავი „ღვთისგან მიტოვებულ ქვეყანას“, ცხადყოფს, რომ ომში მხოლოდ საკუთარ თავზე არ ზრუნავენ ადამიანები, რომ არსებობს რაღაც, რაც სიცოცხლის წყურვილს აღმატება, ქმედება, რომელიც გმირობაზე მეტია - ამას აკეთებს ქართველი კაკო, რომელიც შოპენას ჯერ ქვებით უვსებს ჯიბეებს, მერე ზეწარში ახვევს და გვამებს შორის ათავსებს. მისთვის მიუღებელი იყო სხვა ქვეყნის შვილი, სამშვიდობო მისიით მოსული ჟურნალისტი, რომელიც განუკითხაობაში აღმოჩნდა, იმ ტყვიას შესწირვოდა, რომელიც მისთვის არ იყო განკუთვნილი.

დღიურის ბოლო ფურცელი 1993 წ. 14 სექტემბერთაა დათარიღებული. სოხუმის დაცემამდე 13 დღელაა დარჩენილი...

ტექსტში ზოგადსაკაცობრიო თემაა გაშუქებული - ჯარისკაცი არ კარგავს ადამიანურ ღირსებას მაშინაც კი, როცა სიკვდილი ასე ახლოსაა.

მ. არაბიძის თვალსაზრისით, ბესო ხვედელიძე „სრულიად განსხვავებულია იმ თვალსაზრისით, რომ იგი, მცირე დოზითაც არ გამოდის არცერთი ძველი ქართველი ავტორისაგან. იმდენად უცხო და სხვანაირია მისი პროზა ქართული ლიტერატურისთვის - მისტიფიკაციები, გამიზნული ქვეტექსტურობა, ჰიმნოგრაფიულობა, მაგიური რეალიების მთელი კასკადი, სარკასტული გროტესკი და შავზე „ბნელი იუმორი“, უცხო შეგრძნებათა მთელი წყება და, რაც მთავარია, თხრობის ძალიან დამაჯერებელი მანერა - ერთმანეთში კულინარიული ოსტატობით გადაზედილი ეს ყველაფერი აშკარად განასხვავებს და გამოარჩევს ამ ავტორს კოლეგებისგან“ [არაბიძე, 2009(ელექტრონული რესურსი)].

ჩვენ მიერ გაანალიზებული ნაწარმოებები ირეკლავს 90-იანი წლების განუკითხაობას, რუსეთის მიერ ინსპირირებული ქართულ-აფხაზური ომის ტრაგიკულ პერიპეტებს თანამედროვე ქართულ ლიტერატურაში. ტექსტუალური მასალის შესწავლამ საშუალება მოგვცა გაგვერკვია, თუ რამდენად შეუძლია ე.წ. „ეთნიკური კონფლიქტის“ სიუჟეტურ ფონზე შექმნილ ლიტერატურას ცალკეული ინდივიდის პერსონალური ბედის რეფლექსიით ასახოს მთელი ერის სულიერი ტრავმა.

2.3. ქართულ-ოსური კონფლიქტის ანარეკლი ქართულ მწერლობაში

ლიტერატურულ მიმდინარეობათა თემატიკა, უმეტესწილად, ეპოქალური ძვრების საფუძველზე შექმნილი ვითარებით განისაზღვრება; ჩვენი ინტერესის სფეროა მეოცე საუკუნის დასასრულისა და ოცდამეერთე საუკუნის დასაწყისის პოლიტიკური პროცესების ფონზე განვითარებული მოვლენების ამსახველი ფაქტები, რომელიც ომის უმტკივნეულებსი თემატიკით შემოიჭრა და „ტრავმულ მეხსიერებად“ დამკვიდრდა ლიტერატურაში. საკვალიფიკაციო ნაშრომის წინამდებარე პასაჟში ჩვენი კვლევის საგანს წარმოადგენს რუსეთის იმპერიის მიერ ინსპირირებული ქართულ-ოსური კონფლიქტის თემაზე შექმნილი ნაწარმოებები. განვიხილავთ შემდეგ ავტორთა - ზეინაზ მეტრეველის, ვანო ჩხიკვაძის, გიორგი სოსიაშვილის, შოთა დარბუაშვილისა და მზია ხეთაგურის მხატვრულ ტექსტებს, ასევე, კრებულს „ალილუია“, რომელშიც შესულია სამაჩაბლოდან დევნილ ავტორთა ლექსები.

ზეინაზ მეტრეველის „საყდრის ჩიტები“ საქართველოს დანაწევრებისა და დაქუცმაცების ავბედით პერიოდს ირეკლავს. სათაური სიმბოლურ დატვირთვას

ატარებს. ნაწარმოებში, რომელიც ქართულ-ოსური კონფლიქტის ტრაგიზმითაა ინსპირირებული, ერთმანეთის პირისპირ დგას ერთ დროს ერთიანი სამყაროს (როგორც ერთი დედის) ერთმანეთისგან გამიჯნული, სხვადასხვა ნაპირზე მდგომი ორი შვილი. ერთი - გაზლუქუნებული, საკუთარი „მე“- თი დამტკბარი, მეორე კი - დაჩაგრული, ნაგვემი და მიტოვებული.

ნაწარმოების გმირი, წიგნებით ნასაზრდოები კაცი, დაცარიელებულ სოფელს „გიჟი იოსებას“ სახელით შემორჩა. მისი ფილოსოფიური აზროვნება მეცნიერ კაცს, რატი-თეიმურსაც აოცებს : „ვუყურებდი და ვფიქრობდი, იოსებასნაირი კაცები ერის სამოსის რომელ საკერებლად გამოდგებოდა იმ სიშიშვლის დასაფარავად, ყველაზე შემზარავი რომ იყო საცქერლად, ან თუ გამოდგებოდა მთლიანად სამოსის პირველქსოვილად, მაგრამ იოსებას არც ჭრას ჰკითხავდნენ და არც კერვას, არც ის იცოდა, ისტორიის სტომაქის რომელ ფსკერზე განისვენებდა“ [მეტრეველი, 2004:32].

თავის დროზე ნაწარმოებს მაღალი შეფასება მისცა ოთარ ჩხეიძემ. მწერალი იმედოვნებდა, რომ სიუჟეტის დინამიურობა და თემატური აქტუალობა უთუოდ დიდ შთაბეჭდილებას მოახდენდა მკითხველზე და ასეც მოხდა - ნაწარმოები ერთ-ერთი სამაგიდო წიგნია საქართველოს ბედ-იღბლით დაინტერესებული მკითხველისთვის. იოსება ადგილის დედას ჰგავს, შვილივით უვლის რატი-თეიმურს, რადგან გრძნობს, რომ იგი მკვდარი სოფლის ერთადერთი ცოცხალი უჯრედია, რომელიც სწორედ აქ, ამ ცარიელ სოფელში უნდა გამრავლდეს.

საზოგადოებამ ავტორისეული ტკივილი, შესაძლოა, დღემდე ვერ გაითავისა. მკვლევარ როზა დევდარიანის თვალსაზრისით, „საყოველთაო გულგრილობას, საერთო-ეროვნული, საერთო სახელმწიფოებრივი ინტერესების დავიწყებას ააშკარავებს პროზაიკოსი, როცა მოგვითხრობს, როგორ გადაიქცა სამაჩაბლო „სამხრეთ ალანების სახელმწიფოდ“ და როგორ გადასანსლეს მის საზღვრებში მოქცეული ძირძველი ქართული სოფლები ისე, რომ „იქ, დედაქალაქში, გულყრა არავის დასწყება მომეტებულად“ [დევდარიანი, 2010:2].

ზეინაბ მეტრეველი ერთ-ერთ ინტერვიუში იხსენებს, რომ, როდესაც გოდერძი ჩოხელი „საყდრის ჩიტებს“ გაეცნო, უწინასწარმეტყველა, შენც ჩემსავით უბედური იქნებიო...

ოთარ ჩხეიძის მსგავსად, გოდერძი ჩოხელიც მაღალ შეფასებას აძლევდა ნაწარმოებს. მწერლის თვალსაზრისით, „საყდრის ჩიტები“ ერთგვარ ლოცვას ჰგავს, სადაც „მლოცველი თვითონ ავტორია, რომანი კი - ღმერთის იმედით სავსე და განმწმენდელი“ [ჩოხელი, 2005:3].

ავტორისთვის ყველაზე დიდი შეფასება სწორედ ეს სიტყვებია.

რომანის მიხედვით, კითხვაზე, თუ ვისთვის თხრიდა ამდენ საფლავს, მესაფლავე იოსებას სულისშემძვრელი პასუხი აქვს: „ვინ იცის, რამდენი დაბრუნდება დასამარხად მშობლიურ მიწაზე. ახლა საკუთარი მიწა რომ შეინარჩუნო, საუკეთესო მეთოდი, იცი, რა არის? საფლავების თხრა!.. ასეთი ორმოებისა ჯერჯერობით მტრებსაც ეშინიათ. თუ ცოცხალს არ დაგტოვებენ, შენით მაინც ამოავსებენ ამ მიწათხრილებს. ჰოდა, საფლავიც შეგრჩება და მიწაც საკუთარი...“ [მეტრეველი, 2004:17].

ნაწარმოებში თითოეულ ფრაზას უღრმესი დატვირთვა აქვს; მკითხველი მთელი სიმძაფრით გრძნობს და განიცდის მომხდარს, თითქოს თვითმხილველია მიმდინარე პროცესებისა. წარსულის ხსოვნა და „მომავლის ყვავილობა“ აწმყოს ფესვებზეა დამოკიდებული და სწორედ ამიტომ, რაც დრო გადის, მით უფრო მტკივნეული და დამაფიქრებელია ნაწარმოებში აღწერილი ტრაგედია ქართლისა.

სხვა ინტერვიუში ზეინაბ მეტრეველი იხსენებს, თუ როგორ სთხოვა ოთარ ჭილაძემ, არასოდეს ეწერა აწმყოსთვის, ეწერა მხოლოდ მომავლისთვის. ვფიქრობთ, ზეინაბ მეტრეველის შემოქმედება სწორედ ამ მიზანს ემსახურება. იოსებაც ხომ საკუთარ თავზე მეტად იმიტომ უფრთხილდება რატი-თეიმურს, რომ მასში მომავალს ხედავს. „აძაღლებულ წუთისოფელს“ თუ თვითონ ცოცხალი გადურჩა, ეს არაფერს ნიშნავს. საგულისხმოა იოსებასეული მოსაზრება გადარჩენის შესახებ: „შენ ამ ყოფას გადარჩენას ეძახი? დავრჩი საკუთარი თავის მესაფლავედ და კიდევ - იმ იმედების მომლოდინედ, რომელსაც აქ ოდესმე უკანდაბრუნებულნი მოიტანენ. მერე აფხაზეთი, მერე - შიმშილი, სამოქალაქო ომი და ეკ, ხალხი რო ერთმანეთს დაერევა, ასეთ დროს სამშობლოს მოძებნა და ცნობა გაგიჭირდება კაცს, ძმა ძმას რომ ესვრის, სამშობლო იმ ტყვიით კვდება“ [მეტრეველი, 2004:18].

ეროვნული ღირსების დაკარგვის ხარჯზე ევროპისკენ გეზადებული სახელმწიფო კი „გვირაბის ბოლოს“ სინათლეს უწინასწარმეტყველებდა დამშეულ, გაუბედურებულ ხალხს. ავტორი კრიტიკული თვალთ უყურებს წარსულს. მსოფლიოს ყველა კუთხიდან ჩამოსულ სტუმრებს წელში მოხრილნი ვხვდებოდით, ყველამ კარგად უწყოდა, რომ აფხაზეთისა და სამაჩაბლოს „ფანჯრებში“ მხოლოდ მაშინ გვახედებდნენ, როცა ამას საქმის ფორმალური მხარე ითხოვდა.

ნარატორისა და აქტორის შეხედულებები თანმხვედრია - აშკარაა, რომ ორივე თავისი ქვეყნის ჭირისუფალია, მაგრამ აქტორში იმედი ჩაფერფლილია. პიროვნება გულგატეხილია, დარწმუნებულია, რომ ასეთი ყოფა წლობით გაგრძელდება, არაფერი შეიცვლება: „ცვლილებებისთვის საჭიროა, რომ ვინმეს ახსოვდე, ჩვენ კი, აბა, ვის ვახსოვართ?! არავის! აღარც მე მახსოვს და რა ვქნა, ამ სოფლის იქით თუ ქვეყანაა კიდევ, აღარც კი ვიცი...“ [მეტრეველი, 2004:24].

ავტორის ფილოსოფიური განაზრებანი ადამიანის სურვილებსა და რეალურ შესაძლებლობებს შორის არსებულ ზღვარზე გვაფიქრებს.

ნაწარმოების კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ღირსება ენობრივი ქსოვილია, რომელიც მკითხველს მარღვიანი ქართულით აჯადოებს. მკვლევარ ღია ჭილაძის თვალსაზრისით, „წიგნი გაჯერებულია ავტორის მაღალფილოსოფიური აზროვნებით, მაღლიანი ქართლური დიალექტით“ [ჭილაძე, 2005:14].

ნაწარმოები ეგზისტენციურ პრობლემაზეც დაგვაფიქრებს - სიკვდილის მეტაფიზიკაზე. ცოცხალ ადამიანებს, რატომღაც, არ ახსოვთ სიკვდილი და, ავტორის თვალსაზრისით, უბედურების სათავეც ესაა. იოსება ამბობს: „რომ შემემძლოს, მთელ საქართველოს გადავთხრიდი. იქნებ ამ ღია, გამზადებული საფლავეების შიშმა მაინც შეზაროს ეს გამობრუებული ხალხი“ [მეტრეველი, 2004:25].

წევს ბელტებზე მესაფლავე იოსება, შესაბრალისი, და ყველასაგან მიტოვებულ ღმერთზე წუხს.

თამარ გოგოლაძის მოსაზრებით: „ეს წიგნი უსათუოდ დააფიქრებს დიდი ერების წარმომადგენლებს მცირე ერის პრობლემებზე, მცირე ერების ხალხთა სულებს კი გაეხმიანება მშვენიერი ხალხური ენით, სიბრძნითა და განუმეორებელი მხატვრული ოსტატობით... ამ რომანის ავტორმა შეძლო ეწერა მართლად, ტკბილ-

მწარედ ტკვილიან დარდსა და სიცოცხლეზე“ [გოგოლაძე, 2005:504].

მშობლების საფლავზე დამხობილი რატი-თეიმურაზი საოცარ სიმშვიდეს გრძნობს - საწმინდარი მისთვის ეს ადგილია. იგი პირველი ადამიანია, ვისაც იოსება გულს უხსნის და საკრალურზე ესაუბრება. უკანონოდ შობილის კომპლექსმა საყვარელი ქალი დააკარგინა და მისი უშვილობიროდ გადაგდების მიზეზიც ესაა. ოკუპირებულ ტერიტორიაზე „გიჟის“ სტატუსით საფლავების თხრა „აკვიატებული მარადიული უბედურების“ გაგრძელებაა. მკვლევარ როზა დევდარიანის თვალსაზრისით, „დიდი განძის ვერმომფრთხილებელი იოსება, ლიტერატურულ პერსონაჟთა შორის, ყველაზე მეტად თეიმურაზ ხევისთავსა ჰგავს, მაღალფარდოვნად მოლაპარაკე ფილოსოფოსს, რომელმაც თავისი უნიათობის გამო „მარგალიტი“ სწორედ რომ ღორთა შესამუსრად გაწირა“ [დევდარიანი, 2010:8].

ნაწარმოების კონცეფციით, სამაჩაბლოს სოფლებში გადამთიელებმა ქართულ მიწაზე „შენია-ჩემია“ რომ დაიწყეს, მაშინ დაიწყო ჩვენი უბედურება. ხუთმილიონიან ხალხს რომ ხუთი ერთნაირად მოაზროვნე ადამიანი არ აღმოაჩნდება, ერთი გზით როგორ ივლის ქვეყანა?! - დიდი ტკვილით ამბობს ავტორი. სამაჩაბლოს (სრულიად საქართველოს) მომავლის სხვადასხვაგვარმა გააზრებამ, ეროვნულ ძალთა დაქსაქსვამ განაპირობა, რომ, სანამ ქართველნი გონს მოვეგებოდით, „ჩაგრულთა მოსარჩლე“ ჩრდილოელი „მამების“ წყალობით „ალანები“ კბილებამდე შეიარაღდნენ.

ავტორი-ნარატორი, მოქმედი პირების „საშუალებით“ ობიექტურად გვიამბობს იმ დროისა და პოლიტიკური სივრცის შესახებ, რომელიც საბედისწერო აღმოჩნდა საქართველოსთვის. ამკარად ჩანს ფსიქოლოგიური წვდომისა და იდეოლოგიური პერსპექტივის გამოყენების უნარი.

რომანის შინაარსიდან გამომდინარე, მესაფლავე იოსება „ადგილის დედის“ პერსონიფიკაციაა, კარგად იცის, რა სჭირს მიწას, რითაა დაავადებული, რა, ან რატომ დამართეს!.. ისიც იცის, ამ ომში რომ პატრიოტული წყურვილის მოსაკლავად აგორებული მოწოდებებით მარცხი იწვნიეს (და არა გამარჯვება), რადგან ეს ის ომია, რომელსაც გამარჯვებული არ შეიძლება ჰყავდეს.

ოსება თავისი მიწის მესაიდუმლეა, „თანამდევნი უკვდავი სულის“ ერთ-ერთი პერსონიფიკაცია და რა გასაკვირია, სტკიოდეს ის, რაც ალანებმა ქართველებს დამართეს?! რატი-თეიმური - გონება თავისი მამულისა, უსმენს მას და ახსენებს, რომ არც ქართველნი ყოფილან გულხელდაკრეფილნი.

მესაფლავეს ამაზეც აქვს პასუხი: „ჩვენი ბიჭებიც ბევრს სჩადიოდნენ და საკმაოდ მკაცრადაც, რადგან ომის წესებს არც ალანები ადგენდნენ და არც ქართველები, ეს ხომ იმთავითვე განსაზღვრული იყო, რომ ომში თუ სხვა არ მოკვდება, შენ ვერ იცოცხლებ, ამიტომაც ხელყოფ იმას, რაც შენ არ გეკუთვნის და რისი მეშვეობითაც სიცოცხლის დღეებს იხანგრძლივებ“ [მეტრეველი, 2004:105].

ომის ეპიცენტრში ჩარჩენილი მესაფლავის დაკვირვებით, აქაური ალანების მტრობას დანდობის პოლიტიკის იერი დაჰკრავდა - „მაინც შერჩათ რაღაც მშობლიური და შემწყნარებლური. თანაც ეს ნათესაური ჯაჭვი, რაც ჩვენ შორის ისტორიულად არსებობდა, ბოლომდე ვერ წყდება ვერასოდეს და ქვეყნის დასალიერს გადაკარგულ ორ რგოლს მაინც ერთმანეთისაკენ ეზიდება...“ [მეტრეველი, 2004: 110].

ნაწარმოების კვანძი ექსპლიციტური მთხრობელის, რატი-თეიმურის ოკუპირებულ, მშობლიურ სოფელში დაბრუნების მიზეზით იხსნება.

მთავარი პერსონაჟი, რატი-თეიმური კოლონიური ეპოქის ინტელიგენტთა იმ კატეგორიას მიეკუთვნებოდა, ყოველთვის მზად რომ იყვნენ, „დამამშვიდებელი აბებით“ გაბრუებულიყვნენ და, ღირსებაზე გადაბიჯებით, იერარქიულ კიბეს ამაყად აჰყოლოდნენ.

ავტორი წარმოაჩენს „იძულების წებოთი შეკრულ“ ოჯახს, რომელსაც 9 აპრილის „მოვლენები“ მორალური პასუხისმგებლობისგან ათავისუფლებს. დადგა დრო, როცა ყველა ოჯახის კარზე გაჭირვებამ მიაკაკუნა. არსობის პურის უგრძეს რიგებში იდგა თეიმურაზიც (რატი-თეიმური). მის ოჯახში ყველას ჩამოხსნოდა ნიღაბი. პატივმოყვარე, მისი ცხოვრების მმართველი ცოლი, არც მეტი, არც ნაკლები, გალოთდა და ნაკლებად მომთხოვნიც იმის გამო გახდა, გარშემო აღარავინ იყო, ვისაც რამეს შეაშურებდა... ამ პერსონაჟის დახატვით ავტორი იმ ქალთა სახეს გვიჩვენებს, რომლებმაც უპასუხისმგებლოდ მოიხსნეს დედობისა და

ქართველქალობის მოვალეობა, რაკი ქვეყნის თავისუფლების ძიებამ მათ კი არ არგო, პირიქით, კეთილდღეობა დააკარგინა.

რომანის თანახმად, 9 აპრილის ტრაგედიით გაერთიანებული ერი გაჭირვებამ ისევ დაქსაქსა. „იყიდებოდა ყველაფერი: ავეჯი, ჭურჭელი, წიგნები, იარაღი, ცოლი, შვილი, სინდისი, მორალი, ზნეობა, არ არსებობდა არაფერი მოუსყიდველი და შეუსყიდველი, რადგან პოლიტიკური თავისუფლება ძალზე დიდი ლუკმა აღმოჩნდა, რომელმაც ერის საყლაპავი მილის ეროზია გამოიწვია, მთელს ორგანიზმში გადაუმუშავებლად გაიჟღინთა, გადაიწრიტა და, სიმამლის ნაცვლად, სამსალის დანიშნულება შეიძინა“ [მეტრეველი,2004:137].

ინტელიგენციის ნაწილმა ქუჩაში, ლუკმაპურის საშოვნელად გადაინაცვლა. ნაწილმა ესეც ვერ შეძლო და უდიდეს განსაცდელში აღმოჩნდა.

ეპოქის, ადამიანის ფსიქიკის დამანგრეველი პერიოდის, სურათს აღწერს ზაალ სამადაშვილი. მამამ, შვილთან ერთად, წიგნები გაიტანა ბაზრობაზე - ნავთის, ზეთის, შაქრის ფხვნილისა და ვერმიშელის შესაძენად. მან უნივერსიტეტი მამინ დატოვა, როცა ეროვნული დამოუკიდებლობის ძიებამ სტუდენტები ქუჩებში გამოიყვანა, პოლიტიკისგან შორს იდგა, „წერდა პატარ-პატარა, მოწოდებების მსგავს წერილებს, დაახლოებით ასეთებს: თუ გსურთ, ღირსეულად გადაიტანოთ გაჭირვება, არ გაგაცოფოთ უპურობამ, უშუქობამ და სიცივემ - იკითხეთ! თქვენი ბინები მიატოვა მუსიკამ, თეატრმა, კინომ... არ მიუტოვებხართ წიგნებს, ლიტერატურას!“ [სამადაშვილი,1995:113] - კ.გ].

ტექსტის „სივრცე“ რატი-თეიმურის ოჯახია, ტიპური ოჯახი.

რომანის მიხედვით, ქვეყანაში ცოცხალ მიცვალებულთა მარათონია. ოჯახის (საკუთარი თვალით დანახულმა!) წაბილწვამ, ოჯახის უფროსი მკვლელად აქცია.

რატის ვაჟი, რომელიც წამალზე დამოკიდებული გახდა, ლოგიკურად აზროვნებს, მაგრამ უნარი არ შესწევს, „დროის მანქანა“ მართოს. დაკარგა ღირსება, სიამაყე... გადარჩენის ვერანაირ გზას ვეღარ ხედავს და ებრალება ყველა, ვინც ამ დრომ იმსხვერპლა. „ვინ ვართ და სინამდვილეში რისთვის ვარსებობთ, ვერაფერი გამიგია. ვიბრძოდი და მეგონა, რომ მშვიდობისათვის ვიბრძოდი, მშვიდად ვარ და არ ვიცი, ვის ან რას ვჭირდები... ასე მეგონია, რამდენი ხანიც არ უნდა გავიდეს, ჩვენს თაობას

ეს ქვეყანა არასოდეს მოისაკლავს. სამსხვერპლო თაობა ვართ, უბრალო, სატარიგო ბიჭები. ისინი კი, ვინც ჩვენ სამსხვერპლოდ გვიმეტებენ, საკუთარ ადგილებს ნამდვილად დაიმკვიდრებენ ამ ქვეყნის ისტორიაში. არადა, როგორ მინდოდა, მეც ჩვეულებრივი, კარგი ბიჭი ვყოფილიყავი. ჩვეულებრივად ყოფნა კი თურმე არაჩვეულებრივად ძნელი ყოფილა“ [მეტრეველი, 2004: 157].

ფარნას სახით „დაკარგული თაობის“ კიდევ ერთი ტრავმირებული ახალგაზრდა გადის ცხოვრებიდან... რატი-თეიმური იავარქმნილ სოფელში ბრუნდება.

ნაწარმოებში წარმოჩნდება მშობლიური მიწის ანდამატური არსი. თავისი გმირები უცხო სივრცის მკვიდრობისათვის არ ემეტება ავტორს - სიცოცხლეშივე აბრუნებს უკან და საწინდარს, მტერი რომ ეცილება, დაუნარჩუნებს.

მოლაპარაკებების შემდეგ სოფელში ჯერ ალანები დაბრუნდნენ, მერე - ქართველნი; სიცოცხლე განახლდა.

პატარა რატის დაბადების ტკივილებით ტაიას ენის ამოდგმა სამყაროს ამეტყველებად აღიქმება. ნათლისმცემლის ტაძარი აღდგენილია, ახალი ეტაპი იწყება, თუმცა...

ჯერ კიდევ შორს იყო 2008 წელი, მაგრამ ნაწარმოების ქვეტექსტში ავტორის წინათგრძნობა იკითხება - მწერალი თვლის, რომ საჭიროა წარსულისკენ ხშირად გახედვა, გადასარჩენია ზნეობა, მორალი, ტრადიციები... „რომანი ეძღვნება ჩვენს დიდებულ წინაპრებს, რომლებიც XXI საუკუნის ბრწყინვალეობით დაელმებული მზერით უკან, სამშობლოს ისტორიული წარსულისაკენ გვახედებენ და იმ მომავალ თაობასაც, რომელიც „სამშობლოს“ ენციკლოპედიურ განმარტებას სქელტანიან წიგნებში არ დაუწყებს ძებნას“ [მეტრეველი, 2005:5].

რომანი ფართო მსჯელობის საგანია. თამარ გოგოლაძისა და ქეთევან ბარბაქაძის თვალსაზრისით, „ნაბიჯ-ნაბიჯ ხორციელდება სოციალური ფისბილდინგი, რაც საფუძველია ახალი „მშვიდობიანი“ კულტურისა შიდა საზოგადოებრივი ცხოვრების სოციალური წყობის ფარგლებში. ოდესღაც კონფლიქტის გამო მიტოვებული და გაპარტახებული სოფელი მცხოვრებლების შერიგების ციკლის თითქმის ყველა ელემენტის გათვალისწინებით იქცევა ალუზიად ფისბილდინგისა, რაც საწინდარი უნდა გახდეს სამუდამო შერიგებისა დანაწევრებულ

საზოგადოებაში. ზეინაბ მეტრეველის რომანი „საყდრის ჩიტები“ ერთგვარი პერსპექტიული ალუზიაა ლოგიკური კონფლიქტის დეესკლაციის წარმოდგენისა მხატვრული ტექსტის მეშვეობით“ [გოგოლაძე, ბარბაქაძე, 2009:149].

2008 წლის ომით თავზარდაცემული მწერალი ერთ-ერთ ინტერვიუში ამბობს: „უკიდურეს გაჭირვებაშია დღეს ყველა, შეიძლება ითქვას, რომ სრულიად საქართველო ლომბარდში დევს და, ღმერთმა უწყის, ვინ და როდის გამოიხსნის... დღეს ვინც ბედნიერია, ღმერთმა ყველა კარგად ამყოფოს, მაგრამ ჩემთვის პირობითი ცნებაა „ბედნიერება“ მაშინ, როცა უბედურება ასე ხელშესახებია ყოველ ნაბიჯზე, ... საკუთარ თავს უბედურებასაც კი ვსაყვედურობ, მაგრამ, როგორც ჩანს, ჩემში იმდენად ღრმადაა ჩაკირული სევდა, რომ მას ვეღარაფერი ამომანთავს...“ [შაიშმელაშვილი, 2017(ელექტრონული რესურსი)].

ეროვნული მრწამსით გამორჩეული ავტორისათვის ერთგვარი შვებაა კომუნისტური რეჟიმის იდეოლოგიური პლატფორმის შერყევით დოგმებისაგან გათავისუფლებული ლიტერატურის არსებობა.

მწერალი პერსონაჟთა სულიერი მდგომარეობის აღწერით გვიჩვენებს, რომ, მიუხედავად ხალხის კოლექტიურ მეხსიერებაში ჩაკირული უმძიმესი ტრავმისა და მისი შედეგებისა, საზოგადოებაში ეროვნული და კულტურული ღირებულებები, საბედნიეროდ, ჯერ კიდევ არ წაშლილა.

იმპერიის მიერ შექმნილ-წაქეზებულმა უსახო და უსაფუძვლო ავტონომიურმა წარმონაქმნებმა კონფლიქტის კერები გააჩინა როგორც აფხაზეთში, ასევე სამაჩაბლოში.

ტრაგიკულმა პროცესებმა, რომელიც ომში გადაიზარდა, ასახვა პოვა ვანო ჩხიკვაძის შემოქმედებაში. საზოგადოებრივი და პირადი პასუხისმგებლობითაა აღსავსე მწერლის მიერ გააზრებულ-გაანალიზებული რეალობა.

„ზამთრის წიგნია“ სათაური ნაწარმოებისა, რომელიც ქართულ-ოსური კონფლიქტით ტრავმირებულ ადამიანთა პრობლემებს ეხება. სათაურიც ცხადყოფს, რომ ავტორი „სულში დაზამთრებულთა“ ყოფის გაუსაძლისობაზე საუბრობს. მოთხრობა „ჭირი“ ოსურ მხარესთან დაპირისპირების ერთ-ერთ მიზეზზე ჰყვება. ხალხი მტრის მხრიდან არაადამიანურ საქციელს აპროტესტებს. ნაწარმოების

მიხედვით, კანტორის ეზოში მათი თავმჯდომარის მიზნები ოსური ბანდის მიერ ახრისელი გლეხების დაჭრა და გადამალვაა, ოც მილიონს ითხოვენ, მათი გათავისუფლების სანაცვლოდ.

ავტორი, რომელიც თვითმხილველი და უშუალო მონაწილეა სამაჩაბლოში განვითარებული მოვლენებისა, ქვეტექსტებით საუბრობს. დაკავებული ბანდის ორი წევრი ცხინვალში მიჰყავთ „გასასამართლებლად“. რუსი გენერლისაგან რომ ადამიანები პასუხს ითხოვენ, ამ ქმედებაში ავტორის პოზიცია იკვეთება. როგორც ყოველთვის, ახლაც განზე გადგა რუსი - ხელები დამიბანია, ქართველები და ოსები თავად მორიგდითო. „უფროსი ძმის“ დაცვას რუსულ ყაიდაზე აღზრდილი ქართველი სარდალი შეეცდება (ალბათ, უფრო იმიტომ, რომ განსაცდელში მისი მიტოვება ეუხერხულა), მაგრამ, მიხვდება თუ არა, რომ გამწარებული ბიჭები არც მას დაზოგავენ, ისიც თავის შეკავებას არჩევს.

ნაწარმოების მიხედვით, ომის ცეცხლზე ხელის მომთბობი ადამიანები ფულის შოვნის საუკეთესო გზებს ქვეყნის უბედურებაში ხედავენ. „ფული ფულია და რა მნიშვნელობა აქვს, საიდან შემოვა, ტყვეთა ვაჭრობიდან თუ ჩვენი უბედური შვილების ვენების გლეჯიდან“ [ჩხიკვაძე, 2005:80]. ავტორს საუკეთესოდ აქვს გადმოცემული იმ ადამიანების ხასიათი, რომლებსაც ხელს არ აძლევთ კონფლიქტის მშვიდობიანი გზით მოგვარება - დაძაბულობა, აშლილობა და ქაოსი, არეულობა მეტად „მომგებიანია.“

ვანო ჩხიკვაძის შემოქმედებისთვის უცხო არაა ელემენტური ობერტონები. ლირიკულ „მეს“ ხშირად პროზაული „ჩვენ“ ცვლის. სულის მდგომარეობა უცვლელია, მხოლოდ ტკივილის ობიექტია სხვადასხვა. ივანე ამირხანაშვილის თვალსაზრისით, „ვანო ჩხიკვაძის ჟანრულ სინქრონიას აქვს მიზნები - ეს არის ტკივილი, რომელსაც მშობლიური მიწის ტრაგიკული ბედი განაცდევინებს. [...] გულგაგლეჯილი ქართლი, ბრძოლის ველიდან გაქცეული მეთაურები, ჭკუამხიარული ბელადები, ცირკადქცეული ქვეყანა, შიში, სირცხვილი, სიბნელე. ზნეობრივ-მორალური დეკადანსი, შემოქმედებითი სულის დაცემა, კულტურის კვდომა...“ [ამირხანაშვილი, 2014:22].

ვანო ჩხიკვაძე აღნიშნულ ნაწარმოებშიც ყველა იმ მანკიერებას ამხელს, რაც 90-

იანი წლების საქართველოსთვის იყო დამახასიათებელი. ჩნდება ნარკოტიკების თემა. კანტორის ეზოში, სადაც მოვლენები ვითარდება, გამდიდრების გზის მაძიებელი ბარიერები და მხრებში მოხრილი ნარკომანების გამოჩენა ცხადყოფს, რომ ტრავმულმა წლებმა დაგვაკარგინა თაობა, რამაც უდიდესი მორალური და ფიზიკური ზიანი მიაყენა ქვეყანას.

ნარკომანიის თემა 90-იანი წლების ქართულ პროზაში, ზოგადად, მნიშვნელოვან ადგილს იკავებს. საკითხს საფუძვლიანად განიხილავს ანა იმნაიშვილი 2010 წელს დაცულ დისერტაციაში „XX საუკუნის 90-იანი წლების ქართული პროზის ტენდენციები“. კვლევის მონაცემებით, ქართულ პროზაში, პირველი ნარკომანი ნოდარ დუმბაძის მურტალოა. იგი საბჭოთა ცენზურას მხოლოდ იმ მიზეზით „გადაურჩა“, რომ უარყოფითი პერსონაჟია.

მკვლევარი თამამ განაცხადად თვლის ანა მხეიძის ნაწარმოებსაც „არჩევანი მე“. მაგრამ, ა. იმნაიშვილის თვალსაზრისით, პირველი, ვინც ნარკომანიის პრობლემა ღიად დასვა თანამედროვე ქართულ პროზაში და მისი გადაჭრის გზების ძიებისკენ მოუწოდა საზოგადოებას, ახალი თაობის მწერალი, ირაკლი კაკაბაძეა.

აკა მორჩილაძეც, როგორც პოსტკოლონიური სივრცის მწერალი, ღიად აშუქებს 90-იანი წლების სენს რომანში „მოგზაურობა ყარაბაღში“.

პრობლემას უღრმავდებიან სხვა ავტორებიც (ბესო ხვედელიძე, „ერთი დაკონკილი ამბავი“; ირინა ბაქანიძე, „ნათელო, ნათელო ჩემო“, დათო ტურაშვილი, „საით წავიდნენ შუმერები“)...

დათო ტურაშვილის ტექსტში, ფსევდო ეზო-ქალაქში, მას შემდეგ, რაც წამალს ყველამ გაუსინჯა გემო, ადამიანებმა მანამდე არსებული სიძულვილითა და ბოღმით გაჟღენთილი ყოფა დაგმეს, გაკეთილშობილდნენ, თუმცა, „წამლის“ გამოლევის შემდეგ, პირვანდელ მდგომარეობას უბრუნდებიან - გაბოროტდნენ. ქვეტექსტის გამჭვირვალეა - „გარე ძალების“ ჩარევის გარეშე უნდა შეძლო, შეიცნო სამყაროს ფერები და არჩევანი თავად გააკეთო.

იმნაიშვილის თვალსაზრისით, „ავტორთა გარკვეულმა ნაწილმა თავის მხატვრულ ნაწარმოებებში ნარკომანის ცხოვრების სხვადასხვა ასპექტი აღწერა, ზოგიერთი მათგანი თავისი სათქმელის გამოსაკვეთად ნარკომანიას იყენებს,

როგორც მოწყვეტილობის, გადაგვარების, გათიშულობის, ასოციალურობის სიმბოლოს“ [იმნაიშვილი, 2010:96].

ნაწარმოების მიხედვით, ბარიგების ხელით მილიონების წამალი გადის და სადღეობა დედაქალაქში. სამშობლოს ჭირი მათთვის მეათეხარისხოვანია. რასაც მტერი ტყვით ვერ ახერხებს, „წამლით“ აგვარებს... იქნებ, მტერი კი არა, თავად ვითხრით სამარეს, დაუნანებლად ვუბიძგებთ ერთურთს და შიგ სამუდამოდ ვმარხავთ წარსულს, აწმყოს და, რაც მთავარია, მომავალს...

ტექსტის მიხედვით, როგორც გვჩვენებს, ახლაც უსამართლობას და ნათესაური კლანის არსებობის ინსტიტუტს „დიდი წვლილი“ აქვს ქვეყნის დაღუპვაში. დეპუტატის ძმა და მასთან ერთად დაკავებული ნარკომანი თბილისის იზოლატორში გამოკეტილ ოს ბარიგებზე გადაცვალეს. ბუნებრივია, გათავისუფლების შემდეგ, ორივე მხარე თავ-თავის საქმეს გააგრძელებდა, იქნებ, ოდნავ სიფრთხილით... ქვეტექსტში იკითხება, რომ ქვეყანა, რომელიც მშვიდობიანობის დროს ვერ იცავს კანონს, ქაოსში მით უფრო კარგავს კონტროლს; ერი ცოდვის ჭაობშია ჩაძირული. ალოგიკურია აზრიც და ქმედებაც: „ანდა რაღა მნიშვნელობა ჰქონდა, უკეთეს შემთხვევაში ორ პატიოსან გლეხში, თავის ქვეყანაში, თავისი გზით რომ მიდიოდნენ და შეიპყრეს, უნდა გადაცვალო შენს მიწაზე მობოგინე ბანდიტები, უფრო მეტად გაბოროტებულები, ხვალ ზურგში ტყვიას რომ მოგაყოლებენ“ [ჩხიკვაძე, 2005:82].

31 დეკემბერს ისმის სროლა, მაგრამ არა ახალი წლის შესაგებებლად მოთხრობაში „1992, 1-ლი იანვარი“. ნაწარმოები ახალი წლის უდიდლამო, ნაგვემი დედაქალაქის უსიხარულო სურათს გვიხატავს. ნაწარმოების მიხედვით, ვერც გაარჩევდი, რომელი მხარე ისროდა, რომელს ჰქონდა გადაწყვეტილი, რომ ამ ღამით ახალი წლის სადღეგრძელო მოძმის სისხლით შეესვა, თუმცა, საახალწლო სპექტაკლის დადგმაში ორივე მონაწილეობდა და აი, შედეგიც: „ჩვენი საამაყო რუსთაველი -დანგრეული, ნაჯიჯგნი, აბოლებული... აქ, ცხრა აპრილს, დილით, პროსპექტზე მოჯირითე ტანკს დაუწვნენ ბიჭები... გაიყინა ძარღვებში სისხლი-ტანკი ნაწყვეტ-ნაწყვეტი ბიძგებით მიუახლოვდა ასფალტზე განრთხმულებს. მაგრამ, მერე, არ ვიცი, ვერ გაბედეს თუ სიმამაცეს სცეს პატივი, რკინის ურჩხულმა უკან დაიხია. სად არიან ახლა ის ბიჭები,

ვის „მხარეს“ დგანან, რომელი სახურავიდან იღებენ „მტერს“ მიზანში?!“ [ჩხიკვაძე, 2005:5].

გაუსაძლისია ტრავმა - გახლეჩილი ქვეყნის შვილობით, 9 აპრილის დუღაბის მსხვერველი გაჩენილი ტკივილი... ახალი წელი არ იცის „აყეფებულმა“ იარაღმა. ქალაქის ყველა კუთხეში ჯგუფ-ჯგუფად დგანან ადამიანები და ელიან ტრაგიკული სპექტაკლის დასრულებას.

ავტორი მხატვრული ხერხების გამოყენებით ცდილობს, გადმოსცეს სიმძაფრე და ტრაგიზმი უჩვეულო ახალი წლის შემობრძანებისა. ავტორი აღნიშნავს, რომ მიმდინარე ტრავმული პროცესები ვისთვის ტკივილია, ვისთვის - სანახაობა, სამარცხვინო და შეურაცხმყოფელი. „ცოცხალი რომ იყოს, ვიცით, რასაც ეტყოდა აკაკი საქართველოს“ [ჩხიკვაძე, 2005:6].

მთხრობელი ქვეყნის ბედ-იბლით დამწუხრებულია ავტორია, ახერხებს, ცხოვრებისეული ფილოსოფიის სხვადასხვა ასპექტის მხატვრული წარმოჩენით ლიტერატურულ ფაქტად აქციოს განცდილ-ნანახი. მწერლის პოზიციით, არავის ახსოვს, მმათა ბრძოლიდან ვინმე გამოსულიყოს გამარჯვებული! სამგლოვიარო მუსიკა პანაშვიდზე მიგვიხმობს!... რა მნიშვნელობა აქვს, რომელი მხარე იქნება დასატირებელი?! ორივე „მხარე“ ჩვენა ვართ, ჩვენია, ჩვენი სისხლი და ხორცი. ადამიანი მაშინაა ყველაზე უსუსური, როცა თავის უძლურებაში რწმუნდება... გულგატეხილობის, ეპოქალური ტრავმით დაღდასმული ადამიანები საკუთარ თავზე ბრაზობენ, რადგან დრომ უსუსურობაში უკვე დაარწმუნა.

ნაწარმოების მიხედვით, საკუთარ თავთან ბრძოლაში „გართული“ საქართველოდან უხმოდ, შეუცხადებლად გადის რევაზ ინანიშვილი და მიაქვს უდიდესი დარდი და ტკივილი ამღვრეული თბილისისა, ქვეყნისა. ყველაფრის მიუხედავად, ტექსტში უდიდესი რწმენა ჩანს - ერთადერთი, ვისაც ამ მდგომარეობიდან დახსნა ძალუმს, უფალია, მხოლოდ უფალი...

ოცდამეერთე საუკუნის ქართული ლიტერატურის ერთ-ერთი ტრაგიკული ფურცელი 2008 წლის მოვლენებია; ომი, რომელიც ქართველ მწერალთა შემოქმედებაში მთელი სიმძაფრითაა ასახული. შესაძლებელია, ერთი და იმავე თემისადმი ლიტერატურის მუდმივი ინტერესი მოსაწყენიც კი გახდეს

მკითხველისთვის, მაგრამ, როცა ნიჭიერი ავტორი იმ ომის თვითმხილველი და უშუალო მონაწილეა, რომელზეც წერს, ნაწარმოები განსაკუთრებული ინტერესით იკითხება.

გიორგი სოსიაშვილის შემოქმედების უდიდესი ნაწილი, რომელიც 2008 წლის შემდგომ შეიქმნა, აგვისტოს ომის მოვლენებს ეხება. როგორც მკვლევარი გიორგი ხორბალაძე აღნიშნავს: „მის მოთხრობებში დასურათხატებული ყველა ამბავი, მიუხედავად თემატიკის ერთიანობისა, რადიკალურად განსხვავდება ერთმანეთისგან და ორიენტირებულია სრულიად განსხვავებულ ემოციურ ნიუანსებზე“ [ხორბალაძე, 2015: 211]. ვეთანხმებით მკვლევრის შეხედულებებს და დავძენთ, რომ გიორგი სოსიაშვილის ნაწარმოებებში უბრალო ადამიანების მიერ განცდილ-ნანახი ისეთი ბუნებრივი ემოციითაა გადმოცემული, თანამონაწილეს გზის აღნიშნული მოვლენებისა.

ნაწარმოების სათაური „მესაფლავენი“ თითქოს წინასწარვე მიგვანიშნებს ტექსტის არსზე. მკითხველის მოლოდინი მართლდება - მიტოვებული საფლავები უპატრონოდ არ რჩება. მხატვრული ტექსტის შინაარსი ერწყმის ისტორიულ რეალობას. ტექსტის მიხედვით, ნიკოს, დაკარგულ ტერიტორიებზე დარჩენია ცოლ-შვილის საფლავი და საბრალო ძაღლიც კი, რომელიც ოს მეზობელს - ბათოს შეუხიზნავს. ნაწარმოებში საგულისხმოა წარმოჩენა პრობლემისა, რომელიც ადამიანში გაჩენის დღიდან ჩაბუდებულ მესაკუთრეობის პრეტენზიაზე გვაფიქრებს. მტკაველი მიწისთვის მოჩხუბარი და დამდურებული მეზობლები ლტოლვილობაში ხვდებიან ცხოვრების ამაოებას: „ათ-ათ სანტიმეტრ მიწას დავდევი და მთელი სოფელი კი დავუგდეთ რუსებს...“ [სოსიაშვილი, 2017:28]. ნაწარმოების მიხედვით, ნიკო აღდგომა დღეს, ჩვენს ტერიტორიაზე უპატრონოდ დარჩენილი ოსების საფლავებზე წითელი კვერცხებით გადის. იქეთ კი, „იმ“ ტერიტორიაზე, ყოფილი მეზობელი ბათო პატრონობს ნიკოს მიცვალებულთა საფლავებს. ეს ის ოსია, ქართველებმა რომ სახლ-კარი დაუწვეს, სხვა სოფელში იძულებით გადასახლდა, მაგრამ არ გაბოროტებულა, პირიქით, გული მოუკლა ქართველების დევნამ და გაძევებამ საკუთარი მიწა-წყალიდან: „ვიდექი ეგრე გამტკნარებული სახით და მივშტერებოდი გამოცარიელებულ სახლებს, სადაც

სიმარტოვე და სიჩუმე შესახლებულიყო თქვენ ნაცვლად. მთვარეულივით დავდიოდი გამოცარიელებულ, წყვდიადის ლუკმადქცეულ სოფელში. ყველა სახლთან ვჩერდებოდი, მეზობლებს ვეჩურჩულებოდი. თითქოს ყველანი აქ იყავით“ [სოსიაშვილი, 2017:45]. ზემოთქმული დასტურია, რომ ადამიანურ ღირებულებებს ომი ვერ ამარცხებს. ვფიქრობთ, სწორედ ეს მსოფლალქმეა ძალა, რომელმაც სამყარო უნდა გადაარჩინოს. უპატრონოდ დარჩენილ მიცვალებულთა მესაფლავეობა მაღლია, დიდი მაღლი... ის კი, ვინც ეს ადამიანები ცოცხალ გვამებად აქცია და საფლავისთვის გაიმეტა, არ ჩანს. ავტორი თვლის, რომ იმედი ყველაზე კარგი რამაა, რაც კი უფალს ადამიანისთვის მიუცია. გიორგი სოსიაშვილი საკუთარი თვალით ნანახ-განცდილ, „მოულოდნელად, მგელივით შემოვარდნილ“ ომს ლიტერატურული ხერხებით აღწერს. ტრავმა სუბლიმირდება. მწერლის შემოქმედების გაცნობის შემდგომ, პროფესორ შალვა ვანიშვილს გამოაქვს დასკვნა: „ავტორმა მრავალ რთულ კითხვას, საკაცობრიო მნიშვნელობის საკითხს გასცა პასუხი, მტკივნეულ კითხვებს. ავტორი გვაიძულებს, გვირჩევს, გვმოდვრავს, უფრო მეტი ყურადღებით მოვეპყროთ ადამიანების სულიერ სატკივარს, ხშირად სიტყვას უფრო დიდი ძალა აქვს, ვიდრე ეკონომიური პრობლემების გადაჭრას“ [ვანიშვილი,2014:37].

გიორგი სოსიაშვილს, როგორც მწერალს, ომმა შესაძლებლობა მისცა, ხელახლა გაეცნო ადამიანები. ჩასწვდომოდა მათ ფსიქიკას და, ყოველგვარი ქვეტექსტებისა და „შეფუთვის“ გარეშე, ჩვენამდე მოეტანა განცდილ-ნანახი.

მხატვრულ-დოკუმენტურ-ისტორიული ხასიათისაა წიგნი „გამორთული მთვარე“, რომელიც პერსონაჟთა ფსიქოლოგიური მეტამორფოზის ნიმუშებითაა სავსე. წიგნის მაღალმხატვრულ ღირებულებებზე საუბრისას, მკვლევარი გიორგი ხორბალაძე აღნიშნავს, რომ ნაწარმოები, რომელიც „ქართულ-ოსური კონფლიქტის მხატვრული მატთანა, თავისუფლად შეიძლება ვადიაროთ იმ ადამიანების განცდების მატთანედ, კონფლიქტის არეალში რომ ცხოვრობენ და ფიზიკურად და სულიერად ეწირებიან ცხელი თუ ცივი ომის მძვინვარებას“ [ხორბალაძე, 2016:3].

ავტობიოგრაფიული მოთხრობა „2008 წლის შვებულება“, ნაწილობრივ, საბჭოეთის საქართველოში გვაბრუნებს. პროტაგონისტი-მოთხრობელი მოხუცი

ბებისგან მისი თაობის მიერ გადატანილ გაჭირვებას ისმენდა მთელი ბავშვობა და ვერც კი წარმოედგინა, თუ თავად იგრძნობდა მის სიციხადეს. ნაწარმოების მიხედვით, ბავშვები მხოლოდ „ომობანას“ თამაშისას ეუფლებოდნენ „იარაღის“ ტარებას, „ბრძოლაში იხოცებოდნენ“ და ისევ ფეხზე დგებოდნენ. თითოეულ ფრაზაში გამოსჭვივის დამოკიდებულება ბედნიერ ბავშვობასთან.

წინაპართა ხვედრი თითქოს მემკვიდრეობით „გადაელოცა“ ახალ თაობას. დასრულდა „ბედნიერობანა“ და დაიწყო რაღაც სხვა, ცხოვრების ჯერ კიდევ გაუცნობიერებელი ეტაპი. ზნეობრივი პასუხისმგებლობა, რომ ცეცხლმოდებულ სოფლებს მხოლოდ ბავშვები და მოხუცები გაარიდონ, მამაკაცებმა კი არ დათმონ დაბომბილი და გავერანებული მიწა, დაბომბვის დაწყებისთანავე ადამიანური სისუსტით ითრგუნება. ავტორი თვლის, რომ არც ისე ადვილი ყოფილა გმრობა და ამიტომ ყველას არც მოეთხოვება... მწერალი ჰუმანისტურ პოზიციას ინარჩუნებს და მხოლოდ რეალური ფაქტების მხატვრულად გადმოცემით გვამღევს საშუალებას, მასთან ერთად დავბრუნდეთ უახლოეს წარსულში, რათა არ დაგვაგიწყდეს ტრაგედია, რომელიც სულ ახლახან, ჩვენ თვალწინ გათამაშდა.

მკვლევარი მარინე ტურავა, რომლისთვისაც, როგორც სოხუმის ტრაგედიის თვითმხილველისთვის, უცხო არაა ომის საშინელება, აღნიშნავს, რომ გიორგი სოსიაშვილის შემოქმედების გაცნობისას მწერლის ტკივილი ძალიან გასაგები და ნაცნობია. პერსონაჟთა მისია - დაიცვან და გადაარჩინონ მამაკაცისეული სახლ-კარი, მათი ქცევის მოტივაციას განმსაზღვრავს. „გიორგი სოსიაშვილი თავისი წიგნებით, მათ შორის, „გამორთული მთვარითაც“, ომის თაობის დაუსრულებელ და უსიტყვო სოლიდარობაში ჩაერთო“... [ტურავა, 2016:211].

გორი. 2008 წელი. თვე მარიაობისა. ჩაზნელებულია ქალაქი. თითქოს მთვარეც კი გამოურთავთ, ბომბდამშენმა რომ არ იმსხვერპლოს ქალაქი... ავტორი სტალინის ძეგლთან თავმოყრილი ბიჭებისადმი სოლიდარობას დროებითი დუმილით გამოხატავს. თანაუგრძნობს მათ განცდებს, ბედის ირონიად მიიჩნევს, სტალინის მიერ გაჩუქებული ტერიტორიებისთვის რომ თავი უნდა გაწირონ ბიჭებმა. „ისტორიული წყაროების მიხედვით, ქართველმა კომუნისტებმა დაუნანებლად გაასაჩუქრეს ძირძველი ქართული მიწები. ტერიტორიების უდიდესი ნაწილი ჯერ

კიდევ 1801 წელს, საქართველოს ეროვნული სახელმწიფოებრიობის დაკარგვის შემდგომ შეიერთა რუსეთის იმპერიამ. 1918 წლის დამოუკიდებლობის აღდგენამ ვერ უზრუნველყო დაკარგული ტერიტორიების აღდგენა-შემოერთება. ტერიტორიების გაჩუქებაში მთავარი დამნაშავეები ორჯონიკიძე და სტალინი იყვნენ. სულ საქართველოს 1921 წელს რუსი და ქართველი კომუნისტებისაგან 19, 491 კვ. კილომეტრი მიწა-წყალი ჩამოეჭრა, რომელიც მთელი საქართველოს 2/3-ს შეადგენდა. ყოველივე ეს საზოგადოების პროტესტს იწვევდა, რის გამოც „იოსებ ბესარიონის ძემ 1922 წელს თბილისში ჩამოსვლისას თქვა, საქართველოს გადავხნავო“ [მაისურაძე, 2002(ელექტრონული რესურსი)]. „გადახნა“ კიდევ.

ვფიქრობთ, განსაცდელში მყოფ ბიჭებთან მოძღვრის მისვლა, აიაზმის პკურება სიკვდილთან წილნაყარ სიცოცხლეზე მინიშნებაა.

ნაწარმოებში საინტერესოდაა წარმოჩენილი სახე შეშლილი ვასოსი, რომელიც გორის ქუჩებში ძველებური სიმშვიდით დადის, უკვირს, რატომ აქრობენ ღამით სინათლეებს და, საერთოდ, რისი ეშინიათ ადამიანებს?!

ავტორი თითქოს შეშლილი კაცის უდარდებლობასაც კი შეჰნატრის.

ნაწარმოებში არაფერია ქვეტექსტური, ტექსტი აბსოლუტურად გამჭვირვალეა. ხშირად ფიგურირებს მზის სხივი, რაც, მიუხედავად ტრაგიკული რეალობისა, იმედს აჩენს. საინტერესო სახე-სიმბოლოა „ლამპიონებთან ერთად გამორთული“ მთვარე. იოსებ ჭუმბურიძის თვალსაზრისით, „ეს ის ბედნიერი შემთხვევაა, როცა ნამდვილი ამბები ორიგინალურ სახე-სიმბოლოებად გარდაიქმნებიან და ახალი მხატვრული რეალობის დაბადების მოწმენი ვხდებით“ [ჭუმბურიძე, 2016:3].

ავტორი აქცენტირებს აგვისტოს ომში ჩეჩენი ჯარისკაცების მონაწილეობას. ჩეჩნებს მტერმოყვრობის ცოცხალი მაგალითებიც მოჰყავთ და ვერ გაურკვევიათ, რა სახელი უფრო შეესაბამება მათ მოქმედებას.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ პირველი პრეზიდენტის, ზვიად გამსახურდიას და ჩეჩნეთის პრეზიდენტის - ჯოჰარ დუდაევის მეგობრული ურთიერთდამოკიდებულება ბევრისმთქმელია (როცა ეროვნული მთავრობა ზ. გამსახურდიასთან ერთად ბუნკერში იჯდა, დუდაევმა დელეგაცია გამოგზავნა ოპოზიციასთან მოსალაპარაკებლად, მაგრამ შეთანხმებას ვერ მიაღწიეს). სწორედ ამ

ურთიერთობის გამო იყო, რომ, ნაწარმოების მიხედვით, ქართველები უმადურობად უთვლიდნენ ჩეჩენ ჯარისკაცებს ომში მონაწილეობას (თუმცა, ჩეჩნებთან მიმართებით, თავისი მოსაზრება აქვს ნაირა გელაშვილს. იგი თვლის, რომ იმ უბედურებაში, რაც 90-იან წლებში ჩეჩენ ხალხს თავს დაატყდა, დიდი წვლილი მიუძღვის ზვიად გამსახურდიას. სწორედ მას ედება „ბრალად“ დუდაევის რომანტიკული ილუზიებით გაბრუება, რუსეთის წინაღმდეგ გეგმების შემუშავება. „რაც იმ მამაცმა, მაგრამ სრულიად არადიპლომატმა დუდაევმა ნაწილობრივ განახორციელა და საკუთარი თავიცა და ქვეყანაც დალუპა“ [გელაშვილი, 2009:690].

ნაწარმოების მიხედვით, გორის ცენტრში, სტალინის ძეგლთან თავმოყრილი ადამიანები ერთმანეთში ურევნ ტყუილ-მართალს: „გორს მოადგნენ თურმე, სადაცაა ქალაქში შემოვლენ: კაზაკები, ოსები, ჩრდილოკავკასიელი ბოევიკები, რომლებიც თავებს აჭრიან ადამიანებს და ქართველების სისხლს უდაბნოგამოვლილი მწყურვალელებით ეწაფებიან. - ესეც რუსების მოგონილი ხრიკია. ჭორების გავრცელება, შიშის დათესვა, რომოსახლეობა გააქციოს, მერე ტყე-ღრე წოწიალი და სხვის კარზე ყოფნა რომ მოსწყინდებათ, გამოვლენ და ხელისუფლების გადადგომას მოითხოვენ“ [სოსიაშვილი, 2017:30].

შედეგი სახეზეა - გორი რუსული ტექნიკით ივსება, სამაგიეროდ, იცლება მოსახლეობისგან. ავტორი უკვე სულ სხვა გადასახედიდან უმზერს 1921 წლის 25 თებერვლის მოვლენებს. წარმოიდგენს, წითელარმიელებმა ყიჟინით როგორ გადაქელეს ქართველი იუნკერების გვამები.

აგვისტოს ომისადმი, ზოგადად, საქართველოს წარსულისადმი ავტორის დამოკიდებულება, რასაც „შიშველი“ ფაქტების წარმოჩენით ახერხებს, მკითხველს მთელი სიმძაფრით განაცდევინებს მომხდარს. თამარ გელიტაშვილის მოსაზრებით, „ეს თვისება - მკვეთრად, გასაოცარი ბუნებრიობით გამოძერწოს პერსონაჟთა ხატები - გიორგი სოსიაშვილისთვის არის დამახასიათებელი და ეს განსაკუთრებულობა გამოარჩევს მას“ [გელიტაშვილი, 2016:6].

ავტორი წარსულსა და აწმყოს შორის პარალელს ავლებს, წარმოაჩენს სულგაყიდული ქართველების, ბოლშევიკების მიერ ნასროლი ტყვიით გახვრეტილი შუბლის იარაღს... არც ერთი დეტალი არ რჩება ყურადღების მიღმა.

შემოქმედის „მესამე თვალთა“ დანახული ომის ყველა წვრილმანი: ყვითელი ავტობუსებით გორში დარჩენილ მოსახლეობას ჰუმანიტარულ დახმარებას უგზავნის ხელისუფლება; ათხრილ ასფალტზე უცხო ჟურნალისტებისა და უბრალო მოქალაქეთა სისხლის ლაქებია...

ავტორი წარმოაჩენს უვნებლად მდგარ სტალინის ძეგლს, ჩრდილოკავკასიელ ბოევიკებს, რომლებიც გორში ყოფნისას „შანსს“ არ კარგავდნენ და სტალინის სახლ-მუზეუმში ფოტოაპარატებით დარბოდნენ.

ნაწარმოებში საინტერესოაა წარმოჩენილი ახალგორიდან თუ დიდი ლიახვის ხეობიდან თბილისის საბავშვო ბაღებში გადანაწილებული ლტოლვილების საუბრის თემა და შინაარსი. ისინი ცდილობენ უბედურების მთავარი მიზეზის გარკვევას. ნაწილს გამოაქვს დასკვნა, რომ ევროკავშირისკენ ლტოლვამ, რუსეთთან დაპირისპირებამ დააკარგვინათ საკუთარი სახლ-კარი, ნაწილი არ იზიარებს ამ მოსაზრებას და თვლის, რომ ქვეყნის მეთაურის პოლიტიკურ ამბიციებს შეეწირა მშვიდობა. ავტორის პოზიციით, „რუსეთის უდღეური ხელმძღვანელის“ ნება-ხასიათზეა ჩვენი ქვეყნის ბედი დამოკიდებული, ომის შეწყვეტით არ სრულდება უბედურება: „დევნილობა დასრულდა, თუმცა არ დასრულებულა. ვიდრე ერთი ქართველიც დევნილია ქართულ მიწაზე, ყველანი დევნილები ვართ“ [სოსიაშვილი, 2017:55].

მოთხრობაში „სამირეები“ ავტორი სოფლის ცხოვრებას, გლეხების თვალთ ადქმულ რეალობას გადმოსცემს. თვალსაჩინოა ნაწარმოების იდეა - სოფელი ძლიერია, რადგან გლეხი, რომელმაც მიწის ფასი იცის და შრომა არ ეზარება, არ წაიქცევა.

ომი დიდი პრობლემის წინაშე აყენებს გლეხს, მომავლის იმედს უკარგავს. გახიზნული სოფლის „ბინდისფერი სიცარიელე“ გულს უკლავს ავტორს, ახმოვანებს იმ ადამიანების ნააზრევს, რომლებიც ღვთის რისხვად მიიჩნევენ მომხდარს, სამამულო ომის პერიოდს და რუსის ჯარში სამსახურს სინანულით იხსენებენ. ახია ჩვენზეო, ასკვნია...

2008 წლის აგვისტოს ომის დროს ოსებთან ტყვედ მყოფი ახალგაზრდა კაცის ისტორიაა გადმოცემული მოთხრობაში „აღსარება მტრის საფლავთან.“

ჭრელთავშლიანი ოსის ქალის ადამიანური დამოკიდებულება მის ოჯახში ტყვედმყოფის მიმართ წყალ-პურის ჩუმად მიწოდებით ვლინდება, რამაც ორი კვირის განმავლობაში სიცოცხლე შეუნარჩუნა ახალგაზრდას. ქვეტექსტის ლოგიკა კი ასეთია - როგორ შეიძლებოდა, მარიამობის თვეში, ღვთისმშობელი არ გახსენებოდა ქალს, დედას?!

ნაწარმოებში ახალგაზრდა კაცის ტრაგედიაა გადმოცემული. „განაჩენის“ მოლოდინში ხეზე მიკრულს მწარედ იმის გამო ეცინება, რომ მას მტრად მიიჩნევენ; ეს მაშინ, როცა ჯერ ქათამიც კი არ დაუკლავს! მოლოდინით დაღლილი დედისა და ჯერ კიდევ დაუბადებული შვილის დაობლების წარმოდგენა გულს უკლავს სიკვდილის მოლოდინში მყოფ ახალგაზრდას.

ავტორი აუცილებელ პირობად ახალი გმირის გაჩენას მიიჩნევს: „კი იხსენებ, როცოტნე გყავდა, ქეთევანი და კიდევ უამრავი სხვა გმირი, მაგრამ შენს დროშიც აუცილებელია გმირების არსებობა, რო ახალ თაობას იმ გმირი წინაპრების არსებობაში ეჭვი არ გაუჩნდეს. ერის ცხოვრებაში დაცემის ჟამი მაშინ დგება, როცა დიდი წინაპრების მიერ დანთებული კელაპტრები ჩაიბჟუტება და ჩასაქრობად არის განწირული“ [სოსიაშვილი, 2016:162]. ასეთი შინაგანი განწყობა და იქვე, შორიახლოს, მადლიანი ჭრელთავშლიანი ქალის გამოჩენა უმსუბუქებს ანდროს სიკვდილის მოლოდინს.

ნაწარმოებში გამოჩენილი დედით ქართველი ოსი ტარზანა იმ კატეგორიის ადამიანებს მიეკუთვნება, რომლებიც ტყვეთა ვაჭრობით ითბობდნენ ხელს. გაწბილებული ოსები საკუთარი ხელით ათხრევინებენ საფლავს ტყვეს. ამ ფაქტს ვიდეოკამერითაც კი აფიქსირებენ ისინი. ავტორის აზრით, მთელი ტრაგედიაა, რომ ამ საფლავში უნდა დამარხულიყო არა მარტო სანდრო, არამედ - მრავალსაუკუნოვანი ურთიერთობა ოსებისა და ქართველებისა.

ოსი ქალი ბოროტისა და კეთილის შემაერთებელ ხიდად გვევლინება, პერსონაჟად, რომელმაც ადამიანის მოვლინებით გამოწვეული ტკივილიც იცის, შვილის დაკარგვის სიმწარის წარმოდგენაც შეუძლია და დედაკაცის „დანიშნულება და საღმრთო ვალიც“ გათავისებული აქვს. დედით ქართველი ოსი ტარზანა კი,

დედის შესანდობარს ღირსეული, ვალმოხდილი კაცის სახელით ვერასდროს შესვამს - მისი ძარღვებიდან აორთქლებულია ქართული სისხლი.

კონტრაქტზე წასული ახალგაზრდის ოჯახს სად ჰქონდა იმდენი ფული, რომ ტყვე გამოეხსნა?! ქართველიც იყო და უფულოც, ვინ დაზოგავდა?!

ოსი ქალის მიერ უდანაშაულო ბიჭის საფლავზე დაღვრილი ცრემლი იმის ნიშანია, რომ ავტორი, მიუხედავად ემოციური განწყობისა, ოსურ-ქართულ ურთიერთობებს ბოლომდე ვერ იმეტებს - მხოლოდ ოსი ქალია ქართველი ბიჭის ჭირისუფალი. „მტრის“ საფლავიდან შინ მიბრუნებულ ჭრელთავშლიან ქალს აღაზას ქმრისებრ არავინ ეტყვის: „იტირე?! მაღლი გიქნია, მე რა გამგე ვარ მაგისა?! დიაცს მუდამაც უხდება გლოვა ვაჟკაცის კარგისა“ [ვაჟა, 1985:195].

ზვიად გამსახურდია, როგორც პოლიტიკური ფიგურა, დღემდე დიდ ინტერესს იწვევს. მისი ეპოქა არაერთი ისტორიკოსის, პოლიტოლოგის, კრიტიკოსის კვლევის სივრცეა.

პრეზიდენტის მოღვაწეობას სხვადასხვა რაკურსით წარმოაჩინენ ჩვენ მიერ განხილული ავტორები (ნაირა გელაშვილი, გურამ დოჩანაშვილი, როსტომ ჩხეიძე...). 90-იანი წლების წარმოჩენისას, ვერც გიორგი სოსიაშვილი აუვლის გვერდს ზვიად გამსახურდიას პიროვნებას.

2008 წლის აგვისტოს ომით დაზაფრული მოხუცი თედო, „ზვიადისტობის“ გამო ზურგმექცეული და გულგატეხილი, უპატიებელ ცოდვად მიიჩნევს ზვიადის „გამეტებას“. დიდი გულისტკივილი ახლავს იმ პერიოდის გახსენებას, როცა საქართველოს პირველი პრეზიდენტი, ზვიად გამსახურდია, სისხლიანი გადატრიალებით ჩამოაგდო თავისივე ხალხმა. მათგან განსხვავებით, ვინც მოღვაწეობა ისევ პოლიტიკური ხაზით გააგრძელა, თედო თავის სოფელს დაუბრუნდა. თუ სადმე ზვიადზე კარგი წამოცდებოდა, შენი „ზვიადისტი“ დედაო, წამოსძახებდნენ. თედო თვლიდა, რომ ქართველი ხალხი სადღაც გაუჩინარდა და მის ადგილზე სხვა ჯიშის ხალხი დასახლდა. ტკივილი და შეურაცხყოფა, რაც გამსახურდიას ბუნკერში ყოფნის დროს გააფთრებული ქართველებისგან მიიღო, მუდმივ ტკივილად დარჩა. „ჩემი ცხოვრება იქ დამთავრდა, იქა, იმ დასაწველ

ალაგას. თფუი, ეს რა ჩავიდინეთ, ეს რა გავაკეთეთ, დასაწველები ვართ“ [სოსიაშვილი,2016:200].

თედოს თვალწინ უდგას მაშინდელი სურათი: ბუნკერი წყვდიადით მოცულ სამყაროს ჰგავდა, ხოლო ის, რაც ამ დროს ქალაქში ხდებოდა, იყო აპოკალიფსი. მთავრობის სახლთან ერთად, იუნკრების ძვლების რყევის ფონზე იწერებოდა საქართველოს უახლესი ისტორიის ფურცლები. ესეც თქვენი თავისუფლება, ბუნკერში დასრულებული თავისუფლებაო, ამბობს თედო. ბუნკერში ბჭობდნენ: „სწორად მოიქცა თუ არა მთავრობა, ეს გზა რომ აირჩია? ახლა დააფიქრდნენ, ახლა მოეგნენ გონს. სად მოსდევდნენ, რო მოსდევდნენ, ვარდისფრად რო ეჩვენებოდათ ყველაფერი, თავისუფლება რო ფოჩიანი კამფეტები ეგონათ, ეგრე ადვილი არ ყოფილა.. მარტო დროშის ფრიალი და „ზვიადი“ „ზვიადის“ ძახილი არ იყო“ [სოსიაშვილი,2016:203].

სანთლით ხელში, ღვთის იმედად დარჩენილი პრეზიდენტის ლოცვა და მერე ბუნკერიდან მისი გაყვანა მტკივნეულად ახსენდება თედოს. პუტჩისტები რომ ყოჩინით ჩაცვივდნენ დაცარიელებულ ბუნკერში და საქართველოს ტკივილიანი ისტორიის მომსწრე კედლებს ცხრილავდნენ, ისიც ახსოვს.

მკვლევარ ანა იმნაძის შეხედულებით, „ზვიად გამსახურდიას მიცვალებულსაც არანაკლებად სდევნიდნენ და ებრძოდნენ, ვიდრე ცოცხალს. გამსახურდიას უცნაური და წინააღმდეგობებით აღსავსე ცხოვრების ყველაზე ნათელ და ტრაგიკულ მაგალითად მისთვის ხუთჯერ გათხრილი საფლავიც კმარა“ [იმნაძე,2013:68].

ერთ დროს „ზვიადისტობისთვის“ გარიყულ თედოს, ახლა რუსისა და ოსის მიერ წართმეული მამული სტკივა. ორად გაგლეჯილი სოფლის საზღვრიდან 90-იანი წლებიდან დამეგობრებულ მეგაფონს იყენებს, რომ მტერი საზღვრიდან ლანძღოს. „თუ არ ვუშველი, ჩემს გულის ჭიას მაინც მოვიკლავ. ახია ჩვენზე, ახი. რუსული ქვემეხებით დავანგრეთ თბილისი, რუსული გეგმით მოვსპეთ ჩვენი მომავალი. რუსული გეგმით გავაქციეთ ჩვენი პრეზიდენტი“ [სოსიაშვილი, 2016:210]. ნაწარმოების მიხედვით, როცა ყველა და ყველაფერი დამუნჯდა, თედომ ამოიღო ხმა. „ჯიუტი“ თედოს გასაპატიოსნებლად უხმობენ (გა)დარჩენილთ... თედოსაც ასე

ერჩია - ბუნკერში, თავისიანების ხელით სიცოცხლის წართმევას, თავის მიწაზე მტრის ხელით სიკვდილი.

არანაირი „შინაგანი თემის“, ალუზიის მოხმობა არ გამხდარა საჭირო, რომ ავტორს სათქმელი მხატვრულად გადმოეცა - მწერლის „ოქროს გასაღები“ რეალური ფაქტების მთელი სიზუსტით ასახვა და ჩვეულებრივი ადამიანების ფსიქოლოგიური მდგომარეობის სიღრმისეული წვდომა.

მოთხრობა „მავთულხლართი“ გვიხატავს ორიგინალურ სახეს მოხუცი კაცისას, რომელიც მარტოდმარტო ცხოვრობს მიტოვებულ სოფელში. მკვლევარ თამარ გელიტაშვილის თვალსაზრისით, მწერლობის დამსახურება სადაგი სიტყვის სახეობრივ მეტყველებად გარდაქმნაა. პარადიგმა „მავთულხლართი“ ჩვენს სიტყვაკაზმულ მწერლობაში გიორგი სოსიაშვილმა შემოიტანა. მოქმედ პირთა სიტუაციური ხატვა და მხატვრული სახეები განაპირობებს მწერლის შემოქმედებით თვითმყოფადობას. მისი პერსონაჟები იმ კუთხის შვილები არიან, სადაც მწერლური ლექსიკის გასამდიდრებლად დაიარებოდა მიხეილ ჯავახიშვილი. მკვლევარი თვლის, რომ „გიორგი სოსიაშვილის ნაწარმოებები, მაღალმხატვრობის პარალელურად, იგავურიცაა, დიდაქტიკურიც და გროტესკულიც. ამ ყველაფერს კი ხშირად სევდანარევი იუმორი გასდევს. გიორგი სოსიაშვილის შემოქმედებითი ქარგა მშობლიური მიწის გაუნელებელ დარდას და ტკივილზეა გამოჭრილი“ [გელიტაშვილი, 2017:5].

მოხუც თედოს სახლის წინ გავლებული მავთულხლართი წარსულსაც აშორებს და მეუღლის საფლავსაც. გლახკაცის გამძლეობისა და მიწისადმი ერთგულების გასაშუქებლად ტელევიზია ადის და თედო ხვდება, მხოლოდ პიარისთვის რომ სჭირდებათ მისი ცხოვრების წარმოჩენა, გაცელებულია - დაკარგულ ღირსებას მასში ეძებენ და დროშასავით უნდათ, ააფრიალონ. ამ „წყალობაზე“ უარს ამბობს, თითქმის უბრძანებს, მოშორდნენ იქაურობას. მოხუცის მოქმედებაში სჩანს პროტესტი.

საინტერესოდაა გადმოცემული ბებერი მამლის ახალგაზრდა მამალში გაცვლის მიზეზი - ბებერი ცუდად ყივის და მტერს გულს ვერ გაუხეთქავსო. მარტოობის, სიბერისა და მტრის ერთდროულად მოგერიება თითქმის შეუძლებლად მიაჩნია

მოხუცს. სამყაროს დარდით დამძიმებულს, ომი ვინ დაიწყო, დოკუმენტური ფილმის გადასაღებად ასული რეჟისორი ეკითხება. საინტერესოა მოხუცის პასუხი - მე, მე დავიწყე შვილო, ამოიხავლებს.

საზღვრისმიღმა დარჩენილ ცოლის საფლავს, ამერიკელები რომ მოვლენ, ისინი გაჩვენებენო, ეუბნებიან რუსი მესაზღვრეები თედოს. აღდგომის ღამეს „ყოფნა-არყოფნის საზღვარზე“ კიბით გადასულს, რუსების ნაგაზი იპოვის - მეუღლის საფლავზე გარდაცვლილს. მეგაფონიანი თედოს მსგავსად, არც მან დაიჩოქა.

ვიღაც სისულელედ თვლიდა ამგვარ თავგანწირვას, ვიღაც თავს იქნევდა... მოხუცთა თავგანწირვა დაუვიწყარია, ავტორის პოზიციით.

თანამედროვე ქართულ ლიტერატურაში ერთ-ერთი მტკივნეული და აქტუალური თემა - სამაჩაბლოში განვითარებული მოვლენები, გარკვეული თვალსაზრისით, ზვიად გამსახურდიას სახელს უკავშირდება. ქართულ-ოსური ურთიერთობების დაძაბვა იწყება 80-იანი წლების მეორე ნახევრიდან. მას მძლავრი ბიძგი მისცა სსრკ-ში 1985 წელს დაწყებულმა გარდაქმნის პროცესმა, რომელმაც ამოატივტივა ორივე ხალხის წინარესაბჭოური ისტორია და რუსეთის იმპერიის ნგრევისდროინდელი დაპირისპირება. საქართველოში ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის დაწყების პარალელურად, აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში გააქტიურდნენ აფხაზური და ოსური სეპარატისტული მოძრაობები. ოსურმა სეპარატიზმმა ბევრად უფრო ადრე „გამოიღვიძა.“ მისი განვითარების ზენიტი ე.წ. „პერესტროიკას“ უკავშირდება.

80-იან წლებში ცხინვალში პირველი მიტინგი ოსებმა გამართეს. აქციებიდან ამევებდნენ შემრიგებლური მისიით მისულ ქართველებს. საქართველოს ტერიტორიაზე ქართული ენის სახელმწიფო ენად გამოცხადებამ ცეცხლზე ნავთი დაასხა. 1989 წლის 9 აპრილის ტრაგედია იზეიმეს, დაარბიეს ქართველთა მშვიდობიანი მანიფესტაციები, დახიეს საქართველოს ეროვნული დროშები. ცხინვალიდან გამოაძევეს საქართველოს მაშინდელი კომპარტიის ცეკას პირველი მდივანი. ყოველივე ამან მეტად აღაშფოთა ქართული საზოგადოება. ეროვნული მოძრაობის მიტინგზე, რომელიც თბილისში გაიმართა, გადაწყდა, რომ სამაჩაბლოში

მცხოვრებ მკვიდრ ქართველებთან სოლიდარობის ნიშნად, 1989 წლის 23 ნოემბერს, ცხინვალში მრავალათასიანი მანიფესტაცია გაიმართა.

სამაჩაბლოს კონფლიქტი ახალ თემად შემოდის ქართულ ლიტერატურაში. ცხინვალიდან დევნილის სტატუსით დედაქალაქს თავშეფარებული მწერლები დღემდე რეფლექსირებენ უმწვავეს პრობლემას.

დევნილი პოეტი და მუსიკოსი, **შოთა დარბუაშვილი** თვითმხილველია სამაჩაბლოში განვითარებული მოვლენებისა. მისი შემოქმედება ერთგვარი მიძღვნაა მივიწყებული წალკოტისადმი. ჟურნალისტი ზოია ცხადაია აღნიშნავს, რომ იმ უბედურებამ, რაც ცხინვალში მოხდა, არა მარტო სახლ-კარი, არამედ სულიც დაუნგრია ათასობით ქართველს, ცხოვრებისგან განაწამებს უწოდებს შოთა დარბუაშვილს და მისი შემოქმედების შესახებ წერს: „ეს გულში დაგუბებული ტანჯვის გამოძახილია, რომელსაც გარეგნულად თითქოს უძლებენ, მაგრამ გულის სიღრმეში უმწეობის შეგრძნება, დროის, გარემოების გულგრილობით გამოწვეული მუნჯი ნალველია“ [ცხადაია, 2013:9]. წერილის თანახმად, ოდესმე გამოიდარებს, „ის, რაც მტრის ხელმა გააკეთა, უნდა გამოსწორდეს, აღდგეს. საერთო ნათელ-მბრუნა, სიყვარულმა უნდა სძლიოს შურსა და ბოლმას“ [ცხადაია, 2013:9].

ერთ-ერთ ინტერვიუში შოთა დარბუაშვილი ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ აფხაზეთის ინტელიგენცია აქტიურადაა ჩართული დეესკალაციის პროცესში. მისი თვალსაზრისით, ამას განაპირობებს ის ფაქტი, რომ აფხაზეთს, ცხინვალისგან განსხვავებით, პოლიტიკური და კულტურული ელიტის ბევრი წარმომადგენელი ჰყავდა. იგი აღნიშნავს: „ცხინვალს რომ ინტელიგენცია ჰყავდა, ბევრი ინატრებდა, მაგრამ ეს უფრო ჰუმანიტარული დარგის სპეციალისტები იყვნენ, [...] პოლიტიკურ ამინდს კი პოლიტიკოსები ქმნიან“ [კვადინიძე, 2005:5].

ცხინვალში პირველი მანიფესტაციის ჩატარების შესახებ თავის თვალსაზრისს გამოთქვამს პოეტი: „იმ დღეს ღმერთმა გვიშველა, გადავრჩით სისხლისღვრას. ვფიქრობთ, რომ ეს იყო პოლიტიკურად ყოვლად გაუმართლებელი აქცია. ამ მიტინგის ორგანიზატორებს, დარწმუნებული ვარ, არ ჰქონდათ სწორი და რეალური ინფორმაცია. სამწუხაროდ, ორივე მხრიდან მრავლად იყვნენ არამკითხე მოამბენი, რომლებიც არასწორ ინფორმაციას აწვდიდნენ ზვიად გამსახურდიას“

[დარბუაშვილი, 2014:165]. მისი თვალსაზრისით (რაც რეალურ ფაქტებზეა დაფუძნებული), დღემდე არასწორი დამოკიდებულებაა სამაჩაბლოში სიტუაციის ხელოვნურად დამაბვასთან დაკავშირებით. დღიდან ოსეთის ავტონომიური, (შემდგომ - სოციალისტური და ბოლოს - დემოკრატიული) ოლქის არსებობისა, ოსურ მოსახლეობაში ყოველთვის შეინიშნებოდა ქართველთაგან გამიჯვნის მცდელობები და აშკარა იყო, ოსური სეპარატიზმი თანდათან ძლიერდებოდა და შესაბამის მომენტს ელოდა.

წერილის მიხედვით, ცხინვალის თეატრში რეჟისორმა ლერი პაქსაშვილმა „ბახტრიონი“ წარმოადგინა. პრემიერის დღეს ოსებმა თეატრის თავზე ოსური დროშა ააფრიალეს. ამ ფაქტს არ ჰქონდა არც იურიდიული, არც სამართლებრივი გამართლება. შეურაცხყოფილი დასი უარს აცხადებდა თამაშზე, მაგრამ პრემიერა შედგა. თეატრალური წარმოდგენით აღფრთოვანებული მაყურებელი, სეპარატისტებს მხურვალე აპლოდისმენტებით „დაუპირისპირდა“.

შოთა დარბუაშვილის თვალსაზრისით, ოსური საზოგადოების წამქეზებელი ყოველთვის რუსეთი იყო. იმპერიის „დამსახურებით“, სამხრეთ ოსეთი მუდამ რჩებოდა ქართველებთან ანგარიშსწორების პლაცდარმად. 90-იან წლებში საქართველოში აგორებულმა ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობის ტალღამ ოსი სეპარატისტების გეგმები გამოაცოცხლა - თბილისსა და ცხინვალში ეს პროცესები ერთდროულად წარიმართა. ჩვენ რუსეთს ვემიჯნებოდით, ოსები კი ჩვენ გვთვლიდნენ მოძალადეებად, ჩვენსავე ტერიტორიაზე დამოუკიდებლობისათვის ემზადებოდნენ.

ავტორის თვალსაზრისით, მანამდე „ცხინვალში მეგობრულად ცხოვრობდა სხვადასხვა ეროვნებისა და ხასიათის ხალხი. ლხინიც ერთი ჰქონდათ და ჭირიც. სადღეგრძელოც ასეთი იცოდნენ - საქართველოს გაუმარჯოს ღიახვის ხეობებითურთ. ჭირის სუფრაზე კი ასე ამბობდნენ: ვინც ზღუდრის გვერდზე განისვენებს, განურჩევლად ეროვნებისა, ყველას სული უცხონოს ღმერთმაო“ [დარბუაშვილი, 2014:170].

დღეს ხდება თანდათანობითი ინტეგრირება „სამხრეთ ოსეთად“ გადანათლული სამაჩაბლოსი ჩრდილოეთ ოსეთთან... „ოსურ მხარეს მიაჩნია, რომ ქართულ

სახელმწიფოში ყოფნამ ყველანაირად ჩამოარჩინა, დაჩაგრა როგორც სოციალურად, ასევე - კულტურულად, დემოგრაფიულად. საინტერესოა, რუსეთის შემადგენლობაში ყოფნის წლებში რამდენად გაიზარდა მათი რიცხოვრივი რაოდენობა, რა რანგშია ასული მათი კულტურა, ენა, საერთოდ, ოსური მეობა?!" [დარბუაშვილი, „ფიქრები სამაჩაბლოს მომავალზე" 2004:6].

წინათგრძნობა შიშნარევია - საფუძველი ეროვნული შუღლის ის ნაპერწკალია, რომელიც დიდი ხანია, აალებას ლამობს... დარბუაშვილი მიიჩნევს, რომ დაძაბული სიტუაცია, რომელიც სამაჩაბლოში შეინიშნება, ავ ნიშანს აძლევს ქართველ მოსახლეობას. მისი პოეზია სამაჩაბლოს ტკივილის ანარეკლია. ყველაზე საშინელი ახალი წელი იყო ცხინვალის ცის ქვეშ გათენებული ბოლო ახალი წლის ღამე: „ბედის სასწორთან მოძმის ღალატიც /და მოლოდინიც სისხლისფერია,/ ამიცრემლდება უეცრად თვალი, /სამაჩაბლოში ქართლის ცრემლია" [დარბუაშვილი, 1994:5].

ავტორი, რომელმაც მშობლები ზღუდრის სასაფლაოს მიაბარა და დღემდე მათი საფლავების მონახულების სურვილით ცოცხლობს, ანალიზებს შექმნილ სიტუაციას, ხვდება მიზეზს ამგვარი ყოფისას და დროს ელოდება: „...მაგრამ დღე გვიდგას ღამეზე შავი,/ვგრძნობ, საუკუნის ცოდვები მტანჯავს,/და თუ გადავრჩი,და თუ დამცალდა,/ ბოლომდე ვამხელ მტყუანს და მართალს..." [დარბუაშვილი, 1994:4].

პოეტი ოპტიმისტია. იგი თვლის, რომ, ერთ მშვენიერ დღეს, მოულოდნელი სიხარული გვეწვევა - ცხინვალში დავბრუნდებით. გულნატკენი პოეტი დროისა და ადამიანის არასასიკეთო გარდასახვითაა გულდაკოდილი. თემა ღალატისა, რომელმაც ქართველთა შორის ისტორიის არაერთ მონაკვეთში იჩინა თავი, აქაც წარმოჩნდება. საგულისხმოა ლექსიც „ლტოლვილი ბავშვები“. ბავშვური თამაშისას ქალაქის სახლების აშენება მტკივნეულ ასოციაციებს იწვევს პოეტში:

„დრომ და უღმობლობამ თქვენი სიზმრებიდან რამდენი გაზაფხული მოწყვიტა... თქვენი თვალები შიშით იმზირება კუთვნილი სასახლე-ქოხიდან“ [დარბუაშვილი, 2018: 23].

მშობლიური მიწის განუმეორებლობაზე წუხს ცხინვალელი პოეტი **ციცინო ბაბუციძე**. 2009 წელს გამოცემული ლექსების კრებული „მოთმინება გაზაფხულამდე

მოვა“ განცდილ-ნანახს გვამცნობს, მოუშუმებელი იარა კიდევ ერთხელ ხდება ხილვადი. კრებულში „ალილუია“ (რომელშიც ცხინვალელ შემოქმედთა ლექსებია თავმოყრილი) რედაქტორი მზია ხეთაგური, პოეტის მოკლე ბიოგრაფიის აღწერისას, გვამცნობს, რომ ციციწო ბაბუციძე ამჟამად „მუშაობს წიგნზე, „აჩაბეთი და აჩაბეთელები“, რომელშიც აღწერილი იქნება ქართულ-ოსურ-რუსული კონფლიქტის შედეგად იავარქმნილი დიდი ლიახვის ხეობის და, ზოგადად, სოფელ აჩაბეთის ისტორია და მოგონებები“ [კრებული „ალილუია“, 2018:55].

ციციწო ბაბუციძე ორიგინალური ფორმით გამოთქვამს სათქმელს. პოეტისთვის „ყველაფერი შეიძლება იყოს მეორადი, სამშობლოს გარდა“. ჰყვება ღამეულ კომმარებზე, ლტოლვილის თანმდევ განცდებზე („ცრემლიან ბალიშს ეთხოვება ნატყვიარი ღამის სიზმარი“).

პოეტი თანამედროვე „კლასიკური ტოლმის რეცეპტსაც“ გვთავაზობს: „ვეება კომბოსტო მთვარესავით დაგორავს მაგიდაზე.../ვფურცლავ - მერიდიანებად, განედებად! / ფოთლებში ვახვევ გახეთქილ გულს, / აფორიაქებულ სულს, გაცრეცილ იმედს /და ვხარშავ მოთმინების ქვაბში“ [კრებული „ალილუია“, 2018:58].

პოეტი იარაღიან მტერთან შვილმკვდარი დედის ფსიქოლოგიური შებრძოლების საინტერესო, რეალურ ისტორიას მოგვითხრობს ლექსით „დედა გყავს?“ ტექსტის შინაარსიდან გამომდინარე, არ იშველიებს მაღალფარდოვან, ეპითეტებით დატვირთულ კონსტრუქციებს, ცდილობს, აღწეროს, როგორი იყო ცეცხლის ალში გახვეული ქურთა, როგორ არ ტოვებდა სოფელსა და შვილის საფლავს ქართველი ქალი, როგორი გამეხებული სახით შეხვდა იგი ბახუსმორეულ, იარაღმომარჯვებულ მტერს, როგორ უჩვენა მას შვილის სურათი: „დედაშენს შენი სურათი რომ ასე ეკიდოს, შეაშინებდა ან სიკვდილი, ანდა მტრის რისხვა?“ [კრებული „ალილუია“, 2018:67].

მტრის ცრემლით სავსე თვალი ყინულს ალხობს და ავტორი თვლის, რომ ეს იყო ნიშანი იმისა, რომ მტერს გული კიდევ შერჩენოდა!.. პოეტი ოსებსა და ქართველებს მდინარეში გადაჩეხილ ჯიუტ თხებად მოიხსენიებს, რომელთა ტყესაც „უცხო ჯიშის“ მგელი დაჰპატრონებია.

ვფიქრობთ, ყოველივე ზემოთქმული გაცნობიერებული უნდა ჰქონდეთ ოსებსაც, თუმცა ჯერჯერობით კონფლიქტის დარეგულირების საკითხში არანაირი პროგრესი არ ჩანს. შეურიგებლობა, უნდობლობა დღემდის მძლავრობს და მუდმივად არსებობს საფრთხე, რომელიც ესკალაციის წინაპირობად შეიძლება იქცეს.

მზია ხეთაგურის თვალსაზრისით, როგორც ყველა დევნილს, ციციწო ბაბუციძესაც წაართვეს ბავშვობის კერა - „სასიცოცხლო ჟანგბადი. წლები ყოველთვის გვძარცვავს წარსულისგან, მაგრამ, ამ შემთხვევაში, დანაკარგი არა მხოლოდ წარსული, არამედ მომავალია, ანუ - ის სანუკვარი მხარე, რომელიც ისევე უმომავლოდ გამოიყურება სადღეისოდ, როგორც აფხაზეთი“ [ხეთაგური, 2019:4].

„სევდის ნისლში“ გაეხვია პოეტ მზია ხეთაგურის ბავშვობის აკვანი და წინაპართა ძვალთშესალაგი. მიუხედავად განსხვავებული შემოქმედებითი უნარებისა, მზია ხეთაგურისთვის ლექსი აღმოჩნდა ის ასპარეზი, რომელიც პროტესტის გამოხატვის საუკეთესო გზად აირჩია. მზია ხეთაგური სამაჩაბლოდან დევნილი ოსი ეროვნების შემოქმედია. გაორმაგებული ტკივილი ისმის მისი შემოქმედებიდან, რომლის ძირითადი თემა დანაწევრებული საქართველოა. „ქართველთა შესვლა სოხუმ-ცხინვალში აკრძალულია! - ალილუია!/ იქ ჩვენი „მშობა“ დაკრძალულია! - ალილუია, ალილუია! /ხელები ცისკენ აღმართულია! - ალილუია, ალილუია!/ იქნებ, ეს მტრობის დასასრულია? - დასასრულია, დასასრულია...ალილუია!“ [კრებული „ალილუია“, 2018:7].

ლექსი ღვთისადმი აღვლენილი ლოცვა-ვედრებაა, ერთგვარი მონოლოგია. იგივე თემაა ლექსში „საზღვარი“, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ იმედეგადაწურული და ბედს ვერშეგუებული პოეტი დასაფლავებას ითხოვს, ნიშნად სირცხვილისა. იგი მიმართავს ცხინვალს და ცხინვალელებს, ოსებს და ქართველებს - მტერი რომ გააცინეს ერთმანეთისთვის ქვების დაშენით.

ოსური წარმომავლობის გამო მეტ პასუხისმგებლობას გრძნობს პოეტი. შემრიგებლური მისიის კრახი გულს უტეხს: „დამასაფლავეთ ზედ იმ „საზღვარზე“, ამ სიყვარულის უსაზღვროებით!/ გულის ჭიშკარი მე ვერ ჩავრაზე, აქ - ქართველების, იქით - ოსების! /დამასაფლავეთ ფარდაახდილი, ზურგში მახვილით,

ცით გაფრენილით!// დამასაფლავეთ, როგორც სამხილი, როგორც მანდილი - ძირს დაფენილი!“ [კრებული „ალილუია“, 2018: 7].

ოსურ-ქართული ურთიერთობის რღვევის მტკივნეულ „მონაღვლედ“ აღიქვამს მზია ხეთაგურს პოეტი და ისტორიკოსი თამარ ფანჩუკიძე. იგი აღნიშნავს, რომ საოცარ ჰარმონიაში ფრთებგამლილი ხელოვანი XX საუკუნის ევროპის მწერალთა წრეებშიც გახდა ცნობილი. „ახლა ჩვენს ხალხებს შორის გარეშე ძალით განპირობებული დროებითი ხიდჩატეხილობაა. ასეთ ვითარებაში, დასანანი შეცდომაა, რომ ჩვენ სრულებით ვერ ვიყენებთ, ზოგადად, ხალხურ დიპლომატიას და მის ისეთ რეზერვს, როგორცაა მზია ხეთაგურის ფენომენი“ [ხეთაგური, 2016:16].

2016 წელს გამოცემული წიგნი „ლამის დარაჯი“ პოეტის გულწრფელი აღსარებაა, რომელსაც მკითხველს აბარებს. „მე, გაძევებულს თემიდან, მოჭრილს მაჭრიან თავს, / სად არის მკაცრი თემიდა, რად ვერ მისწორებს თვალს?!“ [ხეთაგური, 2016:209].

წიგნის წინასიტყვაობაში პოეტი წერს: „კულისებიდან ვადევნებ თვალს ჩემი ეპოქის დრამატული თუ ტრაგი-კომიკური ჟანრის სპექტაკლებს.[...] წარსული, წლების შემდეგ გეკამათება. მანამდე მონოლოგს კითხულობ. დიალოგს ცხოვრება გასწავლის“ [ხეთაგური, 2016:3].

კრებული „ალილუია“ განიხილეს, მოსაზრებები გამოთქვეს პროფესორმა ნინო მინდიაშვილმა და ახალგაზრდა მკვლევარმა, მეცნიერებათა დოქტორმა ანა გოგილაშვილმა. აღნიშნულ კრებულში, მათი თვალსაზრისით, „კულტურული დიალოგის კონცეპტები აშკარაა. ყველა ნაწარმოები სინანულით, სიკეთით, სიყვარულით და შერიგების წყურვილით, უკეთესი მომავლის იმედით არის ნასაზრდოები. შემოქმედთა გასაოცარი პატრიოტიზმი ნათლად გამოხატავს ჩვენი ერის არსებითი თვისებების - სიკეთის, ქედუხრელობის, სიდიადის, შეწყალების ორგანულ განცდას. ნათელია, რომ ჩიხში შესული ურთიერთობების გადარჩენის გზად კრებულ „ალილუიას“ შემქმნელებს იმ ლიტერატურული რეფლექსიების გაღრმავება ესახებათ, რაც შემდგომში გამწვავებული ურთიერთობების ახალ, უკეთეს ეტაპზე გადასვლას ჩაუყრის საფუძველს“ [მინდიაშვილი, გოგილაშვილი, 2019:514]. შეუძლებელია, არ დაეთანხმო მკვლევრებს - აღნიშნულ კრებულში

წარმოდგენილი მასალები ქართული, ტრავმირებული, მაგრამ მაინც ჰუმანური ბუნების კიდევ ერთი ნათელი დადასტურებაა.

ჩვენ მიერ გაანალიზებული ნაწარმოებები იმ ავტორთა შემოქმედების ნიმუშებია, რომელთა ცხოვრება ძირფესვიანად შეცვალა ქართულ-ოსურმა კონფლიქტმა. შესაბამისად, შეიცვალა როგორც თემა მათი შემოქმედებისა, ასევე - წერის მანერა. გამოგონილი პერსონაჟები რეალურმა გმირებმა შეცვალეს. სამწუხაროდ, ამოუწურავია ტრაგიკული შთაბეჭდილების რეზერვუარი.

დაკარგული ტერიტორები, გაწყვეტილი ურთიერთობები, მიტოვებული ადგილის დედა და ფუძის ანგელოზი - ეს იმ ტრავმათა არასრული ჩამონათვალია, რომლითაც დაღდასმულია დევნილთა ყოფა. შემოქმედმა ადამიანებმა შეძლეს, ლიტერატურული ტექსტის სახით წარმოედგინათ ისტორიული რეალობა.

ჩვენი ინტერესის საგანს მხატვრული ლიტერატურის ის მიმართულებები და ტენდენციები წარმოადგენს, რითაც ქართველმა მკითხველმა თვალი გაუსწორა რეალობას და სამშობლოს ტკივილით ცხოვრება ისწავლა. ოსებისა და ქართველების დაპირისპირების შედეგად მათი გამიჯვნის აღმნიშვნელი მავთულხლართები წარსულის უარყოფის, სირცხვილის, უსულგულობის, უმადურობისა (იმავდროულად, სინანულის) პარადიგმაა.

ავტორებისთვის, რომელთა შემოქმედების ასპექტებიც განვიხილეთ, ოსურ-ქართული კონფლიქტი თვითაღმოჩენის ერთგვარ საშუალებად იქცა - ომმა ნიღაბი ახადა ცხოვრებას, რომლის შეცნობამაც ტრაგიკული გამოცდილება შესძინა მათ. ფსიქოლოგიურმა ტრავმამ დაღი დაასვა შემოქმედთა ცხოვრებასა და ცნობიერებას.

2.4. ომის ქრონიკები პუბლიცისტურ ნარატივში

(ლოკალური და რესპუბლიკური პრესა)

ჩვენ მიერ გაანალიზებული მასალა - ომის ქრონიკები ქართულ პრესაში - კონკრეტულად, ხაშურის რაიონული გაზეთის ფურცლებზე სხვადასხვა დროს გამოქვეყნებული წერილებია. ყოველი სიახლე, რაც ქვეყანაში მიმდინარე პროცესებს აცნობდა მკითხველს, ხან „ქრონიკის“ ფორმატით, ხან კი - კონკრეტული ავტორის გვარ-სახელით ქვეყნდებოდა რაიონულ პრესაში.

საკვლევი თემის სიახლე ისაა, რომ სამეცნიერო ბრუნვაში შემოდის ახალი საარქივო დოკუმენტები, პრესის მასალები, ცხადი ხდება, თუ რა ადგილი ეჭირა რაიონულ პრესაში ქვეყანაში მიმდინარე პროცესებს. რა პირობებში იმყოფებოდნენ ლტოლვილის სტატუსით კონკრეტულ ქალაქს თავშეფარებული ადამიანები, რა რაკურსით შეეხო ომი არაოკუპირებულ სივრცეს.

[აღვნიშნავთ, რომ ხაშური ჩვენი მშობლიური სივრცეა, ამდენად, იქ მიმდინარე მოვლენები - ჩვენთვის ცნობილი, ამ კუთხით. ჩვენთვის, როგორც მკვლევრისთვის, რაიონის არქივში მუშაობა უაღრესად საინტერესო აღმოჩნდა - კ.გ.].

რატომ ჩავთვალეთ საჭიროდ პ რ ე ს ა შ ი გამოქვეყნებული მასალის შესწავლა-გაანალიზება მაშინ, როცა ჩვენი საკვლევი თემა პოსტკოლონიური ლიტერატურის შესწავლაა?

ჩვენი მიზანია წარმოჩენა ფაქტისა, რომ პრესაში ბელეტრისტიკაზე არანაკლები სიმძაფრით აისახებოდა ქვეყანაში მიმდინარე პროცესები. შემოქმედთა ინსპირაციის წყაროს ხშირად მედიასივრცეში ასახული რეალობა წარმოადგენდა.

პრესის ფურცლებზე გამოქვეყნებული მასალა იყო ინფორმაციის წყარო, რომელიც დაედო საფუძვლად იმ მხატვრული ტექსტების შექმნას, რაც ჩვენი ინტერესის საგანია. ვვიქრობთ, აღნიშნული მასალა საინტერესო და მნიშვნელოვანია.

გასული საუკუნის 70-იანი წლებიდან ხაშურის რაიონული გაზეთის რედაქციაში მუშაობას იწყებს ეროვნული სულისკვეთებით გამორჩეული ჟურნალისტი მაყვალა ხაჩიძე, რომელიც სისტემატურად აშუქებს ქვეყნის პოლიტიკურ დაფაზე მიმდინარე პროცესებს. პუბლიცისტურ თუ მხატვრული ხასიათის წერილებში ჟურნალისტი თამამად აფიქსირებს თავის პოზიციას, საგაზეთო ქრონიკებშიც იგრძნობა ავტორის ეროვნული სულისკვეთება.

მკვლევარ მურად მთვარელიძის თვალსაზრისით, აღნიშნულ წერილებს აქტუალობა დღემდე არ დაუკარგავთ - „ეს ერთგვარი მატთანაა ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრებისა და, რაც განსაკუთრებით საინტერესოა, ესაა გულით და სულით, ამავე დროს, პროფესიული ოსტატობით შესრულებული ნაწერები. ეს სიყვარულის ერთგვარი საგალობელიცაა, რადგან უამრავი ძვირფასი ადამიანის სახე სწორედ ასე წარმოჩნდება ამ წიგნის ფურცლებიდან და, თუ თემატურადაც გადავხედავთ, დავრწმუნდებით, რომ არ დარჩენილა არც ერთი სფერო, რომელსაც მაყვალას კალამი არ შეხებოდა - იქნება ეს მშობლიური ენა, ისტორიული ძეგლები, ლიტერატურული თუ მუსიკალური ცხოვრება, სპექტაკლები, წიგნების წარდგინებები, ეროვნული მოძრაობა... აფხაზეთი, სამაჩაბლო, ლტოლვილთა სევდა...“ [ხაჩიძე, 2019:4].

ჩვენ მიერ გასაანალიზებელ მასალაში ტრავმული მეხსიერების ანარეკლი მოიცავს პერიოდს 90-იანი წლებიდან 2008 წლის აგვისტოს ომამდე.

XX ს. 90-იანი წლების ბოლოს საქართველოში განვითარებულმა მოვლენებმა ყოფის ყველა სფეროზე მოახდინა გავლენა. ანტისაბჭოთა მოძრაობას, რომელიც საქართველოში ზვიად გამსახურდიასა და მერაბ კოსტავას მეთაურობით დაიწყო, მიემხრო საზოგადოება. ამ პროცესებს სისტემატურად აშუქებდა პრესა. თბილისის ომის დამანგრეველი შედეგები, აფხაზური და ოსური სეპარატიზმის განვითარება ირეკლებოდა პრესაში.

ჩვენი მიზანია, საარქივო მასალების დამუშავების საფუძველზე შევისწავლოთ საბჭოურ ეპოქაში მიმდინარე ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობისადმი საზოგადოების დამოკიდებულება.

განსახილველად აღებული მასალების ქრონოლოგიური ჩარჩო მოიცავს სწორედ იმ მნიშვნელოვან პერიოდს (1989-94), როდესაც ერი უდიდესი პრობლემის წინაშე დგება - იკარგება სამაჩაბლო და აფხაზეთი.

საბჭოთა კავშირის კპ ცკ-ის გენერალური მდივნის, მიხაილ გორბაჩოვის მიერ დაწყებულმა ლიბერალიზაციის პროცესმა, რომელიც „პერესტროიკად“ იქნა მონათლული, სტიმული მისცა დისიდენტური მოძრაობის გამოცოცხლებას. გახშირდა მიტინგები და დემონსტრაციები. საბჭოთა კავშირი კარგავს კონტროლს მთელ რიგ ქვეყნებზე 1989 წლიდან მიმდინარეობს კომუნისტური იდეოლოგიის დევალვაცია. საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე ჩნდება რამდენიმე ეთნიკური კონფლიქტი. დამოუკიდებლობისადმი ლტოლვის საერთო საკავშირო ფერხულში ებმება საქართველოც. პოლიტიკური, სოციალური და კულტურული წნეხით გამოწვეული პროტესტი კულმინაციას 1989 წლის 9 აპრილს აღწევს - ესაა მასობრივი პროტესტი, ინსპირირებული იმპერიის მიერ ოსურ-აფხაზური სეპარატიზმის წახალისებით.

90-იანი წლების ბოლოს საქართველოში განვითარებული მოვლენები მნიშვნელოვან კვალს ტოვებს როგორც პოლიტიკურ, ასევე ლიტერატურულ სივრცეში. მიმდინარე მოვლენებს სისტემატურად აშუქებდა ხაშურის რაიონის პერიოდული გაზეთი, რომელსაც, მიუხედავად ქვეყანაში არსებული სოციალურ-ეკონომიკური კრიზისისა, არსებობა არ შეუწყვეტია. იცვლებოდა გაზეთის სახელწოდება („გამარჯვების გზა“, „ალიონი“, „ხაშურის მოამბე“). როგორც საქართველოს ყველა

მოქალაქე, აღნიშნული გაზეთის ჟურნალისტები ტკივილით, მაგრამ ოპტიმისტური განწყობით ხვდებოდნენ ყოველ სიახლეს, აშუქებდნენ როგორც ქვეყნის გულში, ასევე ლოკალურად მიმდინარე პროცესებს. დედაქალაქის პარალელურად, ხაშურის რაიონშიც აქტიურად დაიწყო გამოსვლები. შეიქმნა ილია ჭავჭავაძისა და შოთა რუსთაველის საზოგადოებები, საფუძველი ჩაეყარა ეროვნულ-დემოკრატიულ და სახალხო ფრონტის მოძრაობებს. როგორც აღვნიშნეთ, იმ პერიოდში რაიონული გაზეთის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ხაზს უძღვებოდა რედაქტორის მოადგილე, ჟურნალისტი მაცვალა ხაჩიძე, რომლის საგაზეთო წერილები საშუალებას გვაძლევს ქრონოლოგიურად მივადევნოთ თვალი 9 აპრილისა და მის შემდგომ, სამაჩაბლოსა და აფხაზეთში განვითარებულ მოვლენებს, ომისშემდგომ პერიოდს.

პროფესორი ზურაბ ცუცქერიძე მნიშვნელოვან შეფასებას აძლევს მაცვალა ხაჩიძის მოღვაწეობას. იგი თვლის, რომ იმხანად იოლი არ იყო გამბედავი ჟურნალისტის სახელის დამკვიდრება, მხატვრულ-პუბლიცისტური ხერხებით დროის სუნთქვისა და მაჯისცემის გადმოცემა: „ამ, მართლაც მძიმე, ნაცრისფერ მასაში ჟურნალისტი გამოიჩინა საკუთარი ორიგინალური ხმითა და მამულიშვილური გულით, მტკიცე ეროვნული პოზიციით და მოქალაქეობრივი პრინციპულობით. მას ყოველგვარი უხერხულობის გარეშე შეეძლო, საკუთარ პრინციპად გამოეცხადებინა დევიზი: „აქა ვდგავარ და სხვაგვარად არ ძალმიძს“ [ცუცქერიძე, 2018:2].

წერილში „9 აპრილი რუსთაველზე“, რომელიც 1989 წლის აპრილში გაზეთ „გამარჯვების გზაში“ გამოქვეყნდა, საუბარია, თუ რა ხდებოდა იმ საბედისწერო წუთებამდე მთავრობის სახლის წინ. „შემდეგ დროებით წყდება საქართველოს მაჯისცემა. ერთმანეთში ირევა სიმღერა, ნიჩაბი, გაზი, ხელკეტი“ [გაზ. „გამარჯვების გზა“, N6, 1989:2]. მოდის „ზღვა სამძიმრების“ სკკპ ცენტრალური კომიტეტიდან. გაზეთ „კომუნისტში“ ქვეყნდება განსხვავებული ინფორმაცია ტრაგედიის შესახებ - თითქოს პროვოკაციულად გამოწვეულ უწესრიგობათა აღკვეთის დროს დაშავდნენ მოქალაქეები და ამ დროს წარმოქმნილ ჭყლეტას შეეწირა 16 ადამიანი.

გაზეთში მოთავსებულია ინფორმაცია იმის შესახებ, რომ მომხდარ ტრაგიკულ შემთხვევასთან დაკავშირებით აღძრული საქმის გამო დაპატიმრებულნი არიან

ხუხუნეიშვილი, კოსტავა, ჭანტურია, სარიშვილი, გამსახურდია. დაპატიმრებულთა სიაში შეცდომითაა წერეთლის გვარი და ამჟამად მასაც დაეძებენ. ყოველივე ამას გამოხმაურება მოჰყვა ხაშურის რაიონში. ლიდერების მხარდასაჭერად, გასათავისუფლებლად ხაშურის რაიონშიც დაიწყეს შიმშილობა ეროვნული მოძრაობის წარმომადგენლებმა: აქვსენტი გოგალაძემ, ალიკო ღონღაძემ, მალხაზ გოგალაძემ, შალვა მარკოზაშვილმა და გია ქიტიაშვილმა. არ ვიცით, რამდენად იქნა გათვალისწინებული ხაშურელთა პროტესტი დედაქალაქში, მაგრამ თვითონ ის ფაქტი, რომ რეგიონებში ქვეყნის პულსაცია იგრძნობოდა, მისასალმებელია.

წერილში, „ახლა არ გვგლეჯენ ენასა“, ვკითხულობთ: „საყოველთაო გლოვის დღეს, რაიონის მოსწავლე-ახალგაზრდობამ სამგლოვიარო სვლა მოაწყო ქალაქის ქუჩებში. შემდეგ მიტინგიც გაიმართა. „გამარჯვების გზამ“ ამის შესახებ ზუსტი ინფორმაცია მიაწოდა რაიონის მკითხველს, ხოლო მეორე დღეს მთელ საქართველოს გაზეთმა „სოფლის ცხოვრებამ“ ამცნო, რომ ხაშურში გაიმართა მიტინგი, რომელიც „ბიუროკრატიზმის, მექრთამეობისა და კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლას“ მიემდგინა(!). ამ ანონსების წინააღმდეგ, მართლაც რომ მწვავე ბრძოლა გვმართებს, მაგრამ ამისთვის იმ დღეს ვის ეცალა?“[ხაჩიძე,1989:2]. როდესაც ქვეყნის ყველა ბერკეტი მმართველი პარტიის ხელთაა, გაკეთებული განცხადებებიც შესაბამისია.

„დამთავრდა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის საგანგებო კონფერენცია“ სტატია ამ სათაურით რაიონის მკითხველს ამცნობს აღნიშნული კონფერენციის შესახებ: „კონფერენციაზე „ხსნის კომიტეტმა“ თავისი მისია შესრულებულად გამოაცხადა და უფლებამოსილება გადასცა ეროვნულ ფორუმს, რომელსაც დაევა ქართველი ერისადმი მიმართვის შედგენა. კონფერენცია თავის ყოველ სხდომას ამთავრებდა ეროვნული მოძრაობის ჰიმნით-„ჩემო კარგო ქვეყანავ“

[ხაჩიძე, 1990:6].

„მარტოდენ მამულის საკეთილდღეოდ“ - ასეთი სათაური აქვს წერილს, რომელიც მიზნის მისაღწევად უსისხლო გზის გამოყენებისაკენ მოუწოდებს საზოგადოებას. აქვე გამოთქმულია წუხილი იმის გამო, რომ საზოგადოებას არაჯანსაღი დამოკიდებულება აქვს ეროვნული მოძრაობისადმი: „რაიონში „არაფორმალურს“ აღმაცერად უყურებენ.

ცოტას თუ სწამს მათი. ამ შეხედულებას ისიც უწყობს ხელს, რომ ხელისგულივით ვიცნობთ მათ ცხოვრებას და ბევრ რამეს არ ვპატიობთ, მაგრამ გვავიწყდება მთავარი - რომ ისინი დღეს ემსახურებიან ყველაზე წმინდა და ნათელ იდეას, მზად არიან მამულის სამსახურისთვის“ [ხაჩიძე,1990:1].

„თუ დამოუკიდებელი საქართველო გვინდა..ანუ „არა ცილ სწამო“ - ასეთი სათაური აქვს წერილს, სადაც უდიდესი გულისტკივილია გამოთქმული იმის გამო, რომ დამოუკიდებლობის რელსებზე შემდგარ საქართველოში, ნაცვლად ერთმანეთისადმი დიდი თანადგომისა და შეკავშირებისა, ურთიერთშუღლსა და დაუნდობელ ცილისწამებაში იხარჯება ჩვენი ძალები. სუვერენიტეტისთვის მებრძოლი ძალები „მესამე ძალამ“ დაქსაქსა. ხალხი დაიბნა. მტერი ზეიმობს, რადგან მისი მისია შესრულებულია - ღვარძლის მარცვალი ჩაგდებულა. სამზეოზე გამოსულ ადამიანებს ლაფში ისევ თავისი გუშინდელი თანაგუნდელები სვრიან - „აი, აქ უნდა ეგრძნოთ ერთი აზრით შეკავშირებულ თანამომძმეთ მტრის ხელი და მათ წისქვილზე წყალი კი არ უნდა დაესხათ, არამედ ერთად უნდა შებრძოლებოდნენ ბოროტებას და ხალხსაც სალაპარაკო არ მიეცემოდა... და ეს მარტო დედაქალაქში კი არა, რაიონშიც იგრძნობა. ყოველდღე იძაბება ურთიერთობები“ [ხაჩიძე, 1990:2].

მტრის ანკესზე წამოგებული ადამიანები ერთმანეთის წარსულს ჩაეძიებიან. სამშობლოს გარდა, ყველაფერი ახსოვთ, ანგარიშსწორების მომენტს ეძებენ და უფსკრულს, რომელიც თავისუფლებას ემუქრება, ვეღარ ამჩნევენ. წერილის ავტორს ბიბლიიდან მოჰყავს მაგალითი - ცოდვილის ჩასაქოლად რომ უცოდველის ხელით ქვის სროლა ითხოვა უფალმა, ცილისმწამებელთ კი მონაზვნის მიერ ქვის შობის მაგალითი შეახსენა.

ასე იყო ყოველთვის და ასეა დღემდე - ციხე არა გარედან, შიგნიდან იზარება და მერე ტყდება... როცა მტერი არც ციხის კარის შიგნიდან გამღებს დაინდობს, გვიანია იქნება „თითზე კბენანი“.

სამაჩაბლოში განვითარებულ მოვლენებს ყველა თავისებურად აღიქვამს და ეხმაურება. მიზანი ერთია-არ უნდა დაუშვან ქართული მიწის დაკარგვა. არსებულ

პრობლემას ეხმაურება ხაშურის რაიონიც. მხოლოდ ერთმუშტად შეკრულ საქართველოს ძალუმს ამ პრობლემის გადაჭრა. ხაშურის რაიონის ყველა დაწესებულებიდან, საზოგადოებრივი მეურნეობებიდან იგზავნება დეპუტები, სადაც სსრ კავშირის პრეზიდენტს 7 იანვრის ბრძანებულების კატეგორიულ გაუქმებას სთხოვს ხაშურის მოსახლეობა. არქივში დაცული მასალებიდან ჩანს, რომ ხაშური აქტიურადაა ჩაბმული ქვეყნის საჭირობოროტო საქმეთა გადაწყვეტის ფერხულში. იმართება მიტინგები, ჩნდება მოწოდებები. „სამაჩაბლოში შექმნილ ექსტრემალურ სიტუაციებთან დაკავშირებით, ხაშურსა და სურამში შეიქმნა სპეციალური შტაბები, რომლებიც ურთიერთკავშირში არიან. აქ შეიძლება სხვადასხვა ახალი ინფორმაციის შეტყობა. შტაბებში ერთიანდება ათეულობით მოქალაქე, რომელთაც მხოლოდ ერთადერთი მიზანი ამოძრავებთ - დაიცვან საკუთარი სამშობლო განსაცდელისაგან“. [ხაჩიძე, 1991:2].

ოსური სეპარატიზმის „წყალობით“ ბუდეაშლილ ქართველებზეა საუბარი გაზეთ „ალიონის“ ფურცლებზე. იძულებით გადაადგილებულთა თავშესაფრის ძიება კიდევ ერთი სერიოზული პრობლემაა, რომლის გადაჭრამაც სახელმწიფო ჩიხში მოაქცია. ლტოლვილები შეასახლეს თბილისის სასტუმროებსა და სხვადასხვა შენობა-ნაგებობაში. ლტოლვილები დააბინავეს ხაშურშიც. მიუხედავად სახელმწიფოს მხრივ გამოვლენილი ყურადღებისა, მათი მდგომარეობა სავალალო აღმოჩნდა. თვითონაც შეჭირვებულ მდგომარეობაში მყოფ მოსახლეობას ჯერ თანაგრძნობა უჩნდება მათ მიმართ, შემდგომ კი, როცა სამაჩაბლოელებს აფხაზეთიდან დევნილებიც შეუერთდნენ, მთელი ქვეყნის მასშტაბით ხშირად გაიგონებდით: „ლტოლვილები ჩვენ ვართ!...“ ამ სიტყვების წარმომთქმელთ, უბრალოდ, წარმოდგენაც რომ შესძლებოდათ, თუ რა გადაიტანეს ამ ადამიანებმა, დახმარებას თუ ვერა, სიტყვიერ თანაგრძნობას მაინც არ დააყვედრიდნენ.

მაყვალა ხაჩიძე, როგორც ჟურნალისტი, როგორც პოეტი და მოქალაქე, გულისხმიერ დამოკიდებულებას იჩენს ყველა იმ ადამიანისადმი, ვისაც „ცხოვრების ხიდი ჩაენგრა.“ წიგნში „ეს ჩემი სულია“ წარმოდგენილია მისი შემოქმედების ის ნაწილი, სადაც განცდილ-ნანახი განსაკუთრებული მგრძნობელობითაა აღწერილი. საზოგადოებრივი ტრავმით გამოწვეული წუხილი იკითხება მის ტექსტებში.

„ხაშურის მოამბის“ რედაქტორის, რობერტ სუხიაშვილის აზრით, მაყვალა ხაჩიძე გამორჩეული ჟურნალისტიკა, საქვეყნო საქმისთვის შემართებული და თავდადებული. „მარგინალიები, ლექსები, მინიატურები, ჩანახატები-ამ წიგნის მთავარი ჟანრებია და ყველა ეს ლიტერატურული ფორმა ძალიან მოფიქრებულად და ზუსტად აქვს გამოყენებული. ყველა მისი ნაფიქრალ-ნააზრევი ღრმაშინაარსიანი, პოეტურად ნათქვამი და, რაც მთავარია, ჭეშმარიტად გულის ნაკარნახევია“ [სუხიაშვილი, 2008:2]. ჟურნალისტიკისთვის სამსახურებრივი მოვალეობა ცხოვრების წესადაა ქცეული. მისი ყოველი დღე ავბედითი ყოფით შექირვებულ ადამიანებზე ფიქრით იწყება. იგი ხაშურში დაბინავებულ, ცხინვალიდან დევნილ, 75 წლის ქალს ესაუბრება. ქალი ბოლო დროის მოვლენებით გამოწვეულ არეულ სიტუაციაზე საუბრობს. ცხინვალში დაბადებულსა და გაზრდილს ასეთი პრობლემა არასდროს ჰქონია. „უკანასკნელ ხანებში მეზობლებს ვეღარ ვცნობდი. სულ ვფიქრობდი, ნეტავ, რა დავუშავეთ-მეთქი. ახლა ვხვდები „დანაშაულის მიზეზს“ - თურმე ჩვენს მიწა-წყალს გვეცილებიან... დიდხანს ვითმინე და ბოლოს მაინც ჩემს ახლობლებს მოვაშურე ხაშურში რძლითა და შვილიშვილებით. მეზობელ ქართველებს ბინები დაუწვეს და გამოვასწარიო“...[ხაჩიძე, 1991:2].

ბრმა ტყვიას შეწირული ბიჭების ხვედრს საკუთარი სიცოცხლისადმი დამოკიდებულება შეუცვალა ასაკოვანი ქალბატონისთვის. სამაჩაბლოში დარჩენილ შვილებს სიზმრად ხედავს - ვინ იცის, აღარც არიანო, წუხს დედა და სურს იცოცხლოს, ვიდრე სამაჩაბლოში სიმშვიდე არ დამყარდება.

ერთ-ერთ წერილში საუბარია უზენაესი საბჭოს არჩევნებზე, რომელსაც ხალხი ბოიკოტის გამოცხადებით ემუქრება, იმ მიზეზით, რომ არ ცნობს საბჭოთა ხელისუფლებას. ჟურნალისტი არ ეთანხმება ამ პოზიციას და აღნიშნავს, რომ საზოგადოება დაბნეულია, მასთან საუბრები და ახსნა-განმარტებები ინტელიგენციამ უნდა იკისროს. საკითხთან დაკავშირებით, რაიონში უნდა იმუშაოს „რუსთაველის საზოგადოებამ“ და „სახალხო ფრონტმა“, ან ორივემ ერთად.

წერილი, რომელშიც ჟურნალისტი ოპოზიციაზე საუბრობს, თემის შესატყვისადაა დასათაურებული - „მხოლოდ გონიერება და მიმტევებლობა გადაგვარჩენს“.

ჟურნალისტი კითხვას სვამს: „განა რომელიმე თქვენგანს სწამს, რომ ამერიკელი, გნებავთ ფრანგი ან რუსი „ქართლის ბედზე“ სწუხს და გული ეთუთქება?!“ [ხაჩიძე,1991:3].

ოპოზიციის ახმაურება კარგს არაფერს უქადის ახლად ფეხადგმულ საქართველოს. „კარგად მახსოვს რაიონის მოსახლეობასთან ბატონ ირაკლი წერეთლის ნათქვამი - „ჩვენც ვაცდით ჩვენ მიერ არჩეულ პრეზიდენტს, მაგრამ ეს გზა თავისუფლებამდე არ მიგვიყვანსო“...მაშინ ოპოზიციას მიაჩნდა, რომ პარლამენტური გზით (ლიტვური ვარიანტი), საქართველო ვერ გათავისუფლდებოდა, მაგრამ როცა ბალტიისპირეთის რესპუბლიკები სუვერენულ სახელმწიფოებად აღიარეს, მაშინ კი დარწმუნდა ყველა, რომ „მრგვალი მაგიდა - თავისუფალი საქართველოს“ სპიკერის მიერ არჩეული გზა სწორი ყოფილა. იქნებ, ამან გააბოროტა ოპოზიცია?“ [ხაჩიძე, 1991:3]. აღნიშნული წერილი გაჯერებულია ტკივილით, რომ არც ხელისუფლება და, მით უმეტეს, ოპოზიცია, თავს არ იკავებს ცილისწამებლურ გამონათქვამებზე.

პრეზიდენტს შეიძლება მიეთითოს, მაგრამ - არა გაბოროტებით, არამედ - როგორც პოლიტიკოსს შეჰფერის, კეთილმოსურნის პოზიციებიდან. ქვეყნის ჭირის გარეთ გატანა ერის კეთილდღეობას საფრთხეში აგდებს. გულისტკივილითაა აღნიშნული ამ საკითხისადმი პრეზიდენტის არადიპლომატიური მიდგომა: „მაგრამ როგორი დიპლომატია თავად პრეზიდენტი? ყველაზე დიდი შეცდომა, რაც პრეზიდენტმა დაუშვა, ესაა ყველა ოპონენტისათვის „მოლაღატისა“ და „კრემლის აგენტის“ იარლიყების მიწებება. ძნელად თუ ვინმე დამაჯერებს, რომ აკაკი ბაქრაძე, ნოდარ ნათაძე, ირაკლი წერეთელ კრემლის აგენტები არიან“ [ხაჩიძე,1991:3].

2 სექტემბრის მშვიდობიანი მიტინგის დარბევა სპეცდანიშნულების რაზმის „ომონელების“ მიერ, მათ წინააღმდეგ იარაღის გამოყენება რატომ მოხდა მაინცდამაინც მაშინ - საკავშირო ყრილობის დღეებში?! ოპოზიციამ რატომ გამართა მიტინგი იმ დღეებში, როცა საქართველოში ამერიკელი კონგრესმენები იმყოფებოდნენ?! გადაცემა „ვრემიამ“ გადმოსცა აღნიშნული მიტინგი. რატომღაც დაიკარგა ის ვიდეოჩანაწერი!.. პერიფერიებში ხალხი ტელეეკრანის საშუალებით იღებს ინფორმაციას და თუ იქიდან ობიექტური აზრი არ მოისმინა, თუ დამახინჯებულმა აზრმა უარყოფითად განაწყო

მასები, მერე?! ხანდახან მაინც ხდება, ტელეეკრანიდანაც ჟონავს სიმართლე-პრეზიდენტის მხარდასაჭერად გამართული მიტინგის მიზანი იყო - ერთმანეთზე მეტად ექოთ პრეზიდენტი. საქართველოს ყველა კუთხიდან „ჩამოვიდა“ ხალხი. არც საქართველო უხსენებია ვინმეს და არც მდგომარეობიდან გამოსვლის გზები უძებნიათ. ლეილა აბაშიძის გულახდილობამ, „აქ ვიყავით დაბარებულიო“, გასცა მიტინგის ორგანიზატორების ქმედების არსი (ამ მიტინგით დათვური სამსახური უფრო გაუწიეს პრეზიდენტს): „რა იცის სვანმა თუ ქართლელმა ქალმა, არიან თუ არა საქართველოს მოღალატეები გიორგი ჭანტურია და გიორგი წერეთელი, ისტერიულად რომ მოითხოვენ საქართველოდან მათ გაძევებას?! გონიერი ადამიანები სჭირდება ქვეყანას. სიტუაცია მეტად კრიტიკულია, უმართავი. აკაკი ბაქრაძე ხსნას „ეროვნული თანხმობის დროებითი მთავრობის“ შექმნაში ხედავს, მაგრამ ვინ იღებს ყურად ამ გონივრულ რჩევას? თითქმის ყოველდღე იმართება მრავალათასიანი მიტინგები, ოპოზიცია პრეზიდენტის გადადგომასა და პარლამენტის ხელახლა არჩევას მოითხოვს, მთავრობის მომხრენი კი - დამნაშავეთა დასჯას. მაინც ვინ არიან დამნაშავენი?“ [ხაჩიძე,1991:3].

„რით აპირებთ ხალხის გულის მოგებას?“ ასეთი სათაური აქვს გაზეთ „ალიონში“ განთავსებულ წერილს, სადაც საზოგადოების „ზვიადისტებად“ და „ანტიზვიადისტებად“ დაყოფაზეა საუბარი: „როგორც ამბობენ, ორივე მხარეს დაღუპულებს ერთად კრძალავენო. ეს ასეც უნდა იყოს, სხვადასხვა რწმენისა და შეხედულებების მიუხედავად, ისინი ხომ საქართველოს თავისუფლებას შეეწირენ. ნუთუ მხოლოდ სიკვდილმა უნდა გაგვაერთიანოს?! განა ცოცხლებმა ვერ უნდა შევძლოთ საერთო ენის გამონახვა?!“ [ხაჩიძე,1992:2].

ჟურნალისტის აზრით, ურთიერთგათიშვის პროცესი მაშინ დაიწყო, როცა განსხვავებული აზრის მქონე ყველა ადამიანი „კრემლის აგენტად“ მოინათლა. წერილის დედააზრს პრეზიდენტის ნაკლოვანებებზე საუბარი არ წარმოადგენს, მიზანი ერთია- „გამარჯვებულებსა“ და „დამარცხებულებს“ მოუწოდებს ჟურნალისტი, ერთურთს ნუ მოუღერებენ იარაღს, საქართველოს არ ჰყავს დასაკარგი შვილები!

ურთიერთდაპირისპირების პროცესი მტკივნეულად მიმდინარეობდა

რეგიონებშიც. „მადლობა ღმერთს, რაიონში უსისხლოდ ჩაიარა „სამთავრობო ცვლილებებმა“, „მრგვალი მაგიდის“ წარმომადგენლებმა მშვიდობიანად დატოვეს პრეფექტურის შენობა. მოვიდა ახალი ძალა, რომელმაც სიმშვიდე და წესრიგი უნდა დაამყაროს რაიონში, გადაჭრას ბევრი მტკივნეული და სასიცოცხლო მნიშვნელობის პრობლემა, მაგრამ ჯერჯერობით სასიკეთო ცვლილებები არ ჩანს, პირიქით, რაც გამოწვეულია ცალკეული ჯგუფებისა და პიროვნებების უკონტროლო მოქმედებით, რომლებიც ყაჩაღური თავდასხმებით შიშსა და უნდობლობას თესავენ მოსახლეობაში, რაც ბუნებრივია, სახელს უტეხს ახალ მთავრობას“ [ხაჩიძე,1992:2].

„საქართველო - შაგრენის ტყავი“ - ასეთი სათაური აქვს წერილს, რომელიც ჩვენი ქვეყნის ვითარებას აღწერს 1992 წლის შემოდგომაზე. ადამიანთა სახეზე ღიმილის გაქრობის მიზეზად ქცეულა „საგანგაშო დემოგრაფიული მდგომარეობა. უმოწყალოდ გაჩეხილი ტყეები, აშშორებული დედა-მდინარეები, „იზმებით“ დასნებოვანებული ერი. თურქეთის ციებ-ცხელებაშეყრილი ადამიანები, ფერშეცვლილი და მრავალრიცხოვანი აგენტურა, პატიოსნება და სინდისი - უკანასკნელი მოჰიკანი“ [ხაჩიძე,1992:22], ხელგაწვდილი ადამიანებით სავსე ქალაქი, ლტოლვილებით გადაჭედული სასტუმროები, მხედრიონელებისა და გვარდიელების ქალაქი, „შავ ბაზარზე“ გამოფენილი „ჰუმანიტარული დახმარება“, სისხლის დაღვრის შიშით ბედსშეგუებული ადამიანები.

აფხაზეთიდან მოსული ინფორმაცია კარგს არაფერს გვიქადის. სამაჩაბლოც დანადმულ ტერიტორიის ჰგავს და არავინ იცის, ხვალ-ზეგ კიდევ სად აფეთქდება ნაღმი. გამაღიზიანებელია პარლამენტის სხდომები, აშკარად ჩანს, რომ „ქართლის ჭირი“ არავის ადარდებს. პარლამენტის სიჭრელე ქვეყნისა და ხალხის სახეა. ადამიანებს გარეთ გამოსვლისა ეშინიათ. ერთმანეთისადმი გულგრილი დამოკიდებულება შეინიშნება, „ადამიანებს შორის ეჭვი და უნდობლობა გაბლანდულა. სადაცაა, უზნეობის ჭაობი ჩაგვიძირავს. ნუთუ ეს ყველაფერი მართლა დრომ მოიტანა?! ნუთუ ჩვენივე ცოდვებისთვის ვისჯებით? ნუთუ ახლოსაა განკითხვის დღე?“ [ხაჩიძე,1992:22].

„ამონაწერი ლტოლვილის დღიურიდან“ - ასეთი სათაური აქვს წერილს, რომელიც ხაშურში ლტოლვილების შემოსვლის პირველ დღესა და მათ

შთაბეჭდილებებზე მოგვითხრობს, მადლიერებას გამოხატავენ აფხაზეთიდან ჩამოსული ლტოლვილები, აღნიშნავენ მოსახლეობის პატივისცემას, თანადგომას და თანაგრძნობას. ერთ-ერთი მათგანი უდიდესი ტკივილით იხსენებს გზას, რომელიც სოხუმიდან წამოსულებმა გამოიარეს: „თვალეზიდან არ მცილდება მშიერ-მწყურვალი, გამარცხული ადამიანები, ძლივს რომ მოათრევდნენ გაწამებულ, გათოშილ სხეულებს. ნაბიჯს არა ვდგამ ისე, რომ არ მესმოდეს ხევში გადაჩეხილთა კივილი, შვილებისა და მშობლების გოდება გზაზე უსასოოდ მიტოვებულ მიცვალებულთა გამო“...[ხაჩიძე,1993:2]. დევნილი ქალბატონი გულისტკივილით დასძენს, რომ პურის რიგში დგომის დროს ხშირად ესმით: „რა გააწუხეს გული ამ ლტოლვილებმა?!“ ერთ ქალბატონს კი სურვილი გაუჩნდა, მხოლოდ იმ შემთხვევაში მიეღო ლტოლვილი, თუ მასთან მოსამსახურედ დადგებოდა [მაშინ შინამოსამსახურე უცხო იყო ჩვენი საზოგადოებისთვის; შეურაცხმყოფელი იყო ვინმესთვის გეკადრებინა-მოსამსახურედ დამიდექიო. ახლა დრო შეიცვალა. ჩვენი ქალები არა მარტო აქ, ჩვენთან, არამედ საზღვარგარეთ მიდიან და უცხო ოჯახებს საკუთარი ოჯახის გადასარჩენად ემსახურებიან - კ.გ.]. ჟურნალისტი თანაგრძნობას უცხადებს დევნილებს და უბოდიშებს მათ ნაცვლად, ვინც მათ გული ასე ატკინა.

სოხუმის დასაცავად ხაშურელებმაც დაკარგეს შვილები და არანაკლებ ტრავმირებულნი არიან. იქვე დასძენს, რომ ლტოლვილთა შორისაც ხომ არიან უმადურები - ზოგმა სანატორიუმი დაიწუნა და ბორჯომი და თბილისი მოისურვა, ზოგს ტანსაცმელი არ მოეწონა, მაგრამ მათი მდგომარეობის გაგება შეიძლება (გადატანილი ტანჯვა-წამების გამო, რასაც ყველა გაგებით უნდა მოეკიდოს).

ლტოლვილების პრობლემებზე საუბარი გრძელდება გაზეთის მომდევნო ნომრებშიც. წერილში „ლტოლვილების პრობლემა - სადღეისო საზრუნავი“, საუბარია თუ სად, ვისთან არიან ჩვენს რაიონში შემოსული ლტოლვილები. გარდა კერძო ოჯახებში, ნათესავებთან დაბინავებული ოჯახებისა, ჩვენმა მთავრობამ სანატორიუმ „სურამში“ მოათავსა უბინაოდ დარჩენილი 30 ოჯახი (120 კაცი). მადლობის მეტი რა ეთქმით დევნილებს, მაგრამ დედები შვილების სიშიშვლეზე, წამლების ფულზე და კიდევ სხვა უამრავ წვრილმან პრობლემაზე საუბრობენ. ამ ფაქტთან დაკავშირებით

ადგილობრივი გაზეთის ჟურნალისტი ხვდება ჯერ სანატორიუმის დირექტორს, ბატონ გოჩა ნოზაძეს, შემდეგ კი - ლტოლვილთა რაიონული შტაბის თავჯდომარეს, რაიონული საკრებულოს გამგეობის თავჯდომარის მოადგილეს, ბატონ გივი გოგალაძეს, რომელმაც აღნიშნა, რომ პრობლემები მართლაც არსებობს, თუმცა ლტოლვილების დასახმარებლად თანხების მოძიების სერიოზული მექანიზმია ამოქმედებული. „1993 წლის 1 თებერვლისათვის რაიონში დროებით საცხოვრებლად 1080 ლტოლვილია ჩამოსული, მათ შორის აფხაზეთიდან - 712, ხოლო სამაჩაბლოდან - 372 კაცი.მათ დასახმარებლად შექმნილია სპეციალური შტაბი, თვეში ერთხელ ვატარებთ სხდომებს, სადაც ვიხილავთ ლტოლვილთა ირგვლივ წამოჭრილ პრობლემებს“ [ხაჩიძე,1993:2].

ბატონ გივი გოგალაძესთან საუბრიდან ჟურნალისტი არკვევს, რომ 1991 წლიდან სანატორიუმ „ნაკადულში“ ცხოვრობს სამაჩაბლოდან ჩამოსული 33 ლტოლვილი. დევნილთა დასახმარებლად რაიონში გაიხსნა სპეციალური ანგარიში. 15 თებერვლისთვის ანგარიშზე შემოსულია 536 მანეთი. აფხაზეთის ლტოლვილებზე რაიონული ბიუჯეტიდან გაიცა 17 000 მანეთი (სულზე - 100 მანეთი). ქალაქვაჭრობასთან გახსნილია სპეციალური მაღაზია ლტოლვილებისთვის. საახალწლოდ 8 ტონა პურის ფქვილი უსასყიდლოდ გადაეცათ ლტოლვილებს (სულზე - 10კგ). პენსიონრები აიყვანეს აღრიცხვაზე, დახმარებები გაიცემა ბავშვებზეც. ყოველივე ეს მათთვის არაა საკმარისი, რაიონი საზოგადოებას მოუწოდებს, ერთად შეუძმსუბუქონ ლტოლვილობის ტვირთი იძულებით გადაადგილებულებს.

2008 წლის ომმა, რომელიც კვლავ რუსული ძალების მიერ იყო მართული, ტკივილიან წარსულში დაგვაბრუნა. იარა გახსნა და კიდევ ერთხელ დაგვარწმუნა ჩვენს უსუსურობასა და დაუცველობაში. ამ საკითხს ეხება საგაზეთო წერილი „რუსული ინტერვენცია“, რომელიც 2008 წლის აგვისტოს ნომერში გამოქვეყნდა. საუბარია, თუ რა რაკურსით შეეხო აღნიშნული ომი ხაშურის რაიონს. „რვა აგვისტოს ომის“ სახელით მონათლული ომი, დევნილების გადმოცემით, სინამდვილეში ბევრად უფრო ადრე დაიწყო. ქართული მოსახლეობა მანამდეც განიცდიდა შევიწროებას; იყო სროლა. გორსა და ქარელის რაიონზე განხორციელებული ქმედებების შემდგომ, 11 აგვისტოს,

რუსეთის საჯარისო ნაწილები ხაშურის რაიონს მოადგნენ. „რუსებმა სოფელ ნაბახტევთან ბლოკსაგუშაგო გახსნეს. მტრის თვითმფრინავებმა 3-4-ჯერ დაზვერეს ქალაქი. მოსახლეობა პანიკამ მოიცვა. სტალინის, იმერეთის ქუჩის და ჭალისუბნის მცხოვრებთა დიდმა ნაწილმა მტკვარგაღმა სოფლებს შეაფარა თავი. ნაწილი ბორჯომ-ბაკურიანის მიმართულებით გაიქცა. ზემოსერის უბანმა კი ცედანს, წაბლოვანს და ქემფერს მიაშურა. ბევრი ჩვენი მოქალაქე ხარაგაულის სოფლებში დაემალა მტერს“ [საგაზეთო ქრონიკა,2008:3].

ხაშურიც ისეთივე მდგომარეობაში აღმოჩნდა, როგორც სრულიად საქართველო. ხელისუფლება დუმლით შეხვდა ამ პროცესებს. არანაირი განცხადება, არანაირი მოწოდება, არანაირი გაფრთხილება ან ნუგეში ხალხს, რომლის დაცვაც სახელმწიფოს ვალია... მოსახლეობა უნუგეშობამ მოიცვა. მადლობა ღმერთს, აქ მაინც არ დაიღვარა სისხლი. მომდევნო ერთი თვის განმავლობაში ხაშურის რაიონმა 11 ათასი ლტოლვილი მიიღო და დააბინავა. ომში გაწვეული იყო 280 რეზერვისტი (მათგან დანაკარგი არ ყოფილა). სამწუხაროდ, ხაშურის რაიონმა ამ ომში სამი ახალგაზრდა დაკარგა: ქვიშხეთელი დავით ბლიაძე, ოსიაურელი ზაზა მახარაშვილი და ხაშურელი გიორგი წიქარიშვილი.

ომის პერიოდში ხაშურის საავადმყოფოში 70 დაჭრილი მკურნალობდა. ტარდებოდა ოპერაციები: „გმირობის ტოლფასია ჩვენი რაიონის ქირურგების - ელიზბარ პატურაშვილისა და დავით ტაბატაძის მიერ ჩატარებული ოპერაციები, რომლებსაც დაჭრილები პირდაპირ ბრძოლის ველიდან გამოჰყავდათ. „ღირსების ორდენით“ დაჯილდოებულია ჩვენი თანამემამულე ქირურგი იოსებ (სოსო) გელაშვილი“ [საგაზეთო ქრონიკა,2008:3]. აღსანიშნავი ფაქტია, რომ 22 წლის ლეიტენანტმა, ზოია კურტანიძემ და ასევე - ოსიაურელმა უფროსმა სერჟანტმა თემურ ბუხრიკიძემ მტრის ორ-ორი თვითმფრინავი ჩამოაგდეს.

წერილის ბოლოს ჟურნალისტი იმედს გამოთქვამს, რომ საქართველო დაკარგულ ტერიტორიებს აუცილებლად დაიბრუნებს.

ამგვარად, ხაშურის რაიონის პერიოდული პრესის ფურცლებზე გამოქვეყნებული მასალის შესწავლით ნათელი წარმოდგენა შეგვექმნა, თუ რა ხდებოდა დედაქალაქის,

სამაჩაბლო-აფხაზეთისა თუ შიდა ქართლის პარალელურად ქართლის გულის პატარა, მაგრამ ყველა მიმდინარე პროცესის ფერხულში აქტიურად ჩაბმულ რაიონში. ცხადია, მოყვანილი ფაქტები ნამდვილად არაა საკმარისი იმის წარმოსადგენად, თუ რა კუთხით შეეხო ხაშურის რაიონს 2008 წლის აგვისტოს ომი, როგორ პანიკაში იმყოფებოდა მოსახლეობა. ხაშურის მოსახლეობამ განიცადა და ცხადლივ იგრძნო ომის სუსხი, რაც დევნილებისადმი მეტი თანადგომითა და თანაგრძნობით გამოიხატა.

საქართველოში ანტისაბჭოთა მოძრაობის ფონზე ეროვნული სულის აღმავლობამ, მასთან დაკავშირებულმა მოვლენებმა ყველა სფეროზე მოახდინა გავლენა. მიუხედავად სახელმწიფოში არსებული ქაოსური მდგომარეობისა, მიმდინარე პროცესები სისტემატურად შუქდებოდა ქართული პრესის ფურცლებზე.

აპრილის მოვლენების, თბილისის ომისა და ქართულ-ოსურ, ქართულ-აფხაზური კონფლიქტების ამსახველი მასალები დღემდე აქტუალურია და დროითი დისტანციის ფონზე ობიექტურ ანალიზს ითხოვს.

პოსტსაბჭოთა საქართველოში განვითარებულმა მოვლენებმა, რომელმაც სათავე 90-იანი წლებიდან აიღო, ჩვენს ქვეყანაში ძირეული ძვრები გამოიწვია. შეუძლებელია, თავი მოუყარო და მეცნიერული კუთხით განიხილო ომის თემაზე გამოქვეყნებული ყველა ის მასალა, რაც 90-იანი წლებიდან, 2008 წლის ჩათვლით ჟურნალ-გაზეთების ფურცლებზე ჩნდებოდა. უნდა აღინიშნოს, რომ ამ პერიოდის პრესისადმი, მოსახლეობის მხრიდან, დიდი ინტერესი და მოთხოვნილება იგრძნობოდა, რადგან ინფორმაციის მიღება 9 აპრილის, თბილისისა და სამაჩაბლო-აფხაზეთის მოვლენების შესახებ უმრავლესობას მხოლოდ ამ გზით შეეძლო.

1989 წლიდან, გაზეთი „თბილისი“ სისტემატურად აშუქებდა აფხაზეთში მიმდინარე მოვლენებს. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო, გაზეთ „თბილისის“ ფურცლებზე აქვეყნებს ფაქტებს იმის შესახებ, რომ აფხაზი სეპარატისტების გააქტიურებამ ქართველთა და აფხაზთა აშკარა დაპირისპირება გამოიწვია, რის შედეგადაც მშვიდობიანი მოსახლეობა დაზარალდა და პანიკამ მოიცვა. მიუხედავად ამისა, გამოუცდელი, მაგრამ გულმხურვალე ახალგაზრდები უწყვეტ ნაკადად

ეწერებოდნენ მოხალისეთა რიგებში და მიემგზავრებოდნენ აფხაზეთში. ეს ფაქტი მეტყველებს იმაზე, რომ კრიტიკული მდგომარეობა შიშს არ ჰგვრის ქართულ, მებრძოლ გენს.

გაზეთში გამოქვეყნებული მასალის თანახმად, მოხდა შეტაკებები ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენებით. რასაც, ბუნებრივია, მოჰყვა მსხვერპლი. აფხაზებმა აყარეს 20 მეტრი რკინიგზის ლიანდაგი, გაიფიცნენ სოხუმის სალოკომოტივო დეპოს ბრიგადები. „ამის შედეგად თბილისისა და სოხუმის სადგურებში დგას 18 სამგზავრო და 49 სატვირთო მატარებელი. საქართველოსა და ამიერკავკასიის სხვა რესპუბლიკებში მომავალი ბევრი მატარებელი მისადგომებზეა გაჩერებული“ [სსსრ შსსპ, 1989: 1-2]. ამავე გაზეთის მომდევნო ნომერში საქ. შინაგან საქმეთა სამინისტრო იუწყება, რომ მიუხედავად სოხუმში დასადგურებული შედარებითი სიმშვიდისა, ჯერჯერობით, არიან ცალკეული პირები და დაჯგუფებები, რომლებიც ყველანაირად ცდილობენ, გამოიწვიონ ქაოსი: ხდება თავდასხმები, წვავენ სახლებს, იარაღდებიან, იტაცებენ ავტომანქანებს... „კვლავ შემამფოთებელია ვითარება დასავლეთ საქართველოს რაიონებში, სადაც ბევრ მოქალაქეს ჯერ კიდევ აქვს იარაღი, რომელიც მილიციის რაიგანყოფილებებიდან და სხვა სახელმწიფო ობიექტებიდან გაიტაცეს. იარაღის ნაწილი მოხვდა ქალაქ ზუგდიდის საგამომიებო იზოლატორიდან გაქცეულ დამნაშავეთა ხელში“ [სსსრ შსსპ 1989: 1-2].

სპეციალური კორესპოდენტის, კლარა აბრამიას მიერ აფხაზეთიდან, სატელეფონო კავშირით მოწოდებული ინფორმაციის მიხედვით, რომელიც გაზ. „თბილისის“ ფურცლებზე გამოქვეყნდა, ისევ ქართველებისა და აფხაზების დაპირისპირებაზეა საუბარი. კლარა აბრამია ყოველთვის იქ იყო, სადაც ქვეყანას, მისი, როგორც ჟურნალისტის პროფესიონალიზმი სჭირდებოდა. სოხუმში სპეციალურად 15-16 ივლისის მოვლენების გასაშუქებლად ჩასული ჟურნალისტი ქუჩაში ხვდება მოსახლეობას და იღებს ინტერვიუს როგორც აფხაზებისგან, ისევე ქართველებისგან. მან იცის, რომ ეს დღე წლების წინ დაწყებული მოძრაობების შედეგი იყო, და არა - დაუგეგმავი შეტაკება. უბრალო მოქალაქეები მშვიდობაზე ოცნებობენ, მაგრამ მათ არავინ არაფერს ჰკითხავს... ტელეფონით მოწოდებულ ინტერვიუში, კლარა ადამია

იმასაც აღნიშნავს, რომ მდგომარეობის გასაწესებლად სოხუმში ჩასულები არიან ეგრეთ წოდებული არაფორმალური: ი. ბათიაშვილი, ვ. ადამია, ი. წერეთელი, ვ. გვილავა და ზ. კეიდა, რომლებიც ხვდებიან ხალხს, იგებენ მათ აზრს და აპირებენ მათი შეხედულებები ტელევიზიით გააცნონ საზოგადოებას. წერილში საუბარია იმ ფაქტზე, რომ პარტიის საოლქო კომიტეტის შენობას მიადგნენ ქართველები და ითხოვენ ხელმძღვანელობის გადადგომას, ასევე, იმ ექსტრემისტთა დაპატიმრებას, რომლებმაც სისხლიან თავდასხმაში მიიღეს მონაწილეობა. მოსახლეობა ამტკიცებს, რომ ეს აქცია დიდი ხნის განმავლობაში მზადდებოდა. ამას ადასტურებს საავადმყოფოში დაჭრილებზე თავდასხმაც. ექიმი, რომელიც სოხუმის რესპუბლიკური საავადმყოფოს ნეიროქირურგია, ჟურნალისტს მოუთხოვს, რომ „იმ სისხლიან ღამეს მათთან 60 დაჭრილი მიიყვანეს, თითქმის ყველა - ქართველი. გავიდა ორიოდე საათი და საავადმყოფოს თავს დაესხა ექსტრემისტთა დიდი ჯგუფი, რომლებიც ცდილობდნენ ბოლომდე გასწორებოდნენ დაჭრილებს, მაგრამ მკურნალებმა და მილიციის მუშაკებმა მოიგერიეს ისინი“ [აბრამია, 1989 : 3].

„ყველაზე დიდი ტყუილი თავის მოტყუება“ - ჩარლზ დიკენსის ეს სიტყვები აქვს წამმღვარებული კლარა აბრამიას კიდევ ერთ წერილს, რომელიც ისევ აფხაზეთში, 15 ივლისს დატრიალებულ უბედურებას და მის შედეგებს ეხება.

წერილის მიხედვით, სოხუმში ურთულესი ვითარებაა. თბილისში ინფორმაცია აქვთ, რომ სოხუმში პურიც კი ჭირს... მიდიან და მიაქვთ პური, სხვებიც უზრუნველნიან კოლეგებსა და ნათესავებს. სოხუმში ჩასულებს ბევრად უფრო მძიმე მდგომარეობა ხვდებათ, ვიდრე წარმოედგინათ. აეროპორტში არეულობა... დამსვენებლები ტოვებენ სოხუმს... როგორც ჩანს, ადგილობრივებიც. „გულსატკენად ცარიელია სოხუმი. ქათქათა, ლამაზი და ამაყი ქალაქი ისეა გამოცლილი, შეუძლებელია ადამიანს თავზარი არ დაგცეს. პირქუში შენობები, დაუგველი ქუჩები, გამოკეტილი მაღაზიები, ნატყვიარი კედლები“... [აბრამია, 1989:7]. დამატებით თვითმფრინავებს უშვებენ თბილისიდან, მოსკოვიდან, ლენინგრადიდან... საზოგადოებრივი ტრანსპორტის მუშაობა შეწყვეტილია. ჟურნალისტს გადაადგილებაში აფხაზეთში საქართველოს ტელევიზიის წარმომადგენელი - ომარ ჩახავა ეხმარება, „ჟიგულიში“ სვამს და მშვიდობას უსურვებს.

ავტომანქანაში ახალ ათონში მცხოვრები, აფხაზებისგან შევიწროვებული სომხები სხედან. ისინი დიდი გულისტკივილით ამბობენ, აფხაზები თავს გვესხმიან და სომხეთში წასვლას გვაიძულებენო.

ქალაქში საგანგებო მდგომარეობაა. საშვის გარეშე ვერ გადაადგილდები. გარკვეულ საათებში ქუჩაში ვერ გახვალ... რესპოდენტები ჟურნალისტს სთხოვენ, მათ სიცოცხლეს რომ საფრთხე არ დაემუქროს, გაზეთში გვარ-სახელებით არ მოიხსენიოს.

ის, რაც მომდევნო წლებში აფხაზეთის ტრაგედიაში გადაიზარდა, შედეგი იყო იმისა, რომ 1989 წლის 15-16 ივლისის უბედურება სასწრაფოდ მივაჩუმათეთ, თითქოს შემთხვევითობა და მომენტალური აფექტი იყო აფხაზების მიერ ქართველებზე თავდასხმები და დევნა-შევიწროება, მაშინ რომ ის ფურცელი ასე სასწრაფოდ არ დახურულიყო და მიზეზ-შედეგები საყოველთაო განხილვის საგნად ქცეულიყო, დამნაშავეებს პასუხი ეგოთ, იქნებ, თავიდან აგვეცილებინა ფიზიკური მსხვერპლი თუ ტერიტორიული მთლიანობის რღვევა...

აღნიშნული წერილებიდან გამომდინარე, კლარა აბრამიას, როგორც უშიშარი ჟურნალისტის ცხოვრების ბოლო წლებით დავინტერესდით. მოძიებულმა ინფორმაციამ შეგვძრა - უსახლკაროსა და მიუსაფარს, უპატრონოთა თავშესაფარში დაუღვავია სული. ობიექტური ჟურნალისტის ბედისწერაც ისეთივე მწარე აღმოჩნდა, როგორც სამშობლოს ბედ-იღბალი.

გარდა ჟურნალ-გაზეთებისა, რუსეთის მიერ ინსპირირებული ქართულ-აფხაზური და ქართულ-ოსური კონფლიქტების შესახებ სხვადასხვა ხასიათის მასალა ქვეყნდებოდა ინტერნეტსივრცეში. ძირითადად, ეს გახლდათ თვითმხილველთა მონათხრობები - ე.წ. „ნონფიქშენი“, რომელიც ყოველთვის დიდ ინტერესს იწვევდა და იწვევს მკითხველში.

„ჭირი სამოთხეში: ქართულ-აფხაზური ომი 1992-93წ.წ.“ - ასეთი სათაური აქვს მასალას, რომელიც 2012 წლის 7 აგვისტოს გამოქვეყნდა რუსულ ვებგვერდზე. ტექსტის შესავალში (რომლის ქვესათაურია „ჭირი“) ვკითხულობთ ცნობას იმ დღის შესახებ, როდესაც აფხაზეთში ომი დაიწყო: „1992 წლის 14 აგვისტოს, მაშინ, როდესაც შუადღე პიკს აღწევდა და მშვიდობიანი მოსახლეობის უმრავლესობა ზღვის ნაპირზე

იმყოფებოდა, მოულოდნელად, მოწმენდილ ცაზე გამოჩნდა ვერტმფრენი. რაღაც წამებში ტყვიის სეტყვაც წამოვიდა. იმავდროულად, აღმოსავლეთიდან მოისმოდა ტანკების ღმუილი. ქალაქში შემოედინებოდა ქართული გვარდიის ნაწილები, რომლებიც დაკომპლექტებული იყო როგორც მოხალისე ნაციონალისტებით, ასევე - კრიმინალებით, რომლებსაც თენგიზ კიტოვანი და ჯაბა იოსელიანი მართავდნენ. მათ ყველას კი ედუარდ შევარდნაძე ხელმძღვანელობდა“.

რუსული საიტის ანტიქართული პათოსი მოსალოდნელია. აქვე ვხვდებით იმ საშინელი ფაქტების ამსახველ ინფორმაციებს, სადაც, ბუნებრივია, მხოლოდ ქართველთა უმსგავსო საქციელზეა აქცენტი. მოვიყვანოთ რამდენიმე „ფაქტს“ რუსული საიტიდან: სოხუმში, ფრუნზეს ქუჩაზე მცხოვრებ ს. ბ. ზანთარიას გახსენება არ უნდა იმ საშინელი დღისა, როდესაც ქართველმა სალდათებმა მათი სახლის კარი შეანგრის. ითხოვდნენ ფულს, სვამდნენ, იგინებოდნენ... წაიყვანეს მისი და, რომელსაც თან ახლდა ყოფილი ქმარი-უსტიანი. „Над сестрой издевались и насиловали, Устяна избили, потом и убили.“ ჩემს დაზე ძალა იხმარეს და გააუპატიურეს. უსტიანა სცემეს და მერე მოკლეს(თარგმანი ჩვენია - კ.გ). [ზანტარია, 2012(ელექტრონული რესურსი)]. რასაც ისინი სჩადიოდნენ, ენა ვერ გადმოსცემსო, ასე ასრულებს თხრობას თვითმხილველი.

ანალოგიურ მდგომარეობას აღწერს სოხუმში ჯიქიას ქუჩაზე მცხოვრები ლ. შ. აიჰბა. მისი მონათხრობის მიხედვით, ქუჩაში თავისმა მეზობელმა, ჯემალ რეხვიაშვილმა გაიხმო. შემდეგ, ნაცემი კაცი, უკანვე, თავის სახლში შეაბრუნეს და სახლის გაჩხრეკა დაიწყო. სახლიდან დეპოს რაიონში გადაიყვანეს, სცემდნენ და, ავტომატთან ერთად, სამ მილიონს სთხოვდნენ. ცილი დასწამეს, თითქოს სახლში ყუმბარას მალავდა და ამ მიზეზით საკანში ჩასმულს ფიზიკურ შეურაცხყოფასთან ერთად, დენითაც აწამებდნენ. „Один раз в день давали миску с едой, и часто плевали у нас на глазах в эту миску“ (დღეში ერთხელ აძლევდნენ თასით საჭმელს და ხშირად აფურთხებდნენ ჩვენ თვალწინ ამ თასში(თარგმანი ჩვენია კ.გ)). [აიჰბა, 1992-1993 (ელექტრონული რესურსი)]. თვითმხილველის გადმოცემით, ყოველთვის, როცა ფრონტზე არასახარბიელო მდგომარეობა ექმნებოდათ, ჯავრს პატიმრებზე იყრიდნენ.

სოხუმელი ზ.ხ. ნაჭყებიას მონათხრობის მიხედვით, მათთან ხუთი გვარდიელი შეიჭრა. მის ორი წლის შვილიშვილს, ლალა ჯოპუას, ერთ-ერთი გვარდიელი საწოლში, თავს დანით დაადგა. შემინებულმა ბავშვმა თავის თავს უთხრა: „ლალა, ნუ ტირი, კარგი ბიძიაა, არ მოგკლავს“. მონათხრობის მიხედვით სჩანს, რომ პატარა გოგონა დაინდეს გვარდიელებმა, თუმცა, მათ მოქმედებებს ვერანაირ გამართლებას ვერ მოვუძებნით. მეორე შვილიშვილს, რუსლანს, ერთ-ერთმა „ახარა“, რომ მის მოსაკლავად მოვიდა. ბიჭის დედამ მუდარით შეხედა და უთხრა, რომ შვილის სიკვდილს ვერ გადაიტანდა. გვარდიელმა „დაამშვიდა“, მაშინ შენ მოიკალი თავი და ამას არ მოგკლავთო... მეზობლების შემოსვლით გამოწვეულ ქაოსში ბიჭის დედა ოთახიდან გაიქცა და მერე, ჩამომხრჩვალნი ნახეს სარდაფში.

ერთ-ერთი თვითმხილველი ბ.ა. ინაფხა, რომელმაც საკუთარ თავზე გამოსცადა გვარდიელების დაუნდობლობა, იხსენებს, თუ როგორ შეიყვანეს ხელფეხშეკრული წყალში, როგორ ესროდნენ და ეკითხებოდნენ, თუ რა იცოდა აფხაზების სამხედრო შეიარაღების შესახებ. საშინელი მოსასმენია ის ფაქტი, რომ გვარდიელები აუთოვებდნენ და მილიონს სთხოვდნენ. შემდეგ, ბორკილდადებული, ეზოში დააგდეს და ხედავდა, როგორ ხოცავდნენ ისინი ქათმებს და თან მორფს იკეთებდნენ.

ტრაგედიის მთხრობელი ბოლოს დასძენს, რომ გაქცევა მოახერხა და მოხვდა სომხებთან, რომლებმაც ჭრილობები დაუმუშავეს, გადაუჭრეს ხელბორკილები და დილით ქალაქისკენ გააცილეს.

სოფელ აძიუჭბას მკვიდრი, ვ. კ. ჯოპუა დიდი ტკივილით იხსენებს 6 ოქტომბერს, როცა მათ სოფელში შემოსულმა გვარდიელებმა, ადგილობრივ ქართველებთან ერთად, გარეთ გამოიყვანეს მოსახლეობა. ასაკოვანნი ტანკის წინ დააყენეს, ბავშვები ტანკზე დასვეს, ჯულიეტა ჯოპუა კი ტანკზე თოკებით მიაბეს და დრანდისკენ დაიძრნენ (ეს ერთ-ერთი საშუალება გახლდათ, რასაც პარტიზანების სროლისაგან თავდასაცავად იყენებდნენ გვარდიელები).

სამწუხაროდ, ომის კანონი ყველგან, ყველაზე და ყველაფერზე ვრცელდება. ომის დაუწერელი კანონები, სამწუხაროდ, მსჯავრდებულის სკამს არ ითვალისწინებს. ომის აზარტში შესული ადამიანი მხეცს ჰგავს, ეროვნების მიუხედავად.

ისტორიულად, თითქმის მთელი ჩვენი არსებობის მანძილზე, ჩვენი მიწის დასაცავად ბრძოლა გვიწევდა. მეომარ ერად ჩამოგვყალიბა წარსულმა. როცა შენს მიწაზე დასახლებული, მადლიერების ნაცვლად, მუდმივ მცდელობაშია - გაგემიჯნოს, წაგართვას მამული, დამოკიდებულებაც ადეკვატურია. თუ მტრული საიტის ინფორმაცია სიმართლეა, გვარდიელების მოქმედებას არანაირი გამართლება არ აქვს, ერთს კი აღვნიშნავთ, ჰუმანური ომი ჯერ არავის უნახავს, რადგან ასეთი რამ არ არსებობს...

ჩვენ მიერ შესწავლილ ქართულ მასალებში, აბსოლუტურად ყველგან, უდიდეს სინანულს, ტკივილს, თვითრეფლექსიას ვაწყდებით იმის გამო, რომ ჯერ კიდევ გუშინდელ ძმებთან (თუნდ იმპერიის მიერ წაქეზებულებთან) სისხლიანი დაპირისპირება მოგვიხდა. სამწუხაროდ, აბსოლუტურად განსხვავებულ დამოკიდებულებას ვხედავთ აფხაზი და ოსი ავტორებისა თუ თვითმხილველთა მონათხრობებში.

ზემოთ აღნიშნული მასალის გაანალიზებით, ვეცადეთ, კიდევ ერთხელ გაგვეაზრებინა ერის ტრაგედიის ამსახველი ფაქტები, რაც პრესის საშუალებით ვრცელდებოდა, როგორ, რა ფორმით აისახებოდა დედაქალაქსა თუ რეგიონებში მიმდინარე მოვლენები პუბლიცისტურ ნარატივებში, გავცნობოდით, რა განიცადა მოპირდაპირე მხარემ, რას გრძნობენ ისინი ჩვენ მიმართ და რა პასუხები აქვთ კითხვაზე - „რატომ?“.

საკითხისადმი ობიექტური მიდგომა საწინდარია იმისა, რომ, მიუხედავად მომხდარისა, ძალგვიძს, ხელი შევუწყოთ ურთიერთპატივისცემისა და ნდობის აღდგენას, რაც საუკუნეების მანძილზე ჩვენს ურთიერთობას ადუღაბებდა.

თავი მესამე

ომის რეფლექსიები ოსურ ბელეტრისტულ-პუბლიცისტურ ნარატივში

საბჭოთა პერიოდის „ნაციონალური პოლიტიკის“ პრინციპთა გადახედვის მტკივნეული შედეგი ისტორიაში „ქართულ-ოსური კონფლიქტის“ სახელით შევიდა. ამ პროცესისთვის დიდი ხნის მანძილზე მზადდებოდა ნიადაგი. მოდერნიზებული იმპერიის მიერ მართული საქართველოს ბოლშევიკური მთავრობის გადაწყვეტილებით, 1922 წლის 20 აპრილს სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის შექმნამ ქართველი ხალხის ინტერესები შეზღუდა, რაც უარყოფითად აისახა ქართველთა და ოსთა შემდგომ ურთიერთობებზე.

ოსი სეპარატისტებისთვის მიუღებელი აღმოჩნდა ზვიად გამსახურდიას მიმართვა სამხრეთ ოსეთში მცხოვრები ოსი მოსახლეობისადმი, სადაც მათ კეთილგონიერებისაკენ მოუწოდებდა: „ქართველები და ოსები, რომლებიც ხანგრძლივი დროის მანძილზე მშვიდობიანად და მეგობრულად ცხოვრობდნენ ამ მიწაზე, ახლა ურთიერთს ხოცავენ, ეომებიან გარეშე ძალის წაქეზებით. ვინაიდან ეს ძმათამკვლელი ომი ვიღაცის იმპერიული ამბიციების დასაყრდენია, სირცხვილი იქნება, თუ ჩვენი ერთობლივი ძალისხმევით არ აღდგება მშვიდობა და თანხმობა ჩვენს ხალხებს შორის“ [დადეშქელიანი-აფრასიძე, 2012(ელექტრონული მისამართი)]. გამსახურდია იარაღის ჩაბარებისკენ მოუწოდებდა ყველა უკანონო შეიარაღებას. სამაგიეროდ, იგი, სრული ხელშეუხებლობის გარანტიას აღუთქვამდა, კეთილგონიერებისკენ მოუწოდებდა ყველას, რადგან კონფლიქტი მტრის წისქვილზე ასხამდა წყალს (1991 წლის 4 მარტი). ოსებს შეუნარჩუნდებოდათ კულტურული ავტონომიის ყველა უფლება - ისინი, ყველა უფლებით, გათანაბრებულნი იქნებოდნენ ქართველებთან. მოწოდება ყურად არ იღეს სეპარატისტებმა და შედეგმაც არ დააყოვნა; მოხდა ის, რაც შესაძლებელი იყო,

თავიდან აგვეცილებინა. დამპალი ძაფივით დაწყდა და დაიშალა საუკუნეების მანძილზე შედუღებული ურთიერთობები. ოსებს არ ავიწყდებათ საქართველოს უზენაესი საბჭოს არჩევნების წინ, 1990წ. ოქტომბერში ზ. გამსახურდიას ტელევიზიით გამოსვლა, სადაც იგი ამბობდა, რომ არ ითხოვდნენ არაქართველთა გასახლებას და მათ დისკრიმინაციას. მათი მოქმედების მიზანი მხოლოდ თანასწორუფლებიანობას ითვალისწინებდა. თუ ამ დაპირების პარალელურად, ინტენსიურად მიმდინარეობდა ეთნიკური ოსების „შევიწროება-განდევნა“ (როგორც თავად თვლიან) საქართველოს ტერიტორიიდან, ეს იმიტომ, რომ ოსი სეპარატისტები არ წყვეტდნენ ანტიქართულ მოქმედებებს (რეალურად - პროვოკაციებს), იმ იმედით, რომ მათ რუსეთი „დაიცავდა“.

ქართულ-ოსური ურთიერთობები 80-იანი წლების მეორე ნახევრიდან იძაბება - თითქოს ამ ორი ერის მეხსიერებაში წინარესაბჭოური დამოკიდებულებები და დაპირისპირება ამოტივტივდა. ჯერ კიდევ 1295 წელს, როცა ქართლში უმეფობის პერიოდი იყო და ქვეყანას მხოლოდ ერისთავი და აზნაურები მართავდნენ, ჟამთააღმწერელის სიტყვით, პირველად იწყეს ოსებმა აოხრება, ხოცვა და რბევა ქართლისა. მათ დაიკავეს ქალაქი გორი და იქიდან წასვლას არ აპირებდნენ. მათ მიმართ გადამწყვეტი ომები აწარმოა გიორგი მეხუთე ბრწყინვალემ, რომელმაც ისინი სამწლიანი დაუღალავი ბრძოლის შემდგომ განდევნა გორიდან“ [ევანისელი, 2014(ელექტრონული მისამართი)]. ისტორიას არც ის ფაქტები „დაუკარგავს“, სადაც ოსები ქართველებს ეხმარებიან მტრის მოგერიებასა და განდევნაში, ცდილობენ ერთგულება დაუმტკიცონ ქართველებს, თუმცა, სამწუხაროდ, ყოველთვის ასე არ ხდება. 1918 წლის მარტში, საქართველოს სახალხო გვარდიამ სამხრეთ ოსეთში აჯანყებული ოსების გამოსვლა ჩაახშო. ეს უკვე ნიშანი იყო იმისა, რომ საფრთხე კიდევ იყო მოსალოდნელი. არსებული კონფლიქტის განახლება ქართულ-ოსურმა ეთნონაციონალურმა დაპირისპირებამ გამოიწვია.

„სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის“ გაუქმებას ხელი შეუწყო საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ საბჭოეთის მხრიდან პროვოკაციებისა და შანტაჟის კომპანიამ, რომელიც მ. გორბაჩოვის ზ. გამსახურდიასადმი მუქარამ

„დაავგირგვინა“, სადაც იგი საქართველოს ნებას რთავდა, გასულიყო საბჭოთა კავშირიდან, მხოლოდ - სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის გარეშე.

მიუხედავად უამრავი მცდელობისა, გონს მოსულიყვნენ და შეეცვალათ დამოკიდებულება, „მოსკოვის მიერ წაქეზებული ოსი სეპარატისტები აგრძელებდნენ საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციის საწინააღმდეგო მოქმედებას, რასაც მოჰყვა იძულებითი ნაბიჯი ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის შენარჩუნების მიზნით და მიღებული იქნა საქართველოს რესპუბლიკის კანონი - „სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის გაუქმების შესახებ“ დადადგენილება - „ქ. ცხინვალისა და ჯავის რაიონის ტერიტორიაზე საგანგებო წესების გამოცხადების შესახებ“ (1990 წლის დეკემბერი). [დადეშქელიანი-აფრასიძე, 2012(ელექტრონული მისამართი)].

90-იანი წლების კონფლიქტის იარები ჯერ კიდევ ღრმად აჩნდა ორი ერის ურთიერთობას, რომ თავი იჩინა ახალმა, ბევრად უფრო მტკივნეულმა კონფლიქტმა, რომლის შედეგებზეც ორივე მხარე ერთნაირადაა პასუხისმგებელი - ეს იყო 2008 წლის აგვისტოს ომი, რომლის შედეგადაც დაიკარგა ქართული ტერიტორიები და ათასობით ადამიანი გამოდევნეს თავისი მიწა-წყლიდან. პოსტსაბჭოთა სივრცის ლიტერატურაში ახალი თემები ჩნდება - როგორც ქართულ ლიტერატურაში, ასევე ოსურშიც მკვეთრად აისახა ორ ერს შორის XIX საუკუნის ბოლო პერიოდისა და XXI საუკუნის დასაწყისში განვითარებული მოვლენები.

აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ქართველ ავტორებთან, ომის თემაზე შექმნილ ნაწარმოებებში, შეფასებები თვითკრიტიკული და მიუკერძოებელია. ისინი ხმამაღლა საუბრობენ როგორც ომის შედეგებზე, ასევე - გამომწვევ მიზეზებზეც. პოსტკოლონიური ქართული ლიტერატურა გაჟღენთილია ტკივილით, რომ მესამე ძალამ დააპირისპირა ძმებთან.

1988-89 წლების საქართველოში ეროვნული მოძრაობის დაწყებამ ბევრი რამ შეცვალა. დამოუკიდებელი საქართველოს უზენაესმა საბჭომ 1990 წლის 11 დეკემბერს გააუქმა სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი. „1991 წლის მარტში, პრეზიდენტ ზ. გამსახურდიას განკარგულებით, ცხინვალში შევიდა საბჭოთა კავშირის შინაგანი ჯარის ნაწილი. მალე მათ სხვა არაფორმალური შეიარაღებული ფორმირებები დაემატა.

დაიწყო ქართულ-ოსური კონფლიქტი“[მენაღარიშვილი,2013:9].

ოსი ეროვნების ავტორთა შემოქმედების გაცნობა საშუალებას გვაძლევს გავიცნობიეროთ, თუ როგორ შეფასებას აძლევენ ისინი ოსურ-ქართულ კონფლიქტს, რამდენად სტკივათ მომხდარი, თუ გრძნობენ და აღიარებენ, რომ მესამე ძალის მიერ არიან მართულნი.

ჩვენი ინტერესის საგანს წარმოადგენენ ოსი ეროვნების შემდეგი ავტორები:ტამერლან ტადტაევი, ალ. ჩეხოვი, ალიონა დოგუზოვა, დავით გაზათი, ედვარდ ვართანოვი, ეკატერინა ჯიოევა, ლანა ბუკაევა, ლიზა ტასოევა, მერაბ ზასეთი, ნატალია დუჟაევა, თენგიზ დოგუზოვი.

90-იანი წლების ოსურ-ქართულ კონფლიქტზე არაერთი ნაწარმოები აქვს შექმნილი ცხინვალელ მწერალს, თემერლან ტადტაევს. თამერლან ტადტაევი (დაიბადა 1966) არის ოსი რუსულენოვანი მწერალი, პუბლიცისტი. 1989-1992, 2004, 2008 წლების ქართულ-ოსური ომის მონაწილე, მიენიჭა სამხრეთ ოსეთის მედალი „სამშობლოს დამცველი“ [სოციალური მეცნიერების ვებგვერდი, 2017)ელექტრონული რესურსი)].

2014 წლის 15 ოქტომბერს სტამბოლში ერთმანეთს შეხვდნენ ქართველი, აფხაზი და ოსი ეროვნების ავტორები (მათ შორის იყო ტამერლან ტადტაევიც). მწერალი ლაშა ბულაძე ემოციურად აღწერს მათთან შეხვედრას; აოცებს მათგან წამოსული სიტბო, რაც სხვა დეტალებთან ერთად, დიალოგის ქართულ ენაზე წარმართვაში გამოიხატა. ამ შეხვედრის შესახებ ინტერნეტსივრცეში ქვეყნდება მასალა ტამერლან ტადტაევის ომთან დამოკიდებულებაზე, სადაც ნახსენებია, რომ ცხინვალელ მწერალს ბრძოლის დროს იარაღი ეჭირა; იარაღს რომ დადებდა, წერას იწყებდა. ბუნებრივია, ზღვა მასალა დაუგროვდებოდა მწერალს და ისიც უნდა აღინიშნოს, რომ მშვიდობის ფასი ყველაზე უკეთ მან იცის, ვინც ომის საშინელება გამოსცადა. მწერალი ინტერვიუს აძლევს რადიო „თავისუფლებას“, სადაც ამბობს: „ყველა მოთხოვნაში ვაჩვენებ, თუ რა არის ომი, რათა ადამიანმა აირჩიოს - იცხოვროს ამ საშინელებაში, თუ რაღაც უკეთესი მოინდომოს. პირადად მე მშვიდობას ვირჩევ. მე დღეს უკვე ვამბობ, რომ მშვიდობის ადამიანი ვარ. მინდა ხალხმა გაიგოს, რომ ადამიანი სიხარულისთვისაა დაბადებული და არა იმისთვის, რომ სხვები მოკლას. ჩემს შვილებს, ახალგაზრდა და უფროს თაობებსაც,

უბრალოდ, მშვიდობას ვუსურვებ” [აფციაური, 2015(ელექტრონული რესურსი)].

„Карабин“ („კარაბინი“) - ასე ეწოდება ტამერლან ტადტაევის მოთხრობას, სადაც საუბარია ქართველებსა და ოსებს შორის გამართულ ბრძოლებზე. ნაწარმოების მიხედვით, ოსი მოხალისეები ბარიკადებზე დგანან. ომში კარგი იარაღია საჭირო, რაც ყველას არ აქვს... ოსი ალანის გვერდით მებრძოლი დაიჭრა. მას რომ კარაბინი უჭირავს, ალანის სწორედ ასეთ იარაღზე ოცნებობს. ის ჯერ კიდევ ცოცხალია და ალანი ცდილობს იარაღი ააცალოს. თან შიშობს: „А что, если он остался жив? Тогда он будет преследовать меня наяву. Для верности надо было раскроить ему череп прикладом. Так, может, вернуться назад и доделать дельце? Нет, лучше не надо“ [„იქნებ, ის ცოცხალი დარჩა? მაშინ აშკარა დევნას დამიწყებს. დასარწმუნებლად საჭიროა კონდახით გავუტეხო თავი. ხომ არ დავბრუნდე და ბოლომდე მივიყვანო საქმე? არა, საჭირო არ არის“(თარგმანი ჩვენია, კ.გ) [Тадтаев, 2010(ელექტრონული რესურსი)].

ნაწარმოების მიხედვით, ვრცელდება ინფორმაცია, რომ ცხინვალის მოედანი უკვე ქართველებმა დაიკავეს!.. ავტორი აღწერს ალანის შიშებს იმის გამო, რომ ირგვლივ უკვე ქართველები არიან. ალანი არ გარბის, ოთახშია. მალლიდან ესმის ფეხის ხმა, ჭერში ისვრის და ფიქრობს, რომ მტერი მას ელოდება, რომ განძრევისთანავე ესროლოს. ცოტა ხანში ალანი ხედავს, როგორ ეცემა იატაკს წითელი წვეთები...

ტექსტის შინაარსი ცხადყოფს, რომ ოსებსაც ისევე ეშინოდათ ქართველებისა, როგორც ქართველებს - მათი. ბუნებრივია, რადგან ომს არც ეროვნება აქვს და არც ლოგიკა, ომის „ენა“ მხოლოდ იარაღი და მტრის სიკვდილია.

ოსურ-ქართული კონფლიქტის თემას ეხება ტამერლან ტადტაევის კიდევ ერთი მოთხრობა „Отступник“ („უკან დამხვეი“). ნაწარმოების მიხედვით, ოჯახი, რომელიც კონფლიქტის დაწყებამდე საცხოვრებლად შუა აზიაში გადადის, ფულის დაგროვებისთანავე ბრუნდება ცხინვალში მიზნით, რომ შეიძინოს სახლი და სამუდამოდ დამკვიდრდეს აქ, მაგრამ მათი ჩამოსვლისთანავე სიტუაცია იძაბება. ომის დასაწყისში, ისე, როგორც ყველა, ამ ოჯახის მამაც თვლიდა, რომ ეს ყველაფერი ჩქარა

დამთავრდებოდა. მაგრამ მერე მიხვდა, რომ საქმე მეტად სერიოზულად იყო. ნაწარმოებში იკვეთება ახალგაზრდა კაცის დამოკიდებულება ომისადმი. არსებული მდგომარეობა კარნახობთ, რომ ომში უიარაღოდ ყოფნა არყოფნას უდრის; ამიტომ, ოჯახის უმცროსი შვილი იძულებული ხდება, იარაღის შესაძენად, მამის დანაზოგი ფული მის დაუკითხავად აიღოს. ამ ფაქტით შეურაცხყოფილ მამას შვილის დანახვა არ უნდა და უარს ამბობს მასზე. ომი ერთგვარი აზარტია ახალგაზრდისთვის, რომელმაც ჯერ კიდევ არ იცის, რა არის სიკვდილი... დედა, რომელსაც ბარიკადებზე უკვე ორი შვილი ჰყავს, მიდის და უმცროსს დაბრუნებას სთხოვს. ბიჭი არ ბრუნდება... უკვე იარაღიანი ახალგაზრდა ცხოვრების პირისპირ დგება და რეალობასთან თვალის გასწორება უწევს. ხედავს, როგორ მოროდითობენ თვითონ ოსები და ღამლამობით დაუცველ ოჯახებს ძარცვავენ. აღნიშნულ ფაქტზე ყურადღების გამახვილებით ავტორი ობიექტურ პოზიციას ამჟღავნებს, რაც სხვა მწერლებთან ნაკლებად შეიმჩნევა. ნაწარმოებში საყურადღებოა ის ფაქტი, რომ ეზოში მოთამაშე ბიჭებს ქართველებზე ისეთი საშინელი წარმოდგენა აქვთ, ქართველის როლი თამაშის დროსაც არ უნდათ!... „...Только грузином никто не хочет быть. Лучше быть фашистом“ [„მხოლოდ ქართველობა არავის უნდა, მაგას უჯობთ, რომ ფაშისტები იყვნენ“ (თარგმანი ჩვენია, კ.გ.)][Тадтаев, 2008,(ელექტრონული რესურსი)].

ტექსტის მიხედვით, ახალგაზრდებმა იციან, რომ იმ ქართველების მამები, რომლებიც მერხზე გვერდით ესხდნენ, ახლა მათ ძმებს და მამებს ხოცავენ. სიკვდილმა უკვე შეაბიჯა ამ ბავშვების ოჯახებში... შედარებით მოზრდილი ბიჭები იარაღის პოვნაზე ოცნებობენ, რომ შური იძიონ. ერთს სურს, მეორეს იარაღი წაართვას, მერე გაყიდოს და იმ ფულით ომის საშინელებას მოსკოვში გაექცეს, რადგან აქ მოსვლისთანავე მიხვდა, რომ ომი მისი საქმე არაა.

ნაწარმოებში საინტერესოაა წარმოჩენილი თითოეული პერსონაჟის ბუნება და ომისადმი დამოკიდებულება. სხვადასხვა ადამიანს სხვადასხვაგვარი შეხედულება აქვს ომზე; მათ ერთი რამ - ქართველების სიძულვილი აერთიანებთ... ნაწარმოების მიხედვით, „იკარუსიდან“ ბარიკადებისკენ ერთი უიარაღო ქართველი მილიციონერი ხელების ქნევით მიემართაება და ტირილით ეკითხება, თუ რისთვისაა ეს ომი საჭირო,

„ Мы же люди! Неужели не понимаете? Мы стреляем друг в друга, убиваем! Ради чего, а? Это просто невыносимо! Я не могу больше этого терпеть! Не хочу стрелять в вас! Не хочу, чтоб вы стреляли в нас! Мы же не звери, а? Посмотрите на солнце, на небо, разве мы не можем просто жить и радоваться, глядя на эту красоту?“[„ჩვენ ადამიანები ვართ! ნუთუ არ შეიძლება ეს გვესმოდეს? ჩვენ ერთმანეთს ვესვრით და ვკლავთ! მერედა, რისთვის, ჰა?! ეს, უბრალოდ, აუტანელია! მე აღარ შემიძლია ამას გავუძლო! არ მინდა, გვესროლოთ! არ მინდა, ჩვენ გვესროლოთ თქვენ! ჩვენ ხომ მხეცები არა ვართ, არა? შეხედეთ მზეს, ცას, ნუთუ არ შეგვიძლია ვიცხოვროთ და გავიხაროთ, ვუყუროთ ამ სილამაზეს?!“ (თარგმანი ჩვენია - კ.გ.) [Тадтаев, 2008(ელექტრონული რესურსი)]. ქართველი მილიციონერი იმასაც ამბობს, რომ ქართველები იძულებულნი არიან, თავისი მიწა დაიცვან. ამ შემთხვევაში ოსებს პასუხი არ აქვთ. რამდენად რეალისტი უნდა იყო მწერალი, რომ ასეთი სიზუსტით გადმოსცე ბრძოლის სურათი. მისასალმებელია მისი გამბედაობა, როდესაც აღნიშნულ ნაწარმოებში, სწორედ იმ ეპიზოდში, სადაც მეზობლი ომის საშინელებას გმობს, ორი ქართველი მილიციონერის გაბრუნებისას, რომლებმაც მშვიდობისმოყვარე მეგობარი უკან წაიყვანეს, ოსი მეომრების სურვილს ახმოვანებს: „- Эти, наверное, из личной охраны самого Гамсахурдиа, - заметил кто-то из ребят. - Не надо упускать такого случая. Убьем их, а?“ [ესენი, ნამდვილად გამსახურდიას პირადი დაცვიდან არიან, - შენიშნა ერთ-ერთმა, - ხელიდან არ უნდა გავუშვათ, ხომ არ დაგვეხოცა?!“ (თარგმანი ჩვენია - კ.გ.)] [Тадтаев, 2008,(ელექტრონული რესურსი)]. ოსებმა გადაწყვიტეს, ესროლათ მათთვის, მაგრამ მმათაგან ერთ-ერთმა თქვა, რომ არ შეუძლია ზურგში ესროლოს ვინმეს.

ავტორი არ მალავს ოსი და რუსი ეროვნების „მოროდითა“ მიერ ცხინვალის მოსახლეობის დაყაჩაღების ფაქტებს; არც ქართველი მილიციონერის შიშსა და წუხილს უაზრო ომში სიკვდილის გამო. ომმა პირფესვიანად შეცვალა მშვიდობიანი მოსახლეობის ცხოვრება. სულიერად გაბზარა და რწმენა შეურყია თაობას, რომელსაც წარმოდგენა არ ჰქონდა ომზე, მანამდე არ ენახა სისხლი, რბევა და ცეცხლი. ვერ გაარკვიეს, რა მოხდა, რატომ იქცნენ მტრებად ის ადამიანები, რომლებიც გუშინ გულში იკრავდნენ და ეფერებოდნენ; რატომ გაიმეტეს მათი მამები და ძმები თანაკლასელების

მამებმა და ძმებმა, გუშინდელი მოყვარე მტრად იქცა, გკლავს, გარბევს, გწვავს, მაგრამ ისინი თვლიან, რომ ყოველივე ამ უბედურებიდან მათ ჰყავთ მხსნელი!

ესაა „ომის ლოგიკა“, რომელიც ყველა იმ ნაწარმოებში იკითხება, რომელიც აღნიშნულ თემას ეხება.

მეთექვსმეტე საუკუნის ოსის გოგონას იმ საშინელი დღეების შთაბეჭდილებები ჩანახატში გადააქვს. ჩანახატი პირველ პირშია დაწერილი და მთელი სიზუსტით აღწერს ომის საშინელებას. ტექსტის მიხედვით, როდესაც თავზე დაექცათ ყველაფერი, სარდაფში თავშეფარებულები შიშით ძრწიან. მოულოდნელად თავს დამტყდარ უბედურებას ვერაფრით ხსნის გოგონა, რომელიც, ჩანახატის მიხედვით, იმ ღამეს, ძმასთან ერთად უყურებდა ოლიმპიადას!... ძალიან ბევრი გეგმა ჰქონდა და ოცნებობდა მომავალ არდადეგებზე, სოფელში წასვლაზე, ბინის გარემონტებაზე, სასიამოვნო თავგადასავლებზე და, უცებ - სროლები, ხმაური, და ერთადერთი გზა გადარჩენისა - სასწრაფოდ დატოვონ ქალაქი!.. ჩანახატში გადმოცემულია გოგონას განცდები თავზარსაცემი ცნობების გამო, რომ აგრესორებმა დაიკავეს მათი საგუშაგოები და დახოცეს მისიანები. გოგონა წერს, რომ ამის შემდეგ დაკარგა გონება.

ჩანახატში გოგონა წერს, რომ წარმოდგენაც კი არ შეუძლია იმისა, რომ ყველას დახოცავენ. მას სწამს, რომ სამხრეთ ოსეთი გაუსწორდება ამ მხეცებს, რომლებიც არ ინდობენ ბავშვებს, მოხუცებს და უმწეო ქალებს. ფიქრობს, რომ ეს არავითარ შემთხვევაში არ მოხდება, რადგან რუსეთი განსაცდელში არ დატოვებს თავის მოქალაქეებს... გოგონასთვის ერთადერთი სასიხარულო ცნობა, თუ შეიძლებოდა იმ მდგომარეობაში სიხარულად რამ ჩათვლილიყო, ეს იყო ცნობა რუსის ჯარის გამოჩენისა. იგი წერს, რომ ამ ფაქტის გამო, ზოგი სიხარულით ტიროდა. მოვიდნენ ჩვენი მხსნელი რუსებიო, ამბობს პატარა გოგონა, რადგან არ იცის, რომ სწორედ მათი „წყალობით“ ჩახედა სიკვდილს თვალებში, მათი მიზეზით დაკარგა უახლოესი მეგობრები და რწმენა, რომელიც, ვიმედოვნებთ, ადრე თუ გვიან, სიმართლის შეცნობასთან ერთად, დაუბრუნდება.

ჩანახატის მიხედვით, ცხინვალიდან რუსის ჯარს ჯავის მიმართულებით გაჰყავს მოსახლეობა. ბავშვებმა ყველა იარაღის სახელი ისწავლეს; მათი საუბრის თემა ახლა ომია. ორი კვირის შემდეგ, უკან დაბრუნებულებს დახვდათ დანგრეული ცხინვალი და გაჩნდა შიში იმისა, თუ სად და როგორ უნდა ეცხოვრათ. გოგონას აზრით, დასრულებული ომი არ ნიშნავს მშვიდობას. დაბრუნებას არ მოაქვს სიმშვიდე: „**Приехав я не почувствовала ничего: ни страха, ни боли, ни радости, что вернулась домой. В моей душе было пусто, никаких чувств, ощущений**“ [„დავბრუნდით, მაგრამ ვერაფერს ვგრძნობდი: ვერც შიშს, ვერც ტკივილს, ვერანაირ სიხარულს შინ დაბრუნებისა. ჩემი სული იყო ცარიელი, არანაირი გრძნობა და შეგრძნება!“ (თარგმანი ჩვენია - კ.გ.) [Медеева, 2008(ელექტრონული რესურსი)].

ჩანახატში საინტერესოაა გადმოცემული პირველი სექტემბერის მოახლოებასთან დაკავშირებული განცდები. გოგონას უხარია თანაკლასელების ნახვა, ულოცავენ ერთმანეთს სიცოცხლეს, მაგრამ რატომღაც, იგი არაფერს სწერს იმ ქართველი მეგობრების მონატრებაზე, რომლებიც ახლა მათ გვერდით უნდა მსხდარიყვნენ... არ ფიქრობს მათზე, როგორც ბუდეშობილ ბავშვებზე, რომლებმაც ყველაფერი დაკარგეს...

ტრავმირებული გოგონა კი არა, აღნიშნული ომის წარმომშობ მიზეზებში ბევრად უფრო გაცნობიერებული ადამიანებიც სთვლიან და სჯერათ, რომ ქართველმა ერმა მათ „გენოციდი“ მოუწყო... გოგონა თავისი ცხოვრების უსაშინლეს ზაფხულად მიიჩნევს პერიოდს, რომელიც ზოგისთვის უკანასკნელიც აღმოჩნდა. გოგონას სურს, რომ ვინც არ იცის, რა არის ომი, დაე, მხოლოდ წიგნებიდან იცოდნენ მასზე. ვინც ნახა, მათ მზიან და მშვიდობიან ცხოვრებას უსურვებს... მტკივნეულია, რომ, გოგონას შეხედულებით, მათთვის ქართველებზე საშიში მტერი არ არსებობს!...

„ქართველების მიერ მოწყობილ გენოციდზე“, ომის შედეგად მიღებულ ტრავმაზე წერს კიდევ ერთი სკოლის მოსწავლე, მეცხრეკლასელი ლიზა ტასოევა. ლექსის მიხედვით, მისთვის ასეთი საშინელება უცხოა. იწვის ქალაქი, ეჩვენება, რომ დედამიწა კანკალებს, დაუნდობელი ადამიანების ხელით იღუპებიან მისი თანამოქალაქენი. მხოლოდ ერთადერთი იმედი რჩება - რუსები იხსნიან და აი, ისინიც გამოჩნდნენ: „**Россия привыла**

на помощь. Вдохнула Родина-земля. Фашисты смылись очень быстро и люди вышли изо тьмы...” („რუსეთი მოვიდა დასახმარებლად და აოხრებისგან იხსნა მიწა-მშობელი. ფაშისტები სწრაფად აორთქლდნენ და ხალხი გამოვიდა წყვდიადიდან“). (თარგმანი ჩვენია კ.გ.) [Тасоева, 21.02.2009(ელექტრონული რესურსი)]. მტკივნეული მოსასმენია სიტყვა „ფაშისტი“. ომის ბინძური პოლიტიკის შედეგი სახეზეა: პატარა გოგონამ იცის, რომ ომია. მის ახლობლებს ავიწროებენ და კლავენ ქართველები! მაშ, რა სახელი მოუძებნოს მათ?!...მხოლოდ ის იცის, რომ მისი რწმენა და სიმშვიდე ქართველების ხელით დასამარდა.

„ომი საერთაშორისო პოლიტიკის უმთავრესი პრობლემაა. ნებისმიერი დონის პოლიტიკის ყველაზე დიდი მარცხი გამოიხატება მის უუნარობაში, თავიდან აიცილოს სხვადასხვა ფორმის შეიარაღებული კონფლიქტი“ [ბერდია, 2012(ელექტრონული რესურსი)]. სამწუხაროდ, ვერ ავიცილეთ, უსისხლოდ ვერ მოგვარდა; როგორ ავუხსნათ მეცხრეკლასელ გოგონას, რომ ჩვენ, ორივე მხარე, ნაკლებად ვართ დამნაშავენი, რაც მოხდა?!

დრო ყველაფერს ახსნის, მაგრამ დროითი დისტანციაც ხომ დროს ითხოვს!...

ლიზა ტასოევას ლექსი სრულდება სურვილით: „**Дай Бог, чтоб больше никогда не повторилась та война**“ („ღმერთმა ქნას, რომ აღარასოდეს გამეორებულიყოს ომი). (თარგმანი ჩვენია, კ.გ.) [Тасоева,2009 (ელექტრონული რესურსი)].

„პირველმა ადამიანმა, რომელმაც შემოღობა მიწის ნაკვეთი, გონებაში ჩაიბეჭდა, რომ ` ეს მისია“ და იპოვა ადამიანები, რომლებიც იმდენად სულელები აღმოჩნდნენ, რომ ეს დაიჯერეს, იყო სამოქალაქო საზოგადოების ჭეშმარიტი ფუძემდებელი. რამდენ დანაშაულს, ომს, მკვლელობასა და საშინელებას ასცდებოდა კაცობრიობა, ვინმეს რომ დაეყვირა: ნუ უსმენთ ამ მატყუარას, ინანებთ, თუ დაივიწყებთ, რომ ნაყოფი ყველასია, ხოლო მიწა - საერთო“ [ბერდია,2012(ელექტრონული რესურსი)].

ოსი ეროვნების ავტორების შემოქმედებაში ხშირად ფიგურირებს სიტყვა „ფაშისტი“. ეს სიტყვა „ქართველთან“ ასოცირდება, უდიდეს ტკივილს გრძნობ. ჩვენ

ბევრი რამ გვაკავშირებს ერთმანეთთან: რწმენა, ენა, რომელიც მშობლიურივით ჰქონდათ გათავისებული, მიწა, რომელზეც მათი არსებობით არავინ შეწუხებულა, შვილები, რომლებიც ოსთა და ქართველთა შეუღლების ნაყოფს წარმოადგენენ და მამ, რაღა გვექონია გასაყოფი?! ხელისუფლების მხრიდან გონიერებისა და დიპლომატიის დეფიციტმა ჩამტვრია ის ხიდი, რომელზეც ჩვენ, უბრალო ადამიანები, ერთმანეთს ვხვდებოდით, ჭირსა და ლხინს ვიზიარებდით და ვერასოდეს ვიფიქრებდით, რომ მესამე ძალის ჩარევით მოსისხლე მტრებად გადავიქცეოდით. ჩვენი აზრით, ამაზე დიდი დაფიქრებაა საჭირო.

„**Любимый мой город**“ („ჩემი საყვარელი ქალაქი“) - ასე ეწოდება 2008 წლის 15 აგვისტოს დაწერილ ალ. ჩეხოვის ლექსს. ეპიგრაფში რომ ეძღვნება 2008 წელს ქართველი სამხედროებისაგან დანგრეულ ცხინვალს. ალ. ჩეხოვი თანამედროვე პოეტია, რომლის შემოქმედებითი მოღვაწეობის შესახებ მწირი ინფორმაცია გაგვაჩნია. ლექსის შინაარსის მიხედვით, ავტორი დასტირის ჩექმით გათელილი ქალაქის სილამაზეს, დაცარიელებულ უბნებს, სკოლებს... და აქაც, როგორც სხვა ოსი ეროვნების ავტორთა ტექსტებში, ერთადერთი „მხსნელი“ **რუსეთია: „Мой бедный город, не в боге ли сила ?что было б с тобой , не позвав он Россию?“** („ჩემო უბედურო ქალაქო, ძალა ღვთისაა! რა გეშველებოდა, რუსეთი რომ არ მოგვეშველებოდა?“ (თარგმანი ჩვენია, კ.გ.) [Чехов, 2008 (ელექტრონული რესურსი)].

ჩვენი მოკრძალებული შეხედულებით, შემოქმედი ობიექტურად უნდა აფასებდეს მოვლენებს. „ოსები საქართველოში, შიდა ქართლში მეჩვიდმეტე საუკუნის შემდეგ იწყებენ დამკვიდრებას, როგორც მაჩაბლის უუფლებო ყმები. მათ არც არაფერი ეკუთვნოდათ და არც არაფრის უფლება ჰქონდათ და არც არაფერი ეკითხებოდათ, ბატონყმობის გაუქმებამდე, ე.ი., XIX საუკუნის 60-იან წლებამდე. ამის შემდეგ ფეხი აიდგეს, მომრავლდნენ და ძაალადობასაც მიმართეს. სისხლით მოირწყა იმ შიდა ქართლის სანახები, ბოლშევიკებმა რომ „სამხრეთ ოსეთად“ მონათლეს... ჯაყომ იმძლავრა ქართველთა მიწაზე“... [შატაკიშვილი, 2012 (ელექტრონული რესურსი)].

„И землю залитую кровью от нелюдей освободим“ - ეს სიტყვები ოს პოეტს, დავით გაზაათს ეკუთვნის. ტექსტის მიხედვით მასაც აწუხებს ცეცხლში გახვეული ქალაქის

ხილვა, ტყვიით განგმირული მოხუცები და ბავშვები. იკითხება განცდა იმისა, რომ ოს ახალგზრდებს ისევ იარაღით უწევთ თავისუფლების დაცვა. ავტორი ერთ კონკრეტულ ჩინოვნიკს აკისრებს პასუხისმგებლობას იმ უბედურებაზე, რაც მის ოცნების ქალაქს დაატყდა: „**И снова во власти грузинской фашисткий падонок сидит**“ („და ქართველთა ხელისუფლად ისევ ფაშისტის ზის“)(თარგმანი ჩვენია.კ.გ.) [Газаати, 2008(ელექტრონული რესურსი)]. აღსანიშნავია, რომ ამ თვალსაზრისს ჩვენ მიერ გაანალიზებულ ტექსტებში მხოლოდ დავით გაზაათთან ვხვდებით.

ავტორი, რომელიც ქართველებთან მშვიდობიანი თანაცხოვრებისა და ურთიერთობის დაკარგვის ტკივილზე წერს, ცხინვალელი პოეტი, რუსეთის ჟურნალისტთა და მწერალთა კავშირის წევრი, **თენგიზ დოგუზოვია**. იგი ჟურნალისტის მისიით მონაწილეობდა ცხინვალისა და აფხაზეთის ომებში; მშობლიური სოფლის დასაცავად ხელში იარაღიც ეჭირა... „**Он активно участвовал и участвует в общественно-политической жизни Осетии**“ („ის აქტიურად მონაწილეობდა და მონაწილეობს ოსეთის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში“).(თარგმანი ჩვენია კ.გ.) [Цгоев, 2013(ელექტრონული მისამართი)].

„Недобрые соседи“(„ბოროტი მეზობლები“) - ასე ეწოდება თენგიზ დოგუზოვის ლექსს, რომელიც იწყება სინანულით, რომ ჩვენ შორის შავმა კატამ გადაირბინა და გაგვთიშა. ავტორი წუხს, მაგრამ რას და ვის მიიჩნევს შავ კატად, ამას არ ხსნის. იგი წერს, რომ დღემდე ჩაესმის გოდების ხმები. ტექსტში სინანული იცვლება მუქარით: ხელის გაწვდენაზეა უბედურება, მაგრამ ერთხელ თუ გაიღვიძა ნართების სისხლმა, მერე მათ (მტერს) ვერაფერი უშველით!... „**В синем океане не бывают счастливыми злом груженных кораблей пути**“ („ლურჯ ოკეანეში არ შეიძლება ბედნიერი გზები ჰქონდეთ ბოროტებით დატვირთულ გემებს“).(თარგმანი ჩვენია კ.გ.) [Догузов, 2013(ელექტრონული რესურსი)].

ლექსის შინაარსი და ინტონაცია დამაფიქრებელია. თუმცა, ვთვლით, რომ დრო მოვა, ჩვენ შევძლებთ ისევ მეგობრული ურთიერთობების დამყარებას, დაერქმევა ყველაფერს თავისი სახელი. ვფიქრობთ, მოაზროვნე ადამიანებს მეტი მოეთხოვებათ; ობიექტურად უნდა შეფასდეს მოვლენები, რათა, უნებურად, ხელისშემწყობი არ

აღმოჩნდა გათიშვისა და სიძულვილისა. ჩვენი შეხედულებით, შემოქმედის მოვალეობა სიყვარულის თესლის გაღვივებაა.

მრისხანებითაა გაჟღენთილი ოსი ავტორის, **ლანა ძუკაევა**ს ლექსი „**Мой Иристон**“ („ჩემი ირისტონი“), რომელიც 2009 წელშია გამოქვეყნებული; 2008 წლის აგვისტოს ომიდან ერთი წლის შემდეგ. ლექსში ავტორი სამყაროს მიმართავს: გესმით, ადამიანებო, გლოვის ხმა?! ეს ოსეთიდან მოდის!... მისი სიტყვებით, დიდი უბედურება შეიქრა მათ სახლებში, რომლებსაც მარცვავენ და წვავენ!... ძუკაევა აღმფოთებულია მტრის მოქმედებით, რადგან თვითონ არავის სახლში არ შეჭრილან, ისინი მხოლოდ მოხუცებს და ბავშვებს იცავდნენ ფაშისტი მტრისაგან... ტექსტი იკითხება ერის ტრაგიზმი: გესმით დედების მოთქმა? ისინი დაკარგულ შვილებს ტირიან... „**Их истерзали до смерти грузины, только за то что они - осетины**“ („ისინი სიკვდილით დასაჯეს ქართველებმა, მხოლოდ იმიტომ, რომ ოსები არიან“) (თარგმანი ჩვენია) [Дзукаева, 2009(ელექტრონული მისამართი)].

საუკეთესო მასპინძლობისთვის რომ ასეთ „მადლობას“ მოისმენ, მტკივნეულია. ისტორიული ფაქტები ცხადყოფს, რომ საქართველო ისეთი მასპინძელი გამოდგა, მოსული ვეღარ არკვევდა, მათ შორის რომელი იყო სტუმარი და რომელი - მასპინძელი [„სტუმარს არათუ პატვი ვეცით, აქ ყველა მასპინძელივით ცხოვრობსო“, წერდა მურმან ლებანიძე]. ეთნიკური ნიშნით ადამიანთა შევიწროება უცხო იყო საქართველოსთვის. 2008 წლის ომის მიზეზი ეს არ ყოფილა. ამ ომმა კიდევ ერთხელ შეცვალა საზღვრები; კიდევ ერთხელ დაგვკარგვინა ახალგაზრდები და ბუდეაშლილნი საკუთარ სამშობლოში ლტოლვილებად აქცია.

ცხინვალელი საბავშვო პოეტი, ეკატერინე ჯიოევა, რომლის შემოქმედებასაც თითქმის ყველა ოსი ბავშვი იცნობს, გულნატკენია მომხდარით. იგი მხატვრული ხერხებით გადმოგვცემს ცხინვალის მონატრებას, არ ავიწყდება ის წუთები, როცა მის ქალაქს ესროდნენ, წვავენ. დაუვიწყარ ბიჭებს, „არწივებს“ უწოდებს მათ, ვინც უიარაღოდ ებრძოდა ტანკებს. იგი თვლის, რომ მათმა ასეთმა თავდადებამ ალანების დროშა მაღლა ააფრიალა. პოეტის შეხედულებით, ეს იმიტომ მოხდა, რომ მთელ მსოფლიოს დაენახა, რაოდენ ძვირფასი იყო ოსეთისთვის თავისუფლება.

ოსი ეროვნების ახალგაზრდა ავტორებისაგან განსხვავებით, ეკატერინე ჯიოევას ცხოვრების დიდი სკოლა აქვს გავლილი და, ჩვენი აზრით, სწორედ ესაა მიზეზი იმისა, რომ ქართველებს „ფაშისტებად“ არ იხსენიებს. „В этом году Кате Джигоевой исполнилось 90 лет, и она все еще продолжает творить»(„წელს კატია ჯიოევას 90 წელი შეუსრულდა და ის კვლავ განაგრძობს შემოქმედებით საქმიანობას“) (თარგმანი ჩვენია კ.გ). [Валиева, 2017 (ელექტრონული რესურსი)]. ასაკიდან გამომდინარე, ბუნებრივია, რომ მას ქართველებთან თანაცხოვრების ხანგრძლივი ისტორია აქვს და სწორედ ესაა მიზეზი, რომ ლექსში ქართველებთან ძმურ დამოკიდებულებაზე საუბრობს. თუმცა, იმასაც ამბობს, რომ, აწმყოსგან გულნატკენს, წარსულის გახსენებაც არ უნდა.

არც ერთი პოეტი არ სვამს კითხვას „რატომ?!“

ეკატერინა ჯიოევა ფიქრობს, რომ, რამდენი წელიც უნდა გავიდეს, წარსული არ დაავიწყდება: „я не забуду никогда, и сыну расскажу, конечно...“(მე არასოდეს დამავიწყდება და, რა თქმა უნდა, შვილებსაც მოვუყვები). [Джигоева, 2009 (ელექტრონული რესურსი)]. ვფიქრობთ, ადამიანებს საკუთარი ანარეკლი გვაშინებს; შთამომავლობამდე გადაფასებული და გაანალიზებული წარსულის მიტანაა საჭირო.

ქართველების „დაუნდობელ“ ბუნებაზე წერს კიდევ ერთი ცხინვალელი ავტორი ედვარდ ვართანოვი. ტექსტის მიხედვით, იგი დიდ დანაშაულად მიიჩნევს მეზობელ ხალხის გენოციდის მოწყობას. იგი თვლის, რომ საქართველოს პრეზიდენტის ამბიციებს შეეწირა მშვიდობიანი მოსახლეობა; ვართანოვი მხატვრული ხერხების გამოყენებით აღწერს ცხინვალის ომამდელ მდგომარეობას. მას სტკივა მშვიდ სიზმრებში გახვეული ქალაქის მოსალოდნელი საფრთხე, იქ ხომ არავინ არაფერი იცოდა „სააკაშვილის გადაწყვეტილების შესახებ, რომ ცხინვალი მიწასთან უნდა გაესწორებინათ!“... ვართანოვი თვლის, რომ სააკაშვილის სურვილი „კომბლით ისტორიის დაწერა“ იყო. მას უკვირს, რატომ დაივიწყეს „გიორგიევსკის ტრაქტატი“ ქართველებმა?! იგი მიმართავს მათ და ახსენებს, რომ საქართველო რუსეთმა გადაარჩინა გენოციდს!.. ნაწარმოებში იკითხება „წუხილი“ იმის გამო, რომ იგი ძალიან შეცდა ქართველებში!... „А Сакартвело я не узнаю: казалось мне - она страна поэтов, Где славят в песнях Родину свою, И пьют вино за всех людей планеты“ („საქართველო კი მე არ მცნობია: მეჩვენებოდა, რომ ეს იყო

პოეტების ქვეყანა, სადაც სიმღერებით ადიდებენ თავის ქვეყანას და სვამენ ღვინოს პლანეტის ყველა ადამიანის სადღეგრძელებლად“)(თარგმანი ჩვენია კ.გ.) [Вартанов, 2011(ელექტრონული რესურსი)].

ომგადატანილი ქალაქის ერთ-ერთმა თვითმხილველმა მწერალმა რომ ეს სიტყვები დაწეროს, რა გასაკვირია! დაე, მოეჩვენოს, რომ საქართველო ისეთი არ აღმოჩნდა, როგორც ეგონა, მაგრამ უნდა იცოდნენ, რომ საქართველოში, განსაკუთრებით, გორში, მშვიდობის სადღეგრძელოს რომ სვამენ, ტირიან ცხინვალიდან ლტოლვილი ქართველი ბიჭები... როგორ ფიქრობთ, მხოლოდ დაკარგული სახლ-კარი და დაფანტული ახლობლები იწვევს მათში მსგავს ემოციებს?! ისინი ოს მეგობრებთან, მეზობლებთან, თანამშრომლებთან, თანაკლასელებსა და თუნდაც ოჯახის ოსი ეროვნების წევრებთან არეულ ურთიერთობას ვერ შეჰგუებიან - ნოსტალგია აქვთ იმ თბილი ურთიერთობისა, რომელიც ბროლივით დაამსხვრია პოლიტიკამ.

მერაბ ზასსეტის ლექსის მიხედვით, საუკუნეების მანძილზე სხვათა წარმატებისთვის იბრძოდნენ ალანები, თუმცა ბრძოლა და გმირობა მათგან ისწავლეს გერმანელებმა, სკანდინავიელებმა. მათ დროშას ჩირქი არასოდეს არ მოსცხებია, მაგრამ, სამწუხაროდ, სულ ტყუილად, სხვათა სასარგებლოდ იხარჯებოდნენ. ავტორი აღიარებს, რომ მხოლოდ და მხოლოდ კავკასიაში დამკვიდრების შემდეგ წარიმართა მათი ძალები საკუთარი მყოფადობისთვის. თუმცა, იმასაც დასძენს, რომ მათ შორის ძალათა თანაფარდობა არ არსებობდა. კიდევ ერთი ბრალდება, რაც ამ ლექსში ქართველების მიმართაა გაჟღერებული, ისტორიის შეცვლა და ცარიელი ფურცლიდან არსებობის დაწყების სიძნელეებია. **„Коварства полные грузины с камней стесали письма, явились миру осетины еще народ, но не страна“** („მზაკვრობით სავსე ქართველებმა ასოები ქვათაგან წაშალეს, ოსები სამყაროს მოველინენ როგორც ხალხი და არა როგორც ქვეყანა“).(თარგმანი ჩვენია კ.გ.) [Засеты, 2011(ელექტრონული რესურსი)]. ავტორი გულისტკივილს გამოთქვამს იმის გამო, რომ ქართველებმა ისინი ველურებად წარმოჩინეს და ეცადნენ, მათში ამაყი სული ჩაეკლათ. აქვე დასძენს, რომ რადგან მათში ალანების სისხლი ჩქეფს, მათ დამკვიდრებას ხელს ვეღარ შეუშლიან ისინი. ავტორი იმედოვნებს, რომ მიუხედავად „ქართველთა ვერაგული გეგმებისა“, ისინი მაინც იარსებებენ.

ავტორი იმასაც ხაზგასმით აღნიშნავს, რომ საუკუნეების მანძილზე სხვათა დიდებისთვის ბრძოლებში დაღლილი ხალხი, სულიერ და ფიზიკურ სიმშვიდეს მხოლოდ კავკასიაში დამკვიდრების შემდგომ ჰპოვებს; მხოლოდ აქ არავინ სთხოვთ, იბრძოლონ სხვისთვის და საკუთარი სახე დაკარგონ... ფაქტი თავისთავად მეტყველებს ყველაფერზე...

ოსი ავტორები თავისი ხალხის ტკივილზე, გმირულ შემართებაზე წერენ. ოსი ახალგაზრდის თავგანწირვაზე მოგვითხრობს მერაბ ზასსეტის ლექსი „Ангелы Бессмертия“, რომელიც 2008 წლის 10 აგვისტოსაა დაწერილი. ლექსის თემა 2008 წლის აგვისტოს ომია. ავტორი აღწერს, რომ ცხინვალის ცეცხლშია გახვეული; ერთადერთი მხსნელი ნესტიანი სარდაფებია. აღწერს ქუჩაში მიმავალ თვალანთებულ ყმაწვილს, რომელსაც არც გაბოროტება ემჩნევა და არც აგრესია. ტანკებქვეშ ძვლების მსხვრევის ხმა ისმის, ის კი უშიშრად მიაბიჯებს: **„кричали ему, что он молод для смерти,- рыдала в отчаянье мать“** („ემახდნენ მას, რომ ახალგაზრდა იყო სიკვდილისთვის, ქვითინებდა სასოწარკვეთილი დედა“)(თარგმანი ჩვენია კ.გ) [Засеты 2011(ელექტრონული რესურსი)].

ავტორი ხოტბას ასხამს გუშინდელი მოსწავლის მამაცურ სიკვდილს და, მასთან ერთად, ყველა დაღუპულ, „ალანური სისხლის“ მეომარს. **„Грянет свобода и сбудутся грёзы Взойдёт над Цхинвалом заря. Розы взойдут на могилах как слёзы Об ангелах память храня..“** („დაიქუხებს თავისუფლება და ახდება ოცნებები. ცხინვალისთვისაც გათენდება და დადგება განთიადი. საფლავებზე, ანგელოზების უკვდავსაყოფად, ცრემლებივით ამოვა ვარდები“). [Засеты, 2011(ელექტრონული რესურსი)].

მართლაც უსაზღვროა მწუხარება ყოველივე იმის გამო, რაც ჩვენ შორის მესამე ძალის ჩარევით მოხდა. სამწუხაროა, რომ ვერ ხედავენ, ან არ უნდათ დაინახონ ის ხელი, რომელმაც სისხლისღვრისკენ უბიძგა, განსაცდელისთვის გაიმეტა ისინი!...

„Он обещал мне вернуться“ („ის მე დამპირდა დაბრუნებას“) - ასე ეწოდება ალენა დოგუზოვას ლირიკული ხასიათის ლექსი, რომელიც არდაბრუნების სინანულითაა სავსე. ლექსი დაწერილია 2008 წლის რვა აგვისტოს და, ბუნებრივია, მისი თემა აგვისტოს ომია. ლექსის შინაარსიდან გამომდინარე, ბრძოლის ველზე დაცემულ

ახალგაზრდას ნატყვიარიდან მოსჩქევს სისხლი; გარდაუვალია სიკვდილი. ტყვიების სტვენა-სტვენით ცელავენ და ამცირებენ მეგობართა რიგებს. ლექსში გადმოცემულია ახალგაზრდა მეომრის განცდები. ენაზეა სიცოცხლე, მაგრამ იცის, მომავალი თაობების ბედნიერებისთვისაა საჭირო ეს სიკვდილი. გამოთქვამს სინანულს, რომ ვერ შეასრულა დაბრუნების პირობა. „Я обещал тебе вернуться... Ты верила и так ждала, Писала мне, молила бога... А я не смог... прости меня!“... („მე დაგპირდი, რომ დავბრუნდებოდი... შენ დამიჯერე და მელოდი, მწერდი, ღმერთს ევედრებოდი... მაგრამ მე ვერ შევძელი... მაპატიე!“)(თარგმანი ჩვენია კ.გ). [Догузова, 2013(ელექტრონული რესურსი)].

ამავე ავტორის პატარა, უსათაურო ლექსში ცხინვალსა და მისთვის თავგანწირულ ადამიანებზეა საუბარი. ავტორი ხოტბას ასხამს ცხინვალს, წერს თუ როგორ ჰყვავიან აქ, თებერვალშიც კი, ხეები. იგი უკვე თავისუფალს უწოდებს მიწას, სადაც, ალანებთან და სკვითებთან ერთად, გასული საუკუნეების ლეგენდებსა და ზღაპრებს სძინავთ... ავტორი თანაუგრძნობს ქვრივებს და ობლებს, რომლებიც მუდამ ფხიზლობენ, რადგან არ უშუშდებათ იარები... ლექსი სრულდება მიმართვით: „Я с тобой, Цхинвал, я такой не один, В каждом русском живет его брат - осетин!...(„მე შენთან ვარ, ცხინვალო, მე არ ვარ ერთადერთი, ყოველ რუსში ცხოვრობს მისი ძმა - ოსი!“ (თარგმანი ჩვენია კ.გ). [Догузова , 2013(ელექტრონული რესურსი)].

„სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის“ შექმნით რუსეთს ყოველთვის შეეძლო ზეწოლა მოეხდინა საქართველოზე, რამაც შესანიშნავად „გაამართლა“ 70 წლის შემდეგაც კი, დამოუკიდებელი საქართველოს არსებობის პირობებში. რუსეთის რეაქციული ძალების მხარდაჭერით ოსმა სეპარატისტებმა შუაგულ საქართველოში, შიდა ქართლში, გამოაცხადეს „სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებელი, სუვერენული რესპუბლიკა“. ოსი ხალხისათვის საკმაოდ დიდმა, ჯანსაღმა ნაწილმა მაშინვე იგრძნო და დაგმო ერთი მუჭა ოსი სეპარატისტების ყოვლად უაზრო და დაუფიქრებელი მოქმედება. საქვეყნოდ ცნობილმა ოსმა მეცნიერმა ვ. აბაევმა, რომელიც მოსკოვში მოღვაწეობდა, გამოაქვეყნა სტატია „სამხრეთ ოსეთის ტრაგედია“. მან ისტორიულ რეალობაზე დაყრდნობით ობიექტურად შეაფასა 1990-იანი წლების დასაწყისში „სამხრეთ ოსეთში“ მიმდინარე პროცესები. იგი აღნიშნავდა: „მინდა ვიყო ობიექტური

და გავარკვიო, იყო თუ არა ოსების მხრიდან რაიმე ნაჩქარევი, მოუფიქრებელი მოქმედებები, რომლებმაც პროვოკაციის მოწყობით გაამწვავეს დაპირისპირება და უნდა გამოვტყდე, რომ ასეთი მოქმედებები იყო. მხედველობაში მაქვს სუვერენიტეტის გამოცხადება, რომელიც მთლიანად ორიენტირებული იყო მოსკოვზე, პერსპექტივაში სამხრეთი და ჩრდილოეთი ოსეთის გაერთიანებით. სამხრეთელი ოსების მისწრაფება თავის ჩრდილოელი თვისტომებისაკენ ადამიანურად გასაგებია, მაგრამ გეოპოლიტიკური პლანით ეს შეცდომაა. კავკასიის მთავარი ქედი ბუნებრივი საზღვარია საქართველოსა და ოსეთს შორის, და ამ საზღვრის მოშლის ყოველგვარი მცდელობა გამოიწვევს პერმანენტულ კონფლიქტურ მდგომარეობას ქართველებსა და ოსებს შორის. იმისათვის, რომ აღვადგინოთ ტრადიციული მეგობრული ურთიერთობები ორ ხალხს შორის, უპირველეს ყოვლისა, საჭიროა დავამთავროთ საუბარი საქართველოდან სამხრეთ ოსეთის გამოყოფის შესახებ. საქართველოს არც ერთი ხელისუფლება ამას არასოდეს შეურიგდება და მართალიც იქნება”. მისივე აზრით, სამხრეთ ოსეთი უნდა გათავისუფლდეს ბუტაფორული “სუვერენიტეტისაგან” [თოთაძე, 2008 (ელექტრონული რესურსი)].

ოსი ეროვნების მოაზროვნეთა უმეტესი ნაწილი ასე თვლის, თუმცა, სამწუხაროდ, ოსურ ლიტერატურაში მსგავსს ვერაფერს ვხვდებით.

მერაბ ზასსეტის ლექსი „В добрый путь“ („კეთილ გზაზე“), რომელიც 2009 წლის 29 დეკემბერსაა დაწერილი, რუსეთისადმი, კერძოდ, მედვედევისადმი დიდ სამადლობელს წარმოადგენს: **„Это он совершил исторический шаг, Он расширил России влияние“** („ეს მან გადადგა ისტორიული ნაბიჯი, მან გააფართოვა რუსეთის გავლენები“). (თარგმანი ჩვენია ვ.გ). [Засеты, 2011 (ელექტრონული რესურსი)].

სიფრთხილე გვმართებს, რომ შემრიგებლური პოლიტიკის ნაცვლად, ჩვენდა უნებურად, გამაღიზიანებლის როლი არ ვითამაშოთ. თუმცა, ქართველი ხალხის ოსების გენოციდში დადანაშაულება წარმოუდგენელია.

1992 წელს პრიგოროდნში ინგუშების სასაკლაო თავად ოსებმა მოაწყვეს.

„1992 წლის ინგუში ხალხის გენოციდის შედეგად, რომელიც ოსურმა ბანდ ფორმირებებმა, კერძოდ კი, ეროვნულმა გვარდიამ და სახალხო რაზმელებმა მოაწყვეს,

დაიღუპა 400-ზე მეტი მშვიდობიანი მოქალაქე, დაახლოებით 200-მდე დღესაც უგზოუკვლოდ დაკარგულად ითვლება, დაინგრა ინგუშების 4 ათასადე საცხოვრებელი სახლი, 60 ათასამდე ინგუში ეროვნების ადამიანი გაძევებული იქნა თავის ისტორიული სამშობლოდან, ხოლო მათი ქონება დაიტაცეს რუს ჯარისკაცებს ამოფარებულმა ოსმა მოროდორებმა“ [აბულაშვილი, 2010 (ელექტრონული რესურსი)].

ქართველებმა უყოყმანოდ დაუთმეს ინგუშებს ის ტერიტორიები, რომელიც 1944 წელს, სტალინმა მათ იძულებით დაატოვებინა. „ინგუშების გენოციდში მონაწილეობდა 38 ათასიანი ოსური შეიარაღებული ძალები – „გვარდია“ (მათ შორის 6 ათასი ე.წ. „სამხრეთ ოსეთიდან“). როგორც საქართველოში – სამაჩაბლოსა და აფხაზეთში – საბრძოლო ოპერაციებს ატარებენ ე. წ. „რუსი სამშვიდობოები“, ხოლო მათ უკან მიჰყვებოდნენ ოსი „ბოევიკები“ – რომლებიც უიარალო ადამიანებს ხვრეტდნენ” [შავლეგო, 2006(ელექტრონული რესურსი)].

გასულ საუკუნეში კავკასიაში მოგზაურობისას უფროს ალექსანდრე დიუმას უნახავს კავკასიის კალთებზე მობინადრე ოსები და ასე დაუხასიათებია ისინი: „ოსები, რომლებიც ბინადრობენ საქართველოს სამხედრო გზის მახლობლად, აკეთებენ ბევრ ფულს, მაგრამ არიან მფლანგველები, მოთამაშენი და ლოთები, ამიტომ ყოველთვის ცუდად აცვიათ, ან, უფრორე, სულაც არ აცვიათ. ისინი მიწურებში, დანგრეულ კომპეებში ცხოვრობენ და მთელ თავიანთ შემოსავალს ხარჯავენ თამბაქოსა და არაყზე. ძნელია მათ შორის მდიდრისა და ღარიბის გარჩევა, რადგან ყველას ერთნაირად ცუდად აცვიათ. ოსები, როგორც ინგუშები თამარ მეფის დროს, ქრისტიანები იყვნენ, მაგრამ დღეს თვითონაც არ იციან, რა რწმენისანი არიან. მთელ დედამიწაზე ოკეანიისა და შიდა აფრიკის წარმართებს შორისაც ვერ იპოვნი ველური იდეების და გაუგებარი რწმენის ასეთ ნაზავს“ [დიუმა, 2009 :358].

XIX საუკუნის ცნობილი საზოგადო მოღვაწე ს. მაგლობლიშვილი იგონებს: „ლევთა თარეში რა მოსატანია, ან რა შესადარებელია ოსთა თარეშობასთან. ოსები ყველა თავად მაჩაბლებისა და ერისთავების ყმები იყვნენ, შემდეგ და შემდეგ, როცა გამრავლდნენ, სხვადასხვა თავადთა და აზნაურთა მამულებში გაიხიზნენ და მოედვნენ თითქმის მთელს ქართლის მთა-ტყეებსა... ოსები მთა-ტყეებში ცხოვრობდნენ; სახნავ-სათესი არ

ჰქონდათ... ოსების ნაწილი ქურდობა-ავაზაკობას მისდევდა. დაირღვა მყუდროება სოფლისა, ლეკს მორჩნენ და ოსებმა უარესი დღე დააყენეს” [თოთაძე,2008(ელექტრონული რესურსი)].

ამ ბოროტების აღმოსაფხვრელად რუსი გენერლები გადაუდებელ საჭიროებად თვლიდნენ შესაბამისი ღონისძიებების გატარებას. გენერალი ტორმასოვი 1809 წელს, ავაზაკობისათვის, ხუთ ოსს უსჯის სიკვდილს ჩამოხრჩობით. უფრო მოგვიანებით, 1824 წელს, გენერალი ხონევი უპატაკებს გენერალ ერმოლოვს: „იმისათვის, რომ შეწყდეს ქართველებზე თავდასხმები და მათი მარცვა-გლეჯა ოსების მხრიდან, ქართლის მცხოვრებთ უნდა მივცეთ საშუალება, დაიცვან თავი მძარცველებისაგან იარაღით, ისე როგორც კახეთის მცხოვრებნი იცავენ თავს ლეკებისაგან. ამიტომ ქართველს მძარცველის მკვლელობისათვის კანონის წესით დევნას ნუ დავუწყებთ. ჩავაგონოთ როგორც მემამულეებს, ასევე ქართლის მცხოვრებლებს, რომ ისინი პასუხს არ აგებენ ბოროტმოქმედთა და ავაზაკთა მკვლელობისათვის. ქართველები მხოლოდ ვალდებული გახდნენ ყოველი ასეთი შემთხვევა შეატყობინონ ადგილობრივ ხელმძღვანელობას, კერძოდ, რომ ესა თუ ის ოსი მოკლულია თავდასხმისა თუ მარცვის დროს“ [თოთაძე,2008) ელექტრონული რესურსი)].

ისტორიულ წყაროებზე დაყრდნობით, ოსი ეროვნების ავტორის გადმოცემით, ოსები მხოლოდ კავკასიაში დამკვიდრების შემდეგ გრძნობენ თავს მყარად და დაცულად. საბოლოოდაც აქ მკვიდრდებიან. გადის დრო და, პოლიტიკურ დაფაზე ისეთ სვლებს აკეთებენ ოსი სეპარატისტები და პოლიტიკოსები, რომელიც არასასურველი შედეგით სრულდება. „Прости меня, Цхинвал!“ („მაპატიე, ცხინვალო“) - ასეთი სათაური აქვს ოსი ჟურნალისტის, ნატალია ძუკაევას ჩანახატს, სადაც, როგორც თვითმხილველი, 2008 წლის ომის სურათს აღწერს. ავტორი თანმიმდევრულად, მხატვრულად გადმოგვცემს თუ რა ხდებოდა ცხინვალში ომის დაწყების პირველი დღიდანვე. ჩანახატში არ ჩანს აგრესიით და სიძულვილით აღსავსე ადამიანის სახე, თუმცა ყოველი ფრაზა უსაზღვრო ტკივილითაა გაჟღენთილი. ავტორი წუხს იმის გამო, რაც მოხდა. ავტორი იწყებს იმით, რომ თითქმის დიდი ხნის მანძილზე იყო მცდელობები დაპირისპირებებისა. ყოველივე ეს, წლების განმავლობაში, უარყოფითად

ილექტობდა და ბუნებრივია, თავის კვალს ტოვებდა. მისი შეხედულებით, პოლიტიკის წყალობით დაიძაბა და აირია ურთიერთობები. ცხინვალში, რატომღაც, ომის დაწყებისთანავე ყველა ასე ფიქრობდა-ქართველები შემოვიდოდნენ თუ არა, ქალაქში ყველა და ყველაფერი აღიგვებოდა... მერე კი, აუცილებლად აღიმართებოდა ოსების განადგურების მაუწყებელი დროშა. ავტორის აზრით, სწორედ ამიტომ იყო, რომ ოსები ასე თავგანწირვით იბრძოდნენ... ქალაქი იბრძოდა თითოეული სახლისთვის, თითოეული ქუჩისთვის, შვილებისა და შვილიშვილების გადასარჩენად. მათ ფიქრითაც არ ეთმობოდათ ქალაქი!... ძუკაევა თვლის, რომ ამით შეიძლება აიხსნას ქართველი ჯარის დამარცხება... ჩანახატის მიხედვით, ომის დასაწყისში უპირატესობა ქართველებს ჰქონდათ. დარწმუნებულნი იყვნენ, რომ ყველა დამცველი დატოვდა ცხინვალს; ბავშვები და ქალები კი წინააღმდეგობას ვერ გაუწევდნენ, მაგრამ დარწმუნდნენ, რომ საქმე ასე არ იყო. ოსი მოხალისეები მთელს ქალაქში განლაგდნენ და დაიწყეს ქართული ჯარის ბლოკირება. ძუკაევა აღწერს, რომ პირველი შეტევა კავკასიის სხვადასხვა მოხალისეების დახმარებით მოიგერიეს. მერე ითქვა, რომ ცხინვალში 70,000 ჯარისკაცი და რეზერვისტი შემოვიდა. ერთმა იხუმრა, - რა არასტუმართმოყვრული ფაქტია, ამდენი „სტუმარი“ სად უნდა დავტოვო?! მეორემ კი, ჩვენ ისე ცოტანი ვართ, რომ ჩვენი მხრიდან სროლა თუ შეწყდა, ჩათვალეთ, აღარ ვარსებობთ... ჟურნალისტი პანიკაში მყოფი ადამიანების ფსიქიკურ მდგომარეობაზე ამახვილებს ყურადღებას. ბუნკერში მყოფი ქალები ათას საშინელებას ჰყვებოდნენ ქართველებზე; ავტორს უჭირს იმ მდგომარეობის აღწერა, რომელმაც ადამიანური ბუნების გამოაშკარავება შეძლო. იგი აღწერს, როგორ იცავდა თავს დამოუკიდებლად ქალაქი, ვიდრე, 24 საათის შემდეგ, რუსის ჯარი არ შემოვიდა. ავტორი, რომელიც ამ ომში ჟურნალისტურ მისიას ასრულებდა, წერს, რომ იმისმა წარმოდგენამაც კი, რომ მათი ქალაქი და მიწები სხვებს დარჩებოდათ, ცუდად გახადა; წინაპრებისა შერცხვა, ისინი ხომ გოჯ მიწასაც კი თავგანწირვით იცავდნენ!...

დამაფიქრებელია ის ფაქტი, რომ თურმე, აქ, ამ ომში, ისინი „წინაპრების მიწის“ დაცვას ცდილობდნენ. მტერს რომ წინააღმდეგობა გაუწიო, დაიცვა შენი ოჯახი, სახლი, უფლება - ცხოვრობდე მშვიდობიან ქვეყანაში, ბუნებრივია, მაგრამ მან, ვინც მწერლის

ტრიბუნიდან მკითხველს ესაუბრება, თავისი ერის ისტორია, მეტ-ნაკლებად, უნდა იცოდეს.

„1886 წლის საოჯახო სიების მიხედვით ცხინვალში ცხოვრობდა 3832 კაცი, აქედან: 1135 – ქართველი, 1953 – ებრაელი და 744 – სომეხი. 1886 წელს არც ერთ ოსს ცხინვალში არ უცხოვრია“ [თვალსაზრისი, 2019 (ელექტრონული რესურსი)].

საინტერესოა, ვის კუთვნილებას წარმოადგენდა მიწა, რომელზეც, დღევანდელი მდგომარეობით, რუსეთი უფლებას ფლობს და პრეტენზიას აყენებს?! ნ. ძუკაევას მონათხრობით, რამდენიმე წლის წინ, ცხინვალის ქუჩაში მოზარდი ბიჭების ჩხუბს შეესწრო. დაინტერესდნენ, რა იყო ჩხუბის მიზეზი. ერთ-ერთი მათგანი იმის გამო ტიროდა, რომ მეორემ მას ქართველი დაუძახა! ავტორი აღნიშნავს, რომ კი, ნამდვილად იყო ეს ბიჭი ქართველი, მაგრამ მან იცოდა, ეს სიტყვა მტერთან და ფაშისტთან ასოცირდებოდა და ამიტომ ტიროდა... რაღა უნდა ყოფილიყო ამაზე უარესი! „И, если подобное отношение к Грузии и грузинам было у подрастающего поколения еще до августовских событий, то что говорить о сегодняшнем положении дел? Обвинять в этом старших, неправильно воспитывающих своих детей, вряд ли уместно“ („და თუ ახალგაზრდა თაობას მსგავსი დამოკიდებულება ჰქონდა საქართველოსა და ქართველების მიმართ აგვისტოს ომამდე, მაშინ რაღა ითქმის დღევანდელი ვითარებაზე? ამაში უფროსების დადანაშაულება არასწორია“ (თარგმანი ჩვენია კ.გ). [Дзукаева, 2009 (ელექტრონული რესურსი)].

ავტორი წუხს, რომ მხოლოდ სამად სამი დღე იყო საჭირო იმისთვის, რომ მისი ბავშვობის ნაფეხურები გათელილიყო ცხინვალში; აუტანელი გახდა ქალაქის ტკივილიანი მზერა... ნაწარმოების მიხედვით, როცა ცხინვალში რუსების 58-ე არმია შემოვიდა, ქართველები „გმირულად“ გარბოდნენ (და არა მარტო ცხინვალიდან - ავტორს აქვს ცნობა თვითმხილველებისგან, რომ დედაქალაქიდანაც ბევრი ემზადებოდა გასაფრენად. რომ ქართველების ჯარი ხუხულასავით დაიშალა, აღარ არსებობდა... „мне хотелось опуститься на колени, обнять город и тихо прошептать: „Прости меня, мой Цхинвал!“ (მე მსურდა დავჩოქილიყავი მუხლებზე, ჩავხუტებოდი ქალაქს და ჩუმად მეთხოვა: „მაპატიე, ჩემო ცხინვალო!“ (თარგმანი ჩვენია კ.გ). [Дзукаева, 2009

(ელექტრონული რესურსი)]. რისთვის?!-კითხულობს ავტორი და ეჭვი ეპარება, ამ კითხვას ოდესმე თუ უპასუხებს! იგი მიმართავს შედარებას: როცა ხედავ საცოდავ კოჭლს, გული გეწვის და ვერ შველი, დამნაშავე არ ხარ, მაგრამ თავს მაინც იდანაშაულებ. თუ ადამიანს აქვს სული, აუცილებლად ეტკინება. არსებობს სულიერი ტკივილი, რომელიც მუდმივია. „У моей боли есть конкретное имя - Цхинвал“ („ჩემს ტკივილს აქვს კონკრეტული სახელი - ცხინვალი“) (თარგმანი ჩვენია ვ.გ.) [Дзукаева, 2009]. ესაა კიდევ ერთი თვითმხილველის თვალით დანახული ქართველებისგან „გამეტებული“ ქალაქი, ქალაქი, სადაც, თითქოს, მხოლოდ ოსი ეროვნების მოქალაქეები დაეცნენ. ქალაქი, რომელსაც საქართველომ ომი „გამოუცხადა“ და რუსეთმა „იხსნა“. ჩვენი აზრთ, ძალიან ძნელია, როცა არ იცი, შემრიგებლური პოლიტიკის მექანიზმი რომელი მიმართულებით ამოქმედო...

1989-1992 წლების ცხინვალში განვითარებული მოვლენების შესახებ ბევრად უფრო მეტს საუბრობდნენ 2008 წლის ომამდე, ვიდრე მას შემდეგ. ეს იმას არ ნიშნავს, რომ ის წლები და ტრაგედია ვინმეს დაავიწყდა, ან ისტორიის ფურცლებიდან ამოიშალა.

იმჟამინდელი ოპოზიციის მიერ ცხინვალში დიდი მიტინგის ჩატარების მცდელობა, რასაც თითქოსდა უნდა შეერიგებინა ოსები და ქართველები, კრახით დასრულდა. ეს გამოიწვია იმან, რომ ავტობუსებით გადაყვანილ მომიტინგეებს ცხინვალის შესასვლელთან სსრკ-ს შინაგანი ჯარი და ოსი მოსახლეობის კორდონი გადაეღობა. აშკარა იყო, გარღვევის მცდელობა გარდაუვალ შეტაკებას გამოიწვევდა. ეს იყო მიზანმიმართული მცდელობა, ერთობლივი, შემრიგებლური მიტინგის ჩატარების ნაცვლად, სისხლი დაღვრილიყო. 1990 წლის 4 იანვარს, თბილისში სამართლის საძიებლად ჩავიდა სამაჩაბლოს ქართველთა დიდი ნაწილი. „ადამონ ნიხასის“ რუსი რეაქციონერებისაგან წაქეზებული ხელმძღვანელები ოლქის რესპუბლიკად გარდაქმნას მოითხოვდნენ და აძლიერებდნენ ანტიქართულ აგიტაციას. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ცხინვალის რეგიონის ინტელიგენტთა დიდი ნაწილი „ადამონ ნიხასის“ წევრები იყვნენ. „1989 წლის ივნისში „ადამონ ნიხასმა“ ოფიციალურ რეგისტრაციას მიაღწია და მკვეთრად გააძლიერა პროვოკაციული აქციები მდგომარეობის დესტაბილიზაციის

მიზნით. 1988 წლის მონაცემებით, სწორედ ამ არაფორმალური შოვინისტური გაერთიანების წყალობით, ყოფილი ოლქის პოლიტიკური მმართველობის ბიუროკრატიულ აპარატში 140 წევრიდან 85 ოსი ეროვნების იყო, 34 - ქართველი, ხოლო აღმასრულებელი ხელისუფლების 227 წევრიდან 176 ოსი იყო, 43 კი - ქართველი“ [კვირიკაშვილი, 2014(ელექტრონული რესურსი)].

„1991 წლის 7 მარტს, დილის 8 საათზე, ოს ექსტრემისტთა 100 კაციანი ბანდა თავს დაესხა ცხინვალის რაიონის ქართულ სოფლებს, ზემო აჩაბეთსა და მონასტერს. ბანდიტებმა მშვიდობიან მოსახლეობას დაუშინეს რაკეტები, ყუმბარები, ცეცხლი გახსნეს ავტომატური იარაღიდან“ [სონდულაშვილი, 2009(ელექტრონული რესურსი)].

უნდა აღინიშნოს, რომ **ტამერლან ტადტაევის** ნაწარმოებებში აშკარად იკვეთება მწერლის ობიექტური მიდგომა არსებული მოვლენებისადმი. მასთან არ იგრძნობა რადიკალიზმი და ვთვლით, რომ მას სხვა ოსი ეროვნების ავტორთაგან, სწორედ ეს გამოარჩევს. „**Неформал**“ („არაფორმალი“) ასე ეწოდება ნაწარმოებს, რომელიც ცხინვალში მყოფ ქართველ არაფორმალურებს ეხება. თამერლან ტადტაევი არც ამ ნაწარმოებში ღალატობს მწერლის შინაგან ფუნქციას, ასახავს მხოლოდ მას და მხოლოდ ისე, როგორც ხდება. სიღრმისეულად სწვდება მოწინააღმდეგე მხარის ფსიქოლოგიას და არაჩვეულებრივად აქვს გააზრებული მწერლის როლი იქ, სადაც საქმე ორ ერს შორის დაპირისპირებას ეხება. ნაწარმოების მიხედვით, ცხინვალში შესული ქართველი არაფორმალურების საუბრის თემა ომია: „Война есть война, и тут уж ничего не поделаешь“ („ომი ომია და აქ ვერაფერს გახდები“)(თარგმანი ჩვენია კ.გ). [Тадтаев, 2009 (ელექტრონული რესურსი)]. ორი ქართველი არაფორმალი, ომარი და დათო, ერთ მოუწესრიგებელ ოთახში სხედან; სვამენ და საუბრობენ. დათოს, აშკარაა, რაღაც იმაზე მეტად აწუხებს, რაც, ზოგადად, ამ ომში ყველას. მის კითხვას, თუ ვინ გასცა ოსების სოფლის დაწვის ბრძანება, ომარი პასუხობს, რომ მან. ომარი მიზეზს აკონკრეტებს: მის თვალწინ თანაკლასელი და ბიძაშვილის მეუღლე დაიღუპა და, როცა დაბრუნდება, არ იცის, რა უთხრას მათ გოგონებს!... და აი, ამ სოფლის გადაწვით, მან შური იძია!... დათოს ბევრად უფრო დიდი ფსიქოლოგიური ტრავმა აქვს. ავტორი დეტალურად გადმოსცემს დათოს სულიერ მდგომარეობას, რის გამოც დიდ განსაცდელში

ჩავარდნილა ქართველი არაფორმალი: ოსების სოფელში მხოლოდ ერთადერთი მოხუცი კაცი დარჩენილიყო; ალბათ, ფიქრობდა, რომ მასზე ხელს არავინ ასწევდა. ტექსტის მიხედვით, მოხუცი სიგარეტს სთხოვს დათოს და მადლობას უხდის მას. „Наверно, дьявол сидел во мне – как только он докурил, я застрелил его. С тех пор я потерял покой. Во сне он приходит и колотит меня палкой, на которой вырастают колючки. Я не могу так больше... Сегодня же убираюсь в Тбилиси“ („ნამდვილად ეშმაკი იჯდა ჩემში - როგორც კი მოწია, მე ვესროლე მას. მას შემდეგ მოსვენება დავკარგე. სიზმარში მოდის და მცემს ჯოხით, რომელზეც ეკლები იზრდება. მე მეტი აღარ შემიძლია... დღესვე ვბრუნდები თბილისში“) (თარგმანი ჩვენია ვ.გ). [Тадтаев, ელექტრონული რესურსი].

ტექსტის წაკითხვისას იმდენად უახლოვდები პერსონაჟის სულიერ მდგომარეობას, რომ თითქოს ის, რაც დათომ უნდა მოიმოქმედოს, შენი გადასაწყვეტია და პასუხი არ გაქვს!... და ხდება ის, რაც უკვე ნაწარმოების კულმინაციაა - დათო, რომელიც განსაცდელიდან თავდახსნას ფიქრობდა, ახალი უბედურების ავტორი ხდება, თვალთ უბნელდება და ახლა უკვე მეორე საშინელ ნაბიჯს დგამს, კლავს ომარს და მიდის... მის ფიქრებს აღარ ახმოვანებს ოსი ავტორი... ნაწარმოებში ოსების „ტეკზე“ მდგომი ბიჭი შემოდის. ტუგოს ახალგაზრდული ოცნებები ომს არ უფრთხიან... იგი გზას მიასწავლის დათოს, მაგრამ მისი იარაღის დანახვა ექვს იწვევს. როგორ უნდა გამოეყო ამდენი „ტეკი“ ისე, რომ არავის შეენიშნა?! ტუგოს აზრით, მან მოკლა ოსი მეომარი და ახლა არხეინად მიდის... ტუგო ჭოჭმინობს, უჭირს გადაწყვეტილების მიღება, რადგან იცის, ზურგში მხოლოდ მხდალები სვრიან, მაგრამ დრო აღარ რჩება, ცოტაც და თვალს მიეფარება უცნობი!.. ტუგო ესვრის, წაბორძიკებული დათო გზას აგრძელებს, მერე კი ეცემა...

მიუხედავად მუდმივი საფრთხის შეგრძნებისა, ქართველებსა და ოსებს შორის კარგი დამოკიდებულება აღინიშნებოდა. ასე იყო ცხინვალში, სადაც ერთად იზრდებოდნენ, სწავლობდნენ და გვერდიგვერდ ცხოვრობდნენ სხვადასხვა ეროვნების ადამიანები. მათი ურთიერთობის დამაბზა იმ ძალის ჩარევამ გამოიწვია, რომელიც მუდმივად ცდილობდა ამ ორ ერს შორის დესტაბილიზაციას. მიაღწია კიდეც, მაგრამ მიუხედავად ომისა, გრძნობები, რაც მათ ერთმანეთთან აკავშირებდათ, კრიტიკულ მომენტებში,

საბედნიეროდ, ისევ ცოცხლდება. ამისი ნათელი დადასტურებაა ცხინვალელი მუსიკოსისა და პოეტის შოთა დარბუაშვილის ჩანაწერები, სადაც იგი იხსენებს, ავადმყოფი დედის მოსავლელად ცხინვალში ჩარჩენილს როგორ თანადგომას უცხადებენ ოსები. მერე, დედის დაკრძალვის დღეს, როგორი დაზაფრული იჯდა სუფრასთან, რომლის წევრები მხოლოდ ოსები იყვნენ; ირგვლივ ორმხრივი სროლის ხმა აყრუებდა არემარეს... თამადობაც ოსმა სოგრატამ „იტვირთა“ და რაოდენ გასაოცრადაც უნდა მოგვეჩვენოს, მიცვალებულის საპატივცემულოდ, სუფრა ქართულად წარუმართავს...

ქართველებისა და ოსების ახლო ნათესაურ კავშირებზე უამრავი რამ იწერება. ეს ურთიერთობები უახლოესი წარსულის კუთვნილებაა. ყოველივე ეს ნიშანია იმისა, რომ და ჯერ კიდევ არ გამწყდარა ის ძაფი, რომელიც, უდიდეს ტკივილთან ერთად, ბედნიერების წუთებს გვახსენებს. ტამერლან ტადტაევი, ნაწარმოებში „Друг детства“ (ბავშვობის მეგობარი) , ოსებისა და ქართველების ძმურ დამოკიდებულებას აღწერს. ნაწარმოების მიხედვით, ცხინვალში ომია. ერთ-ერთ მიტოვებულ სახლში ოსები არიან გამაგრებულნი. მათში ტკივილს იწვევს ომის სისასტიკით დაცლილი სახლი. ერთ მათგანს მწარედ ეცინება და ებრალება კედლები, რომლებმაც ერთ დროს უზრუნველ პატრონთა ხსოვნა შემოინახეს. იგი რიტორიკულ კითხვას სვამს - ნეტავ, ახლა სად არიან ისინი, ან, საერთოდ, იქნებ, ცოცხლებიც აღარ არიან?!

ამ ფაქტით, ავტორს სურს დახატოს ადამიანური ბუნება იმ ჯარისკაცებისა, რომლებიც იძულებულნი იყვნენ, იარაღი აეღოთ. მეზობლის სათუთი გრძნობები ჩანს იმ ოთახების სიბრალულში, სადაც, ერთ დროს, ბავშვების სიცილი ისმოდა, ახლა კი დენტის სუნი დგას. **„На полу вместе с запыленными детскими игрушками и множеством пожелтевших фотографий валялись стрелянные, еще не успевшие остыть гильзы...“** („იატაკზე ბავშვების მტვრიან სათამაშოებსა და გაყვითლებულ ფოტოებთან ერთად, მიმოფანტული იყო ჯერ კიდევ გაუგრილებელი ჭურვები“) (თარგმანი ჩვენია კ.გ) [Тадтаев,2008 (ელექტრონული რესურსი)].

ტექსტის შინაარსიდან გამომდინარე, ორი საპირისპირო სანგრძიდან მტრები ერთმანეთს ზვერავენ. ოსების მხრიდან გასროლილი ტყვია მიზანს არ სცდება. წყვეტენ

სროლას; სხვებს დაჭრილთან მისვლას აცდიან და მერე იმათაც ცეცხლს უხსნიან. ალანი ხედავს, დაჭრილი ბიჭი სანგრძიდან ამოდის და ტყის მიმართულებით გარბის. ალანი დააკვირდება მას და, თავის ბავშვობის მეგობარს, გივის შეიცნობს. ალანს არ უნდა მისი დაღუპვა და ეძახის. გივიც ეხმიანება ბავშვობის მეგობრებს, რომლებიც მათთან მისვლას სთხოვენ. „... **иди к нам, ничего не бойся! Как спустишься, пойдём прямо в больницу! И Фатимку свою увидишь, она там медсестрой устроилась!**“ („მოდი ჩვენთან, არაფრის შეგეშინდეს! გადმოხვალ თუ არა, პირდაპირ საავადმყოფოში წავიდეთ! შენს ფატიმასაც ნახავ იქ, ექთანია“) (თარგმანი ჩვენია კ.გ). [Тадтаев, 2008(ელექტრონული რესურსი)].

ტექსტს ემოციურია, თითქოს ხედავ და გრძნობ ნაწარმოების სიუჟეტს. კვანძი იხსნება მაშინ, როცა გივი თანახმაა, მიაშუროს მათ, ალანიც გარბის შესახვედრად და ამ დროს მეორე მეგობარს, რომლის ტყვიითაც გივი დაიჭრა, ახსენდება, რომ მათ შუა მიწაა დანადმული. ალანი მაშინვე ეძახის გივის, აფრთხილებს, არ წამოვიდეს, მაგრამ უკვე გვიანია, გივი აფეთქდა!...ნაწარმოების კულმინაციასაც ეს ეპიზოდი განსაზღვრავს.

თვალცრემლიანი ბიჭები ერთმანეთს ადანაშაულებენ გივის სიკვდილში...ალანი საყვედურს ეუბნება მეგობარს და იმასაც ეჭვობს, რომ მეტოქე ხომ არ მოიცილა, მაგრამ მისი პასუხი ეჭვს უფანტავს: **„Но запомни одно: я не убиваю своих друзей из-за шлюх!“** („ერთი დაიმახსოვრე: მე არ ვკლავ ჩემს მეგობრებს მეძავის გამო!“) [Тадтаев, 2008(ელექტრონული რესურსი)]. ბიჭები თითო-თითოდ გამოდიან იმ სახლიდან, რომლის კედლებიც მათი უდიდესი ტკივილის მოწმე გახდა.

1988-89 წლების საქართველოში ეროვნული მოძრაობის დაწყებამ ბევრი ცვლილება გამოიწვია. გამომდინარე იქიდან, რომ ოსი ექსტრემისტები ბევრად უფრო ადრე გააქტიურდნენ, უკვე დამოუკიდებელი საქართველოს უზენაესმა საბჭომ 1990 წლის 11 დეკემბერს გააუქმა სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი.

„1991 წლის მარტში, პრეზიდენტ ზ. გამსახურდიას განკარგულებით, ცხინვალში შევიდა საბჭოთა კავშირის შინაგანი ჯარის ნაწილი. მალე მათ სხვა არაფორმალური შეიარაღებული ფორმირებები დაემატა. დაიწყო ქართულ-ოსური კონფლიქტი“ [მენაღარიშვილი, 9 (ელექტრონული რესურსი)].

ომამდელი ცხინვალის ნოსტალგია იგრძნობა ტამერლან ტადტაევის მოთხრობაში „Доброволцы“ („მოხალისეები“). ნაწარმოები 2008 წლის ომის დროს ვლადიკავკაზიდან შემოსულ მოხალისეებს ეხება. ნაწარმოები პირველ პირშია დაწერილი, რაც უფრო საინტერესოს ხდის ტექსტს. ავტორი ცდილობს, მხატვრული გამომსახველობა შესძინოს ტექსტს, რომელიც უმძიმესი პერიოდის მიერ ტრავმირებული ადამიანებისა და თავგადასავლების მაძიებელი ახალგაზრდების ტრაგიზმს ეხება. ნაწარმოები ომამდელი ცხინვალის მონატრებით იწყება. მთხრობელის მოგონებებში ცოცხლდება ებრაელების უბანი, სადაც ყველაფრის შექმნა შეგეძლო. საინტერესო სახეა ებრაელი მოშე, რომელსაც ბოგირთან ედგა რკინის ჯიხური წარწერით „ხმის ჩაწერა“. იგი ცხინვალის ისტორიის განუყოფელ ნაწილად ქცეულა... ტექსტის მიხედვით, მოშე როკის დიდი მოყვარული და მოცეკვავე იყო. მისი ულამაზესი მეუღლე, როგორც ოჯახის ბედნიერება, ჯერ კიდევ 91-ის ომმა იმსხვერპლა. ნაწარმოებში ისტორიულია ის ფაქტი, რომ თითქოს ამ პერიოდში ცხინვალი ებრაელებისგან გაწმინდეს.

მთხრობელი ცხინვალიდან წასასვლელად გამზადებულ მოშეს ესაუბრება, რომელსაც ქალაქის დატოვება ეძნელება. აქვე იკვეთება დარჩენასთან დაკავშირებული მისი შიში - რომ დარჩეს, დამცველი არავინაა!... მოშეს განცდებით თითოეული ებრაელის ტრაგედიაა გადმოცემული. „- **Вы все пожалеете об этом! – выкрикнул Моше**“ („თქვენ ყველანი ინანებთ ამას! - დაიყვირა მოშემ“). (თარგმანი ჩვენია კ.გ). [Тадтаев,2017(ელექტრონულირესურსი)].

ნაწარმოებში გადმოცემულია მთხრობელის იმედგაცრუება იმის გამო, რომ მოშემ არ შეასრულა დანაპირები და ისე წავიდა, თავის ერთადერთ გულშემატკივარს დაპირებული ნივთები არ დაუტოვა. მთხრობელი აღნიშნავს, რომ ეს იყო მისი პირველი გაოცება და იმედგაცრუება, რაც წარმოუდგენლად მტკივნეული აღმოჩნდა.

გადის ამ გაოცებიდან დიდი დრო და ახლა, 2008 წლის აგვისტოში, იგი ისევ ისე გაოცებულია, როგორც მაშინ. „- **Твою мать, – сказал я семнадцать лет спустя, смотря на руины и не веря своим глазам. – Неужели грузины ничего не оставили от города?**“ (- „თქვენი დედაც, - ვთქვი მე ჩვიდმეტი წლის შემდეგ, ვუყურებდი ნანგრევებს და თვალს

არ ვუჯერებდი, - ნუთუ ქართველებმა არაფერი დატოვეს ქალაქისაგან?“) (თარგმანი ჩვენია კ.გ). [Тадтаев, 2017(ელექტრონული რესურსი)].

ნაწარმოების თანახმად, ვლადიკავკაზიდან ჩამოსული მოხალისეები შეცბუნებულნი უყურებენ, რაც ირგვლივ ხდება. საგულისხმოა ის ფაქტი, რომ ისინი ძალიან სწრაფად ხდებიან მეხუთე ბატალიონის რეზერვისტები და იარაღიც ეძლევათ [როგორ ჰგავს ეს „მეხუთე ბატალიონი“ „მეხუთე კოლონას“ - კ. გ.].

ქალაქი იბომბება; ბავშვები და ქალები სამხედრო კომისარიატის სარდაფისკენ გარბიან. შეიარაღებული რეზერვისტები პარკში იკრიბებიან. მოაქვთ ამბავი, რომ ქალაქი უკვე დაიკავეს ქართველებმა!... გაგონილს ნანახი სჯობსო და, რეზერვისტთა ნაწილი ქალაქის ცენტრისკენ მიდის. ნაწარმოებში აღწერილია, თუ რა ხდება ამ დროს ქალაქის ქუჩებში. მამაკაცი ითხოვს, ცოლ-შვილის მორგში გადატანაში დაეხმარონ. მოხალისე აღშფოთებულია- ქალაქში ქვა ქვაზე არ რჩება და რომელ მორგზეა საუბარი!...

ტექსტის მიხედვით, ცხინვალელი მამაკაცები მოხალისეებს ურჩევენ, სამოქალაქო ფორმა ჩაიცვან, თორემ ქართველები, რომლებიც მეორე ქუჩიდან გადმოვლენ, შეიარაღებულ ადამიანებს არ დაზოგავენ...

მოხალისის მიერ, წამიერად, ომში თვალმიფარებულ ძმაზე ფიქრი და დედის მუდარა, ძმა არ დაკარგოს, ბრძოლის ველიდან ოჯახურ სიმყუდროვეში გვაბრუნებს და ჩვენდაუნებურად, თუნდაც მტრისადმი, თანაგრძნობით ვიმსჭვალებით. ადამიანი ხომ მეზრძოლად არ დაბადებულა!... (ავტორის ჩანაფიქრიც, ვფიქრობთ, ესაა). მოხალისე საკუთარ თავს იჭერს ფიქრში, რომ ძმის ბედი კი არა, საკუთარიც აღარ აღელვებს! დაიღალა... მის მოგონებებში ცოცხლდება 1991 წლის ომის პერიოდი. ახალი წლის დღეებში, ბარიკადზე ყოფნისას ტახიკარდიული შეტევა. მხოლოდ ის იცის, რომ ახლა, ომის დროს, გულით სიკვდილი არ შეიძლება.

ნაწარმოების მიხედვით, ერთადერთი, რაც ასეთ ქაოსში შეიძლება სიხარულად ჩაითვალოს, ტელეფონიდან ძმის ხმის მოსმენაა, რომელიც ცხინვალში დარჩენას საყვედურობს. ქართველებისგან დაცლილ ცხინვალში, ათ აგვისტოს რუსის ჯარი

შემოდის. დანგრეულ სახლთან, ტროტუარზე ზის კაცი და ეწევა... იქვე, რამდენიმე ნაბიჯზე, უამრავი გვამია. ერთ-ერთი ტანკიდან კაცს ეკითხებიან, თუ რა დევს ბრეზენტის ქვეშ. - მოხალისეები... -მკვდარივით პასუხობს იგი.

ტამერლან ტადტაევი ახერხებს, ნაწარმოების თემა, იდეა და კულმინაცია ტექსტის ერთ პატარა მონაკვეთში იკითხებოდეს. თუმცა, ავტორი თავშეკავებულია და ნაწარმოების იდეა, შესაბამისად, ნაგულისხმევია და არა გამოკვეთილი.

მშობლების ნების წინააღმდეგ მოხალისედ წასულ ღარიბი ბიჭის აღსასრულს და ამის გამო განსაცდელში მყოფი დედის მდგომარეობას აღწერს ტამერლან ტადტაევის მოთხრობა „СЫН“ („შვილი“). ნაწარმოების თემა დედაშვილობის ტკივილით გამოწვეული ზოგადსაკაცობრიო პრობლემატიკაა, რომელიც ომის კონტექსტშია წარმოდგენილი. მწერლის დიდი დამსახურება ისაა, რომ მან მოწინააღმდეგე მხარე გაგვაცნო არა როგორც მტერი, არამედ მოგვითხრო ჩვეულებრივ ადამიანებზე, რომლებიც ომმა ისევე დააზარალა, ისევე გაამწარა, როგორც ყველა ის ადამიანი, რომელთა ბედნიერება ან სიცოცხლე, ზოგადად, ომმა იმსხვერპლა... ნაწარმოებში შვილის ბედისადმი დედის დამოკიდებულება და მისი ურჩობით გამოწვეული ტკივილი დედისგან შვილის დატირების დროს იკვეთება. განსაცდელში მყოფი დედა იხსენებს, რომ შვილმა დედის შერჩეული გოგონა არ მოიყვანა, ის კი, ვინც თვითონ უყვარდა, წავიდა, რადგან მის მდიდარ მშობლებს არ უნდოდათ ღარიბი კაცის შვილი. „Тебя называли убийцей и наркоманом, потому что ты глотал таблетки и твоя храбрость казалась многим не совсем обычной. Никому бы и в голову не пришло, что у тебя больное сердце. Эти таблетки ты всегда носил в кармане на случай приступа“ („შენ გიწოდებდნენ მკვლელს და ნარკომანს, იმიტომ, რომ სვამდი აბებს და შენი სიმამაცე ბევრისთვის საეჭვო იყო. არავის მოუვიდოდა თავში ის, რომ შენ გული გტკიოდა და ეს აბები ყოველთვის გედო ჯიბეში საჭიროებისათვის) (თარგმანი ჩვენია კ.გ). Тадтаев, 2017(ელექტრონული რესურსი)].

ნაწარმოების თანახმად, ცხინვალის მეხუთე სკოლის ეზოს, სადაც ბიჭს ასაფლავებენ, ემატებიან აფხაზეთიდან და ჩრდილოეთ ოსეთიდან ჩამოსვენებული

ბიჭებიც. დანგრეული სკოლის ეზო ვეღარ იტევს მიცვალებულებს და ისევ ზღუდრის სასაფლაო „ამოქმედდება“. ცოტა ხანში მათი საფლავებიც ბალახით იფარება...

ტამერლან ტადტაევი, სხვა ოსი ავტორებისგან განსხვავებით, „ფაშისტებად“ არსად იხსენიებს ქართველებს. მოაზროვნე ფენის წარმომადგენელს გააზრებული აქვს, რომ ომი, რა მიზეზითაც არ უნდა იყოს გამოწვეული, ომია და აქ არც გამარჯვებული არავინაა და არც - დამარცხებული; ორივე მხარეს ერთნაირად სტკივა ომის შედეგად მიღებული ჭრილობები.

ნაწარმოები „Судный день“ („სასამართლოს დღე“) მოგვითხრობს ოსი ეროვნების ჟურნალისტის განცდებსა და ემოციებს, გამოწვეულს აგვისტოს ომის დროს ცხინვალში ნანახითა და მოსმენილით. ტექსტის მიხედვით, ჟურნალისტს დაგემილი აქვს შეხვედრა კოლეგა ქალთან, ვლადიკავკაზში, მაგრამ უარს ამბობს ამ შეხვედრაზე და ცხინვალის სისხლიან ქუჩებში დარჩენას ირჩევს; სურვილი აქვს, ქალაქის ტკივილი და უბედურება გაიზიაროს. იგი აღნიშნავს, რომ ეს იყო უმძიმესი დღე მის ცხოვრებაში. ჟურნალისტის გვერდით დუმილით მიდიან ახალგაზრდები. ისინი მობილურით ესაუბრებიან ვლადიკავკაზში ევაკუირებულ ახლობლებს. ნაწარმოებში ერთმანეთს უკავშირდება პირადი ცხოვრების მტკივნეული ეპიზოდები, ახალგაზრდების საუბარი ომის დაუნდობლობაზე, გოგონას სიყვარულზე. ჟურნალისტი ყველაფერს ისმენს, უყურებს და არ სჯერა, რომ ეს ის ქალაქია. „Нет больше города, и меня тоже. Тенью брожу от одного сожженного дома к другому. У почерневших стен стоят другие тени“ („აღარც ქალაქი აღარაა და აღარც მე. მოხეტიალე ჩრდილი გადადის ერთი დამწვარი სახლიდან მეორეზე. დამწვარი კედელზე უცხო ჩრდილებია“) (თარგმანი ჩვენია კ.გ). [Тадтаев,2009(ელექტრონული რესურსი)].

ჟურნალისტი ხედავს, ქართველები როგორ ასუფთავებენ ქალაქს ოსებისგან. იარაღი გინდ გქონია, გინდ - არა, მაინც შიში გკლავს. ნაწარმოების თანახმად, ჟურნალისტი მოძრაობაშია; უნდა, ყველაფერი მოისმინოს, დაინახოს, იგრძნოს... შინაგან საქმეთა სამინისტროს შენობაში შედის... დანგრეული კედლები, მტვრიანი ჰაერი... ერთ სარდაფში საოცარი სურათი ხვდება: მიცვალებულების გვერდით, ბიჭები ხის კიბეზე სხედან და წვერებიან კაცს უსმენენ. ტექსტის მიხედვით, მთხრობელი ჟურნალისტს

შეხედავს და ისევ განაგრძობს. იგი ჰყვება, თუ როგორ ისხდნენ იმედგადაწურულები და ფიქრობდნენ, რომ დრო იყო, ჩაბარებოდნენ. ეძებდნენ თეთრ ნაჭერს და ამ დროს მოესმათ ხმები. „Моя бабка грузинка, и я понимал, о чем они говорили. Один из них орал: сада харт, осебо, тквени деда м... (где же вы, осетины, мать вашу)! Должно быть, эти вояки наклали в штаны и попрыгались в норах, как крысы! Сейчас проверю подвал!“ („ბებიაჩემი ქართველია, მესმოდა, რასაც ამბობდნენ. ერთი მათგანი ყვიროდა: სადა ხართ, ოსებო, თქვენი დედა მ... ჩანს, ჩაისვარეს და სოროებში ჩაძვრნენ ვირთხებივით!“) (თარგმანი ჩვენია კ.გ). [Тадтаев, 2009(ელექტრონული რესურსი)].

ქართველებს ორმხრივი სროლა მოესმათ და გაცვივდნენ შენობიდან, თორემ სარდაფში ჩამოსვლას აპირებდნენო, დაასრულა მთხრობელმა. სიუჟეტური ღერძი ოსი ჟურნალისტის ირგვლივ, შინაგან სამინისტროს შენობის დანგრეულ სარდაფში ვითარდება. შემდეგი მთხრობელი 16 წლის ოსი ყმაწვილია. იგი ხელში, ავტომატთან ერთად, ტელეფონს ათამაშებს და ტრაბახობს, რომ მოკლულ ქართველს აართვა... თექვსმეტი წლის ბიჭისთვის შეუფერებელი, არაადამიანური მოქმედება კულმინაციას მაშინ აღწევს, როცა სარდაფში მყოფ ოსებს გაცინებას ჰპირდება და ტელეფონიდან მის მიერ მოკლული ბიჭის დედის ნომერზე ზარს უშვებს. სარდაფში სამარისებური სიჩუმე დგება. ტელეფონს ქალი პასუხობს, უხარია შვილის ზარი...ბიჭი ჩასძახებს, რომ მისი შვილი ცოცხალი აღარაა, მან მოკლა და და დატირებასაც ვერ შეძლებს, რადგან დამწვარია! ქალის შეცხადება, რატომღაც, ოსების გაკვირვებას იწვევს(!) ნაწარმოების თანახმად, ერთ-ერთმა ოსმა ბიჭს ტელეფონი გამოგლიჯა და ჩაჰყვირა: „– Ваши сыновья убивают всех без разбору! Они никого не щадят, и пощады им тоже не будет никакой!“ („თქვენი შვილები განურჩევლად ხოცავენ ყველას, ისინი არავის ინდობენ და არც მათი დანდობა არ იქნება არანაირად!“) (თარგმანი ჩვენია კ.გ). [Тадтаев , 2019(ელექტრონული რესურსი)]. ნაწარმოების თანახმად, ყველა იქ მყოფს აინტერესებს, თუ სად და რა ვითარებაში მოკლა ქართველი 16 წლის ბიჭმა. ბუნებრივია, ისმის კითხვა,რა იყო მიზეზი მისი ასეთი გაბოროტებისა?! ბიჭის მონათხრობით, 7 აგვისტოს ღამეს საყვარელ გოგონასთან ერთად იყო. მას არ ეგონა, რომ სააკაშვილი სიტყვას გატეხდა და სროლები დაიწყებდა, თანაც - ოლიმპიადის დროს!

ავტორიც თვლის, რომ შვიდ აგვისტოს, სააკაშვილის ახირებით დაიწყო სროლები. ისტორიული ფაქტი კი სულ სხვას ამბობს: „რუსეთის სამხედრო ნაწილები საქართველოში შემოიჭრნენ 2008 წლის 7 აგვისტოს, ქართული ოპერაციის დაწყებამდე. რუსული ჯარის ეს შემოჭრა გახდა საკვანძო მიზეზი იმისა, რომ ქართულმა ხელმძღვანელობამ, რომელიც 7 აგვისტოს განმავლობაში იღებდა სადაზვერვო ინფორმაციას საქართველოში შემოსული რუსული ჯარისა და სამხედრო ტექნიკის შესახებ, დაახლოებით 23:35 საათზე სამხედრო ოპერაციის დაწყება გადაწყვიტა“ [ზატაშვილი, 2019(ელექტრონული რესურსი)].

ბიჭის მოგონებები მოულოდნელი სროლების შედეგად დაღუპულ გოგონას დასტრიალებს, იმ სიმწარეს, რაც მან იმ წუთში განიცადა. ბიჭი სულაც არ ნანობს იმას, რომ ასეთ ქაოსში ის „პაგონებიანი“ ოსი მოკლა, რომელმაც იარაღი გადააგდო და თავის სამველად გარბოდა. საგულისხმოა ის, რომ ახალგაზრდას იმდენად მძაფრი პროტესტი უჩნდება ლაჩარი მეომრისადმი, რომ მისივე იარაღით კლავს. რაღაცით ხომ უნდა დამეწყოო, ამბობს ის და არც ოსის მკვლელობის გაცხადებისა ეშინია, რადგან დარწმუნებულია, მათგან აღარავინ დარჩება ცოცხალი.

ავტორი მკითხველს დააფიქრებს იმაზე, თუ როგორ შეიძლება, სულ რამდენიმე საათში, ისე დაინგრეს ახალგაზრდის ფსიქიკა, რომ მკვლელად იქცეს. 16 წლის ბიჭის მაგალითზე ყველა იმ ახალგაზრდის ტრავმირებული სული და ცხოვრება მოსჩანს, რომლებმაც, ზოგადად, ომის საშინელება განიცადეს. ნაწარმოების თანახმად, ბიჭი პარკისკენ გარბის, მოხუცები დახმარებას ითხოვენ, მაგრამ მას თავისი გოგონას ხმა ჩაესმის და სულმოუთქმელად გარბის. ბოლოს ერთ მიტოვებულ სახლში, შესასვენებლად შესულს, მაგიდაზე „სასახლეში“ ჩასვენებული მიცვალებული ხვდება. მის გარშემო ჩახოცილი ადამიანები, აშკარაა, ჭირისუფლები იყვნენ. ბიჭი მიტოვებულ მანქანაში ათევს ღამეს და დილით ხედავს, რომ ქართველები მათ მიცვალებულებს გარეთ მოათრევენ, იქ კი თავისიანები შეჰყავთ. ბიჭი აგრძელებს თხრობას და დასძენს, რომ დაუფიქრებლად ისვრის ფანჯარაში „ლიმონკას“, ოთახში შედის და ხუთ დაჭრილს მათივე ავტომატით კლავს. მეექვსე ეხვეწება, არ მოკლას, რადგან ავადმყოფ დედას მის მეტი არავინ ჰყავს. აძლევს მობილურს და სთხოვს, დაურეკოს. ბიჭი ჰპირდება... „...Из

გარაჟა იტანს კანისტრს ს ბენზინით და, ოხლივ ორუჩიმ რანენო, ზასუნულ ემუ ვ როტ ლიმონკუ...“(გარაჟიდან გამოვიტანე სანწავიანი ბოცა და დავასხი დაჟრილს, პირში კი ლიმონკა ჩავუდე). [ტადტაევი, 2009(ელექტრონული რესურსი)].

ცხოვრებისგან გაბოროტებული ყმაწვილის მოკლე თმა „ყაზბეგის მწვერვალებზე თეთრი“ მოეჩვენა მონათხრობით გაოგნებულ ჟურნალისტს. მეტად საგულისხმოა სიტყვები, რომელსაც ყმაწვილი წასვლისას ჩაილაპარაკებს: „ - **Сегодня судный день, – сказал он, остановившись у порога, – Перед тем как подойти, я расправлюсь с теми, кто убил моего отца. Он защищал Цхинвал с самого начала, в Абхазии воевал, да где он только не был, и в благодарность за это наши убили его. Я знаю, кто это сделал, одного уже замочил из его же оружия. К остальным сейчас наведуся**“(დღეს განკითხვის დღეა,-თქვა მან და ზღრუბლებზე შეჩერდა, - სანამ მოგვედები, უნდა ვაზღვევინო მათ, ვინც მამაჩემი მოკლა. ის თავიდანვე იცავდა ცხინვალს. აფხაზეთშიც იბრძოდა, და სად აღარ იყო, მაგრამ, მადლობის ნაცვლად, ის ჩვენებმა მოკლეს. მე ვიცი, ვინც ეს გააკეთა. ერთი უკვე თავისივე იარაღით გავუსწორდი, დანარჩენებს ახლა მივხედავ“) (თარგმანი ჩვენია კ.გ). [ტადტაევი, 2009 (ელექტრონული რესურსი)].

ნაწარმოების თანახმად, ბიჭი გააბოროტა არა მარტო მტერმა, არამედ - იმ უსამართლობამ, რაც მამამისს დამართეს თავისიანებმა. ჟურნალისტი შეწუხებულია ამ ფაქტით და ამბობს, რომ არ ისურვებდა ბიჭის მამის მკვლელების ადგილებზე ყოფნას და გამოაქვს დასკვნა, რომ ასეთები „ქართველებზე უარესები არიან“.

მშობლიურ ქალაქში დატრიალებული უბედურება გულს უკლავს ჟურნალისტს: „ **Я не знаю, как защитить тебя, моя старая мать. Это уже шестая и самая страшная война, которую мы с тобой переживаем вместе**“(„მე არ ვიცი, როგორ დავიცვა, ჩემო მოხუცო დედა. ეს უკვე მეექვსე და ყველაზე საშინელი ომია, რომელიც ჩვენ აქ შენთან ერთად გადავიტანეთ“ [ტადტაევი, 2009(ელექტრონული რესურსი)].

ნაწარმოებში აღწერილია ჟურნალისტის განცდები; ტირილი უნდა, ძლივს იკავებს. დადის ვლადიკავკაზის ხალხმრავალ ქუჩებში, სადაც შემხვედრი ადამიანების სახეზე ვერაფერს კითხულობს. ან რა უნდა თქვან, როცა მათ არ უნახავთ, რა ხდებოდა

ცხინვალში 8 აგვისტოს, როცა დედამიწას დამხობილმა ცამ ადამიანებს სულები „დაუჭყლიტა.“ „Дышит зноем 8 августа, проклятый день. Рвутся снаряды, ракеты; с неба падают мины; самолеты мечут бомбы. Из пылающих домов пахнет жареным мясом...“ („8 აგვისტოს აღმურია, დაწყევლილი დღე. ცვივა ჭურვები და რაკეტები. ციდან ეცემა ჭურვები; თვითმფრინავები ყრიან ბომბებს. აალებული სახლებიდან გამოდის დამწვარი ხორცის სუნი“). (თარგმანი ჩვენია კ. გ). [Тадтаев, 2009(ელექტრონული რესურსი)].

წინამდებარე ქვეთავში განხილული ნაწარმოებები ცხადყოფს, რომ ოსი ეროვნების ავტორები ისეთივე სიმძაფრით განიცდიან მომხდარს, როგორც ჩვენ, ქართველები.

დამაფიქრებელია ფაქტი, რომ ისინი იჩემებენ სამაჩაბლოს მიწას, თავისად მიიჩნევენ ჩვენსას. ნაწარმოებებში იკითხება ოსების, როგორც ერის კოლექტიური ტრავმა. მიუხედავად განსხვავებული პოზიციებისა, მათი შემოქმედებისთვის დამახასიათებელი ემოციური ფონი იწვევს ადამიანურ თანაგრძნობას და კიდევ ერთხელ ვრწმუნდებით, რომ ერთი ხელის მიერაა დაწერილი ჩვენი უბედურების სცენარი!...

აქვე უნდა აღინიშნოს ის ფაქტი, რომ ჩვენ მიერ ზემოთ განხილული ოსი ეროვნების ავტორთა ნაწარმოებების უმრავლესობა 2008 წლის აგვისტოს ომის შემდგომაა შექმნილი. სწორედ ამიტომ, მათში აშკარად იგრძნობა ორ ერს შორის მანამდე არსებული ტრადიციული ურთიერთობების რღვევა, აგრესია და დაპირისპირება. მიუხედავად იმისა, რაც 90-იანი წლების ქართულ-ოსურმა კონფლიქტმა დიდი კითხვის ნიშანი დაუსვა კეთილ ურთიერთობებს, გარკვეული დროის შემდეგ, იმედია, ნელ-ნელა გალღვება სოციალურ-პოლიტიკური კრიზისის ფონზე წარმოქმნილი ყინული.

კონფლიქტის პირველი ეტაპის ოსურ ლიტერატურაზე დაყრდნობით, „შემობრუნების“ ტენდენციაზე თავის მოსაზრებას გამოთქვამს მკვლევარი ნინო მინდიაშვილი. იგი ხაზს უსვამს იმ ფაქტს, რომ, გარდა დროითი დისტანციისა, უამრავი

პროექტი განხორციელდა ქართველებსა და ოსებს შორის ურთიერთობათა დარეგულირების თვალსაზრისით. ყოველივე ეს კი, ბუნებრივია, ასახვას პოვებს ლიტერატურაში. მკვლევარს განხილული აქვს ნაწარმოებები ოსი ავტორებისა: ალექსანდრე სანაკოევისა, ზინაიდა ბიტაროვასი, აზა ხუდჯაევასი, ნიკოლაი რომანტიუკისა. მათი შემოქმედების თემას ქართველების მონატრება და წარსულის დაბრუნების უდიდესი სურვილი წარმოადგენს.

მკვლევარი თვლის, რომ თითოეულმა მათგანმა შეძლო, ლიტერატურული ენით ერის გამოფხიზლებისთვის მიეღწია. ამის შედეგად ურთიერთობები დათბა, ერთმანეთთან მისავალი გზები გამოჩნდა და, მერე, როგორც იგი აღნიშნავს: „მე-20 საუკუნის დასასრულს ეს მეგობრობა და ძმობა, ჩვენდა უნებურად, მტრობაში გადაიზარდა და, პოლიტიკოსთა ამბიციების გამო, ორი ერი დაპირისპირებულ ბანაკებში აღმოჩნდა. ამ ავადსახსენებელი კონფლიქტის შედეგია ქართულ-ოსური ლიტერატურული ტრადიციების დეგრადირებაც“ [მინდიაშვილი 2017: 33].

2008 წლის ომმა ყველაფერი უარესობისკენ შეცვალა. ჩვენ მიერ ზემოთ განხილული მასალა სწორედ აგვისტოს ომის შემდგომ შექმნილ ლიტერატურაა, რაც კიდევ ერთხელ გვარწმუნებს, რომ, სამწუხაროდ, აგვისტოს მოვლენებმა მკვეთრად უარყოფითი გავლენა იქონია ქართულ-ოსურ ურთიერთობებზე.

დასკვნა

სადისერტაციო ნაშრომში განვიხილეთ ომის პარადიგმა თანამედროვე ქართულ ლიტერატურაში.

სადისერტაციო ნაშრომის შესავალში გამოკვეთილია იმ პრობლემის აქტუალობა, რომელსაც განვიხილავთ ნაშრომში, ჩამოვყალიბეთ დისერტაციის კვლევის წყაროები, მისი მიზანი და ამოცანები.

განხილულია საკვალიფიკაციო ნაშრომის კვლევის მეთოდოლოგია და თეორიული ბაზა; განვსაზღვრეთ სადისერტაციო ნაშრომის მეცნიერული და პრაქტიკული ღირებულება; მისი სიახლე.

სადისერტაციო ნაშრომის I თავში საკვლევ რაკურსად გამოვყავით „მე-20

საუკუნის 90-იანი წლების ქართული პროზის თავისებურებანი (სამოქალაქო ომის რეფლექსია).

საკითხის ფარგლებში შევისწავლეთ სამოქალაქო ომის თემაზე შექმნილი მხატვრული ტექსტები ქართულ მწერლობაში. აღნიშნული თავი ერთგვარი ექსკურსია გასული საუკუნის 90-იანი წლების საქართველოში პოლიტიკური კრიზისის ფონზე განვითარებული მოვლენების ლიტერატურულ დისკურსში შესწავლა-გაანალიზების თვალსაზრისით. მასში, ქართველ მწერალთა ბელეტრისტულ ნარატივზე დაყრდნობით, მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს პოსტკოლონიურ სივრცეში მომხდარი სოციალ-პოლიტიკური, კულტურულ-ფსიქოლოგიური ძვრების განხილვას.

სამოქალაქო ომის თემაზე ჩვენ მიერ განხილული ნაწარმოებებია: გურამ დოჩანაშვილის „ორნი აქა-იქ“, ზურა მესხის „სპაზმები“, შოთა იათაშვილის „ავადმყოფი ქალაქი“, ირინა ბაქანიძის „ნათელი, ნათელი ჩემო“, ზაზა თვარაძის „დამშრალი მდინარე“, „ბინები“, ზაალ სამადაშვილის „ხმაურიანი ქალაქი“, ოთარ ჩხეიძის „არტისტული გადატრიალება“, აკა მორჩილაძის „მოგზაურობა ყარაბაღში“, „ჩემი თავგადასავალი“.

შესწავლილი მასალის საფუძვლზე მივედით იმ დასკვნამდე, რომ პოსტსაბჭოთა სივრცეში „დამოუკიდებლობის რელსებზე“ მდგომ საქართველოში განვითარებული ტრაგიკული მოვლენები, წინა პერიოდებთან შედარებით, სრულიად განსხვავებული ინტერპრეტაციით - რეალური სახით აისახა თანამდროვე ქართულ ლიტერატურულ დისკურსში.

90-იანი წლების საქართველოში განვითარებული მოვლენები, რომელთა ფონზეც, უპირველესად, ეროვნული თვითმყოფადობის დამკვიდრებას ვცდილობდით, იყო ახალი ნიშნული კოლექტიური ტრავმისა, რომელიც მომავალ თაობას მემკვიდრეობით გადაეცა. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ მოდერნიზებული იმპერიის ინვაზიებმა ქართულ სივრცეში უმძიმესი განსაცდელის წინაშე დააყენა ქვეყნის სახელმწიფოებრიობა, თითოეული მოქალაქის სულზე აღიბეჭდა უმძიმეს ტრავმად.

II თავის საკვლევი საკითხი სათაურად განვსაზღვრეთ „ომი ქართველ მწერალთა შემოქმედებაში“.

გამოვყავით ქვეთავები:

1. ეპოქალური დისკურსი;
2. აფხაზეთის ომი ქართულ მწერლობაში;
3. ქართულ-ოსური კონფლიქტი ლიტერატურაში (პროზა-პოეზია);
4. ომის ქრონიკები პუბლიცისტურ ნარატივში (ლოკალური და რესპუბლიკური პრესა).

პირველ პარაგრაფში („ეპოქალური დისკურსი“) განხილულია ეპოქის არსებითი თავისებურებები;

მეორე პარაგრაფი - „ომი ქართველ მწერალთა შემოქმედებაში“ - ირეკლავს ბელეტრისტულ ტექსტებს, რომლებიც პოსტკოლონიალურ სივრცეში (90-იანი წლები) მიმდინარე ტრაგიკულ მოვლენებს ეხება. გავანალიზებთ ნაირა გელაშვილის „პირველი ორი წრე და ყველა სხვა“, დათო ტურაშვილის „იყო და არა იყო რა“, როსტომ ჩხეიძის „ეკლის გვირგვინი“, ჯაბა იოსელიანის „სამი განზომილება“, ოთარ ჩხეიძის „არტისტული გადატრიალება“- წარმოვადგინებთ ტრავმული მეხსიერებით დაღდასმულ პერსონაჟთა გალერეა, ქართულ ლიტერატურულ დისკურსში განსხვავებულად ინტერპრეტირებული. ისტორიულ ჭრილში წარმოჩენილი მოვლენები, ერთგვარად, ავტორთა ბოგრაფიასაც აღწერს, რაც, ჩვენი აზრით, აღმოჩნდა კიდევ მათი შემოქმედებითი ინსპირაციის რეალური წყარო, რამაც ნათელი წარმოდგენა შეგვიქმნა კოლექტიურ-ინდივიდიალურ ტრავმათა მიზეზ-შედეგებზე.

ბელეტრისტულ-დოკუმენტური პროზის გაანალიზების საფუძველზე, გამოგვაქვს დასკვნა - აღნიშნული ტექსტები ცხადყოფს, რომ ცენზურის არარსებობამ ხელი შეუწყო როგორც რეალური სურათის შეულამაზებლად წარმოჩენას, ასევე - ავტორთა პოზიციების ერთგვარ რადიკალურობას (მაგალითად, 9 აპრილის ტრაგედია და მის ირგვლივ განვითარებული მოვლენები იმდენად ტრავმული აღმოჩნდა ნაირა

გელაშვილისთვის, რომ „პირველი ორი წრის“ მკითხველამდე მიტანას დიდი დრო დასჭირდა. თუმცა, არსებობს ვარაუდი, რომ, ზოგადად, ისტორიულ მოვლენათა განსხვავებული რაკურსით წარმოჩენას ავტორთა პოლიტიკური შეხედულებები და პირადი დამოკიდებულებებიც განსაზღვრავს).

II თავის პირველ ქვეთავში - „აფხაზეთის ომი ქართულ მწერლობაში“ - გაანალიზებული გვაქვს ქართველ მწერალთა ის ნაწარმოებები, რომლებშიც წარმოჩენილია კონფლიქტური საკითხების მიზეზ-შედეგობრივი ანალიზი. ამ კუთხით, ლიტერატურულ დისკურსში, განხილული გვაქვს **გელა ჩქვანავას** „ტორეადორები“, **ზაურ კალანდიას** „ძეგლი ყველასათვის“, **გურამ ოდიშარის** „სოხუმში მოსალოდნელია წვიმა“, „ძმისშვილი“, „პრეზიდენტის კატა“, **მარინე ტურავას** „სოხუმი-თბილისი“, **რეზო თაბუკაშვილის** „არგაქცევა“, **ირმა მალაციძის** „გუნდა“, **მურად მთვარელიძის** „ტყვიის პრემია“, **ჯანო ჯანელიძის** „როცა გამარჯვებულთ ასამართლებენ“, „როცა ცრემლები მღერიან“, **ბესო ხვედელიძის** „თავის გემო.“ აღნიშნული ნაწარმოებების განხლვამ ცხადყო, რომ იმპერიის მიერ პროვოცირებული ქართულ-აფხაზური კონფლიქტი კიდევ ერთი უდიდესი კოლექტიური ტრავმაა, რომლის მომუშებას დროითი დისტანცია, შეხედულებათა ცვლა, პოზიციათა ანალიზი სჭირდება; ლიტერატურულ დისკურსში აისახა პოსტსაბჭოთა ცხოვრების სინამდვილე, რომელმაც, ისტორიულ ასპექტში, ტერიტორიული რღვევის ფონზე მტერ-მოყვრის რეალური სურათი დახატა.

II თავის მეორე ქვეთავი რეფლექსირებს პრობლემას **ქართულ-ოსური კონფლიქტი ლიტერატურაში (პროზა-პოეზია)**. სადისერტაციო ნაშრომში გავაანალიზეთ ტრავმული ბიოგრაფიის მქონე ის ავტორები, რომელთა შემოქმედების ძირითადი თემა ქართულ-ოსური კონფლიქტია. ამ კუთხით განვიხილეთ **ზეინაბ მეტრეველის** „საყდრის ჩიტები“, **ვანო ჩხიკვაძის** „ზამთრის წიგნი“, **გიორგი სოსიაშვილის** „გამორთული მთვარე“, „მესაფლავენი“, **შოთა დარბუაშვილის** „ფიქრები სამაჩაბლოს მომავალზე“, „ლტოლვილი მქვია“, **მზია ხეთაგურის** „ღამის დარაჯი“, ასევე - პოეტური კრებული „ალილია“, რომელიც ცხინვალიდან დევნილთა შემოქმედებას მოიცავს.

აღნიშნულ ავტორთა შემოქმედება განვიხილეთ ახალი თეორიული მიმართულების - „ლიტერატურა დევნილების შესახებ“ - კონტექსტში. გაანალიზებისას

მივედით **დასკვნამდე** - ვერანაირი დროითი დისტანცია ვერ მოაშუშებს საკუთარ ქვეყანაში („ტერიტორიაზე“) იძულებით გადაადგილებულთა იარას, ტრავმას, რომელიც არავინ უწყის, რამდენ თაობას უპირებს „ნგრევას“. მაგრამ, მიუხედავად ამისა, მკვეთრად იკვეთება ისიც, რომ ქართულ-ოსური კონფლიქტის შედეგებმა ვერ შეძლო იმ ადამიანური ურთიერთობების დარღვევა, რომელმაც ჩვენი გზები ისე ღრმად გადაკვეთა, რომ მათი გამიჯვნა თითქმის შეუძლებელია. ყოველივე ეს მკაფიოდ თუ ქვეტექსტურად იკითხება თითოეული ავტორის ტექსტში, რაც ააშკარავებს სამომავლო პერსპექტივების არსებობასაც.

II თავის მესამე ქვეთავში - „**ომის ქრონიკები პუბლიცისტურ ნარატივში (ლოკალური და რესპუბლიკური პრესა)**“ - განვიხილავთ ხაშურის რაიონულ და, ასევე, რესპუბლიკურ პრესაში გამოქვეყნებულ მასალებს, რომელნიც ჩვენი სადისერტაციო ნაშრომის თემატიკას უპასუხებს, 90-იანი წლებიდან 2008 წლის აგვისტოს ომის ჩათვლით განვითარებულ მოვლენებს ეხება. ძირითადად, გაანალიზებულია რაიონულ გაზეთში გამოქვეყნებული წერილები და საგაზეთო ქრონიკები; შევისწავლეთ გაზეთ „თბილისის“ ფურცლებზე მოთავსებული მასალები, რომელსაც გაზეთის სპეციალური კორესპოდენტი კლარა აბრამია აფხაზეთიდან ტელეფონით აწვდიდა გაზეთის რედაქციას. აღნიშნული მასალის კვლევამ მიგვიყვანა დასკვნამდე: ქვეყანაში მიმდინარე მოვლენებს მყისიერად აშუქებდა პრესა, რის საშუალებითაც ინფორმირდებოდა საზოგადოების უდიდესი ნაწილი. სხვადასხვა ავტორის მიერ ომის თემაზე შექმნილი პუბლიცისტური მასალის თემატიკა გვარწმუნებს, რომ სწორედ მასმედია იყო ინფორმაციის უპირველესი წყარო.

III თავის საკვლევ საკითხად გამოვყავით „**ომის რეფლექსიები ოსურ ლიტერატურაში**“. ჩვენ მიერ გაანალიზებული მასალა მოიცავს ოსი ავტორების მიერ შექმნილ იმ ნაწარმოებებს, რომლებშიც წარმოჩენილია ქართულ-ოსური დაპირისპირება, ამ ფონზე წარმოქმნილი ტრავმული მეხსიერება.

გავეცანით და გავაანალიზეთ შემდეგ ავტორთა შემოქმედება: **ტამერლან ტატაევი, ალ. ჩეხოვი, ალიონა დოგუზოვა, დავით გაზათი, ედვარდ ვართანოვი, ეკატერინა ჯიოევა, ლანა ბუკაევა, ლიზა ტასოევა, მერაბ ზასეთი, ნატალია დზუკაევა, თენგიზ დოგუზოვი.** ამ

ავტორთაგან ყველა, გარდა თამერლან ტადტაევისა, თვლის, რომ ქართველებმა „გენოციდი მოუწყეს“ და სამუდამოდ გაიმეტეს ისინი. საგულისხმოა მკვლევარ ნინო მინდიაშვილის ნაშრომი „კონფლიქტის გენეტიკა მხატვრულ ტექსტებში (ქართულ-ოსური ლიტერატურის მაგალითზე)“, სადაც ავტორი ხაზს უსვამს 2008 წლის ომამდე ოსურ ლიტერატურაში „შემობრუნების“ ტენდენციის არსებობას და, ამ კუთხით, განიხილავს რამდენიმე ავტორის შემოქმედებას (ლექსებს). აღნიშნული მასალა ცხადყოფს, რომ ქართველებსა და ოსებს დაკარგული ურთიერთობების გამო გული სწყდებათ. 90-იანი წლების კონფლიქტი და მისით გამოწვეული კოლექტიური ტრავმა ორივე მხარემ პოსტსაბჭოთა რყევის პერიოდს „შეუნდო.“ იქნებ, რომ არა 2008 წლის ომი, დგებოდა ჟამი ჩატეხილი ხიდის აღდგენისა... ამ პერიოდიდან კი, სამწუხაროდ, ოსური ლიტერატურის პათოსი იცვლება - მათთვის ქართველი „ფაშისტთან“ ასოცირდება...

წინამდებარე ნაშრომი, ვფიქრობთ, მიუკერძოებელია - გაანალიზებულია მასალა ყველა იმ ავტორისა (რადიკალური პოზიცია და სუბიექტური შეხედულება), რომლებმაც საკუთარ თავზე გამოსცადეს ომის, როგორც ტრავმული მეხსიერების ნიშნულის საშინელება. ყოველივე ეს კი, მტკივნეულად აისახა თანამედროვე როგორც ოსურ, ასევე, ქართულ ლიტერატურაში. აღნიშნული ნაწარმოებების შესწავლამ ცხადყო, რომ უკვე ყველა კითხვაზე გვაქვს პასუხი, გარდა ერთისა - რატომ არ ეკისრება (ოსი ავტორების მხრიდან) პასუხისმგებლობა მესამე ძალას, რომელმაც სისხლიან დაპირისპირებამდე მიიყვანა ჩვენი ერები?!

ჩვენ მიერ განხილული ნაწარმოებების ფონზე იკვეთება პიროვნებათა გაუცხოება, სამი ომის შედეგად მიღებული კოლექტიური ტრავმა, დევნილობა, რაზეც პერსონაჟები ხმამაღლა საუბრობენ. იკვეთება ისიც, რომ საკითხისადმი განსხვავებული მიდგომით გამოირჩევიან სხვადასხვა თაობისა და ეროვნების ავტორები. ფაქტია, ყველგან საუკუნის რეალური სცენაა, თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ ქართველ ავტორებთან „ჩატეხილი ხიდის“ აღდგენის უდიდესი სურვილი იგრძნობა.

ამგვარად, ჩვენი საკვალიფიკაციო ნაშრომი „**ომის პარადიგმა თანამედროვე ქართულ ლიტერატურაში**“ განსხვავებული, მრავალფეროვანი რაკურსით წარმოაჩენს

პოსტკოლონიურ ლიტერატურაში ასახულ ტრავმული/კულტურული მეხსიერების ფონზე შექმნილ მასალას.

ვეცადეთ, მრავალწახნაგოვანი ლიტერატურის გაანალიზების საფუძველზე, საქართველოს უახლესი წარსულის ტრაგიკული ფაქტების რეფლექსიისას კვლევის ჩვენეული რაკურსი წარმოგვეჩინა.

გამოყენებული ლიტერატურა

1. აბრამია კ. აფხაზეთი: საზოგადოება მოითხოვს დამნაშავეთა დასჯას. გაზ „თბილისი“, #167,1998
2. აბრამია კ. ურთულესი ვითარება. გაზ„თბილისი“, # 166, 1989
3. ამბოკაძე ნ. საბჭოური მემკვიდრეობა: ტრავმული მეხსიერება კოლონიურ /პოსტკოლონიურ ქართულ ლიტერატურულ დისკურსში. დისერტაცია, თბ.:2020. 210 გვ.
4. აბულაშვილი ი. ინგუშების კოლექტიური წერილი რუსეთის პრეზიდენტს.2010, ელექტრონული რესურსი: <http://www.resonancedaily.com>
5. ავალიანი ლ.გიჟი დროის ქართული მწერლობა, თბ.: „თეთრი გიორგი“, 2005. 286 გვ.
6. ამირხანაშვილი ი. გელა ჩქვანავა. ჟურნალი „ჩვენი მწერლობა“, #2. 2009. 64

7. ამირხანაშვილი ი. ვანო ჩხიკვაძე წ ი გ ნ ი დ ა ნ „2013“. „ჩვენი მწერლობა“,#6, 2014. 72
8. არაბიძე მ. (შეკეშფეხევიარიდან)- ზოგიერთისგან განსხვავებით. 2009. ელექტრონული რესურსი: <http://armuri.georgianforum.com>
9. აფციაური გ. მწერლები მშვიდობისთვის. 2015. ელექტრონული მისამართი: <https://www.radiotavisupleba.ge>
10. აფციაური ე. ქურდულ მენტალიტეტზე აგებული „სამხედრო ორგანიზაცია მხედრიონი“, 2017. ელექტრონული რესურსი: <https://konpliqtebi2017.wordpress.com>
11. ბაბუციძე ც. დედა გყავს?!, ალილუია. თბ.: „სამშობლო“, 2018. 296 გვ.
12. ბაკურაძე შ. მოსაზრება გ. ოდიშარიას „პრეზიდენტის კატის“ შესახებ. ჟურნალი „ახალი საუნჯე“,#1,2019.45
13. ბატაშვილი დ. სიმართლე 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომის შესახებ. 25.08.2019. ელექტრონული რესურსი: <https://civil.ge>
14. ბაქანიძე ი.ნათელი, ნათელი ჩემო. თბ.: „მერანი“, 1995.148გვ
15. ბერდია. ომის გამომწვევი მიზეზები, 2012. ელექტრონული რესურსი: <http://intermedia.ge>
16. ბერძენიშვილი ლ. გურამ დოჩანაშვილი - ქართული ლიტერატურის მთავარი ხულიგანი , 2019, ელექტრონული მისამართი: <http://liberali.ge>
17. ბრეგაძე ლ. მოთხრობები ლიტერატურაზე. ქართული პოსტმოდერნიზმი. თბილისი.: გამ.“ბაკურ სულაკაური“. 2008, 248გვ
18. ბუაჩიძე ა. ძნელი გზა.ილუზიების მსხვერვეა,თბ.: “სამკალი“, 2006. 296 გვ
19. ბუჯიაშვილი ე. სამყაროს გამოველაპარაკეთ. ჟურნალი „ჩვენი მწერლობა“, 2011. 64გვ
20. გაბუნია ლ. ბესო ხვედელიძე მოჯადოებული პერსონაჟების ტყავში ძვრება. ლაშა გაბუნიას საავტორო ბლოგი „ანარეკლი“. 2002. ელექტრონული მისამართი: <https://anarekly.blogspot.com>

21. გაფრინდაშვილი ნ. კოლონიური და პოსტკოლონიური კვლევების კულტუროლოგიური პრობლემატიკა. შედარებითი ლიტერატურათმცოდნეობის თეორიული საფუძვლები. თბ.: „მერიდიანი“, 2012. 318 გვ.
22. გაჩუქებული ტერიტორიები. ელექტრონული რესურსი: <https://iberiana2.wordpress.co>
23. გელაშვილი ნ. პირველი ორი წრე და ყველა სხვა. თბ.: „კავკასიური სახლი“, 2009. 784 გვ.
24. გელაშვილი ნ. სარკის ნატეხები. თბ.: „კავკასიური სახლი“, 2006. 280გვ
25. გელაშვილი ნ.დრო, პური და ღვინო .თბ.: „კავკასიური სახლი“,2006.280გვ
26. გელაშვილი ნ.უნდა ენდოთ მემატანეს. ლიტერატურული წერილები, ესეები. ტ14. თბ.: „კავკასიური სახლი“,2014. 640 გვ.
27. გიორგაძე ნ. მწერლის დიალოგი მკითხველთან. მიემდგვნა ოთარ ჩხეიძეს(თელავის სამეცნიერო კონფერენცია). გამომცემლობა „ჩვენი მწერლობა“ 2012, 256 გვ.
28. გოგალაძე თ. ცხელი სიტყვა, წითელ მიხაკად აღმოცენებული - მურად მთვარელიძის „ტიციანელო“. გაზ. „ლიტერატურული ხაშური“, 2018. 4
29. გოგოლაძე.თ. ბარბაქაძე .ქ :სამაჩაბლოს კონფლიქტი სამი ქართველი მწერლის მხატვრულ ტექსტში. ნ. ქართულ-ოსური ურთიერთობები. ქართულ-ავხაზური და ქართულ-ოსური ურთიერთობები: წარსული, დღევანდელი, მომავალი. გამ. “უნივერსალი“, 2011. 174გვ.
30. გოჩაშვილი ი.(შემდგენელ-რედაქტორი). ალილუია. თბ.: „სამშობლო“,2018.292 გვ.
31. დადეშქელიანი-აფრასიძე ბ. სამაჩაბლოს პოლიტიკურ - სამართლებრივი საკითხები. 2012. ელექტრონული მისამართი: <http://georoyal.ge>
32. დარბუაშვილი შ. ჩემი ცხინვალი. ალილუია.თბ.:სამშობლო“,2018. 296 გვ.
33. დარბუაშვილი შ. ლტოლვილი მქვია. თბ.: „ვედა“,1994. 58 გვ.
34. დარბუაშვილი შ. ფიქრები სამაჩაბლოს მომავალზე. ხაშურის მუზეუმის მოამბე, #5 , 2014. 197გვ.
35. დარბუაშვილი შ.ლტოლვილი ბავშვები. ალილუია. თბ.: „სამშობლო“, 2018. 296 გვ.

36. დევდარიანი რ. წერილები. წმინდა იკორთის მონასტერი. ქუთ.:საგამოცდო ცენტრი. 2010. 302 გვ.
37. დიუმა ალ. კავკასია: მოგზაურობის შთაბეჭდილებები.თბ.: „აგორა“,2009. 334 გვ.
38. დოლეჯაშვილი თ. “პირველი ორი წრე და ყველა სხვა" - ტრიალი ერთსა და იმავე წრეში. 03.2010. ელექტრონული მისამართი: <http://24blog.ge/weekend>
39. დოლიძემ. მინდიაშვილინ. ქართულ-ოსური ურთიერთობები. ქართულ-აფხაზური და ქართულ-ოსური ურთიერთობები: წარსული, დღევანდელი, მომავალი“ გამ.“უნივერსალი“, 2011.174 გვ.
40. დოჩანაშვილი გ. ორნი აქა-იქ. ელექტრონული მისამართი: <http://litklubi.ge/biblioteka>
41. ევანისელი გ. ქართველი და ოსი ხალხების ურთიერთობის ისტორიიდან. 2014. ელექტრონული მისამართი: <http://intermedia.ge>
42. ეროვნული გვარდია, 2012. ელექტრონული მისამართი: <https://warreporter.wordpress.com>
43. ვანიშვილი შ. თვითმკვლელობის არნახული მაგალითი. ჟურნალი „ჩვენი მწერლობა“, #16, 2014. 72
44. ვაჟა-ფშაველა.სტუმარ-მასპინძელი.თბ.: „საბჭოთა საქართველო“, 1985. 780 გვ.
45. ვახანია ნ. ერთი ყლუპი ჰაერი. „ილია ჭავჭავაძიდან ოთარ ჩხეიძემდე“, 2009 გვ.
46. ვახანია ნ. ქართველ და აფხაზ მწერალთა თვალთ დანახული ომი. ქართულ-აფხაზური და ქართულ-ოსური ურთიერთობები: წარსული, დღევანდელი, მომავალი. თბ.: „უნივერსალი“, 2011.174გვ
47. ვახანია ნ. წესით მოპოვებული არსებობის უფლება, ჟურნალი „ჩვენი მწერლობა“#1, 2013. 64გვ
48. ზვიადისტები. ელექტრონული მისამართი: <https://ka.wikipedia>.
49. თაბუკაშვილი რ. ავტობიოგრაფია პროფილში. მოთხრობები. ნისლი .თბ.: „საარი“, 1999. 175 გვ.
50. თაბუკაშვილი რ. გემების ჩრდილქვეშ. მოთხრობები. ავტობიოგრაფია პროფილში. თბ.: „პალიტრა L“, 2012წ. 312 გვ.

51. თაბუკაშვილი რ. გემების ჩრდილქვეშ. მოთხრობები. არგაქცევა. თბ.: „პალიტრა L”, 2012წ. 312გვ
52. თბ, 2014. 444გვ.
53. თბილისის ომი. ელექტრონული მისამართი: <http://www.tabula.ge>
54. თვალსაზრისი, ცხინვალის ძირძველი მოსახლეობა 2019. ელექტრონული მისამართი: <https://tvalsazrisi.ge>
55. თვარაძე ზ. მოხეტიალე. მოთხრობები. ბინები. თბ.: „მერანი“ 1999. 240 გვ.
56. თოთაძე ა. ოსები საქართველოში: მითი და რეალობა. ”უნივერსალი,” 2008 ელექტრონული მისამართი: <https://iberiana.wordpress.com>
57. თოლორაია ნ. მიხეილ ბლაჟბა - ხიდი ქართველებსა და აფხაზებს შორის. 2017. გვ.
58. იმნაიშვილი ა. XX საუკუნის 90-იანი წლების ქართული პროზის ტენდენციები (პოსტსაბჭოთა თაობა). დისერტაცია, თბ. : 2010. 142გვ
59. იმნაიშვილი ა. ყველაზე ტრადიციული თანამედროვე. გაზ. „კალმასობა“, #5. 8.
60. იმნაძე ა. რეალობა და ლიტერატურული ფიქცია (ოთარ ჩხეიძის „არტისტული გადატრიალება“), 2012, ელექტრონული რესურსი: <http://www.spekali.tsu.ge>
61. იმნაძე ა. ფაქტი და ლიტერატურული რეფლექსია (XX საუკუნის 90-იანი წლების რეალობა ქართულ ბელეტრისტიკაში). დისერტაცია, თბ. : 2013. 151 გვ.
62. ინგუშების კოლექტიური წერილი რუსეთის პრეზიდენტს. ელექტრონული
63. ინტერვიუ პატიაშვილთან. თბილისის ფორუმი. 2017, ელექტრონული მისამართი: <https://forum.ge>
64. ინტერპრესნიუსი. სოხუმის უნივერსიტეტში ჯანო ჯანელიძის 75 წლისადმი მიძღვნილი საღამო გაიმართა. 2008.29.12. ელექტრონული მისამართი: <https://www.interpressnews.ge>
65. ელექტრონული მისამართი: <https://www.livepress.ge>
66. იათაშვილი შ. კონტრაქტური. მოთხრობები. ავადმყოფი ქალაქი. თბ. . „მერანი“ 1998. 176გვ.
67. იათაშვილი შ. ტვინი. ჟურნალი „ცისკარი“, თბ.: 1992, #8 158 გვ.
68. იათაშვილი შ. ჭკვიანი ბილიკები. დალაგება, წერილები (1997-2010). 268 გვ.
69. ივანიძე მ. ბავშვობა. ქალაქი. წიგნი. თბ.: ჟურნ. „ჩვენი მწერლობა“, #12, 2012. 64

70. კალანდაძე ი. ჯაბა იოსელიანს ილია II -თან მოლაპარაკებები ჰქონდა. „საერთო გაზეთი“ #31.2011.ელექტრონული მისამართი:<https://saertogazeti.wordpress.com>
71. კალანდია ზ. ძეგლი ყველასათვის. თბ.: „მერანი“, 2002. 248 გვ.
72. კაპანაძე ს. მარადიული დაბრუნების პოსტმოდერნისტული ვარიაციები. „კონტექსტი“- წერილები ქართულ მწერლობასა და კულტურაზე. „სვეტი“, 2016. 236 გვ.
73. კაპანაძე ს. სიცოცხლის დრო ანუ ჟამი დაფიქრებისა. ჟურნალი „ჩვენი მწერლობა“, 2012. 64გვ.
74. კაპანაძე ს. ძეგლი ყველასათვის - ერის დრამატული დილემა. „კონტექსტი“ წერილები ქართულ მწერლობასა და კულტურაზე. თბ.:“სვეტი“, 2016. 236 გვ.
75. კახიძე მ. რატომ გახდა ჯაბა იოსელიანი ქურდი. ჟურნალი „რეიტინგი“ N10, 2003.ელექტრონული მისამართი: <https://reitingi.ambebi.ge>
76. კვარაცხელია ზ. სტასიკით შეუმკრთალი საქართველო 2013. ელექტრონული მისამართი: <http://mastsavlebeli.ge>
77. კვადინიძე თ. ინტერვიუ იუბილართან. გაზ.“ლიტერატურული ცხინვალი“ #5, 2005. 10
78. კვაჭანტირაძე მ. ტრავმული მეხსიერება პოსტსაბჭოთა ქართულ ნარატივში. ელექტრონული მისამართი: <http://www.nplg.gov.ge>
79. კვირიკაშვილი ვ. დაპირისპირება (ნაწილი–IV) - ექსპერტთა კლუბი. 2014. ელექტრონული რესურსი: <https://legion.ge>
80. კობაიძე ნ. თანამედროვე ქართული პროზა. ლიტერატურული ჟურნალი „არილი“, 2013. N2(217). 45გვ
81. კოდალაშვილი ლ. ნაირა გელაშვილის ახალი რომანი. ჟურნალი “ჩვენი მწერლობა“ #22, 2009. 64.
82. კონფლიქტები საქართველოში.ელექტრონული რესურსი: <http://geworld.ge/ge>
83. კუცია ნ. კუპრეიშვილი ნ. გურამ ოდიშარია. აფხაზეთის ქართული მწერლობის ისტორიიდან. თბ. : „საარი“, 2017. 416 გვ
84. კუცია ნ. ჟამის რეფლექსია მეოცე საუკუნის ოთხმოციანი წლების ქართულ კრიტიკაში. სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები,2015. 535 გვ

85. ლობჯანიძე თ. საქართველოს ოკუპაცია 1921. ელექტრონული რესურსი
<http://www.parliament.ge>
86. ლომაძე ნ. ტაბალუა ს. ვაშლის ბაღები. თბ.: „ინდიგო“, 2018. 154გვ
87. მაისურაძე ვ. საშვილიშვილო ღალატი: კომუნისტების მიერ გაჩუქებული ქართული ტერიტორიები – სერგო ორჯონიკიძე: „თუ არ გაჩუქდებით, სომხეთის საზღვარს ავლაბარში გადმოვიტან!“ 2002. ელექტრონული რესურსი:
<https://iberiana2.wordpress.com>
88. მალაციაძე ი. გუნდა. „კვირის პალიტრა“, 2009, #32, 12 გვ
89. მელაძე ლ. სამშობლო-„ჩემი სავანე“. ჟურნალი „ანეული“ #1, თბ.: 2018. 35გვ
90. მენაღარიშვილი ი. ჩრდილოეთი კავკასია - საქართველოს პრობლემური სამეზობლო. 2013. 24გვ. ელექტრონული მისამართი: <https://www.gfsis.org>
91. მეორე მსოფლიო ომი 1939-45, 2018, ელექტრონული რესურსი:
<http://www.nplg.gov.ge>
92. მესხი ზ. სპაზმები. თბ. : „კავკასიური სახლი“. 2001. 32გვ.
93. მესხი რ. ინტერვიუ გელა ჩქვანავასთან. 2009. ელექტრონული რესურსი:
<http://www.nplg.gov.ge>
94. მეტრეველი ზ. საყდრის ჩიტები. თბილისი, 2004 . 507გვ.
95. მთვარელიძე მ. ტყვიის პრემია. თბ.: „ფარნავაზი“ 2013. 154გვ.
96. მილორავა ი. მდინარის სათავე. ჟურნალი „ჩვენი მწერლობა“ #7, თბ.: 2011. 64
97. მინდიაშვილი ნ. „დევენილის პარადიგმა ეპოქალური დისკურსის კონტექსტში“, ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი, XIII საერთაშორისო სიმპოზიუმი, ლიტერატურათმცოდნეობის თანამედროვე პრობლემები, თბ. 2019.
98. მინდიაშვილი ნ. კონფლიქტის გენეტიკა მხატვრულ ტექსტებში. თსუ საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია. ქართულ-ოსურ ურთიერთობათა განვითარების პერსპექტივები, თბ. 2017 .
99. მინდიაშვილი. ნ. გოგილაშვილი ა. კულტურული დიალოგის კონცეპტები კრებულ „ალილუიას“ ავტორთა შემოქმედებაში. „კულტურა და ხელოვნება თანამედროვეობის კონტექსტში“ კონფერენციის მასალები. 2019. 598გვ

100. მირესაშვილი მ. ქართველები აფხაზების თვალთახედვით. ქართულ-აფხაზური და ქართულ-ოსური ურთიერთობები: წარსული, დღევანდელი, მომავალი. თბ.: „უნივერსალი“, 2011. 174გვ
101. მისამართი: <http://www.resonancedaily.com>
102. მიულბაიერი ტ.გურამ ოდიშარია. ჟურნალი „ახალი საუნჯე“ #1, 2019.46
103. მორჩილაძე ა. მოგზაურობა ყარაბაღში. თბ. „ბაკურ სულაკაური“, 2004. 167 გვ
104. მორჩილაძე ა. შენი თავგადასავალი.თბ.: „პალიტრაL“, 2010. 352 გვ
105. მუმლაძე ნ. “სოხუმში მოსალოდნელია წვიმა“ - გურამ ოდიშარიას საჯარო ლექცია სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტში (მაია ბასარაია). შემეცნებითი პორტალი „ქართული აზრი“, 2017. ელექტრონული რესურსი: <http://qartuliazri.reportiori.ge>
106. მჭედლიშვილი მ. 1937 წლის ბარბაროსული ხოცვა-ჟლეტა და ქართველთა ზღვა სისხლი ამ კაცთაკვლაში. 2008. ელექტრონული რესურსი: <https://iberiana.wordpress.com>
107. ნასყიდაშვილი ე.ინტერვიუ ჯუმბერ პატიაშვითან. 2017, ელექტრონული რესურსი <http://geworld.ge/ge>
108. ოდიშარია გ. პრეზიდენტის კატა, თბ.: “ ბაკმი”. 2015. 274 გვ.
109. ოდიშარია გ. სოხუმში მოსალოდნელია წვიმა. მოთხრობების კრებული. ძმისშვილი.თბ.: „ლომისი“, 132გვ
110. ოდიშარია გ. სოხუმში მოსალოდნელია წვიმა. მოთხრობების კრებული. თბ.: „ლომისი“,1997. 132გვ
111. ომიადე ს. კონცეფციები და ტექსტები, 2009, ელექტრონული მისამართი: <https://semioticsjournal.wordpress.com> /.
112. ოსი ექსტემისტების მიერ ინგუშების გენოციდი. ელექტრონული მისამართი: <http://gmas.ge>
113. პაიჭაძე დ. გარდაიცვალა ჯაბა იოსელიანი. 2003. ელექტრონული მისამართი: <https://www.radiotavisupleba.ge/>
114. პლატონი და არისტოტელე პოეტების შესახებ <http://intermedia.ge>

115. ჟან-ჟაკრუსო. ომის გამომწვევი მიზეზები. ელექტრონული მისამართი:
<http://intermedia.ge>
116. რეხვიაშვილი ჯ. თბილისის ომის წლისთავი.2011. ელექტრონული მისამართი <https://www.radiotavisupleba.ge>
117. რუსეთ-საქართველოს ომი (2008) ელექტრონული მისამართი:
<https://ka.wikipedia.org>
118. სამადაშვილი ზ. წიგნების გასაყიდად წასვლა. ჟურნალი „XX საუკუნე“ #4,1995.
119. სამადაშვილი ზ. ხმაურიანი დღეები.თბ.: „საარი“, 1999. 228გვ
120. საქ.სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს პრეჯგუფი, გაზ.“თბილისი“, #170,1989
121. საქ.სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს პრესჯგუფი, გაზ.“თბილისი“,#165,1989
122. სონღულაშვილი ა. „სამხრეთ ოსეთი“ საქართველოში?! ელექტრონული რესურსი: <https://iberiana.wordpress.com>
123. სოსიაშვილი გ. წითელი უდაბნო. (გ. ხორბალაძის წინასიტყვაობა). თბ.: „უნივერსალი“, 2016, 215გვ
124. სოსიაშვილი გ. აღსარება მტრის საფლავთან. გამორთული მთვარე. თბ.: „უნივერსალი“ 2016, 291გვ
125. სოსიაშვილი გ. გამორთული მთვარე. (ი.ჭუმბურიძის წინასიტყვაობა). თბ.: „უნივერსალი“, 2017. 291გვ
126. სოსიაშვილი გ. გამორთული მთვარე. მავთულხლართი. თბ.: „უნივერსალი“ 2001. 291გვ
127. სოსიაშვილი გ. გამორთული მთვარე.გამორთული მთვარე. თბ.:„უნივერსალი“ 2017 . 291გვ
128. სოსიაშვილი გ. თეთრი ქალაქი. (თ.გელიტაშვილის წინასიტყვაობა) თბ.: „უნივერსალი“, 2016. გვ207
129. სოსიაშვილი გ. მეგაფონი. გამორთული მთვარე. თბ.: „უნივერსალი“, 2016. 291გვ

130. სოსიაშვილი გ. მესაფლავენი. თბ.: „უნივერსალი“, 2017. 59გვ
131. სოსიაშვილი გ. ნათლის გვირაბი. (თ.გელიტაშვილის წინასიტყვაობა). თბ.: 2017. 313გვ
132. სოსიაშვილი. გ. საძირეები. გამორთული მთვარე. თბ. : „უნივერსალი“ 2017, 291გვ
133. სოციალური მეცნიერების ვებგვერდი.2017.სახელის ტამერლანი მნიშვნელობა.ელექტრონული რესურსი: <https://ik-ptz.ru/ka/testy-ege>
134. სუხიაშვილი რ. მაყვალა ხაჩიძის წიგნის - „ეს ჩემი სულია“- შესახებ. გაზ“ზამურის მოამბე“#12,2008. 6გვ
135. ტურავა მ. „სოხუმი-თბილისი“, თბ, „ჩვენი მწერლობა“, 2019.96 გვ
136. ტურავა მ. არ გამორთოთ მთვარე. სამეცნიერო შრომების კრებული VII-VIII, თბ.: „სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი“ 2016.538 გვ
137. ტურავა მ. გენო კალანდია.აფხაზეთის ქართული მწერლობის ისტორიიდან ტ.1.
138. ტურავა მ. ზღვის ორდენის რაინდი. ჟურნალი „ჩვენი მწერლობა“, #9, 2010. 64გვ
139. ტურავა მ. ლექსი, უფალი და სახლი. ჟურნ. „აფრა“ #24,2017. 58 გვ
140. ტურავა მ. მშვიდობისა და იმედის მწერალი.ქართულ-ოსური ურთიერთობები. ქართულ-აფხაზური და ქართულ-ოსური ურთიერთობები: წარსული, დღევანდელი, მომავალი. გამ. “უნივერსალი“, 2011. 174გვ
141. ტურავა მ. სსუ ქართული ფილოლოგიის სტუდენტებმა და პროფესორ-მასწავლებლებმა ონლაინ დისკუსიაში მიიღეს მონაწილეობა. 2020. ელექტრონული რესურსი: <https://www.sou.edu.ge>
142. ტურავა მ. ჯანო ჯანელიძე. აფხაზეთის ქართული მწერლობის ისტორიიდან. თბ.: „საარი“, 2017. 416გვ
143. ტურაშვილი დ. იყო და არა იყო რა. თბ.: „ბაკურ სულაკაური“, 2012. 152გვ
144. ქასრაშვილი ი. მოგზაურობა სამოცდაათი წლის შემდეგ, ჟურნალი „ჩვენი მწერლობა“, #1, 20011, გვ 45

145. ქევანიშვილი ე.ინტერვიუ გელა ჩქვანავასთან. ელექტრონული ჟურ „ლ. ჯი“. ელექტრონული რესურსი: <http://lib.ac.ge>
146. ქრონიკები, გაზ.სიმართლე. 30.08 2010
147. ქურდაძე შ.ხაშურელი მეიგავე. გაზ. „ხალხის გაზეთი“#2. 2011.10გვ.
148. შავლეგო, ინგუშების გენოციდი ოსი და რუსი ნაციისტების მიერ რუსეთის ფედერაციის „პრიგოროდნი“ რაიონში 1992 წელს. 2006. ელექტრონული მისამართი: <http://www.geocities.ws/simartle>
149. შავრეშიანი შ. დადალაური ხ. აფხაზეთის ტრაგედია გურამ ოდიშარას თვალთახედვით. ქართულ-აფხაზური და ქართულ-ოსური ურთიერთობები: წარსული, დღევანდელი, მომავალი. გამ. „უნივერსალი“, 2011. 174გვ
150. შაიშმელაშვილი თ. რა უთხრა გოდერძი ჩოხელმა ზეინაზ მეტრეველს. 2017. ელექტრონული რესურსი: <http://kvira.ge>
151. შარვაძე ბ. უმომავლო პრიმიტივიზმისა და დაღლილი პროფესიონალიზმის გასაყარზე. „შრომები“. თბ. 2010, 496 გვ
152. შატაკიშვილი რ. 2012. ოსების ისტორია. ნაწილი-II <https://rezoshatakishvili.wordpress.com>
153. შევარდნაძე ე. „იცის ღმერთმა, ყველაფერს ვაკეთებდი ამ საშინელი დღის თავიდან ასაცილებლად“.გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“,#213. 1993.
154. ჩქვანავა გ. ტორეადორები.თბ.: „დიოგენე“, 2006. 220გვ.
155. ჩხეიძე ო თეთრი დათვი.თბ.:“ლომისი“ 1999,454გვ
156. ჩხეიძე ო. არტისტული გადატრიალება.თბ.: „ლომისი“ 1994, 341 გვ.
157. ჩხეიძე კ. მიტოვებული სახლების ბრაზი, გაზ. „ლიტერატურული საქართველო“ 14.02, 2020. 16 გვ.
158. ჩხეიძე რ. ეკლის გვირგვინი.თბ.: „ჩვენი მწერლობა“, 2015. 599 გვ.
159. ჩხეიძე რ. „საგალობლად მწუხარებისა“ ჟურ. „მწვანეყვავილა“ N2, 2020. 96 გვ.
160. ჩხიკვაძე ვ. ზამთრის წიგნი.ჭირი.ქუთ.: „საგამომცემლო ცენტრი“ 2005. 416 გვ.

161. ჩხიკვაძე ვ. ზამთრის წიგნი. 1992წ 1 იანვარი. ქუთ.: „საგამომცემლო ცენტრი“ 2005. 416 გვ.
162. ცუცქერიძე ზ. მოგზაურობა სამ დროში. გაზ „ხაშურის მოამბე“ #32, 2018 6,
163. ცხადაია ზ. მივიწყებული წალკოტი. გაზ. „მწერლის გაზეთი“ #7, 2013. 16
164. წიფურია ბ. ქართული ტექსტი საბჭოთა / პოსტსაბჭოთა / პოსტმოდერნულ კონტექსტში. 2016. 556 გვ. ელექტრონული რესურსი: <http://eprints.iliauni.edu.ge>
165. წულაია ს. „წითელი“, როგორც სამყარო, როგორც მზე და როგორც ღმერთი (ბესო ხვედელიძის წიგნი „წითელი“) საუბრები ლიტერატურაზე, თბ: „საუნჯე“, 2013. 238 გვ
166. წულაია ს. ავა მორჩილადის ორი რომანი ერთში და ჰოლივუდური ბედნიერი დასასრული, საუბრები ლიტერატურაზე, თბ: „საუნჯე“, 2013. 238 გვ
167. წულაია ს. პოსტმოდერნიზმისაგან თავდასაღწევად. ჟურნალი „ჩვენი მწერლობა“ #5. 2013. 64 გვ
168. წულაია ს. შოთა იათაშვილის „ავადმყოფი ქალაქი“, საუბრები ლიტერატურაზე. თბ: „საუნჯე“ 2013. 238 გვ
169. ჭანტურია ნ. პოეტის დაბრუნება მკითხველთან. გაზ. „ჩემი აფხაზეთი“ #24, 2013. 12 გვ
170. ჭიაურელი მ. მეორე მსოფლიო ომი და გერმანიის დანაშაულები. 2002. ელექტრონული რესურსი: <https://www.radiotavisupleba.ge>
171. ჭირი სამოთხეში: ქართულ-აფხაზური ომი 1992-93. ელექტრონული რესურსი: <https://topwar.ru>
172. ჭილაძე ლ. რასაც აქ ხედავთ, ეს სულაც არ არის ცხოვრება. გაზ. „საქ. რესპუბლიკა“ # 210 2012. 12 გვ
173. ხარბედია მ. ნაირა გელაშვილის პირველი ორი წრე. 2010. ელექტრონული რესურსი <https://www.radiotavisupleba.ge/>
174. ხაჩიძე მ. 9 აპრილი რუსთაველზე. გაზ „გამარჯვების გზა“, #6. 1989. 4 გვ
175. ხაჩიძე მ. ამონაწერი ლტოლვილის დღიურიდან. გაზ „ალიონი“ #21, 1993, 4 გვ

176. ხაჩიძე მ. არა ცილ სწამო. გაზ „გამარჯვების გზა“ #9, 1990
177. ხაჩიძე მ. დამთავრდა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის საგანგებო კონფერენცია. გაზ „გამარჯ.გზა“ #20.1990
178. ხაჩიძე მ. ლტოლვილები, გაზ „ალიონი“ # 4, 1991.4გვ
179. ხაჩიძე მ. ლტოლვილების პრობლემა - სადღეისო საზრუნავი, გაზ. „ხაშურის მოამბე“, #6, 1993
180. ხაჩიძე მ. მარტოდენ მამულის საკეთილდღეოდ, გაზ. „გამარჯვების გზა“, # 7.1990
181. ხაჩიძე მ. მხოლოდ გონიერება და მიმტევებლობა გადაგვარჩენს, გაზ. „გამარჯვების გზა“ # 16, 1991
182. ხაჩიძე მ. რით აპირებთ ხალხის გულის მოგებას?, გაზ. „ალიონი“ # 4, 1992
183. ხაჩიძე მ. რუსული ინტერვენცია. გაზ „ხაშურის მოამბე“, #16. 2008
184. ხაჩიძე მ. საუკუნის გასაყარზე. თბ.: „უნივერსალი“, 2019. 374გვ
185. ხაჩიძე მ. საქართველო - შაგრენის ტყავი. გაზ „ალიონი“, #22, 1992
186. ხაჩიძე მ. ახლა არ გვგლეჯენ ენასა, გაზ „გამარჯვების გზა“ #10. 1989
187. ხეთაგური მ. ავანსცენიდან კულისებში. „ღამის დარაჯი“, თბ.: გამომც. „მწიგნობარი“, 2016, 343გვ
188. ხეთაგური მ. ალილუია. „ალილუია“. თბ.: სამშობლო“, 2018. 296გვ.
189. ხეთაგური მ. მავთულხლართების ტყვეები. ჟურნალი „ანეული“ #2, 2019. 84გვ.
190. ხეთაგური მ. საზღვარი. ალილუია. თბ.: „სამშობლო“ 2018. 296 გვ.
191. ხვედელიძე ბ. თავის გემო. თბ.: „ბაკურ სულაკაური“, 2009. 214 გვ.
192. ხორბალაძე გ. მავთულხლართის ორი მხარე თანამედროვე ქართულ ლიტერატურაში. ჟურნალი „გულანი“, #17 სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი, „ახალციხე“, 2015
193. ხოფერია გ. „მეჩეჩი“ მეჩეჩზე არ გარიყულა. თბ.: ჟურ. „ჩვენი მწერლობა“, 2013. 72გვ
194. ჯავახიშვილი ჯ. „მეხსიერება და იდენტობა: პოლიტიკა და წარსულის ინტერპრეტაციები“. ელექტრონული რესურსი: <https://ge.boell.org/ka>

195. ჯალიაშვილი მ. ოთარ ჩხეიძის პორტრეტი.2016. ელექტრონული მისამართი <http://maiajaliashvili.blogspot.com>
196. ჯანელიძე ჯანო. როცა გამარჯვებულთ ასამართლებენ. თბ.: „ეროვნული მწერლობა“, 2005, 87გვ
197. ჯანელიძე ჯანო. როცა ცრემლები მღერიან. თბ.: „ეროვნული მწერლობა“. 2008. 348გვ
198. ჯოხაძე მ. მარადიული ქართული მითი, 2009. ელექტრონული მისამართი: <http://arilimag.ge>
199. Alexander Jeffrey Charles . Cultural Trauma and Collective Identity. 2004. Published by: University of California Press .
200. Assmann Jan. Das kulturelle Gedächtnis Schrift, Erinnerung und politische Identität in frühen Hochkulturen.1992. Miinchen .
201. **Anishchenkova 2017:** Anishchenkova V “The Battle of Truth and Fiction: Documentary Storytelling and Contemporary Refugee Discourse” simpoziumis masalebi (ganTavsebulia 2017 wlis ivlisidan) <http://www.litterature-comparee.fr/>
202. Bhabha 1994: Bhabha, Homi. K. “DissemiNation: Time, Narrative and the Margins of the Modern Nation”. From: The Location of Culture. London: Routledge. 1994. <http://ejournals.library.vanderbilt.edu/index.php/ameriquests/article/view/169/183> [25.04. 2014]
203. **Gallien 2018:** Gallien C “Refugee Literature”: What postcolonial theory has to say, **Journal of Postcolonial Writing** Volume 54, 2018 - **Issue 6: Special issue: Refugee Literature**
204. Said 1994: Said, Edward. W. Culture and Imperialism. New York: Vintage Books. Division of Random House. 1994. http://artexte.ca/wpcontent/uploads/Culture_and_Imperialism.pdf [3.04.2016]
205. Nora Pierre. Between Memory and History: Les Lieux de Mémoire. Representations, No. 26, Special Issue: Memory and Counter-Memory. University of California Press. Spring, 1989. ელექტრონული რესურსი. <http://www.jstor.org/>
206. Chakrabarty Dipesh. Provincializing Europe: Postcolonial Thought and Historical Difference . 2000 .Princeton University Press.
207. **Chaplin 2017:** Chaplin M, “Exploring the Positioning of Refugee Authors in Contemporary Literature: Negotiating Identities from the Middle East to the UK”

- simpoziumis masalebi (ganTavsebulia 2017 wlis ivlisdan) <http://www.litterature-comparee.fr/>
208. **Detue 2017:** Detue F, “This is no Refugee Literature” simpoziumis masalebi (ganTavsebulia 2017 wlis ivlisdan) <http://www.litterature-comparee.fr/>
209. **Jokic 2017:** Jokic O, “Yugoslavian Literature of Muslim Displacement and the Reading of Pity” simpoziumis masalebi (ganTavsebulia 2017 wlis ivlisdan) <http://www.litterature-comparee.fr/>
210. **Letellier 2017:** Letellier B, “La poésie de l’exil dans l’océan Indien : Salah Faik, Adeb Kamal Ad-Deen et Ahmatjan Osman” simpoziumis masalebi (ganTavsebulia 2017 wlis ivlisdan) <http://www.litterature-comparee.fr/>
211. Sztompka Piotr. The ambivalence of social change: Triumph or Trauma? .2004..Institute of Sociology Jagiellonian University Grodzka 52, 31-044. Krakow . ელექტონული რესურსი.<https://www.econstor.eu/bitstream/10419/50259/1/330535307.pdf>
212. **Palladino 2017:** Palladino M, “Refugee Literature”? Narrative of Journeys across Africa and the Mediterranean. simpoziumis masalebi (ganTavsebulia 2017 wlis ivlisdan) <http://www.litterature-comparee.fr/>
213. **Stan 2017:** Stan C “From The Village Indian to Ohrfeige: Novels in the Translation Zone” simpoziumis masalebi (ganTavsebulia 2017 wlis ivlisdan) <http://www.litterature-comparee.fr/>
214. Said 1978: Said, Edward, W. Orientalism. London: Penguin Books, 1978.
215. Бахтин М.М. Вопросы литературы и эстетики. Прогресс. Москва 1975.
216. Валиева Д. Катя Джиеова: осетинская писательница творит и в 90. 2017
Адрес электронной почты: <https://sputnik-ossetia.ru>
217. Вартанов Е. Цхинвал. „Южная Осетия“ #79, республиканская общественно-политическая газета 12 06 2011г <http://ugo-osetia.ru>
218. Газаати Д.- стихи об Осетии молодых осетинских поэтов. 10.08.2008 www.vk.com
219. Джеффри А. Культурная травма и коллективная идентичность Адрес электронной почты: <https://www.isras.ru>

220. Джиоева Е. Город-Герой. „Южная Осетия“ #117-118, 24 10 2009
республиканская общественно-политическая газета 24.10.2009. Адрес
электронной почты:<http://ugo-osetia.ru>
221. Дзукаева Л. Мой Ирыстон. „Южная Осетия“ #18, республиканская
общественно-политическая газета 04.03.2009. Адрес электронной почты:
<http://ugo-osetia.ru>
222. Дзукаева Н. Прости меня, Цхинвал. Адрес электронной почты:
<http://www.darial-online.ru/2009>
223. Догузова А Это рай. „Южная Осетия“ , #97, республиканская общественно-
политическая газета. 2013г
224. Догузова А Я умирал на поле боя. „Южная Осетия“ #97, республиканская
общественно-политическая газета,06.08 2013
225. Зассеты М. добрый путь. „Южная Осетия“ #98-99, республиканская
общественно-политическая газета 26.08. 2011 Адрес электронной почты:
<http://ugo-osetia.ru>]
226. Зассеты М. Ангелы Бессмертия. „Южная Осетия“ #90, республиканская
общественно-политическая газета 06.08. 2011 Адрес электронной почты:
<http://ugo-osetia.ru>
227. Зассеты М. Кто Мы?, „Южная Осетия“ #67, республиканская общественно-
политическая газета 14 06 2011 Адрес электронной почты: <http://ugo-osetia.ru>
228. Медеева Л. как я провела лето,„Южная Осетия“ #101, республиканская
общественно-политическая газета 25.10.2008
229. Тадтаев Т. Карабин. Библиотека журнала "Дарьял" Адрес электронной
почты: <http://biblio.darial-online.ru>
230. Тадтаев Т. Доброволцы . „Иди сюда, парень!“, 2017. Адрес электронной
почты: <https://books.google.ge>
231. Тадтаев Т. Друг детства. 2008, Адрес электронной почты:
<http://biblio.darial-online.ru>

232. Тадтаев Т. Неформал. „Иди сюда, парень!“ 2017, Адрес электронной почты:
<https://books.google.ge>
233. Тадтаев Т. Отступник. „Иди сюда, парень!“ 2017, Адрес электронной почты:
<https://books.google.ge>
234. Тадтаев Т. Судный День. 2009, Адрес электронной почты:
<http://biblio.darial-online.ru>]
235. Тадтаев Т. Сын. „Иди сюда, парень!“ 2017, Адрес электронной почты:
<https://books.google.ge>
236. Тасоева Л. Война. „Южная Осетия“ #15, республиканская общественно-политическая газета 21.02.2009
237. Цгоев Х. 2013. Тенгиз Догузов: „и вновь любить душа моя готова,,... „Недобрые соседи“. Адрес электронной почты: <http://www.rospisatel.ru/>
238. Чехов А. Любимый мой город, „Южная Осетия“ #82, республиканская общественно-политическая газета 27.08.2008г Адрес электронной почты:
<http://ugo-osetia.ru>
239. Чума в раю: Грузино-абхазская война 1992-1993 гг, 2012. Адрес электронной почты: <https://topwar.ru>.